

ბ. გიგაშვილი



კოლხეთი

ქ მ კ ს ლ

მ მ ს ლ მ ს მ



გამომცემლობა „საბჭოეთის საქართველო“
თბილისი — 1985

ნაშრომი ეძღვნება რომაულ ლიტერატურაში კოლხეთის თემის მხატვრული ინტერპრეტაციის პრობლემებს. ავტორი იკვლევს, თუ როგორი ტრანსფორმაცია განიცადა არგონავტების თქმულების ბერძნულმა მოდელმა რომაულ მწერლობაში. მრავალრიცხოვანი ლიტერატურული ნაწარმოების ანალიზის საფუძველზე შესწავლილია რომაული ლიტერატურის ძირითად ქანრებში კოლხეთის თემის მხატვრულად დამუშავების თავისებურებანი, ლეგენდარული კოლხეთის შესახებ არსებული რომაული წყაროების ისტორიული ღირებულების საკითხი.

წიგნი განკუთვნილია ფილოლოგებისა და ისტორიკოსებისათვის, ასევე ანტიკური კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. აბ. შრუშაძე,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოც. ი. შინბელია

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. რ. ზორდუზიანი

შესავალი

საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლისათვის ანტიკური წყაროების მნიშვნელობის შესახებ არაერთხელ აღინიშნა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.¹ ამ წყაროთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თქმულებებს ლეგენდარულ კოლხეთზე. რომლებიც არგონავტთა ცნობილი მითის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. საქართველოს, კერძოდ, კოლხეთს პირველად ანტიკურმა ავტორებმა სწორედ არგონავტების თქმულების გამო მიაქციეს ყურადღება. ქართველ მკვლევართა მთელი თაობები დეტალურად სწავლობენ ამ წყაროებს და მათ სათანადო მეცნიერულ ინტერპრეტაციას აძლევენ. კვლევამ გამოავლინა, რომ ბერძნულ თქმულებებს რეალური ისტორიული საფუძველი აქვთ და რომ გვიანბრინჯაოს ხანაში, ანუ ძვ. წ. XV—XII სს. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მართლაც უნდა არსებულიყო ქართველურ ტომთა ძლიერი გაერთიანება, რომელსაც უნდა უკავშირდებოდეს არქეოლოგების მიერ გამოვლენილი ე. წ. „კოლხური ცულების“ კულტურის შექმნა.

¹ ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964; აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბილისი, 1964; თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957; მისივე — ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960; მისივე — აპიანე მითრიდატეს ომების ისტორია, 1959; ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, ტ. I, II, III, IV, 1967—1980 და სხვ. რ. გორდუზიანი, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები, თბ., 1970; მისივე — Проблемы гомеровского эпоса, Тбилиси, 1978. ო. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972; მისივე — ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966; ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1962; მ. ინაძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი, 1982; მისივე — Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968 წ. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959. Г. Лордкипанидзе, Колхида в VI—II в. в. до н. э. Тбилиси, 1978 г.

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ლეგენდარული კოლხეთის შესახებ არსებულ ბერძნულ ცნობებს, რადგან ისინი უფრო ადრეულია და, როგორც ფიქრობენ, უფრო სანდოც. რაც შეეხება რომაულ წყაროებს, მათ მიმართ შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ მკვლევარნი. დღეს ჩვენ გაგვაჩნია ლეგენდარული კოლხეთის შესახებ ბერძენ ავტორთა სრული და დეტალური ცნობების კრებული, მაგრამ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება მსგავსი რომაული წყაროების კრებული, თუმცა ქართულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ცალკეული ლათინური წყაროს შესწავლისა და ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

ზოგადი მიმოხილვის ხასიათისაა კოლხეთის შესახებ ლათინური ცნობების მცირე ნაწილის შემცველი პირველი კრებული, რომელიც ჩვენში კ. განმა გამოაქვეყნა: „Известия древних греческих и римских писателей о Кавказе“ (Тифлис, 1884—1889). ვ. ვ. ლატიშევის კრებულის — „Scythica et Caucasia“-ს — II ტომში (СПБ, 1904—1906) არის ლათინურ წყაროებში კოლხეთის შესახებ ცნობათა შემცველი დიდძალი მასალა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა არგონავტთა თქმულებას.

რომაული წყაროების მიმოხილვა მოცემულია აკ. ურუშაძის ნაშრომში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ (თბილისი, 1964); გამოკვლევის I თავის II ნაწილი — „ლათინური წყაროები“, სადაც წარმოდგენილია ის რომაელი მწერლები, რომლებიც არგონავტთა თქმულების მთლიან სიუჟეტს ან მის ცალკეულ ეპიზოდებს ამუშავებდნენ, იწყება პირველი რომაელი დრამატურგის — კვინტუს ენიუსის შემოქმედების მოკლე მიმოხილვით. შემდეგ ავტორი გვაცნობს სხვა დრამატურგთა დამოკიდებულებას აღნიშნული თემისადმი. დრამატულ ნაწარმოებთა ანალიზს ეპიკურ მწერალთა ნაწარმოებების, ხოლო შემდგომ ლირიკოს პოეტთა შემოქმედების განხილვა მოსდევს. დასასრულს პროზაულ ნაწარმოებთა განხილვაა მოცემული.

რომაელ მწერალთა ცნობების საფუძველზე კოლხეთის ტერიტორიის ლოკალიზაციისა და იმ ტომების საკითხის ანალიზი, რომლებიც მოხსენიებულია არგონავტებთან დაკავშირებით, მოცემულია გ. მელიქიშვილის ნაშრომში „К истории древней Грузии“ (Тбилиси, 1959).

რომაულ მწერლობაში ასახული არგონავტების ლაშქრობასთან დაკავშირებული ამბების ისტორიულ ინტერპრეტაციას იძლევა

თ. მიქელაძე წიგნში „ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან“ (თბილისი, 1974).

ჩვენმა სამამულო მეცნიერებამ შეისწავლა, თუ როგორაა გაშუქებული კოლხეთის თემა ტაციტუსის, ოვიდიუსის და სხვათა შემოქმედებაში. ცხობილია ალ. გამყრელიძის „ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ“ (თბილისი, 1973), რომელშიც არგონავტების თქმულების ფინალური ამბებია გადმოცემული, სახელდობრ, იასონისა და მედეას შერიგება და მათი აიეტის სამეფოში დაბრუნება. ალ. გამყრელიძეს ეკუთვნის გამოკვლევები ამიანე მარცელინესა და პომპონიუს მელას შესახებ.

კოლხეთზე ოვიდიუსის ცნობების (რომლებიც მის სხვადასხვა ნაწარმოებში გვხვდება) განხილვას მიუძღვნეს შრომები ი. გაგუამ („ოვიდიუს ნაზონი და კოლხური სამყარო“, ცისკარი, № 5, 1973 და სხვ.) და ნ. კეკელაძემ („ოვიდიუს ნაზონი საქართველოს შესახებ“, თსუ შრომები, ტ. 69, 1958). ი. გაგუამ უფრო ვრცლად შეისწავლა ოვიდიუსის დამოკიდებულება კოლხურ სამყაროსთან.

ქართველ მკვლევართა ნაშრომებში რომაული ცნობები უპირატესად შესწავლილია ისტორიული თვალსაზრისით, თუმცა არანაკლებ საყურადღებოა რომაული წყაროები წმინდა ლიტერატურული ასპექტით. როგორც ცნობილია, არგონავტების თქმულების წყალობით მსოფლიო ლიტერატურაში დამკვიდრდა კოლხეთთან დაკავშირებული გმირთა სახეები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ასაზრდოებენ მრავალი ხალხის ლიტერატურას. თუ რა კანონზომიერებით ხდებოდა ამ სახეების შემოტანა ჯერ ბერძნულ ლიტერატურაში, შემდგომ — რომაულში, ტრანსფორმაციის რა გზა განვლეს მათ, სანამ ევროპულ ლიტერატურაში დამკვიდრდებოდნენ, ასევე საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ლიტერატურის ისტორიისათვის.

ჩვენ მიზნად დავისახეთ სწორედ ლიტერატურული ასპექტით შეგვესწავლა, თუ რა თავისებურება ახასიათებს კოლხეთის თემის დამუშავებას რომაულ ლიტერატურაში, როგორ რეალიზდება კოლხეთის თემა რომაული ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში, რამდენად თვითმყოფადნი არიან რომაელი მწერლები კოლხეთთან დაკავშირებული სიმბოლოებისა და სახეების ინტერპრეტაციისას, რა როლი შეასრულეს მათ კოლხეთის თემის ევროპულ ლიტერატურაში დამ-

კვიდრების საქმეში. დასავლეთ ევროპა ანტიკური ლიტერატურის ნიმუშებს ხომ პირველად რომაული მწერლობის წარმომადგენელთა მეშვეობით გაცნო. სწორედ, „რომის ნანგრევების ანტიკური ქანდაკებებიდან წარმოუდგა გაოცებულ დასავლეთს ახალი სამყარო— ძველი საბერძნეთი“.²

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მედეას სახე ანტიკურობიდან დღემდე, რაც განპირობებულია მასთან დაკავშირებული ყველა დროისათვის აქტუალური თემით — „სიყვარულით და შინაოჯახური ურთიერთობით.“³ ამიტომ პოვა კოლხეთის თემამ და მედეას ტრაგიკულმა სიყვარულმა ასეთი რეზონანსი მსოფლიო ლიტერატურაში. მედეას თემა დამუშავდა სწორედ მისი ანტიკური მოდელის გათვალისწინებით. დღეს მედეას ამბის მუსიკალური და დრამატული ინტერპრეტაციის ორასამდე ვარიანტი არსებობს. ევროპულ ლიტერატურაში ამ თემის ინტენსიური შესწავლა დაიწყო პიერ კორნელიდან, შემდგომ სულ ახალ-ახალი გზები დაისახა ამ თემის ინტერპრეტაციისა და აქტუალიზაციისათვის თანამედროვე ეპოქათა მოთხოვნების შესაბამისად. მედეას თემა აირეკლა ბარონ დე ლონგეპიერის, ლესინგის, კლინგერის, რუსოს, გრილპარცერის, ანუის და სხვათა ნაწარმოებებში⁴.

არგონავტებისა და მედეას თემა ქართულმა მწერლობამაც დაამუშავა. ამის დადასტურებაა ვახუშტისა და თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებები, აგრეთვე „XVII—XIX საუკუნეებში შედგენილი მითოლოგიური კრებულები, რომლებშიც არგონავტთა თქმულების სხვადასხვა ვერსიას შეტანილი. აკ. წერეთელმა შექმნა დრამატული პოემა „მედია“.⁵

„დღემდე შეუცნობელ ბუნების ძალთა მესაიდუმლე და მპყრობელი, უალრესად ძლიერი ნების ქალი“⁶ დიდ ინტერესს იწვევს თა-

2 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIV, с. 475.

3 Ант, С. К. Вступ. статья к «Античной драме», Москва, 1970, с. 21.

4 იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით: Elisabeth Frenzel, Stoffe de Weltliteratur, Stuttgart, V, 1981, გვ. 482—486; Käte Hamburger, Von Sophokles zu sartre, Stuttgart, 1968, გვ. 161..., Edgar Neis, Interpretationen motivgleicher Werke der Weltliteratur, Hoffeld, 1976, გვ. 110.

5 იხ. დაწვრილებით: აბ. როდოსელის „არგონავტიკის“ აკ. ურუშაძის თარგმანის შესავალი, თბილისი, 1970, გვ. 33.

6 თ. ქელიძე, აია-კოლხიდელთა მეკობრე ბუბა ოდორია, პოემა, თბილისი, 1982, გვ. 8.

ნამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც. ლ. სანიკიძემ თავის ნაწარმოებში „ამბავი კოლხი ასულისა“ მედია წარმოგვიდგინა მითის ვერსიის მიხედვით, სადაც იგი არაა შვილების მკვლელი. მედეას იასონისადმი სიყვარული და მისი დახმარება ოქროს საწმისის მოპოვებაში ასახა ვ. კანდელაკმა პიესა „ოქროს საწმისში“ (არგონავტები); ახლებურადაა გააზრებული თქმულება ოქროს საწმისზე ოთარ ჭელიძის „აია-კოლხიდელ მეკობრე ბუბა ოღორიაში“.

ქართველი მეცნიერები, გარდა არგონავტების თქმულებაზე არსებული ცალკეული ცნობებისა, გვაწვდიან მთლიანი ნაწარმოებების თარგმანებს. ცნობილია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ ავ. ურუშაძის პროზაული და ავ. გელოვანის პოეტური თარგმანები, ნ. მელაშვილის მიერ შესრულებული „ორფიკული არგონავტიკის“ თარგმანი. ხელნაწერში არსებობს ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკის“ პ. ბერაძისეული თარგმანი, ხოლო ავ. მიქაბერიძემ თარგმნა დრაკონციუსის „მედია“. დიდი დახმარება გამოიწია პოზიდიუს გეტაზე მუშაობისას რ. მიმინოშვილის ვერგილიუსის „ენეიდის“ თარგმანმა, როგორც აღნიშნული მწერლის „მედეას“ შემადგენელმა ნაწილმა.

საკვლევი მასალის ანალიზის მიზნით ამგვარი გზა ავირჩიეთ: ჯერ წარმოვადგინეთ არგონავტების თქმულების შესახებ ბერძენ ავტორთა მონაცემების ერთობლიობა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „არგონავტების თქმულების ბერძნული მოდელი“ და რომელიც ამოსავალი უნდა ყოფილიყო რომაელ ავტორთათვის. შემდგომ შევეცადეთ იმის გამოკვლევას, თუ რა ცვლილებები განიცადა ამ მოდელმა რომაულ ნიადაგზე და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილეთ ის, თუ როგორ შეესხა ხორცი კოლხეთის თემას რომაული ლიტერატურის შემდეგ ენარებში: ეპოსში, დრამაში, მცირე ლიტერატურულ ფორმებში. ვინაიდან რომაულ წყაროებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული თვალსაზრისითაც, ჩვენ სპეციალურ თავს ვუთმობთ უმნიშვნელოვანეს რომაულ წყაროთა ანალიზს ისტორიულ-გეოგრაფიული პოზიციებიდან. ასევე შევეცადეთ მხედველობიდან არ გამოგვრჩენოდა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი არც ერთი თხზულება, წყარო, რომლებშიაც კოლხეთის თემაა დამუშავებული.

არგონავტიკის თქმულების ბერძნული მოდელისათვის

არგონავტების თქმულების საფუძველზე შექმნილ ნაწარმოებთა სიუჟეტების მთავარ წყაროებად მიჩნეულია ბერძენ ავტორთა თხზულებები, რომელთა მეშვეობითაც ჩვენამდე მოაღწია მხატვრულად დამუშავებულმა კოლხეთში არგონავტთა ლაშქრობის ლეგენდარულმა ისტორიამ.

მხატვრული ლიტერატურის მთელ რიგ ძეგლებში მეტ-ნაკლებად სრული ფორმით გადმოცემულია თქმულების სხვადასხვა ნაწილი. უდავოა, რომ უკვე უძველეს ეპოქაში არსებობდნენ ეპიკური ნაწარმოებები, რომლებიც გულდასმით ამუშავებდნენ არგონავტთა თქმულების მთელ ციკლს, მათი ლაშქრობის ამბავს აიაში. მრავალი მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი ნაწარმოებები უკვე ჰომეროსამდე იყო და რომ „ოდისეას“, მაგალითად, აშკარად ატყვია არგონავტებზე არსებული ეპოსის გავლენა¹.

ჩვენამდე მოაღწიეს უმნიშვნელო ფრაგმენტებმა და განსაზღვრულმა ინფორმაციამ ძვ. წ. VIII საუკუნის პოეტ ევმელოს კორინთელზე, რომელიც დასახელებული თქმულების ეპიკური დამუშავების ერთ-ერთ ფუძემდებლად შეიძლება ჩაითვალოს.²

საგულისხმოა, რომ სწორედ უძველეს ეპიკურ ნაწარმოებებში, რომელთაც ჩვენამდე არ მოაღწიეს, დაცული ინფორმაციები გაძოყენებოდა გეომეტრიული, არქაული და კლასიკური ეპოქების მწერლების მიერ. სწორედ ამ ნაწარმოებთა მოტივების ტრანსფორმაცია გვხვდება სხვადასხვა თხზულებაში, სხვადასხვა ეპოქაში, რომლებიც მიძღვნილია ამ თქმულებისადმი ან გაკვრით ეხება მას.

¹ K. Meuli, *Odyssee und Argonautica*, Berlin, 1921; იხ. დაწვრილებით ა. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17; L. Radermacher, *Mythos und Sage bei Griechen*, Darmstadt, 1967, გვ. 218; Грабарь — Пассек М. Е., *Античные сюжеты и формы в западно-европейской литературе*, Москва, 1966 с. 16; ს. გ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 9; Меликшвили Г. А. დასახ. ნაშრ. с. 19.

² G. L. Huxley, *Greek Epic Poetry from Eumelos to Panyassis*, London, 1969, გვ. 60—70: Eumelos, The early Argonautica and related epics.

ძვ. წ. III ს. ეპიკოსი პოეტი აპ. როდოსელი იყენებს, ერთი მხრივ, ამ ძველ წყაროებს, ხოლო, მეორე მხრივ, ითვალისწინებს თქმულებასთან დაკავშირებულ მოტივთა მრავალრიცხოვან ტრანსფორმირებულ ვარიანტს და ქმნის პოემას „არგონავტიკა“, რომელშიც ფაქტიურად დამუშავებულია თქმულების ყველა მთავარი ეტაპი.

მთელი მომდევნო ლიტერატურისათვის სწორედ აპ. როდოსელის „არგონავტიკა“ იქცა თავისებურ მოდელად კოლხეთში ბერძნების ლაშქრობისა და მათ მიერ ოქროს საწმისის მოპოვების ამბის მხატვრულად ასახვისათვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აპ. როდოსელმა ამოწურა ყველა სიუჟეტური მომენტი, რომლებიც დაკავშირებულია ამ თქმულების ციკლთან. აქ იგულისხმება კოლხეთისა და საბერძნეთის ოდინდელი ურთიერთობის ამბები, განსაკუთრებით კი. მედეასა და იასონის ე. წ. ელადური თავგადასავალი, რაც დაამუშავა ევრიპიდემ თავის ტრაგედიაში „მედეა“.

ქვემოთ ჩვენ წარმოვადგენთ ლაშქრობის მთელი სიუჟეტის იმ საკვანძო მომენტებს, რომელთაც ინტერპრეტაციის საკმაოდ რთული გზა განვლეს ბერძნულ ლიტერატურაში და რომელთაც შემდგომ მთელი რომაული ლიტერატურისათვის ერთგვარი მოდელის ფუნქცია შეასრულეს. ამ შემთხვევაში გამოვიყენებთ თქმულების RE-ში³ მოცემულ კლასიფიკაციას, რასაკვირველია, სათანადო ცვლილებებით. ჩვენ განსაკუთრებით გამოვყოფთ ძირითად ორიენტირებს და მოკლედ შევებებით პარალელურ წყაროებს, რომლებშიაც განხილულია ეს სიუჟეტები. სიუჟეტური ელემენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

1. აპოლონიოს როდოსელის მიერ დამუშავებული სიუჟეტური ელემენტები; 2. სხვა წყაროებში დამუშავებული სიუჟეტური ელემენტები.

ბევრი რამ, რაც დამუშავებულია აპ. როდოსელის მიერ, გვხვდება არა მხოლოდ მასთან, არამედ სხვა წყაროებშიაც. არგონავტების სიუჟეტის ამ ძირითადი ელემენტების ნუსხის მოტანისას ყოველთვის მივუთითებთ, ბერძნული ლიტერატურის რომელ ნაწარმოებშია სახელდობრ ისინი ყველაზე სრულყოფილად დამუშავებული. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენ განსაკუთრებით ის წყაროები გვინტერესებს, რომლებიც თავის მხრივ, მხატვრული

³ Paulys, Realencyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, Stuttgart, 1896, II.

ასახვის თვალსაზრისით, ამოსავალს წარმოადგენენ რომაული ლიტერატურისათვის. არგონავტების თქმულებამ ბერძნულ ლიტერატურაში ფორმირების გრძელი გზა განვლო. შეიძლება მაკელობა იმ ელემენტებზე, რომლებიც თქმულების უძველეს ფენებთან არის დაკავშირებული და აქედან შემოვიდა ჩვენთვის ცნობილ ნაწარმოებებში. მაგრამ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს თვით ბერძნულ ლიტერატურაში ამ ელემენტთა ფორმირების ქრონოლოგია. ფაქტია, რომ რომაული ლიტერატურისათვის საფუძველს წარმოადგენდა თქმულება იმ მოცულობით, რომლითაც ის ცნობილი იყო ელინისტურ ეპოქაში. სწორედ ამიტომ ჩვენ ძირითადად ვითვალისწინებთ თქმულების იმ ვერსიას, რომელიც ამ დროისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი და პოპულარული.

არგონავტების თქმულების ამ ე. წ. საკვანძო მომენტებად შევიძლია მივიჩნიოთ:

1. კორინთოსა და კოლხეთის უძველესი კავშირი.
2. ფრიქსესა და ჰელეს გაქცევა კოლხეთში ოქროსსაწმისიანი ვერძით.
3. ბერძენთა კოლხეთში ლაშქრობის მიზეზი და მზადება ლაშქრობისათვის.
4. ლაშქრობის მონაწილენი.
5. ლაშქრობის მიზანი.
6. თავგადასავალი თესალიაში.
7. არგონავტები ლემნოსზე.
8. ქრიზე.
9. სამოთრაკე.
10. ტროადა.
11. ჰელესპონტი.
12. კიზიკოსი.
13. კიოსი.
14. ბოსფორის მიდამოები.
15. გზა ჩრდილოეთის მიმართულებით პონტოში.
16. გზა აღმოსავლეთის მიმართულებით პონტოში.
17. გლავკოსი.
18. არეტიას კუნძული.
19. კოლხეთი და იქ მომხდარი ამბები.
20. არგონავტების დაბრუნება სამშობლოში. აიეტის და აფსირტეს დაღვენება.

21. თავგადასავალი დასავლეთის ზღვებში.

22. ლიბია.

23. თავგადასავალი ეგეოსის ზღვაში.

24. საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ მომხდარი ამბები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბერძნულ ცნობათა განხილვისა და წარმოდგენისას ძირითადად ვეყრდნობოდით აკ. ურუშაძის ნაშრომს „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ (თბილისი, 1964).

1. ძველი პოეტების — ევმელოსისა და ეპიმენიდეს — ცნობებით ირკვევა, რომ მზის ღმერთის, ძღვეამოსილი ჰელიოსის ძე, კოლხთა მეფე აიეტი კორინთული წარმოშობისაა და მჭიდროდაა დაკავშირებული ამ ქვეყანასთან. ეს გამოიხატა შემდგომ მედეას დამოკიდებულებაში კორინთოსთან, სადაც ის მოხვდება იასონთან ერთად.

მედეა დაკავშირებულია კორინთოსთან, რომელსაც ეფირეც (Ἐφειρς) ერქვა. პელასგთა ოდინდელი სამკვიდრებელი კორინთოეფირე, ძველი წყაროების ჩვენებით (ევმელოსი, ეპიმენიდე და სხვ.), ჰელიოსის ძის აიეტის და მისი შთამომავლობის საგამგებლო მხარე იყო. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან როგორც წილხვედრ ქვეყანაში.⁴

როგორც ამ წყაროებიდან ირკვევა, ჰელიოსს გაუყვია სამემკვიდრო ტერიტორიები თავის ვაჟებს შორის: აიეტისათვის კორინთო მიუცია. რომელსაც არ მოსწონებია საგამგებლო, წასულა ამ ქალაქიდან; მას ეფირე ჰერმესის ვაჟიშვილისათვის — ბუნესათვის გადაუცია დასაცავად იმ დრომდე, სანამ თვითონ ან მისი შთამომავალთაგანი არ დაბრუნდებოდა. აიეტი სკვითურ კოლხეთში წასულა, სადაც დაუწყია ძბრძანებლობა.⁵

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ აიეტის ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობა (გარდა განსაზღვრული მიზნებისა) შემთხვევითი არ იყო. აშკარაა, რომ საბერძნეთს კოლხეთთან ჰქონდა რაღაც ურთიერთობა, კავშირი და, შესაძლოა, სწორედ ამ კავშირმა განაპირობა ის, რომ ფრიქსე და ჰელე გაემართნენ კოლხეთისაკენ, აიეტთან და, რომ საწმისი მოხვდა სწორედ მის ხელში.

2. ფრიქსესა და ჰელეს შესახებ ბერძნული ლიტერატურა არ გვაწვდის მხატვრულად დამუშავებულ მასალას. თითქმის ყველა ავტორი, ვინც კი თავის შემოქმედებაში ფრიქსესა და ჰელეს ისტორიას შეეხო, ეყრდნობა ტრადიციულ მითს.

აპოლოლორეს „ბიბლიოთეკის“ I წიგნის IX თავში აღწერილია

⁴ აკ. ურუშაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

⁵ EGF, I.

ბოროტი დედინაცვლის — იხოს მზაკვრობა. ფრიქსე და ჰელე მის-
გან რომ იხსნას, ნეფელე სვამს მათ ჰერმესის მიერ ბოძებულ ოქ-
როსსაწმისიან ვერძზე და კოლხეთში აგზავნის. ზღვის სივრცის გა-
დალაზხვისას ჰელე იღუპება, რის გამოც მისი დაღუპვის ადგილს
ეწოდა ჰელესპონტი, ხოლო ფრიქსე აღწევს კოლხეთს და მსხვერპლ-
ლად სწირავს ვერძს თავით ზევსს, აიეტის სურვილის თანახმად, ირ-
თავს ქალკიოპეს, რომლისგანაც ოთხი ვაჟი ეყოლება.⁶

დიოდორე სიცილიელთან ამ ვარიანტს ემატება ის ნიუანსი,
რომელიც მოგვითხრობს, აიეტს უწინასწარმეტყველესო დაღუპვა
უცხოქვეყნელის ხელით, ვისაც განზრახული ჰქონდა მოეტაცა მის-
თვის ოქროს საწმისი. აიეტმა წინასწართქმის აცილების მიზნით და
თავისი სასტიკი ბუნების გამო, ბრძანა მსხვერპლად შეეწირათ ყვე-
ლა უცხოელი, ვინც მის საზღვარს გადმოლაზხავდა, რათა ყველას-
თვის ცხადი გამხდარიყო კოლხთა სისასტიკე და არავის გაეებდა
კოლხეთს მოსვლა.⁷

მითის წარმოშობას დიოდორე ასე ხსნის: ცეცხლმფრქვევი ხა-
რების სახელწოდება ტავრებისათვის შერქმეული სახელიდანაა და
მათ პოტენციაზე მიუთითებს. ისინი მოგონილია იმ დაუნდობლობის
გამოსააშკარავებლად, რასაც კოლხები უცხოელთა მიმართ იჩენდ-
ნენ. ხოლო რაც შეეხება დრაკონს, ასეთი სახელით იყო ცნობილი
დარაჯი, რომელიც წმინდა ადგილს იცავდა. პოეტებმა კი ეს სახელი
საწმინელ ცხოველზე გადაიტანეს.⁸

რაც შეეხება თქმულებას ოქროსსაწმისიან ვერძზე, იგი დიო-
დორესთან ინტერპრეტირებულია ისე, რომ არავითარი ლეგენდარუ-
ლი ვერძი არ არსებობდა. როდესაც ფრიქსემ ხომალდით ზღვა გა-
დაცურა, მის ცხვირზე ვერძის თავის გამოსახულება იყო. ჰელე,
რომელსაც გული ერეოდა, ხომალდის ფერდს გადაეყრდნო და ზღვა-
ში გადავარდა.⁹ ე. ი. ავტორი უარყოფს ოქროსსაწმისიანი ვერძის
რეალურ არსებობას, ის მხოლოდ ხომალდის ცხვირის გამოსახულე-
ბად მიაჩნია.

შემდგომ ამბებს დიოდორე რეალურ სინამდვილეს უკავშირებს,
აცლის მათ ფანტასტიკურ სამოსელს.

6 Apollodori Bibliotheca, ed. R. Wagner, Lipsiae, 1894, I, 9.

7 Diodori Bibliotheca historica IV—V, rec. Curt. Theod. Fischer, 1904—
6, IV 47.

⁸ იქვე.

⁹ იქვე.

დიოდორე მოგვითხრობს კოლხებთან ფრიქსეს ტყვედ ჩავარდნის ისტორიას: იქ სტუმრად მყოფ აიეტი სიძეს — სკვითეთის მეფეს — საჩუქრად მიუღია ის. მეფეს ზრუნვა და სიყვარული არ დაუკლია იმისთვის, ხოლო შემდგომ სამეფოც კი დაუტოვებია; ფრიქსეს აღმზრდელი — კრიოსი, რაც ნიშნავს ვერძს, მსხვერპლად შეუწირავთ, და წესის თანახმად, მისი სხეულიდან აკლილი ტყავი ტაძარში ჩამოუკიდიათ. აიეტი, რომელსაც უცხოქვეყნელის ხელით დაღუპვა უმისნეს, კოლხებს დაავალებს წმინდა ადგილი შემოლოპონ და ტყავი ოქროში დაფეოონ — მისი ბრწყინვა მიჩენილი დარაჯების ყურადღებასა და სიფხიზლეს არ მოაღუნებდა.¹⁰

აბ. როდოსელის სქოლიასტის დიონისიოს სკიტობრაქიონის მიხედვით, ვერძი (კრიოსი) ფრიქსეს აღმზრდელი იყო, რომელმაც პირველმა იგარძნო ინოს ვერაგული ზრახვა და ფრიქსეს გაქცევა ურჩია. აქედანაა თქმულება, თითქოს ის ვერძს დაეხსნას.¹¹

ბინდარე, რომელმაც მხატვრულად დაამუშავა თქმულების ძირითადი ეპიზოდები, გაკვრით ახსენებს ფრიქსეს, ამბობს, რომ იგი მოუწოდებს (როგორც ამას ამტკიცებს პელიასი) თავისქვეყნელებს, დააბრუნონ საბერძნეთში მისი სული ოქროს საწმისთან ერთად.¹²

პეროდოტე, რომლისთვისაც ცნობილია ფრიქსესა და ჰელეს ამბავი, ამბავი ორქომენის მმართველთა შთამომავლებისა და მინიების — ათამანტისა¹³ და ღრუბელთა ქალღმერთის — ნეფელესი — მოგვითხრობს ფრიქსეს ვაჟის — კიტისორეს მიერ ათამანტის გადაარჩენის შესახებ.¹⁴

პესიოდესთან მოცემულია პოსეიდონის ჰელეზე დაქორწინების საინტერესო ვარიანტი, — რომ ჰელესგან მას შვილები შეეძინა. სრუტე, რომელშიაც ის ჩავარდა, ჰელესპონტედ იწოდა.¹⁵

პალეფატის მიხედვით, ინიციატივა კვლავ ვერძის ხელშია. სწორედ ვერძი უწინასწარმეტყველებს ფრიქსეს, რომ იგი და ჰელე მამამ მსხვერპლად უნდა შესწიროს. ფრიქსე და ჰელე გარბიან კოლხეთში და სამ-ოთხ დღეში აღწევენ ევქსინის პონტოს.¹⁶

10 Diod., Bibl., IV, 47.

11 F. Hist. Gr. II, c.

12 Pindare, Pythiques, Texte établi et traduit par Aimé Puech. Paris, 1922, 160.

13 აკ. ურუშაძე, „ძვ. კოლხ.“, გვ. 15.

14 Herodoti historiarum libri IX edd. Dietsch-Kallenberg, I—II, Lips., 1933—1935, VII, 197.

15 EGF, I, 3, ფრგ. 14.

16 პალეფატი, „დაუქარებელთა შესახებ“, ed. N. Festa, Lipsiae, 1902, XXX, 31.

პალეფატე ამ ამბის გადმოცემისას სხვის მონათხრობს ეყრდნობა. ამასთან ექვს გამოთქვამს ვერძის ესოდენი სისწრაფით მგზავრობის გამო, ის ეექვება, რომ მას ხომალდზე უფრო სწრაფად გაეცურა და თან ორი ადამიანი ეტარებინა. შემდეგ ავტორი კვლავ აგრძელებს თხრობას ფრიქსეს შესახებ, რომელმაც ვერძი ტყავი: აიეტს მიაართვა მისი ქალიშვილის ურვადად.¹⁷ პალეფატე გამოთქვამს გაკვირვებას ამ ფაქტის გამო, რომ მეფემ ასე შეაფასა თავისი ქალიშვილი, და დასძენს, რომ ზოგიერთები, რათა ამ სასაცილო ამბავს თავი დააღწიონ, ამბობენ, „ის ტყავი ოქროსი იყო.“¹⁸

ფსევდო-პლუტარქეს მიხედვით, დის დაკარგვით გამოწვეული სევდით შეპყრობილი ფრიქსე ასულა გორაკის მწვერვალზე, სადაც ჩასძინებია. როდესაც იგი ბარბაროსებს შეუმჩნევიათ და მისკენ აულიათ გეზი, ოქროსმატყლოვან ვერძს ადამიანის ხმა გამოუცია და გადარჩენილი ფრიქსე კოლხეთში წაუყვანია.¹⁹

აპ. როდოსელი ამ მომენტს მხატვრულად არ ამუშავებს, ე. ი. არ მოგვითხრობს, თუ როგორ მოხვდა საწმისი კოლხეთში. იგი იწყებს „არგონავტიკას“ წინასწარმეტყველებით — პელიასს ძალაუფლებას ჩამოართმევდა ადამიანი, რომელსაც ცალი სანდალი ეცმებოდა. ლაპარაკია მეფის შეცდომაზე, რამაც მას საბედისწერო შედეგები მოუტანა. პელიასმა მოუწყო ნადიმი პოსეიდონსა და სხვა ღმერთებს, მაგრამ დაივიწყა პელასგიდი ჰერა, რომელსაც არ სცა პატივი. ქალღმერთი განრისხებულია და სამაგიეროს უხდის პელიასს. ზეიმზე მოდის იასონიც, რომელსაც ანავროსზე გადასვლისას ცალი სანდალი მდინარეში ჩაუვარდა. ტახტის კანონიერი პრეტენდენტი რომ ჩამოეშორებინა, პელიასმა დაავალა იასონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა.²⁰

3. არგონავტების ლაშქრობის მიზეზს ასახელებს ჰესიოდე „თეოგონიაში“, სადაც ნათქვამია, რომ ძლევამოსილი პელიასი თავის ძმისშვილს იასონს აძლევს ხიფათით სავსე დეველებას — ჩამოიტანოს ოქროს საწმისი, რადგან ამით სურს მისი დაღუპვა.²¹

ბინდარეს მიხედვით უბედურება პელიასს ორმა ორაკულმა უწინასწარმეტყველა: პირველმა უმისნა სიკვდილი „ნათესავ-ადამია-

17 პალეფატე, „დაუჯერებელთა შესახებ“, XXX, 31.

18 იქვე.

19 ფსევდო — პლუტარქე, XIV.

20 Ap. Rhodii Argonautica, rec. R. C. Seaton. Oxford, 1954, 5—17.

21 Hesiod., Theog., 955; იხ. დაწვრილებით RE, II, 750.

ნისაგან“, ხოლო მეორემ ურჩია მორიდებოდა მამაკაცს, რომელსაც სანდალი მხოლოდ ცალ ფეხზე ეცმებოდა. პირველი წინასწარმეტყველების თავიდან აცილების მიზნით, პელიასმა ძალით წაართვა ტახტი და ძალაუფლება ესონს; ამავე დროს ისე ავიწროებდა მას, რომ შეშინებულმა ესონმა შვილი მკვდრად გამოაცხადა და ბრძენ ქირონთან შეაფარა.

ვაუკაცური და ღმერთივით ლამაზი იასონის გამოჩენამ პელიასს უსაზღვრო შიში მოჰკვარა, გაახსენა მას მეორე წინასწარმეტყველება. ძმისშვილი, რომელიც მას უკანონოდ წართმეულ მეფის ტახტს სთხოვდა, ცალი სანდლით წარდგა მის წინაშე. ვერაგი პელიასი არ იმჩნევს შეშფოთებას, თანხმობას უცხადებს იასონს მის წინადადებაზე, მაგრამ თხოულობს კოლხეთიდან ოქროს საწმისის დაბრუნებას და ამ ქვეყნიდან ფრიქსეს სულის დახსნას.²² პერამ შთააგონა იასონი მეფისათვის თანხმობა ეთქვა.

აპ. როდოსელი ამტკიცებს, რომ პერა ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად მიეყვანა მედეა იოლკოსში ამ გზით პელიასის დასალუპავად.²³

აპოლოდორეს „ბიბლიოთეკაში“ გადმოცემულია, რომ პელიასმა ოდესღაც შეურაცხყო ღმერთქალ პერას ტაძარი. პერამ თავხედი მეფე შეიზიზნა, დაუძინებელ მტრად ექცა და მედეას ხელით დაღუპა კიდეც.²⁴

4. ლაშქრობის მონაწილენი, როგორც ცნობილია, არიან ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც გამოირჩევიან როგორც ბრწყინვალე წარმოშობით, ასევე პირადი ღირსებებითა და დამსახურებებით.

პინდარე მოგვითხრობს პერას აქტიურობაზე გმირ მოგზაურთა შექრებისას. ქალღმერთი ყველას უნერგავს გმირობის ჩადენისა და მოგზაურობის სურვილს.²⁵ პინდარე არგონავტების კატალოგის სრულ ნუსხას არ იძლევა. იგი ჩამოთვლის მხოლოდ ღმერთების შვილებს, რომლებიც იასონს ახლდნენ. სულ დასახელებულია იასონის მსლებელი 11 ღვთაებრივი წარმომავლობის არგონავტი.²⁶

აპ. როდოსელი მოგვითხრობს, რა დიდ დახმარებას უწევს

22 Pind., Pyth., IV, 70—170.

23 Ap. Rhod., Argon., IV, 241—243.

24 აპ. როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი აკ. ურუშაძისა, თბ., 1970, გვ. 342.

25 Pind., Pyth., IV, 184—185.

26 აკ. ურუშაძე, არგონავტების კატალოგი, ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, თბილისი, 1978, გვ. 54:

ათენა არგონავტებს გემის მშენებლობაში. არგო შენდება მისი რჩევითა და მითითებით. მისი მშენებელია არგოსი.²⁷

გმირ არგონავტთა კატალოგს, როგორც ცნობილია, ბევრი აქვს საერთო ჰომეროსის „ხომალდთა კატალოგთან“. ლაშქრობის მონაწილეთა რიცხვი უახლოვდება სამოცს. აპ. როდოსელთან ჩამოთვლილია 55 გმირი, რომლებიც წარმოგვიდგებიან ლაშქრობის მთავარ მონაწილეებად.²⁸

დიდ ყურადღებას უთმობს გმირთა კატალოგს ანტიკურობის მოგვიანო პერიოდის ნაწარმოები „ორფიკული არგონავტიკა“. მასში აღწერილია, რომ იასონთან ერთად კოლხეთში მიდის 52 გმირი.²⁹

აპოლოდოროე ასახელებს იასონთან ერთად ლაშქრობის 45 მონაწილეს, ხოლო დიოდორეს 54-მდე აჰყავს რიცხვი გმირთა, რომლებიც ცნობილი არიან თავისი სახელოვანი საქმეებით.

გმირთა კატალოგზე მსჯელობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ჰომეროსის პოემების მოქმედი პერსონაჟები. როგორც ცნობილია, ჰომეროსის გმირები ტროას ომის მონაწილენი იყვნენ. მათი საშუალებით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა დავასკვნათ, რომ არგონავტების ლაშქრობა გაცილებით ადრე ყოფილა, ვიდრე ტროას ომი, რადგან არგონავტები უკანასკნელში მონაწილე გმირების მშობლები არიან. სახელობრ, თუ იასონი ევენოსის მამა იყო, ხოლო პელეუსი — აქილეუსის, მაშინ არგონავტთა ლაშქრობა, როგორც ფაქტები ცხადყოფენ, შემდგარა ტროას ომამდე ერთი თაობით ადრე. ამიტომ ძველი კატალოგიდან უნდა გამოვირიცხოთ არგონავტები, რომელთაც, ჰომეროსის მიხედვით, მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში ილიონისათვის და გამოვიყენოთ მათი მამების მონაწილეობის ვარიანტი არგონავტების სახით.³⁰

5. არგონავტების ლაშქრობის მიზანია ლეგენდარული აია, სადაც ცხოვრობს ჰელიოსის შთამომავალი აიეტ-მეფე და მის მეზობლად — მისი და კირკე. თავდაპირველად ეს ქვეყანა ეგონათ უკიდურეს აღმოსავლეთში, ოკეანის პირას, ასე რომ, მისი კონკრეტული ადგილი წარმოდგენილი არ ჰქონდათ. ჰომეროსთან, მაგალითად, ნათქვამია, რომ მისმა გმირებმა მიაღწიეს აიაიეს, ოკეანის ღრმა

27 Ap. Rhod., Argon., I, 18—19; 110—114.

28 Ap. Rhod. Arg. I, 17—241.

29 Orphica, Lipsiae, 1829, 56—230.

30 იხ. დაწვრილებით RE, გვ. 753. ამ საკითხზე იხ. Грабарь-Пассек М. Е., დასახ. ნაშრ., Москва, 1966, с. 17..

მდინარების დატოვებისა და ზღვის გადაკვეთის შემდეგ. ასე მოხვდნენ კუნძულ აიაიეზე, სადაც ამოდის ჰელიოსი.³¹ როგორც ფიქრობენ, კირკეს კუნძული აიაიე და თვით აიეტის აია ჰომეროსთან ერთ რეგიონში მოიაზრება. შემდეგ კი ბერძენი მეზღვაურები და კოლონისტები ამ ქვეყანას საკუთარი სამშობლოს ახლადგახსნილ საზღვრებში ეძებდნენ იმის მიხედვით, აღმოსავლეთისაკენ გასწევდნენ თუ დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთისაკენ წასული ელინები ბოსფორთან შეჩერდნენ და, როგორც ჩანს, სწორედ აქაურობა მიიჩნიეს ფრიქსესა და მედეას თქმულებათა ასპარეზად. როგორც ცნობილია, უფრო გვიანაც აჩვენებდნენ აქ ფრიქსეს ნავსადგურს, კვტაიას და სხვ. სკეროდათ, რომ აქ გადაიხადეს იასონმა და მედეამ ქორწილი. ის ბერძენები, რომლებმაც პონტოს ჩრდილოეთ სანაპიროებს მიადწიეს, განთქმულ ზღაპრულ ქვეყნად სკვითურ ტავრეთს აცხადებდნენ. ევმელოსის ინფორმაციის მიხედვით, იონიელებს, რომლებმაც აღმოაჩინეს აღმოსავლეთი პონტო, კოლხეთის მიწა ძველ აიად მიაჩნდათ, ხოლო ჰესიოდე ამბობს ცნობას, რომ კოლხურ მდინარეს ძველ ფაზისად იცნობდნენო. მათი შეხედულება თანდათან გაბატონდა არგონავტთა შესახებ არსებულ ლიტერატურაში.³²

6. არგონავტების პირველი თავგადასავალი იოლკოსიდან გასვლის შემდეგ თესალიასთან არის დაკავშირებული. აქ, ზოგიერთი ავტორის ცნობით, დარჩა ჰერაკლე. მიზეზად დასახელებულია ორი ვერსია: პირველი — ჰერაკლეს წყლის ძებნის დროს გზა აერია და იქ დარჩაო, მეორე — უოველივეს აბრალეებს „არგოს“. მან ველარ გაუძლო ჰერაკლეს სიმძიმესო.

ჰესიოდესთან³³ და ჰეროდოტესთან³⁴ პირველი ვერსიაა — ნათქვამია, რომ ჰერაკლე ჩამოვიდა ხომალდიდან მაგნესიაში წყლისთვის და იქ დარჩა, რის გამოც ამ ადგილს ეწოდა Ἰαφθιαί (ბერძნულად Ἰαφθία ნიშნავს „დარჩენას“).

მეორე ვერსია აისახა მთელი რიგი მწერლების ფრაგმენტებსა და სქოლიოებში, მათ შორის ფერეკიდესთან.³⁵

ჰელანიკე მოგვითხრობს მაგნესიის ქალაქ აფეტის ეტიმოლოგიის შესახებ: მან თავისი სახელწოდება მიიღო იძის გამო, რომ

31 Homeri Opera, Odysseae, Oxford, 1917, L. XII, 3—4.

32 იხ. დაწვრილებით RE, II 754.

33 Hesiod., frg., 178.

34 Herodot., Hist. lib. VII, 193.

35 იხ. დაწვრილებით RE, II, 754.

„არგო“ აქედან მეორედ გავიდა, ან იმიტომ, რომ არგონავტებმა აქ დატოვეს ჰერაკლე.³⁶

7. არგონავტების შემდეგი თავგადასავალი დაკავშირებულია კუნძულ ლემნოსთან, რაც მხატვრულად აისახა სხვადასხვაგვარ ეპოსში — ეპოსში, პოეზიაში, ლირიკაში, დრამაში, კომედიაში, ისტორიულ პროზასა და ტრაგედიაში.

აპ. როდოსელის პოემაში აღწერილია ლემნოსელთა ტრაგიკული დაღუპვა (რომლებიც ცოლებმა თრაკიულ ქალებთან დალატის გამო ამოწყვიტეს), აგრეთვე ჰიფსიპილეს საიდუმლო მოქმედება, რომელმაც მამა იმით გადაარჩინა, რომ იგი დამალა კილობანში და ზღვას მიანდო.³⁷

„არგონავტიკაში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი მომავალ ამბებსაც.³⁸

ლემნოსელ ქალებს ეშინიათ თრაკიელთა შურისძიებისა ჩადენილი მკვლელობის გამო, ამიტომ სტუმართმოყვარეობას იჩენენ გათოშილი არგონავტების მიმართ. ბერძენი გმირები, როგორც ეს შინაარსიდანაა ცნობილი, კუნძულზე რამდენიმე ხნით დარჩებიან.

„ორფიკული არგონავტიკის“ ლემნოსის ეპიზოდი: არგონავტების გამიჯნურება ქალებზე, ორფევსის მოწოდება, რომ გმირებმა დაუყოვნებლივ განაგრძონ გზა კოლხეთისაკენ³⁹ მცირე ნიუანსებით განსხვავდება აპ. როდოსელის შესაბამისი ადგილისაგან.

აპ. როდოსელთან ჰიფსიპილესა და იასონის, აგრეთვე სხვა გმირების სასიყვარულო თავგადასავალს ლემნოსელ ქალებთან მოთმინებიდან გამოჰყავს ჰერაკლე, რომელიც იძულებულია შეახსენოს თანამგზავრებს მათი მოვალეობა.⁴⁰

დრამების ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან განსხვავდება ევრიპიდესეული ვერსია. აქ გადმოცემულია შემდეგი: იასონს ლემნოსზე ყოფნის დროს ჰიფსიპილესაგან დაებადა ტყუპები: თონტი და ევენოსი. იასონმა ვაჟიშვილები თან წაიყვანა კოლხეთში და როდესაც იგი დაიღუპა, შვილები დედასთან დაბრუნდნენ.⁴¹

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, იასონისისა და ჰიფსიპილეს

³⁶ ჰელანიკე, 130 (35).

³⁷ Ap. Rhod., Arg., 1, 609—623.

³⁸ იევე, 1, 632—909.

³⁹ Orphica, 481.

⁴⁰ Ap. Rhod. Arg., I, 865—874.

⁴¹ ევრიპიდე, „ჰიფსიპილე“.

ვაუები ლემნოსზე რჩებიან, ხოლო ზოგიერთ ავტორთან იასონი კუნძულს იმ პერიოდში ტოვებს, როდესაც ისინი ჯერ არ არიან დაბადებული.

პინდარესთან ბერძენ მოგზაურთა ყოფნა ლემნოსზე აღწერილია არა კოლხეთისაკენ მგზავრობისას, არამედ საბერძნეთში დაბრუნების დროს.⁴²

ლემნოსის ამბებს პინდარე ეხება IV ოლიმპიურ ოდაშიც.⁴³

ბერძნულ ლიტერატურაში შემორჩენილია ფრაგმენტები, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იძია შური ექვიანობის ნიადაგზე მედეამ ლემნოსელ ქალებზე.⁴⁴

8. ქრიზე არგონავტების გზაზე ერთ-ერთი მორიგი პუნქტია. იგი სახელგანთქმული იყო ქრიზეს საკურთხეველით, რომელიც, წყაროთა ერთი ნაწილის მიხედვით, შეიძლება იასონს აეგო.⁴⁵

9. სამოთრაკეს შესახებ, რომელსაც არგონავტები ესტუმრნენ თავისი მოგზაურობის დროს, არსებობს ორი ვარიანტი.

აპ. როდოსელი მოგვითხრობს, რომ არგონავტები მიადგნენ კუნძულს ორფევსის რჩევით, რათა ფარულად ზიარებულ იყვნენ და უვნებლად გაეგრძელებინათ გზა.⁴⁶ მსგავსი ვარიანტი გადმოცემულია „ორფიკულ არგონავტიკაშიც“.⁴⁷ დასახელებული ნაწარმოების მიხედვით, არგონავტები მიემართებიან კოლხეთისაკენ. მაგრამ დიოდორეს ცნობით, არგონავტები მოხვდებიან სამოთრაკეში კოლხეთიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც დატოვებენ ტროადას. სამოთრაკეში, როგორც გვატყობინებს დიოდორე, ბერძენმა გმირებმა აღთქმა მისცეს ღმერთებს და დაალაგეს ტაძარში ოქროს თასები, რომლებიც აქამდეა შემონახული.⁴⁸

არგონავტების მიერ დატოვებული ოქროს თასები დამამტკიცებელი საბუთია მომდევნო საუკუნეებისათვის სამოთრაკეში იასონისა და მისი თანამგზავრების ყოფნის შესახებ.⁴⁹

10. სამოთრაკეს შემდეგ არგონავტები მოხვდებიან ტროადაში, რომელთანაც დაკავშირებულია ჰერაკლეს სახელი. ლაომედონტის

⁴² Pind., Pyth., IV, 254.

⁴³ Pind., Ol., IV, 21.

⁴⁴ იხ. დაწერილებით RE, 756.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ Ap. Rhod. Arg., I, 915—918.

⁴⁷ Orph., 467 ff.

⁴⁸ Diodori Bibl. hist., IV, 49.

⁴⁹ Ap. Rhod. Arg., I, 915; აგრეთვე იხ. RE, 756.

ქალიშვილის — ჰესიონეს გათავისუფლება, რომელიც დრაკონის დაშოშმინების მიზნით მსხვერპლად უნდა შეეწირათ თანამოქალაქეებს, ასახულია მითში ჰერაკლეს შესახებ.

ზოგიერთის მოსაზრებით, ჰესიონეს გათავისუფლება ნამდვილად ემთხვევა არგონავტების ლაშქრობას, ხოლო რაც შეეხება ტროას განადგურებას, ეს გაცილებით უფრო გვიან მოხდა.⁵⁰

არსებობს ასეთი აზრიც: როდესაც ჰერაკლემ კიოსთან დაკარგა ჰილასი, მაინც განაგრძო გზა და თვითონ მიაღწია ტროას.⁵¹

11. ჰელესპონტი შემდეგი პუნქტია, რომელსაც მიაღვებიან არგონავტები. აპ. როდოსელი გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას არგონავტების მარშრუტზე: ისინი შევიდნენ ათამანტის ასულის, ე. ი. ჰელეს, სრუტეში, ანუ ჰელესპონტში, გადალახეს ღამით ზღვის სივრცის ის ნაწილი, რომელიც რეტიას სანაპირო საზღვრებში იმყოფებოდა (ე. ი. გადალახეს ჰელესპონტის სამხრეთი ნაწილის შესავლელი). არგონავტების მარჯვნივ იმყოფებოდა ტროადა. გმირებმა გაიარეს დარდანია (ქალაქი ტროადა), აბიდოსი (ქ. ტროადაში, რომელიც მდებარეობს ჰელესპონტთან), აბარნისის ქვიშოვანი ნაპირი (ქალაქი და კონცხი, რომელიც მდებარეობს პროპონტიდაში ლომფსაკსა და პარიეს შორის), ჩაუარეს ღვთაებრივ პიტეას.

მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი გმირები მოხვდნენ საშინელ მორევში, მათ შეძლეს დაეძლიათ რთული გზა და გაეცლოთ მუდმივ ბობოქარი ჰელესპონტი.

მარშრუტს, რომელიც აპოლონიოს როდოსელთანაა აღწერილი, თითქმის ემთხვევა „ორფიკულ არგონავტიკაში“ აღწერილი გზა. ჰელესპონტი შევიდა არგონავტების თქმულებაში ფრიქსესა და ჰელეს მეშვეობით, მაგრამ მას არ ეთმობა დიდი ადგილი ლაშქრობის ამბებში.

12. კიზიკოსის ეპიზოდი წარმოადგენს არგონავტების ლაშქრობის მარშრუტის გაგრძელებას. გმირები მიუახლოვდნენ კბოდოვან ნაპირებიან კუნძულს, რომელიც იჭრებოდა ზღვაში. აქ ცხოვრობდნენ დოლიონები, რომელთაც მეფედ ჰყავდათ კიზიკოსი. დასახლებული პასაჟი მხატვრულად დამუშავებულია ეპოსში. აპ. როდოსელთან გამოყენებულია ტრადიციული მითი — აღწერილია, თუ როგორ მოხვდნენ არგონავტები დოლიონების სამეფოში, სადაც მათ

⁵⁰ Diod., IV, 42; იხ. აგრ. RE, გვ. 757.

⁵¹ იქვე.

ღირსეული შეხვედრა გაუმართეს. მაგრამ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარდა სტუმარ-მასპინძელთა შორის, ტრაგ კულად დამთავრდა საბედისწერო შეცდომის გამო. ღამით ამოვარდნილმა ქარიშხალმა ზღვაში გასული არგონავტები უკან დააბრუნა სტუმართმოყვარე კუნძულზე: დოლიონებმა და ბერძნებმა ერთმანეთი მტრებად მიიჩნიეს და შეებრძოლნენ ურთიერთს. ბრძოლის ველზე იასონის ხელით დაიღუპა კიზიკოსი.⁵²

კიზიკოსის ეპიზოდი ასახულია აპოლოდორესთანაც.⁵³

სრულიად განსხვავებული ვარიანტი გვხვდება „ორფიკულ არგონავტიკაში“, სადაც აღწერილია, თუ ექვსხელიანი გოლიათების ამოწყვეტის დროს როგორ განგმირა სახელოვანმა ჰერაკლემ სასიკვდილოდ კიზიკოსი.⁵⁴

ზოგიერთი ავტორის აზრით, არგონავტებს ბრძოლა მოუხდათ არა კიზიკოსის სამეფოში მცხოვრებ დოლიონებთან, არამედ თესალიიდან განდევნილ პელაზგებთან, რომლებიც ძველი მტრობის გამო შეგნებულად დაესხნენ თესალიიდან მომავალ ბერძნებს.⁵⁵

13. არგონავტების მარშრუტში კიოსი უკავშირდება ჰილასის დაკარგვის ისტორიას. იგი ჰერაკლესთან ერთად, როგორც მისი განუყრელი მეგობარი, კოლხეთს გაემგზავრა. მაგრამ ჰერაკლეს ბედით ეწერა მიზიაში ჰილასის დაკარგვა.

აპოლოდორე მოგვითხრობს, რომ წყლის მოსატანად წასული ჰილასი ნიმფებმა მოიტაცეს მისი სილამაზის გამო. პოლიფემემ და ჰერაკლემ დაიწყეს ჰილასის ძებნა. ამასობაში ხომალდმა მიზიის ნაპირები დატოვა.

ავტორი ამ ეპიზოდის აღწერას ამთავრებს ცნობით, რომ პოლიფემემ მიზიაში ქალაქი კიოსი დააარსაო, ხოლო ჰერაკლე არგოსში დაბრუნდაო.⁵⁶

თეოკრიტეც „ჰილასში“ მოგვითხრობს, რომ ყმაწვილი, რომელიც არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე იყო, ნიმფებმა მოსტაცეს ჰერაკლეს.⁵⁷

52 Ap. Rhodii Arg., I, 947—1035.

53 Apoll. Bibl., I, 18.

54 Orph., 514—557.

55 იხ. RE, II, 758.

56 Apoll. Bibl., I, 19.

57 Theokrits Idyllien, Erklärt von Ad. Theod. Hermann Fritzsche, Leipzig, 1857, Id. XIII.

ა. როდოსელი მოგვითხრობს, რომ არგონაუტების მიზიაში ყოფნისას ჰერაკლე ნიჩბის გასაქეთებლად გაეშურა, ჰილასი კი წყაროსკენ წაეიდა (ავტორი აქვე გვიამბობს, თუ როგორ მოხვდა ჰილასი ჰერაკლესთან). როდესაც მან კურკელი წყაროში ჩაუშვა, ნიმფა დაეჭიდა მას და ჩაძირა, რადგანაც ძლიერ მოეწონა.

ამაო აღმოჩნდება ჰერაკლეს ძებნა, იგი ვერ მიაგნებს ჰილასს და არგონაუტებსაც ჩამორჩება.⁵⁸

„ორფიკულ არგონაუტიკაში“ ყმაწვილი ტყის ნიმფებმა მოიტაცეს, როდესაც ის ნადირის მოსაკლავად წასულ ჰერაკლეს მალულად აედევნა.⁵⁹

სხვა ავტორებთან ჰერაკლე ტოვებს მხოლოდ პოლიფემეს, თვითონ კი განაგრძობს გზას „არგოთი“. პოლიფემემ დააარსა ჰილასის კულტი და ქალაქი კიოსი.⁶⁰

14 ბოსფორის მიდამოები დიდ როლს ასრულებენ არგონაუტების თქმულებაში. ბოსფორში ყოფნისას მნიშვნელოვანია ორი მომენტი: შეხვედრები ბებრიკთა მეფე ამიკოსთან და წინასწარმეტყველ ფინევსთან. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ამიკოსის სამეფო გულისხმობს ტერიტორიას, რომელიც პონტოს ზღვის აღმოსავლეთით მდებარეობს.⁶¹

პოლიდეკესა და ამიკოსის ორთაბრძოლის ეპიზოდი ასახულია ა. როდოსელის „არგონაუტიკასა“ და „ორფიკულ არგონაუტიკაში“. აქ წარმოგვიდგება ბებრიკთა საშინელი მბრძანებელი — უცხოქვეყნელთათვის უჩვეულო კანონის დამწესებელი, რომლებიც უნდა შეეჭიბრონ მას მუშტი-კრივში.

ა. როდოსელთან პოლიდეკესა და ამიკოსს შორის დიალოგი წარმოდგენილია ისეთნაირად, რომ ჩანს პირველის ვაჟეაცობა და გამბედაობა, ხოლო მეორის — ქედმაღლობა, უსაზღვრო სისასტიკე.⁶²

მამაცმა პოლიდეკემ შეძლო დარჩენილიყო სრულიად უვნებელი და მოკლა ამიკოსი.

ამიკოსის ამბის მომდევნოა ფინევსის ეპიზოდი, რომლის სა-

⁵⁸ Ap. Rhod., Arg., I, 1187—1272.

⁵⁹ Orph., 642—651.

⁶⁰ Apollod., I, 9; იხ. დაწვრილებით RE, 759.

⁶¹ RE, იქვე.

⁶² Ap. Rhod., Arg., II, 1—144.

ცხოვრებელ ადგილად ერთნი მიიჩნევენ პონტოს შესასვლელს, ხოლო მეორენი პირდაპირ ასახელებენ პაფლაგონიას.⁶³

ფინევის შესახებ არსებული ვარიანტებიდან ბერძნულმა ლიტერატურამ გამოიყენა ის, რომლის მიხედვით, წინასწარმეტყველების ნიჭის გამო იგი ღმერთებმა დასაჯეს: მას თვალის სინათლე წაართვეს. იგი დაბრმავდა იმიტომ, რომ ან გზა ასწავლა ფრიქსეს თუ მის ვაჟიშვილებს, ან თვალის სინათლეს ამჯობინა სიცოცხლის ხანგრძლივობა, ან ზედმიწევნით შორს ჰვრეტდა მომადლს და ა. შ. ფინევსს მიჩენილი ჰყავს ჰარპიები, რომლებიც საშინლად აწამებენ. მას ათავისუფლებენ არგონავტთა შორის მყოფი ბორეადები.

ჰესიოდეს სკოლის პოეტების ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ფინევის ეპიზოდი უძველესი დროიდან არგონავტების თქმულების ნაწილი ყოფილა. აქვეა ფინევსთან დაკავშირებული მოთხრობები: ფინევის წარმოშობის, მისი დაბრმავების, ძეტესა და კალაისის მიერ აღმოჩენილი დახმარების შესახებ. 162-ე ფრაგმენტში ნათქვამია:

„ფინევი საპყარი გახდა, ამბობს ჰესიოდე „დიდ ეოიებში“, რადგან ფრიქსეს გზა უჩვენა სკვითიისაკენ.“⁶⁴

როგორც ცნობილია, ფინევის ეპიზოდმა ასახვა პოვა დრამატულ ნაწარმოებებშიც — ესქილეს „ფინევსში“ (ტრილოგიის I ნაწილი) და სოფოკლეს იმავ სახელწოდების ტრაგედიაში, რომელიც, ალბათ, გადმოსცემდა პოპულარულ ვერსიას თრაკიელი მეფის უიღბლო ქორწინების შესახებ, რასაც ტრაგიკული ამბები მოჰყვა.

ფინევი და მისი უკუღმართი ბედი, აგრეთვე მისი გათავისუფლების ამბავი დიდ ადგილს იკავებს აპ. როდოსელის „არგონავტიკაში.“⁶⁵ ცნობილი სიუჟეტის მხატვრული დამუშავება ავტორს საშუალებას აძლევს სრულად წარმოგვიდგინოს ფინევის სახე და მასთან დაკავშირებული ამბები.

ავტორი აგვიწერს არგონავტების ჩამოსვლას თრაკიაში, სადაც მათ ბედით ჰქონდათ გადაწყვეტილი ბედკრული მოხუცის გათავისუფლება უმძიმესი განსაცდელისაგან.

დიოდორესთან ფინევი ცოლ-შვილის მოღალატეა. არგონავტებს ხვდება მტრულად, აფრთხილებს არ ჩაერონ მის საქმეში,

⁶³ იხ. RE, II, 760.

⁶⁴ აკ. უ რ უ შ ა ძ ე, „ძე. კოლხ.“ გვ. 20—21.

⁶⁵ Ap. Rhod., Argon., II, 178—407.

მაგრამ ბორეადებმა გაათავისუფლეს დისშვილები ბორკილებისგან, მოკლეს ფინევსი და მისი მომხრეები, ამოიყვანეს და-კლეოპატრა საპყრობილედან, ხოლო ფინეიდებს მამის ძალა-უფლება უბოძეს. ავტორს აგრეთვე მოაქვს ზოგიერთი მითოგრაფოსის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფინეიდები დააბრმავა მამამ, ხოლო უკანასკნელმა იგივე სასჯელი მიიღო ბორეადებისაგან.⁶⁶

აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“ ფინევსი დახმარებას ლებულობს სწორედ ბორეადებისაგან. მადლობის ნიშნად არგონავტებს უწინასწარმეტყველა მომავალი მგზავრობის შესახებ და მისცა რჩევა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რა ელონათ გზაში მოსალოდნელ სირთულეთა დასაძლევად. დასახელებულია ქართველური ტომები, რომელთა გვერდით უნდა ჩაევლოთ არგონავტებს, — ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ფილირები, მაკრონები და სხვ. ფინევსი ახსენებს მდინარე ფაზისს, როდესაც ბერძნებს აწვდის ინფორმაციას მათი ჩასვლის თაობაზე კოლხეთში, აიეტ მეფის სატანტო ქალაქ ქუთაისში.

ფინევსი ფიგურირებს „ორფიკულ არგონავტიკაშიც“, სადაც დამუშავებულია ბორეადების დის ბედის საკითხში ძმების ჩარევის ვარიანტი, ე. ი. მოცემულია დიოდორეს მსგავსი ვერსია, რომლის მიხედვითაც ქალის მიერ წაქეზებული ფინევსი აწამებს თავის შვილებს.⁶⁷

აპ. როდოსელთან მოვლენათა მაუწყებელია მტრედი, რომელსაც უშვებს ერთ-ერთი არგონავტთაგანი — ეეფემე. ნათქვამია ათენას დახმარებაზე, რომელმაც ერთი ხელით კლდე შეაკავა, ხოლო მეორეთი ხომალდს წაჰკრა, რომ წინ გაცურებულიყო. მოთხრობილია იმაზეც, რომ ზეციერთა გადაწყვეტილებით არგონავტთა გავლის შემდეგ კლდეებმა საძულამოდ შეწყვიტეს მოძრაობა.⁶⁸

„ორფიკულ არგონავტიკაში“ სიმპლეგადების ეპიზოდი აღწერილია სრულიად სხვაგვარად, ვიდრე ტრადიციულ მითში. არგონავტების მსხსნელ მთავარ ძალად გამოყვანილია ორფევსი, რომლის მომაჯადოებელი სიმღერა გადამწყვეტ როლს თამაშობს უზარმაზარ კლდეთა მონუსხვაში. ორფევსი იხსენიებს ათენას დახმარებას, რომელიც ჰერას სურვილით აგზავნის ყანჩას. უკანასკნელი ასრულებს

66, Diod., IV, 44.

67 O r p h., 666—683.

68 Ap. R h o d., Argon., II, 588—606.

იგივე ფუნქციას, რასაც მტრედი აბ. როდოსელთან. მაგრამ თვითონ ატენა — ქალღმერთი არ იღებს მონაწილეობას „არგოს“ კლდეთა შორის გავლის დროს.⁶⁹

15. გზაზე ჩრდილოეთის მიმართულებით პონტოსკენ, რომლითაც არგონავტებმა მიაღწიეს ტავრების ქვეყანას — აიეტის ომის პერსეს სამეფო პუნქტს, მოგვეთხრობს დიოდორე. უკანასკნელი აღნიშნავს, რომ არგონავტები მიადგნენ ტავრეთს, მაგრამ მათ არ იცოდნენ მისი მოსახლეობის სასტიკი ჩვეულება, რომელიც გამოიხატებოდა ბარბაროსულ კანონში — უცხოელთა მსხვერპლად შეწირვაში არტემიდე ტავროპოლელისათვის. ავტორი გვატყობინებს: „ამბობენ, რომ მათთან შემდეგ ხანებში ხსენებული ღმერთ-ქალის (ე. ი. არტემიდე ტავროპოლელისათვის — ც. გ.) ქურუმად დაყენებული იფიგენია მსხვერპლად წირავდა ტყვეებს.“⁷⁰

როგორც ჩანს, თქმულების ამ ვარიანტთან არის დაკავშირებული ფინევსის საცხოვრებელი საღმრთოლო, მასთან მეზობლად მყოფი ფინოპოლისი, ანუ ფინეონი, ქალაქი მედია, სკვითური კიტაია, აიეტის ვაჟიშვილის მიერ პანტიკაპიონის დაარსება და აგრეთვე თქმულება ფრიქსეს ვერძზე ბრიქსაბადან (ე. ი. ტანაისთან მდებარე მთიდან, ანუ „ვერძის შუბლიდან“).⁷¹

16. აღმოსავლეთის მიმართულებით პონტოში მგზავრობა ასახულია ცნობილ თქმულებაში, რომელიც გვთავაზობს დიოდორესაგან განსხვავებულ ვარიანტს. იგი მოგვეთხრობს, რომ არგონავტები იმ თავგადასავლების, რაც მათ გადახდათ, (კერძოდ, სიმპლეგადებს შორის გავლის შემდეგ), გაცურდნენ პონტოს სამხრეთ სანაპიროს გასწვრივ, აღმოსავლეთის მიმართულებით. მათი მარშრუტი გადის მდინარე ფილისის შესართავის გვერდით, სადაც ოდესღაც დიფსაკოსმა გულთბილად მიიღო თავისთან ფრიქსე.⁷²

კუნძულ ტინიასის შემდეგ მოგზაურები აღწევენ პერაკლესს, სადაც იდმონს ბედით დაღუპვა ელოდა. აბ. როდოსელი აღნიშნავს, რომ იდმონი მისნობის ნიქს ფლობდა და როდესაც სამშობლოს ნაპირებს ტოვებდა, გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს.⁷³ მაგრამ, მიუ-

69 O r p h., 685—714.

70 D i o d., IV, 44.

71 იხ. დაწვრილებით R E, 11, 762.

72 ი ქ ვ ე.

73 A p. R h o d., A r g. 1, 443—447.

ხედავად ყოველივესი, გაჰყვა არგონავტებს დიდებისა და სახელის მოსახვეჭად.

მარიანდინების ქვეყანაში ყოფნისას, როდესაც იგა მღანარის ბორცვებზე გადადიოდა, უეცრად ლერწმიდახ უზარმაზარი ტახი ამოხტა, იდმონს მთელი ძალით თეძოზე დაეძგერა და სასიკვდილოდ დაჰკრა.⁷⁴

აპოლოდორე ამბობს, რომ, როდესაც მარიანდინების ქვეყანაში მოხვდნენ არგონავტები, მეფე ლიკოსმა გულთბილად მიიღო იასონიო. მაგრამ აქ ეწერა სიკვდილი იდმონს.⁷⁵

მრავალი ცხვარი დაიკლა მის საფლავზე და იმ მიწაზე იდმონის ტაგრუცი აღიმართა. მასში ჩარგეს სახომალდო ველური ზეთისხილის ხე, რომლის გარშემო ააგეს ქალაქი სახელწოდებით ავამესტორი.⁷⁶ ავტორი მოგვითხრობს მეორე უბედურებაზედაც, რომელიც შეემთხვათ არგონავტებს. სრულიად მოულოდნელად და უეცრად სიკვდილმა მათ ტიფისი წაართვა: ამ ამბავმა ისეთი მწუხარება გამოიწვია, რომ ბერძნებმა დაკარგეს ყოველგვარი იმედი. მაგრამ ამ დროს საქმეში ერეღა ჰერა, ანკეოსის საშუალებით შთაუნერგავს მათ მხნეობას და არწმუნებს, რომ აუცილებელია სასწრაფოდ გამგზავრება დასახული ოცნების განხორციელებისათვის.⁷⁷

საინტერესოა, რომ აპოლოდორესთანაც, როდესაც ავტორი ტიფისის სიკვდილს გვაგებინებს, აღნიშნულია ანკეოსის გააქტიურება: საჰესთან დადგა ანკეოსიო.⁷⁸

ჰერაკლეს შემდეგ არგონავტებმა მიაღწიეს კალიქოროსის შესართავს, სადაც მსხვერპლი შესწირეს სთენელეს საფლავზე, რომელმაც ოდესღაც ამ ადგილს ჰერაკლესთან ერთად მიაღწია, და მათ დაარსეს აპოლონ ნეოსოსის საკურთხეველი. ორფევსი აკურთხებს აქ თავის ლირას, რის გამოც ამ ადგილს მოგვიანებით ეწოდება ლირა. აქედან არგონავტები მიდიან სინოპში, შემდგომ — ქალაქ კიტროსში, რომლის დაარსებაც მიეწერება ფრიქსეს ვაჟიშვილს — კიტროსს, ანუ კიტისოროსს.⁷⁹

74 Ap. Rhod. Arg., II, 822—827.

75 Apoll. Bibl., I, 23.

76 Ap. Rhod. Argon., II, 825—850.

77 იქვე, II, 851—895.

78 Apoll. Bibl., I, 23.

79 იხ. RE, II, 763.

აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ IV თავში გვხვდება საინტერესო ინფორმაციები სინოპთან დაკავშირებით. მაგალითად, სინოპის აღმოსავლეთით, ჰალისის შესართავთან, როდესაც ბერძნები კოლხეთიდან ბრუნდებოდნენ, მედემ უბრძანა არგონავტებს გადმოსულიყვნენ ნაპირზე და შეეწირათ მსხვერპლი ჰეკატესათვის. მათ ააგეს სალოცავი, რომელიც დგას შთამომავლობისათვის.⁸⁰

დასახელებულ გეოგრაფიულ პუნქტებთან დაკავშირებით მოხსენიებულია წყალთა სივრცეებიც: თერმოდონტი, რომელსაც, შესაძლოა, ოდესღაც ჰქონდა მნიშვნელობა თქმულებისათვის. არის ვერსია, რომ არგონავტები მისი საშუალებით მოხვდნენ ქ. ფაზისში, სადაც შეიძლება მომხდარიყო ბრძოლები ამძიონებთან და ხალიბებთან. აქ აპ. როდოსელის მიხედვით, სიკვდილი ეწერა პოლიფემეს (ე. ი. ხალიბების მიწაზე — ც. გ.).

პონტოს სამხრეთ სანაპიროზე ასახელებენ იასონის კონცხს — როგორც ადგილს, სადაც იდგა „არგო“, აგრეთვე იასონის ბაღებსაც.⁸¹

17. გლავკოსი — არგონავტების თქმულების შემდგომი ეპიზოდია. ზღვის მისანი — გლავკოსი წარდგება არგონავტების წინაშე კიოსთან და უცხადებს მათ ჰერაკლეს, პოლიფემესა და ჰილასის ბედისწერის განაჩენს.

დიოდორეს მიხედვით, როდესაც ოქროს საწმისისა და მედეას მოტაცების შემდეგ არგონავტები უკან ბრუნდებოდნენ, აიეტი დაედევნა მათ, დაეწია ბერძნებს. ბრძოლაში კოლხთა მეფე მოკლა მელეაგრემ. დაპრილი არგონავტები კი სასწაულმოქმედი ბალახებით განკურნა მედემ. როდესაც გმირები პონტოს შუაგულში იმყოფებოდნენ, უეცრად ამოვარდნილმა ქარიშხალმა საშინელ განსაცდელში ჩააგდო ისინი. არგონავტები იხსნა ორფევსის ლოცვა-ვედრებამ, რომლითაც მან მიმართა სამოთრავეს ღმერთებს.

არგონავტებს მოველინათ თალატიონად წოდებული გლავკოსი, რომელმაც ჰერაკლეს საგმირო საქმეები და უკვდავება უწინასწარმეტყველა. მან ტინდარიდებსაც აუწყა მომავლის ამბები — ისინი დიოსკურებად იწოდებიან და ისარგებლებენ ღმერთების მსგავსი პატივით. გლავკოსი მიმართავს თითოეულ არგონავტს ცალ-ცალკე

⁸⁰ Ap. Rhod. Argon., IV, 245—252.

⁸¹ იხ. RE II, 764.

და ამცნობს მათ, რომ მოვიდა მათთან ღმერთების ნება-სურვილით, რომელთაც შეისმინეს ორფევსის ლოცვები.⁸²

მითის მიხედვით, გლავკოსი არის ხომალდ „არგოს“ ერთ-ერთი მშენებელი. არსებობს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ის მისი მესაქვე იყო, ე. ი. მითის თანახმად, გლავკოსის სახელი უკავშირდება ოქროს საწმისის მოსაპოვებლად კოლხეთში წასულ გმირთა ლაშქრობის ამბავს. არის მოსაზრება,⁸³ რომ გლავკოსი იყო ერთადერთი, ვინც გადაარჩა ცოცხალი ტირენელებთან არგონავტთა ბრძოლაში (ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციას ერთნი ლემნოსთან, ხოლო მეორენი — კიზიკოსთან ახდენენ). მაგრამ ზევსის ნება-სურვილით გლავკოსი ზღვის ღმერთი ხდება და სწორედ ასეთი სახით წარუდგება იასონს.

18. კუნძული არეტეასი ნახსენებია ფინევსის წინასწარმეტყველებლაში. იგი ურჩევს გმირებს შეჩერდნენ კუნძულზე, სადაც მიიღებენ დახმარებას. მაგრამ რა სახით და როგორ, ამას არ უმხელს.⁸⁴

კუნძული არეტეასი ლოკალიზდება, რიგი ავტორის აზრით, თერმოდონტის აღმოსავლეთით, სიმპლეგადებთან ახლოს, ხოლო მეორენი თვლიან, რომ ის მდებარეობს პონტოს აღმოსავლეთ მხარეში.⁸⁵

აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“ აღწერილია, როგორ გაიარეს არგონავტებმა კოლხური და მისი მეზობელი ტომები, როგორ მიუახლოვდნენ არეტეასის კუნძულს, როგორ მოიგერიეს ხმაურით სტიმფალიდები.⁸⁶

გმირებს ახსოვდათ ფინევსის დარიგება მოსალოდნელი დახმარების შესახებ და აი ისინი მიაღწეხ კუნძულს, სადაც მოხდა ბედით ხვდომილი შეხვედრა ფრიქსეს ვაჟიშვილებთან. უკანასკნელნი მიემართებოდნენ აიადან, აიეტის სამეფოდან, ორქომენში მამის მემკვიდრეობის მისაღებად, მაგრამ ზევსის ნებით ატეხილმა ქარიშხალმა ისინი ნაპირზე გამოყარა და ხომალდი დაუნგრია. ქალკიოპეს და ფრიქსეს შვილები, არგონავტების მსგავსად, აღმოჩნდნენ არეტეასის კუნძულზე. ძლიერ გახარებულმა იასონმა მოუთხრო ყმაწვილებს არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მიზეზი. არგოსმა

82 Diod. Bibl., IV, 48.

83 იხ. RE, II, 764.

84 Ap. Rhodii Argon., II, 382—391.

85 იხ. RE II, 764.

86 Ap. Rhod. Argon., II, 1030—1067

აუხსნა ბერძენ გმირებს მათი განზრახვის მთელი სირთულე, უამბო აიეტის ძლევამოსილებაზე, რომელიც არ დაუთმობდა ბერძნებს ოქროს საწმისს. მას ღრაკონი დარაჯობდა.

ბერძნებსა და ფრიქსეს ვაეებს შორის მოლაპარაკება იმით დამთავრდა, რომ გადაწყვიტეს ერთად გაეგრძელებინათ გზა კოლხეთისაკენ, რაც დაუყოვნებლივ, გათენებისთანავე, შეასრულეს.⁸⁷

აპ. როდოსელი გვაუწყებს ფრიქსეს ვაეიშვილების სახელებს: არგოსი, კიტისოროსი, ფრონტილი და მელასი.⁸⁸

19. კოლხეთში მომხდარი ამბების აღწერა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იასონი თანამგზურებთან ერთად ფაზისის შესართავს, აიეტის საძეფოს მიადგება, ჩამოდის გეშიდან, ხომალდს ლერწმით დაფარულ ქაობში დამალავს და აწყობს გეგმებს მეფესთან შესახვედრად.

აპ. როდოსელთან ფრიქსეს ვაეები არგონავტების გამცილებების როლს ასრულებენ. ისინი წარუდგენენ სტუმრებთან ერთად ოჯახის წევრებს, თვით მრისხანე აიეტს. არგოსი შეეცადა ჰაპისათვის აეხსნა, როგორ დაეხმარა იასონი და როგორ გადაარჩინა ისინი. იქვე ფრთხილად, მოკრძალებით შეატყობინა ბერძენთა მოსვლის მიზეზი.⁸⁹ ჩამოსულ არგონავტებს დახმარებას უწევენ: პერა, ათენა და აფროდიტე.⁹⁰ უკანასკნელი სთხოვეს შეილს სიყვარულის ისარი ტყორცნოს მედეას, რომ იასონისადმი სიყვარულით გაიმსქვალოს იგი და არგონავტებმა განაზოციელონ თავისი მიზანი.⁹¹

პინდარესთან მეტად აქტიურობს კიპრიდა, რათა მედეას ჩაუნერგოს სიყვარულის გრძნობა იასონისადმი. ლაპარაკია იმაზე, რომ ქალღმერთს სურს, კოლხი ასული თავისი წამლებით დაეხმაროს ბერძნებს.⁹²

სულ სხვაგვარადაა დამუშავებული მოცემული ეპიზოდი „ორფიკულ არგონავტიკაში“. პერა უგზავნის აიეტს სიზმარს — მედეაზეციდან მოწყვეტილი ვარსკვლავის მფლობელი ხდება. მაგრამ ფაზისი მოსტაცებს და ზღვაში გააქანებს. საბედისწერო ჩვენებით შეშფოთებული აიეტი მიდის ფაზისის ნაპირზე, ხედავს „არგოს“, სავ-

87 Ap. Rhod. Arg., II, 1090—1230.

88 იქვე, II, 1155—1156.

89 იქვე, III, 166—366.

90 იქვე, III, 9—127.

91 იქვე, III, 128—143.

92 Pind. Pyth., IV, 10 a.

სეს ღმერთების მსგავსი ვაჟკაცებით. განრისხებული ჰელიოსის ძემემუქრება მოსულებს თავისი ხალხის ძლევამოსილებით და წარუდგენს მოთხოვნას, რომელიც უნდა შეასრულოს უმამაცესმა გმირთა შორის.⁹³

აბ. როდოსელი აგვიწერს აიეტის მრისხანებას; იგი განიზრახავს გმირის დაღუპვას და ამ მიზნით იასონს აძლევს შემდეგ დავალებას: მოხნას მიწა სპილენძისფეხებიანი ხარების საშუალებით და დაამარცხოს გველეშაპის კბილებიდან ამოსული მეომრები.⁹⁴

ქალკიოპეს მხარდაჭერით მედეა მიიღებს გადაწყვეტილებას, იმოქმედოს არგონავტების სასარგებლოდ. იგი თავისი წამლების ყუთიდან ამოიღებს უნარ საშუალებას, რომელიც ცნობილია პრომეთეს წამლის სახელწოდებით და აძლევს რჩევას იასონს, რომ დახმარება აღმოუჩინოს აიეტის დავალებების შესრულებაში. მედეას ჯადო-წამლების მეშვეობით უნებლად გადარჩენილმა იასონმა შეასრულა კოლხი მეფის მოთხოვნები.⁹⁵

მეოთხე თავში აღწერილია, როგორ აძინებს მედეა ოქროს საწმისის დარაჯს — ფხიზელ გველეშაპს — და როგორ ეხმარება იასონს ოქროს საწმისის მოპოვებაში.⁹⁶

იასონის ძალამ გააოცა აიეტი და განრისხებულმა გადაწყვიტა მისი დაღუპვა — იგი საშინელ დრაკონთან გაგზავნა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ ურჩხული მოკლავდა მძიებელს ოქროს საწმისისა. მაგრამ იასონმა დაამარცხა დრაკონი და დაეუფლა ოქროს საწმისს.⁹⁷

არსებობს ვარიანტი, რომლის მიხედვითაც, ილმონის მითითებით, იასონის მიერ ხარების უღელში შებმის, დრაკონის კბილების დათესვის და მიწიდან ამოსულ გოლიათებზე გამარჯვების შემდეგ, აიეტი არგონავტებს ნადიმზე მიიწვევს, რომ დაღუპოს ისინი. მაგრამ აფროდიტე კოლხთა მეფეს მოანატრებს მეუღლეს; სანამ აიეტი მასთან იმყოფება, მედეას გამოაქვს ოქროს საწმისი მამის სახლიდან და, ილმონის რჩევით, არგონავტები გარბიან.⁹⁸

93 O r p h., 760—856.

94 A p. R h o d. A r g o n., 111, 366—421.

95 ი ქ ვ ე, 111, 705...

96 ი ქ ვ ე, 111, 145—182.

97 P i n d. P y t h., 1 V, 224—235.

98 ი ბ. R E, 11, 766.

აგრეთვე არსებობს გამოსახულება ვაზაზე, სადაც დრაკონი ყლაპავს იასონს და ხელახლა ამოაფურთხებს მას.⁹⁹

ტიმონაქსის მიხედვით, აიეტი ნებაყოფლობით მიათხოვებს თავის ქალიშვილს იასონს და ქორწილსაც უხდის კოლხეთში.¹⁰⁰

აბ. როდოსელის მიხედვით, ოქროს საწმისის დაუფლების შემდეგ იასონი აცხადებს, რომ თან მიჰყავს კანონიერ მეუღლედ მედეა, მისი სურვილის თანახმად, საბერძნეთში.¹⁰¹

აპოლოდორეს მიხედვით, არგონავტებთან ერთად მირბის არა მხოლოდ მედეა, არამედ მისი ძმა — აფსირტეც.¹⁰²

„ორფიკულ არგონავტიკაში“ მთავარი ფიგურაა ორფეესი. იგი ასრულებს ყოველივე იმას, რაც სხვა ავტორებთან მედეას ფუნქციებში შედის. ორფეესი თავისი სიმღერით აჯადოებს ოქროს საწმისის დარაჯს — დრაკონს, მსხვერპლს სწირავს და შველის იასონს საწმისის მოპოვებაში.¹⁰³

20. არგონავტების საშობლოში დაბრუნება, აიეტისა და აფსირტეს მიერ დევნა აღწერილია მთელ რიგ ბერძენ მწერლებთან.

ჰესიოდე და პინდარე ამბობენ, რომ არგონავტები ოკეანეზე გავლით მივიდნენ ლიბიაში, შემდეგ გადაიტანეს ზურგიით „არგო“ და ზღვაში აღმოჩნდნენ.¹⁰⁴

უფრო დაწვრილებით: ფაზისიდან არგონავტები ოკეანეში გაცურდნენ, გაემართნენ სამხრეთისაკენ და მიაღწიეს ბოლოს ერთ-ერთოსის ზღვას. გაიარეს დასახლებული ზღვა და ლიბიის უდაბნო, სადაც 12 დღე „არგო“ ზურგიით ზიდეს. არგონავტები მოხვდნენ ტრიტონის ტბაში, ანუ, როგორც ვარაუდობდნენ, — ჰეკატაიოსში; შემდგომ, ნილოსის გავლით, მოგზაურებმა მიაღწიეს ხმელთაშუა ზღვას.¹⁰⁵

როდესაც მიხვდნენ, რომ ფაზისი არ უერთდება აღმოსავლეთით მდებარე ზღვას, არგონავტებმა გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო სხვა გზის მოძებნა. საინტერესოა ისიც, რომ ავტორთა მოსაზრება გაიყო: ზოგმა დააბრუნა მოგზაურები საშობლოში იმავე მარშრუტით,

99 ობ. RE, II, 766.

100 FHG, IV, 522, 2. Schol. Ap., IV, 1217.

101 Ap. Rhodi Argon., IV, 190—195.

102 Apoll. Bibl. I 9.

103 Orph. 1002—1022.

104 EGF, 4, 84.

105 ობ. RE, II, 768.

რომლითაც ისინი კოლხეთში მოვიდნენ, ხოლო სხვებმა (მოგვიანო-კონცეფციით) ივარაუდეს, რომ ბერძნები მოხვდნენ დასავლეთის ზღვებში ტანაისის გავლით და მათ ხომალდი ზურგიტ გადაიტანეს ჩრდილო ოკეანეში, რათა ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ჰერაკლეს სვეტებთან ხმელთაშუა ზღვისკენ გადაეხვიათ; ან გაიარეს ისტროსი და მისი შენაკადები, რომლებიც მიედინებიან კელტიკის, ტირენიის ან ადრიატიკის ზღვებში.¹⁰⁶

მედეას ღალატმა კოლხები აიძულა დადევნებოდნენ ბერძნებს. არგონავტები ისეთი სისწრაფით მიცურავდნენ, რომ მესამე დილას უკვე პაფლაგონიის სანაპიროზე მიაბეს ხომალდის ბაგირები, მდინარე ჰალისის შესართავთან, სადაც მედეამ უბრძანა მათ ჩამოსულიყვნენ ნაპირზე და ჰეკატესადმი მსხვერპლშეწირვის ცერემონიალი შეესრულებინათ.¹⁰⁷

კოლხთა ჯარის ის ნაწილი, რომელსაც მეთაურობდა არგოსი, გაცურდა ისტროსით.¹⁰⁸

კოლხთა ერთმა ნაწილმა კი გაიარა სიმპლეგადები და ბერძენთა ძებნაში გასცდა პონტოს საზღვრებს. ხოლო დანარჩენები, რომელთა მეთაურიც იყო აფსირტე, მდინარეში შეცურდნენ, „მშვენიერის“ სახელწოდებით ცნობილი შესართავისა და ხმელეთის ყელზე გავლით იონიის ზღვის ყველაზე უკიდურეს უბეში შევიდნენ. კოლხები მოხვდნენ კუნძულ პეგასზე, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს. ფართო მხრით კუნძული ნაპირისკენაა მიქცეული, ხოლო ვიწროთი — მდინარის კალაპოტისკენ. ისტროსის გარშემო მყოფი შესართავეები ორად იყოფა, ერთ მათგანს ეწოდება ნარეჟსი, ხოლო მეორეს — „მშვენიერი“. აქ მოვიდა ასფირტე კოლხებთან ერთად და სწორედ ამ დროს მოცურავდნენ ბერძნებიც კუნძულის მწვერვალიდან მოშორებით.¹⁰⁹

როდესაც კოლხებმა დატოვეს ანგურონის მთა და კავლიაკოსის კლდე, სადაც ისტროსი თავის ნაკადს ორად ჰყოფს და ზღვაში ისვრის, გაიარეს ლავრიონის ველი და გავიდნენ კრონოსის ზღვის სივრცეში, მათ გადაკეტეს ყველა გზა, რომ ბერძნები არ მიმალულიყვნენ.¹¹⁰

106 იხ. RE II, 768—769.

107 Ap. Rhodi Argon., IV, 244—247.

108 იქვე, IV, 256; 282—284.

109 იქვე, IV, 303—316.

110 იქვე, IV, 323—328.

ამ დროს ბერძნები მდინარით ჩამოვიდნენ და მიუახლოვდნენ არტემიდე ბრიგეიდის კუნძულებს. ერთ მათგანზე წმინდა ტაძარი იყო აგებული, ხოლო მეორეზე არგონავტები აფსირტეს ემალებოდნენ. მღევარმა კოლხებმა ზევსის ასულის შიშით მხოლოდ დასახელებული ორი კუნძული არ დაიკავეს, ხოლო დანარჩენები მთლიანად დაიჭირეს, რითაც ზღვისკენ მიმავალი გზები გადაუკეტეს ბერძნებს. კოლხთა ჭარისკაცები ჩასაფრებულნი იყვნენ კუნძულების მახლობლად მდებარე სანაპიროებზე, მდინარე სალანკონამდე და ნესტისის მხარემდე.¹¹¹

დიოდორე მოგვითხრობს: „როცა არგონავტებმა ტყავის მოტაცების შემდეგ გაიგეს, აიეტმა ხომალდებით პონტოს შესართავის დაკავება მოგვასწრო, საოცარი და ღირსსახსოვარი საქმე ჩაიდინეს. მათ აღმა იცურეს მდინარე ტანაისზე მის სათავეებამდე; ერთ ადგილას ხომალდი (ხმელეთზე) გადაათრიეს და ამჭერად ოკეანისკენ მიმავალი მდინარით ზღვასთან მივიდნენ. ხმელეთი იყო ხელმარცხნივ, ამიტომ ჩრდილოეთიდან დასავლეთის მიმართულებით გაემართნენ, მიუახლოვდნენ გადირს და ჩვენს ზღვაში შემოვიდნენ. ამ ამბის დამადასტურებელ მაჩვენებლად მოაქვთ ის, რომ მიგვითითებენ ოკეანესთან მოსახლე კელტებზე, რომლებიც ღმერთებს შორის ყველაზე მეტად თაყვანს სცემდნენ დიოსკორებს. იქ უძველესი დროიდან შემონახულია გადმოცემა, რომ ეს ღვთაებები მათთან ოკეანიდან მოვიდნენ. გარდა ამისა, ოკეანესთან არის მხარე, რომელსაც სახელები მიღებული აქვს არგონავტებისა და დიოსკორებისაგან. ასევე გადირის შიგნითა ხმელეთს მათი (არგონავტების) დაბრუნების აშკარა ნიშნები ეტყობა. ტირენიაში ისინი მიადგნენ ეთალიად წოდებულ კუნძულს, რომლის ნავსადგურს, იმ ადგილებში არსებულ ნავსადგურებში ულამაზესს, არგოოსი უწოდეს, ხომალდის სახელის მიხედვით. ეს სახელწოდება ამ დრომდე შემორჩა. ზემოთქმულის მსგავსად, ტირენიაში რომიდან რვაასი სტადიონით მოშორებულ ნავსადგურს ტელამონის ნავსადგური დაარქვეს; ხოლო იტალიის ფორმიასთან მდებარე (ნავსადგურს), აწინდელ კაიეტეს, აიეტე შეერქვა. ამათ დამატება კიდევ შემდეგი: ქარიშხალთა ძალით სირტში გარიყულმა არგონავტებმა ლიბიის მაშინდელ მეფეს ტრიტონს, რომლისაგანაც (იქაური) ზღვის ბუნება გაიგეს და საფრთხეს თავი დააღწიეს, საჩუქრად უბოძეს ძველისძველი ასოებით შესრულებული

¹¹¹ Ap. Rhodii Argon., IV, 329—337.

წარწერიანი სპილენძის სამფეხა, რომელიც სულ ბოლო ხანებამდე ევესპერიტებთან ინახებოდა. ჩვენ გვერდი არ უნდა ავუაროთ იმ პირთა გადმოცემას, რომლებიც გვაუწყებენ, თითქოს არგონავტებმა ასცურეს ისტროსი სათავეებამდე და პირიქითი ტოტის მეშვეობით აღრიატიკის უბეს მიაღწიეს“. ¹¹²

„ორფიკულ არგონავტიკაში“ აღწერილია, თუ როგორ დაავალა აიეტმა თავის ვაჟიშვილს — ასფირტეს — ეპოვა გაქცეულნი, და როგორ შეხვდა მდინარის შესართავთან ძმას მედეა, რომელმაც ჩაიდინა ვერაგული ბოროტმოქმედება — აფსირტე ხელთ ჩაუგდო არგონავტებს; მათ კი იგი მოკლეს და მდინარის შესართავში ჩააგდეს. სწრაფმა ტალღებმა წაიღეს კოლხი უფლისწული და გამოირიყეს კუნძულებზე, რომელთაც ეწოდათ აფსირტიდები. ¹¹³

აბ. როდოსელი მოგვითხრობს, რომ როცა კოლხებმა არგონავტებს გზა გადაუტრეს (Arg., IV, 323...), უკანასკნელებმა გადაწყვიტეს მოლაპარაკება ეწარმოებინათ მღევრებთან. ეს ფაქტიურად ეხებოდა მედეას დაბრუნებას მამისეულ სასახლეში, რადგან ოქროს საწმისი უნდა დარჩენილიყო ბერძნებთან, როგორც მისი კანონიერ მფლობელებთან მათ მიერ ჩადენილი გმირობის გამო. ¹¹⁴

იმის შიშით, რომ უკან არ დაებრუნებინათ, მედეა გადაწყვეტს ძმა მსხვერპლად შესწიროს თავის სიყვარულს. მისი გეგმის მიხედვით აფსირტეს გაუგზავნეს ძვირფასი საჩუქრები, რომელთა შორისაც იყო ჰიფსიპილეს მიერ იასონისათვის ნაჩუქარი ძოწეულის წმიდა პეპლოსი. ¹¹⁵ მედეამ ძმა არიადნეს ტაძართან დაიბარა თითქოს იმისათვის, რომ ერჩია, თუ როგორ მოეტაცნა არგონავტებისათვის ოქროს საწმისი და თვითონაც როგორ დაბრუნებულყო მამის სასახლეში. მან ისიც შეუთვალა აფსირტეს, თითქოს ფრიქსეს ვაჟებმა გადასცეს იგი უცხოელებს საბერძნეთში წასაყვანად. ¹¹⁶ ბერძნებმა მედეა არტემიდეს კუნძულზე დატოვეს და ორ ნაწილად გაიყვნენ. ჩასაფრებული იასონი დატოვეს აფსირტეს მოსაკლავად, თვითონ გაცურეს. აფსირტემ არ დააყოვნა წმინდა კუნძულებზე მოსვლა. დაძმის საუბრის დროს იასონმა ვერაგულად მოკლა აფსირტე. უკანასკნელმა სიკვდილის წინ სისხლი შეასხა მედეას თეთრ მოსასახამს,

¹¹² Diod. Bibl., IV, 56.

¹¹³ Orph., 1025—1037.

¹¹⁴ Ap. Rhod. Argon., 338—349.

¹¹⁵ იქვე, 421—428.

¹¹⁶ იქვე, 435—441.

რომლითაც იგი შეიბურა, რომ არ დაენახა ძმის მკვლელობა. იასონმა მოკლულ აფსირტეს სამსხვერპლო ნაწილები მოკვეთა. სამჯერ ალოკა სისხლი და სამჯერვე გამოაფურთხა ნიშნად ცოდვისაგან განწმენდისა და მონანიებისა. შემდეგ გეამი მიწაში ჩაფლა მკვლელობის დასაფარავად.¹¹⁷

აპოლოდორეს მიხედვით, არგონავტებს დაედევნა თვითონ აიეტი, რომლის დანახვაზე მედეამ ძმა მოკლა, ნაწილ-ნაწილ აეუწა და წყალში გადაყარა. აიეტმა ნაწილების შეგროვება დაიწყო და დევნა შეწყვიტა, რათა დაეკრძალა აფსირტე. მომხდარი უბედურების ადგილს დაარქვა ტომე.¹¹⁸

დიოდორეს მიხედვით, არგონავტებს აიეტი გამოედევნა, იგი დაეწია მათ, მაგრამ შებრძოლების დროს მოკლეს.¹¹⁹

ევრიბიდეს „მედეაში“ გადმოცემულია აფსირტეს ტრაგიკული სიკვდილის ამბავი მედეას ხელით. მედეა იხსენებს თავის სამშობლოს, სამარცხვინო გაქცევას და ძმის მკვლელობას.¹²⁰

სოფოკლე „სკვითებში“ ამბობს — აფსირტე და მედეა დედით ერთნი არ იყვნენ, ხოლო „კოლხ ქალებში“ გადმოგვცემს — ბიჭი აიეტის სახლში დაკლესო.¹²¹

ფერეკიდეს მიხედვით, არგონავტებმა ჩვილი აფსირტე გაიტაცეს და როდესაც კოლხები გამოედევნენ, აეუწეს და მდინარეში გადაადგეს.¹²²

რაც შეეხება კოლხებს, რომლებიც არგონავტებს გამოუდგნენ, აიეტის რისხვით დაშინებულნი აღარ დაბრუნდნენ შინ: ისინიც კი, ვინც ბერძნებს კორკირაზე შეხვდნენ, დასახლდნენ აღრიათიკის ზღვის სხვადასხვა მიდამოებში.¹²³

აპ. როდოსელი დაწერილებით მოგვითხრობს, თუ ჩირალდნით როგორ მისცა მედეამ ნიშანი არგონავტებს აფსირტეს მოკვლის შემდეგ, როგორ მიაცურეს მათ თავისი ხომალდი კოლხებთან და გაანადგურეს ისინი.¹²⁴ ავტორი გვაუწყებს, რომ კოლხთა სხვა რაზმ-

¹¹⁷ Ap. Rhod. Arg., 452—480.

¹¹⁸ Apollod. Bibl., IX, 24.

¹¹⁹ Diod., IV, 48.

¹²⁰ Eurip. Medea, 167 და სხვა (257; 1334).

¹²¹ F. Hist Gr. I, VII, 32 (73).

¹²² იქვე.

¹²³ Apoll. Bibl., I, 9, 25; Ap. Rhod., Arg., IV, 507—521; აგრ. იხ. RE, 769—770

¹²⁴ Ap. Rhod. Arg., IV, 482—488.

მა იმ კუნძულებს, რომლებზედაც საცხოვრებლად დარჩა, აფსირტიდები უწოდა.¹²⁵

21. თავგადასავალი დასავლეთის ზღვებში აღწერილია აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“. ავტორი მოგვითხრობს: როცა გმირებმა იგრძნეს, რომ ხიფათი თავიდან აიცილეს, გადაწყვიტეს შინ დაბრუნება. მათ მიალწიეს ჰილეისს, სადაც მტრულად აღარ შეხვედრიან და სწორი გზაც კი აჩვენეს; ჰილეელებმა ჯილდოდ აპოლონის დიდი სამფეხა მიიღეს.

თავის დროზე ლაშქრობის ბედის გასაგებად მიხულ იასონს ფებოსმა წმინდა პითოში ორი სამფეხა აჩუქა. წინასწარმეტყველების მიხედვით, მტრები ვერ დაანგრევდნენ იმ ქვეყანას, სადაც სამფეხა ოქნებოდა.¹²⁶

არგონავტები სამხრეთისკენ გაემართნენ. ჰილეისიდან გამოსულმა გმირებმა უკან მოიტოვეს ლიბირნიდის კუნძულები: დისკე-ლადე, პითიეა, კერკირა, მელიტე, კეროსე, ნიმფაიესი, სადაც ატლანტის ქალიშვილი — კალიფსო ცხოვრობდა. მაგრამ ამ დროს, როცა გმირებს ეგონათ, რომ უკვე კერავნიის მთებს ხედავდნენ, ჰერას მოაგონდა აფსირტეს მკვლელობის გამო ზევსის რისხვა; არგონავტები ვერ დააღწევდნენ თავს მძვინვარე ქარებსა და ვრცელი ზღვის გზებს, სანამ კირკე არ განწმენდდა მათ აფსირტეს სისხლისაგან. ამიტომ ზევსის მეუღლემ ქარიშხლის საშუალებით გმირები ჩრდილოეთისაკენ დააბრუნა.¹²⁷

მუხისაგან გამოთლილმა ხომალდის შუა ქედში ჩარქობილმა მორმა აუწყა არგონავტებს, რომ აუცილებელია აფსირტეს მკვლელობის გამო ჩადენილი ცოდვისგან განწმენდა.¹²⁸

აპ. როდოსელთან მითითებულია არგონავტების მიერ განვლილი მარშრუტი: ერიდანოსის უბე, სადაც ჩამოვარდა ჰელიოსის ეტლიდან ფაეთონი, როდანოსის მდინარე, ბობოქარი ტბები, რომლებიც მრავლად იყო კელტების მხარეში. აქ მათ დაღუპვა ელოდათ, რადგან ერთ-ერთ ტოტს ხომალდი ოკეანის უბისკენ მიჰქონდა, საიდანაც ველარ გამობრუნდებოდნენ. მაგრამ ჰერამ ჰერკინიოსის კლდიდან ყვირილი ატეხა და, ქალღმერთის ნებით, ისინი უკან წაშოვიდნენ. გაიარეს რა კელტებისა და ლიგიების ტომები, არგონავ-

¹²⁵ Ap. Rhod., Arg. IV; 513—515.

¹²⁶ იქვე, 522—533.

¹²⁷ იქვე, 563—583.

¹²⁸ იქვე, 583—590.

ტები გადავიდნენ სტეჟადების კუნძულებზე, იქიდან მიადგნენ კუნძულ ეთალიას, სადაც არის ნავსადგური სახელწოდებით „არგონსი“. შემდგომ ჩაუარეს ავსონიის ზღვის — ტირსენისის ნაპირებს და მიადგნენ აიაიას ნავსადგურს, სადაც ცხოვრობდა კიოკე.¹²⁹

აპოლოდორეს მიხედვით, ზევსი მოუვლენს არგონავტებს საშინელ ქარიშხალს, როდესაც მათ მდინარე ერიდანოსი გადაცურეს. უგზო-უკვლოდ ხეტიალის დროს, როცა გმირებს მოუწიათ აფსირტიდების კუნძულებთან ჩავლა, ხომალდმა აცნობა მათ, რომ საჭიროა კირკესთან ცოდვისგან განწმენდა. როგორც იქნა ლიგიების და კელტთა ტომების გვერდით ჩავლის შემდეგ არგონავტებმა მიაღწიეს სარდონიის ზღვას. შემოუარეს ტირენიას, მიადგნენ აიაიას, სადაც ბინადრობდა კირკე. უკანასკნელმა უსმინა გმირთა ვედრებას და განწმინდა ისინი.¹³⁰

აპ. როდოსელი დაწვრილებით გადმოგვცემს არგონავტების შეხვედრას კირკესთან. ისონმა და მედეამ კირკეს უამბეს ყოველივე, გარდა აფსირტეს მკვლელობისა. მათი საქციელით კირკე მიხვდა, რომ ჩადენილი იყო რაღაც მკვლელობა. მან შეასრულა მსხვერპლშეწირვის რიტუალი, რომლითაც განწმინდა ცოდვილები. მაგრამ როცა მიხვდა, რომ მოკლული აფსირტე იყო, დაემუქრა მედეას აიეტის რისხვით, რომელიც, მისი აზრით, ელადას მიაღწევდა და შურს იძიებდა შეილის მკვლელობისათვის. მან უბრძანა მედეას დაეტოვებინა მისი სასახლე უცხოელთან ერთად, მაგრამ ბოროტი შურისძიებით არ დამუქრებია, ოღონდ დახმარებასაც არ დაჰპირებია.¹³¹

„ორფიკულ არგონავტიკაში“ მოთხრობილია, როგორ ვერ დაემალნენ მკვლელები ყოვლისშემძლე ზევსის შურისძიებას. მათ ვერ შეძლეს ფაზისის შესართავიდან ზღვაში მოხვედრილიყვნენ; დაბნეულები, აღელვებულები, გონდაკარგულები ხშირად უკან ბრუნდებოდნენ. შემდეგ არგონავტები ხვდებიან კუნძულზე, რომელსაც ერთი მხრიდან ფართო ფაზისი, ხოლო მეორე მხრიდან სარანგესი უვლის გარს. ორი დღის შემდეგ კი აღწევენ ბოსფორს, რომელიც ტბა მეოტისის შუაგულში მდებარეობს. ჩაუარეს რა მრავალ ტომს, 9 დღის წვალების შემდეგ არგონავტები სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, მაგრამ ანკეოსმა ყველანი გაამხნევა.

129 Ap. Rhod., Argon, IV, 598—664.

130 Apollod. Bibl., IX, 24.

131 Apoll. Rhod., Argon., IV, 661—750.

აბ. როდოსელის მსგავსად, „ორფიკული არგონავტიკის“ ავტორიც იმეორებს მუხის მოწოდებას, რომელიც პალადამ „არგონე“ დაამაგრა, რომ ღმერთები ელიან მკვლელების სულის განწმენდას მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო. როდესაც გმირებმა კირკეს კუნძულს მიადწიეს, გაოცებულნი დარჩნენ, რადგან დაინახეს. ცეცხლის ისრების მსგავს თმებიანი, ბრწყინვალე ვარეგნობის ქალი, რომლის სუნთქვა ნათელს აფრქვევდა. მედია მას დახმარებას სთხოვს, მაგრამ კირკე ცოდვისაგან განწმენდის მიზნით აგზავნის მალეას სანაპიროზე, პელოპონესის უკიდურეს ნაწილში, რადგან იქ უნდა მოხდეს მსხვერპლშეწირვა ორფევსის შემწეობით. კირკე სასახლეში არ იღებს ცოდვილებს, მაგრამ ამარაგებს მათ მომავალი მგზავრობისათვის ღვინითა და ხორციით.¹³²

აბ. როდოსელის მიხედვით, კირკესთან ყოფნის შემდეგ არგონავტები ზვდებიან სირინოზების კუნძულზე, რომელთა ჯაღოსნური სიმღერების გავლენისაგან მათ იხსნის ორფევსი. ის უკრავს ფორმინქსზე და მღერის, რომ დაახშოს მომაჯადოებელი ხმები.¹³³

„ორფიკულ არგონავტიკაში“ ორფევსი მოგვითხრობს, როგორ მოიხიბლა უკლებლივ ყველა არგონავტი სირინოზების ხმებით. მაგრამ ორფევსის მომხიბლავმა სიმღერამ სირინოზები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო; მათ სიმღერა შეწყვიტეს და თავები დაიხოცეს.¹³⁴

აპოლოდორესთან მოთხრობილია, თუ როგორ დაახშო ორფევსმა თავისი ჯაღოსნური ხმით სირინოზების სიმღერა მათთან ჩავლის დროს და ამით არგონავტები გადაარჩინა.¹³⁵

არგონავტების მოგზაურობის შემდეგი ეპიზოდია შეხვედრა სკილასა და ქარიბდასთან, სადაც მათ ეხმარებიან ნერეიდები და ქალღმერთი თეტიდა.

როგორც აბ. როდოსელი მოგვითხრობს, დარიგება არგონავტების გადარჩენის შესახებ თეტიდამ მიიღო ჰერასაგან, რომელმაც აუწყა საიდუმლოება, რომ მედეას ბედისწერით გადაწყვეტილი ჰქონდა მომავალში მის რძლად გახდომა.¹³⁶

არგონავტების მარშრუტის შემდგომი პუნქტი იყო თრინაკია,¹³⁷

132 Orph., 1038—1242.

133 Apoll. Rhod. Arg., IV, 907—911.

134 Orph., 1275—1297.

135 Apollod., I, 9, 25.

136 Apoll. Rhod. Argon., IV, 784—816.

137 იქვე, IV, 967.

რომელსაც მოგზაურები გვერდით ჩაუვლიან. მას მოსდევს კუნძუ-
ლი „ნამგალი“, მდებარე კერავნიის ზღვაში, იონიის სრუტის წინ.
შემდგომ ბერძნებმა მიაღწიეს ფეაკების კუნძულს, სადაც მეფობდა
ალკინოე. აქ, მიუხედავად მეფის თბილი მიღებისა, არგონავტებს
ელოდებოდა კოლხთა მრავალრიცხოვანი ჯარი. კოლხები მედეას
დაბრუნებას ითხოვდნენ.¹³⁸

ალკინოე ცდილობდა დავა მშვიდობიანად და სამართლიანად
გადაეწყვიტა. დედოფალ არეტეს მუდარაზე დახმარება აღმოეჩინა
საბრალო მედეასთვის, ალკინოემ უპასუხა, რომ არ დაუბრუნებდა
კოლხ ასულს თავისიანებს, თუ მას იასონის სარეცელი გაზიარებუ-
ლი ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი მამას უნდა დაბრუნე-
ბოდა.¹³⁹ არეტემ გააცნო გამოპარულებს მეფის გადაწყვეტილება,
რის გამოც სასწრაფოდ მოხდა მედეასა და იასონის შეუღლება წმინ-
და მღვიმეში, ხოლო შემდგომ დასაჩუქრებული დაქორწინებულნი
არგონავტების თანხლებით ლიბიისაკენ გაემართნენ.¹⁴⁰

„ორფიკული არგონავტიკის“ ავტორს არგონავტები სირინოზის
კუნძულის შემდეგ მიჰყავს ღვთაებრივ კერკირაში, სადაც ბინადრო-
ბენ ზღვის გზების საუკეთესო მცოდნეები, ყველაზე სამართლიანი
და ბრძენი მეფის — ალკინოეს მმართველობის ქვეშ მყოფი ფეა-
კები. აღწერილია, თუ როგორ ჩაუსაფრდნენ კოლხები და როგორ
მოსთხოვეს მათ მედეას დაუყოვნებლივ დაბრუნება. ალკინოე და
არეტე ეხმარებიან არგონავტებს და ამაში მათ პერა წყალობს.¹⁴¹

აპოლოდორეს მიხედვით, კოლხები, რომლებმაც ფეაკების ქვე-
ყანას მიაღწიეს, მედეასა და იასონის ძებნაში წააწყდნენ „არგოს“
და მოითხოვეს ალკინოესაგან მედეას დაბრუნება. ავტორს იგივე ვერ-
სია აქვს მოტანილი, რაც ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებებშია.¹⁴²

იასონი და მედეა ეფირეში რომ ცხოვრობდნენ, სადაც მათ შეე-
ძინათ შვილი — ფერეტი, ამას ადასტურებს კორინთო-კერკირის
თქმულება. აქ მეორდება იასონისა და მედეას ვაყების — მერმერო-
სისა და ფერეტის — სახელები. არსებობს ვერსიები, რომელთა მი-
ხედვითაც, მერმეროსი ლომმა დაგლიჯა.¹⁴³

138 Ap. Rhod., Arg., IV, 984—1013.

139 იქვე, IV, 1098—1110.

140 იქვე, 1111—1224.

141 O r p h., 1298—1354.

142 Apollod., I, 9, 25 (5).

143 იხ. RE, II, 772.

22. არგონავტების ლაშქრობაში შემდეგი ეპიზოდია ლიბიაში ყოფნა, სადაც ისინი, აპ. როდოსელის ვერსიით, ქარიშხალმა გადაი-სროლა უდაბნოში. გმირები გაიდებენ მხრებზე „არგოს“ და ასე ატარებენ ლიბიის უდაბნოში თორმეტი დღისა და ღამის განმავლო-ბაში. როდესაც ტრიტონის ტბის წყლებს მიაღწიეს, არგონავტებმა ჩამოიღეს ხომალდი მძლავრი მხრებიდან.¹⁴⁴

დიოდორე მოგვითხრობს, რომ ქარიშხალმა არგონავტები სირტ-ში მიიყვანა და მათ ლიბიის მეფე ტრიტონს უსახსოვრეს სპილენძის სამფეხა, რომელსაც ჰქონდა წარწერა, შესრულებული უძველესი ასოებით. ეს საჩუქარი ადგილობრივმა მეფემ თავისი გულკეთილო-ბისათვის დაიმსახურა, რადგან მან ბერძნებს იქაური ზღვის ბუნება გააცნო და ამით გადაარჩინა.¹⁴⁵

აპ. როდოსელთან აღწერილია, თუ როგორ ეძებდნენ წყაროს ტრიტონის ტბის წყლებთან მისული არგონავტები და როგორ მია-დგნენ იმ ადგილს, სადაც მათ ჩამოსვლამდე პერაკლემ ოქროს ვაშ-ლების დარაჯი — საზარელი გველეშაპი მოკლა, რომელსაც ჰესპე-რიდები დასტიროდნენ.¹⁴⁶ აღსანიშნავია იმ ეპიზოდის აღწერაც, თუ როგორ მიაგნო პერაკლემ სასმელ წყაროს, რომლითაც არგონავტებ-მა უიმისოდაც ისარგებლეს. ამავე დროს ბერძენი მოგზაურები ოც-ნებობდნენ შეხვედროდნენ ძლევაშოსილ გმირს.¹⁴⁷

ამავე თავში ვხვდებით მოფსოსის დალუპვის ამბავსაც, რომე-ლიც არგონავტების ლიბიაში ყოფნას უკავშირდება. მოფსოსი იღუ-პება სრულიად შემთხვევით: მას გველი უკბენს.¹⁴⁸

დასევდიანებულმა ბერძნებმა თავი ზღვას მიანდეს, სადაც სამ-ხრეთის ქარები უბერავდა. ისინი გზის ძებნას შეუდგნენ, მაგრამ მთელი დღე ტყუილ-უბრალოდ დაკარგეს და ტბის სანაოსნო გასას-ვლელ შესართავს მაინც ვერ მიაგნეს, სანამ ორფევსმა არ მოიფიქრა ადგილობრივი ღმერთებისათვის დიდი სამფეხა მიეძღვნა. გამოჩნდა ღმერთი — ტრიტონი, პოსეიდონის შვილი, რომელმაც უჩვენა მგზავრებს ტბიდან გამოსასვლელი.¹⁴⁹ ავტორი იმასაც გვატყობი-

¹⁴⁴ Apoll Rhod. Argon., IV, 1339—1394.

¹⁴⁵ Diod. Bibl., IV, 56.

¹⁴⁶ Ap. Rhod. Argon., IV, 1395—1409.

¹⁴⁷ იქვე, 1443—1462.

¹⁴⁸ იქვე, 1504—1538.

¹⁴⁹ იქვე, IV, 1539—1574.

ნებს, რომ ტრიტონი თვითონ მიაცილებდა ხომალდს, სანამ არ გაიყვანა ზღვამდე.

არსებობს ვერსია, რომლის თანახმადაც, ტრიტონმა თვითონ უწინასწარმეტყველა არგონავტებს, რომ, თუ „სამფეხას“ წაიღებდნენ არგონავტთა შთამომავალნი, მაშინ ბერძნები მოახდენდენ კოლონიზაციას ლიბიაში და ტრიტონის ზღვაზე დაარსებდნენ 100 ელინურ ქალაქს. როდესაც ეს ლიბიელებმა შეიტყვეს, მაშინვე დაშალეს „სამფეხა“.¹⁵⁰

23. არგონავტების უკანასკნელი თავგადასავალი სამშობლოში ჩამოსვლის წინ დაკავშირებულია ეგეოსის ზღვასთან.

იმ სიძნელეებსა და საშინელ განსაცდელზე, რომლებიც არგონავტებს ხედათ წილად კრეტაზე, მოთხრობილია „ორფიკულ არგონავტიკაში“.¹⁵¹

მაგრამ, როდესაც ბერძნებმა მიაღწიეს მალეის კონცხს, რომელსც კირკეს რჩევით მიაღწენ, რომ აიეტის წყევლისაგან გათავისუფლებულიყვნენ და ჩაატარეს განწმენდის ცერემონიალი, პოსეიდონმა მშვიდობიანად დააბრუნა ისინი სამშობლოში.

აპოლოდორეს მიხედვით, სპილენძის კაცი-ტალოსი არ აძლევდა არგონავტებს კრეტაზე მიდგომის საშუალებას, მაგრამ მედეამ მოატყუა და სიცოცხლეს გამოასალმა.¹⁵²

აბ. როდოსელთან მოცემულია ვერსია, რომელიც მცირე ნიუანსებით განსხვავდება აპოლოდორეს ვერსიისგან.¹⁵³

საბოლოო ნავმისადგომი იყო ეგინა, საიდანაც არგონავტებმა გაიარეს მშვიდობიანად ეგეის ყურე, კეკროპიის მხარე, აელისი, ლოკრთა ოპუნტიური ქალაქები და პაგასეს ნაპირებთან მივიდნენ, ე. ი. სამშობლოში ჩამოვიდნენ.¹⁵⁴

24. ჩამოსვლის შემდეგ მომხდარი ამბები იწყება მედეას შურისძიებით.

აპოლოდორე მოგვითხრობს, რომ ჩამოსვლისთანავე იასონმა პელიასს მიაჩნტა საწმისი და დაიწყო ხელსაყრელი მომენტის ძებნა, რომ უსამართლო მოქმედებისთვის მისთვის სამაგიერო გადაეხა-

150 RE, II, 772.

151 Orph. 1356.

152 Apoll. Bibl., IX, 26, 4, 5, 6.

153 Ap. Rhod. Argon., IV, 1638—1689.

154 ოქეე, IV, 1767—1781.

და. იასონმა ისთმოსში „არგო“ პოსეიდონს შესწირა, ხოლო მედეას მოუწოდა როგორმე შური ეძია სასტიკ ბიძაზე. მედეამ დაარწმუნა პელიასის ქალიშვილები, რომ, თუ მამას აკუწავდნენ და მოხარშავდნენ, იგი მას ჯადოსნური საშუალებებით გაახალგაზრდავებდა. თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ცხვარი მოხარშა და გადააქცია ბატკნად. პელიასი საკუთარმა შვილებმა აკუწეს და მოხარშეს.¹⁵⁵

პელიასის მიერ ჩადენილი ბოროტების გამო მედეას შურისძიების შესახებ მოგვითხრობს დიოდორე. მან ჯადოსნური წამლებით შეიცვალა გარეგნობა და მშვენიერი ახალგაზრდა ქალის ნაცვლად საზიზღარ დედებერად გადაიქცა. მედეას სიტყვებით. არტემიდემ უბრძანა მას მოენახა რაიმე საშუალება პელიასის გასახალგაზრდავებლად და იმის დასამტკიცებლად, რომ მას ძალუძს ამგვარი მეტამორფოზა, ცალკე ოთახში ჩაიკეტა და წამლები ჩამოირეცხა. მოხუცი დედაბრიდან მედეა უცებ მშვენიერ ახალგაზრდა ქალად იქცა და ყველა გააოცა. კოლხმა ასულმა აუხსნა პელიასის ქალიშვილებს, რომ მამის გაახალგაზრდავებისათვის საჭიროა მისი სხეულის ქვაბში მოხარშვა. თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ბებერი ცხვარი მოაყვანინა, ჯადო-წამლების საშუალებით ითვალთმაქცა და ქვაბიდან კრავის სახება ამოიღო, რის შემდეგაც პელიადებში ნღობა დაიმსახურა.

იმ მიზნით, რომ არგონავტებისათვის წინასწარ შეთანხმებული ნიშანი მიეცა, მედეამ პროცედურის ჩატარება გადადო, გამოაცხადა, რომ საჭიროა ლოცვით მთვარეს მივმართო. პელიასის ქალიშვილები ყველაზე მაღალ სახურავზე აიყვანა, ხელში ჩირაღდნები დააჭერინა, თვითონ კი კოლხურ ენაზე გრძელ ლოცვას შეუდგა, რითაც საშუალება მისცა არგონავტებს ქალაქი დაეპყროთ.

დიოდორე მოგვითხრობს იასონის დიდსულოვნებაზე, რომელიც მან მეფის ოჯახის წევრებისადმი გამოიჩინა: აკასტეს მამამისის ტახტი და ხელისუფლება გადასცა, ხოლო პელიადები ღირსეულ და სახელოვან ვაჟაკებს მიათხოვა. მაგრამ სანამ ამას მოიმოქმედებდა, იასონი ამხანაგებთან ერთად პელოპონესში მდებარე ისთმოსზე გაემგზავრა და „არგო“ პოსეიდონს შესწირა. იასონი დიდი პატივით მიიღო კორინთოს მეფე კრეონტმა და მისცა საშუალება მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო საქმეებში.¹⁵⁶

¹⁵⁵ Apollod., Bibl., I. 9, 27.

¹⁵⁶ Diod. Bibl., IV, 51—54.

ძველი კონცეფციით იასონი და მედეა იოლკოსში ცხოვრობდნენ, სადაც იზადება მედოსი, ქირონის აღზრდილი, და აგრეთვე ქალიშვილი — ერიოპისი. მედეა აახალგაზრდავებს თავის მამამთილსა და მეუღლეს.¹⁵⁷

პავსანია მოგვითხრობს, რომ იოლკოსში ჩამოსვლისთანავე მედეა ცდილობდა დაეღუპა პელიასი. სიტყვით იგი ქმრისადმი ზიზღს გამოთქვამდა, ხოლო საქმით ეხმარებოდა მას. ამგვარად მედეა ვერაგულად მოქმედებდა პელიასის მიმართ, მის ქალიშვილებს კი მამის გაახალგაზრდავებას შეჰპირდა.¹⁵⁸ აქაც მეორდება ზემოთ მოტანილი ვარიანტი პელიასის ნაწილებად აკუწვის შესახებ, რომელსაც წინ უძღვის ცხვრის ბატკნად გადაქცევის მომენტი.

პავსანია იმასაც მოგვითხრობს, რომ პელიასი ძვირფასად დაკრძალეს; ცერემონიალში სხვებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ არგონავტები და თვითონ იასონიც.¹⁵⁹

უფრო გვიანდელი ვერსია გვატყობინებს, რომ იასონმა და მედეამ იძულებით დატოვეს იოლკოსი.

აპოლოდორე მოგვითხრობს პელიასის ბოროტმოქმედებაზე, რომელიც მან იასონის ოჯახის წევრების მიმართ ჩაიდინა; იგი არ მოელოდა, რომ არგონავტები დაბრუნდებოდნენ.

პელიასმა ესონის მოკვლა განიზრახა. ესონმა თვითმკვლელობის ნება გამოითხოვა, მსხვერპლშეწირვის დროს უშიშრად შეიწოვა ხარის სისხლი და სული განუტევა. იასონის დედამ პელიასი დაწყევლა, ძუძუთა ბავშვი — პრომაქე დატოვა და თავი ჩამოიხრჩო. პელიასმა მისი დატოვებული ბავშვიც კი მოკლა.¹⁶⁰

დიოდორეს მიხედვით, პელიასმა არ იცოდა გმირების დაბრუნების ამბავი; დაუჯერა ხმებს მათი დალუპვის შესახებ და ტახტის ყველა კანონიერი მემკვიდრე დახოცა.

იასონი იოლკოსიდან თესალიის ნავსადგურში ჩამოვიდა და იქ ყოველივე შეიტყო. პელიასთან შესაბრძოლებლად გამოზადებულ არგონავტებს აჩერებს მედეა და ჰპირდება, რომ გრძნეულებით გამოასალმებს წუთისოფელს პელიასს და სამეფო ხელისუფლება მშვიდად გადაეცემათ მათ. მედეა გმირებს უამბობს, რომ ხელთ აქვს

157 იხ. RE, II, 775.

158 Pausaniae Descriptio Graeciae, Rec. L. Dindorfius, Parisiis, 1845, Liber VIII, 11, 2.

159 იქვე, V, 17, 9 დაწვრილებით იხ. RE, II, 775.

160 Apollod. Bibl., I, Lib. IX, 27.

მრავალი წამალი, რომელიც ადამიანთა დასალუპავად ჯერ არასდროს არ გამოუყენებია, მაგრამ ახლა შეძლებს სამაგიერო მიუზღას ღამნაშავეებს. მედია ადგენს მეფეზე თავდასხმის გეგმას და აფრთხილებს გმირებს, რომ, როცა დადგება მარჯვე მომენტი, მისცემს ნიშანს: ღლისით — კვამლით, ხოლო ღამით — ცეცხლით.¹⁶¹

მედეას მიერ პელიასის დალუპვის ამბავი ასახულია აგრეთვე პინდარეს, ევრიპიდეს და სოფოკლეს შემოქმედებაში.¹⁶²

აპოლოდორესთან გვხვდება ისეთი ვერსია, რომ აკასტემ, მამის დაკრძალვის შემდეგ, იასონი და მედია იოლკოსიდან გამოაგდო.¹⁶³

დიოდორესთან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, პირიქით ხდება: იასონი აბარებს აკასტეს ხელისუფლებას.

ევმელოსის, პავსანიას, ფერეკიდეს და სხვა მწერლების ვერსიებში ასახულია იასონის იოლკოსში დაბრუნების ამბავი, მის მიერ ხელისუფლების დაუფლება და მისი ვაჟის — თესალოსის გამეფება.¹⁶⁴

იოლკოსის შემდეგ იასონი და მედია კორინთოში გადასახლდნენ, ე. ი. იმ ქალაქში, რომელთანაც დაკავშირებულია კოლხი ასულის წარმომავლობა. აქ მედია ქალღმერთადაც კია აღიარებული და მას პატივს სცემენ ზევსის მეუღლის მსგავსად. მოგვიანებით იგი ნახსენებია, როგორც ჰერას მსახური, რომლის კულტიც თვითონ დააარსა. ზოგიერთები მედეას იხსენიებენ კორინთოს დედოფლად, მოხუცი სიზიფეს მეუღლედ. ძველი ავტორები, რომლებმაც დაუკავშირეს ერთმანეთს კორინთულა მითი არგონავტებისას, აღნიშნავენ, რომ მედია მართავდა კორინთოს იასონთან ერთად.¹⁶⁵

მედეას შურისძიება იასონზე — ბავშვების, მისი საცოლის და კრეონტის მკვლელობა — დამუშავებულია სხვადასხვაგვარად. არსებობს მოსაზრება, რომ იასონმა დატოვა მედია, რადგან შეიყვარა ეტისი ან მდინარის ქალღმერთი — გლავკე, ანუ კრეონტი; ქალიშვილი, რომელსაც უწოდებდნენ ხან გლავკეს, ხან კრეუზას.¹⁶⁶

ბერძნული ლიტერატურისათვის ამოსავალია ევრიპიდე, რომე-

¹⁶¹ Diod. Bibl., IV, 50.

¹⁶² Pind. Pyth. IV, 250; Sophocles, Phizotomoi, Pelias; Euripides, Peliades, Medea.

¹⁶³ Apoll. Bibl., I, 9, 28.

¹⁶⁴ იხ. RE, 775—776.

¹⁶⁵ იქვე, 776.

¹⁶⁶ იქვე.

ლიც გადმოგვეცემს, რომ მედეა შვილების ხელით უგზავნის თავის შეტოქეს მოწამლულ მორთულობას, — ილუპებიან კრეუზა და კრეონტი. მერე კი ჭავრის მთლიანად ამოსაყრელად მედეა კლავს ბავშვებსაც (Eurip. Medea).

მედეას შვილების მკვლელობის ამბავი ევრიპიდეს შემდეგ ხშირად მეორდება დრამებში, კომედიებში, ლექსებში, პროზაში და სურათებში. მედეას ვაჟიშვილები — მერმეროსი და ფერეტი — დაკრძალული იყვნენ ჰერას წმიდა ტაძარში.¹⁶⁷

მაგრამ ფილოსტრატე, პავსანია, აპოლოდორე, ზოგიერთი სხვა ავტორი, როგორც ჩანს, უძველეს წყაროებზე დაყრდნობით, ამტკიცებენ იმასაც, რომ მედეას შვილები მოკლეს კორინთოს მცხოვრებლებმა — შური იძიეს გლაკეს მკვლელობისათვის.¹⁶⁸

მედეასა და იასონის შემდგომი ბედი წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ვარიანტის სახით.

დიოდორე მოგვითხრობს, რომ კორინთოში იასონისა და მედეას ათი წლის ბედნიერი ცხოვრების შემდეგ ბერძენმა უფლისწულმა ულაატა მეუღლეს და შეირთო კრეონტის ასული გლაკე. მედეამ წამლით სახე შეიცივალა, ღამით სასახლეში შეიპარა და მას ცეცხლი წაუკიდა, რის შედეგადაც დაიღუპნენ გლაკე და კრეონტი. მართალია, მწერალი იმ ვარიანტსაც უშვებს, რომ მედეამ პატარა-ძალს შვილების ხელით შხამით გაყენებული საჩუქარი გაუგზავნა, რაც მისი და დასახმარებლად მისული კრეონტის დაღუპვის მიზეზი შეიქნა. დიოდორე იზიარებს გამძვინვარებული კოლხი ასულის მიერ შვილების მოკვლის ვარიანტს. აქ ავტორი, სხვებისგან განსხვავებით, აღნიშნავს, რომ მკვლელობის დროს მედეას ერთი შვილი გადარჩა, მან გაქცევით უშველა თავსო. სხვა მოკლული შვილების გვამები ჰერას ტაძარში დაკრძალაო. შემდეგ მედეა სანდო მოახლებთან ერთად თებში გაიქცა, რომ დახმარება მიეღო ჰერაკლესაგან, რომელიც კოლხებთან დადებულ შეთანხმებათა შუამავალია.¹⁶⁹

მაგრამ ჰერაკლე სიგიჟის სენით შეპყრობილი დაუხვდა. მედეა მოარჩინს გმირს, მაგრამ ჰერაკლე ისეა დაკავებული ევრისტევის დავალებებით, რომ კოლხი ასული დახმარების იმედს ჰკარგავს და მიდის ათენში ეგეესთან.¹⁷⁰

167 RE, 777.

168 იქვე.

169 Di. VI, 54.

170 იქვე, 55.

ათენში მედეას ზოგიერთები ალექტიდად თვლიდნენ.¹⁷¹

იასონმა ვერ გადაიტანა მის თავზე დამტყდარი ამდენი უბედურება და თვითმკვლევლობით დაამთავრა სიცოცხლე.¹⁷²

უმრავლეს ვარიანტებში იასონი იღუპება ან კრეუზასთან და კრეონტთან, ან კორინთოში არგოსთან ერთად.¹⁷³

ერთ-ერთი ვარიანტით, მედეა, ეგისტეს მსგავსად, არეოპაგის წინაშე გამოვიდა, სადაც ის გაამართლეს, მიიჩნიეს უდანაშაულოდ.¹⁷⁴

ბერძნული ლიტერატურა მედეას სხვადასხვა ღირსშესანიშნავ ლეგენდარულ პირს უკავშირებს. დიოდორე, როგორც სხვა ავტორები, მოგვითხრობს, რომ ის გათხოვდა ეგევსზე და შვა მედოსი, რომელიც შემდგომში გახდა მიდიის მეფე.¹⁷⁵

მაგრამ მედეა თეზევსმა ამხილა საწამლაეების მომზადებაში, რის გამოც იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო ქალაქიდან მეგზურების თანხლებით, რომლებიც ეგევსმა თან გააყოლა: იგი სასურველ ქვეყანამდე უნდა მიეცილებინათ. მედეამ მიაღწია ფინიკიას, შემდგომ აზიის ზემო ადგილებს, სადაც მისთხოვდა ცნობილ მეფეს და აქ გაუჩნდა მედოსი, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება დარჩა და რომელიც ყველას აოცებდა თავისი გაბედულებით.¹⁷⁶

აპოლოდორეს მიხედვით, მედეა და იასონი ბედნიერად ცხოვრობდნენ კორინთოში, მაგრამ მათი ათი წლის ქორწინების თავზე იასონი ღალატობს ცოლს და მედეა საშინლად იძიებს შურს. კოლხი ასული კლავს შვილებს — მერმეროსსა და ფერეტს, იღებს ჰელიოსისაგან ფრთოსან დრაკონებიან ეტლს და ათენში გარბის. ავტორს ამასთანავე მოაქვს ის ვარიანტიც, როდესაც მედეამ უსუსური ბავშვები ჰერას საკურთხეველთან დატოვა, სადაც ისინი გამძვინვარებულმა კორინთელებმა დახოცეს.

შემდგომ აპოლოდორე იმასაც მოგვითხრობს, თუ როგორ თხოვდება მედეა ეგევსზე და აჩენს მედოსს, მაგრამ იმ ვერაგობის გამო, რომელიც მან თეზევსის მიმართ მოიმოქმედა, ის ათენიდან გააძევეს. მედოსმა დაიპყრო მრავალრიცხოვანი ბარბაროსები და და-

171 იხ. RE, 777.

172 Diod., IV, 55.

173 იხ. RE, 777.

174 იქვე.

175 Diod., IV, 55.

176 იქვე.

მორჩილებულ ქვეყანას მიდია დაარქვა. მაგრამ ინდოელთა წინააღმდეგ ლაშქრობის დროს იგი დაიღუპა.¹⁷⁷

მედეასა და მის ვაჟიშვილ მედოსს აქტიური როლი ეთმობათ, როდესაც აპოლოდორე მოგვიტხოვრებს კონფლიქტურ სიტუაციაზე, რომელიც შეიქმნა აიეტსა და მის ძმა — პერსეს შორის. ავტორი გვაუწყებს: „მედეა კოლხებთან მივიდა შეუმჩნეველად და დაინახა, რომ აიეტს ძმამ — პერსემ სამეფო ძალაუფლება წაართვა. მაშინ (მედემ) პერსე მოკლა და სამეფო მამას დაუბრუნა.¹⁷⁸

დიოდორე აღიარებს, რომ „ტრაგიკოსთა ზღაპრული თხრობის მიხედვით, მედეას შესახებ საერთოდ ნაირფერი და განსხვავებული თქმულებები არსებობს. ზოგიერთები, რომელთაც ათენელების გულის მოგება სურთ, ამბობენ, რომ მედეამ თან წაიყვანა ეგევისისაგან შეძენილი მედოსი და თავი კოლხებს შეაფარა. სწორედ ამ დროს ძმის — პერსეს მიერ სამეფოდან განდევნილმა აიეტმა, როცა მედეას ვაჟმა — მედოსმა პერსე მოკლა, ხელისუფლება დაიბრუნა. ამის შემდეგ გაძლიერდა მედოსი, გადაიარა პონტოს ზემოთ მდებარე აზიის დიდი ნაწილი და დაიკავა ის მხარე, რომელსაც მისი სახელის მიხედვით მიდია ეწოდა“.¹⁷⁹

ზოგიერთი ვარიანტით, მედეა ურიგდება იასონს და მასთან ერთად აღმოსავლეთში ბრუნდება. მათი ვაჟიშვილები — მედოსი და არმენოსი ეხმარებიან მცირე აზიის მთელი რიგი ნაწილების დაპყრობაში. ამის შესახებ ინფორმაციას ვპოულობთ სტრაბონთან და სხვა ავტორებთან.

სტრაბონს დასახელებული ოჯახის ფართო დამპყრობლური პოლიტიკის დასამტკიცებლად მოაქვს არა მხოლოდ გეოგრაფიული აღგებების, არამედ ტაძართა სახელწოდებებიც.¹⁸⁰

ზოგიერთი მწერლის მიხედვით, მედეა თავისი ახლობლების სიკვდილის შემდეგ მისთხოვდა აქილეუსს.¹⁸¹

ჩვენ ყოველთვის არ დავგვიცავს წყაროთა ქრონოლოგიის პრინციპი, როდესაც მოგვეჩონდა ცნობები ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებიდან. ჩვენი მიზანი იყო წარმოგვედგინა თქმულება, უფრო სწორად, მისი მოდელი იმ სახით, როგორითაც მას შეეძლო გამხდარი-

177. Apollod., I, 9, 28 (2, 3, 4, 5).

178 იქვე, (6).

179 Diod., IV, 56. იხ. აკ. ურუშაძის ძვ. კოლხ..., გვ. 408.

180 Strabonis Geographica, ed. A. Meineke, Lipsiae, XI.

181 იხ. RE, 777.

ყო საფუძველი რომაული ლიტერატურისათვის. ამდენად, ჩვენთვის კლასიფიკაციისას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა წყაროთა სიძველის საკითხს და არც რომელიმე ყანრისადმი მათს მიკუთვნებას.

ბერძნულმა მხატვრულმა ლიტერატურამ დაამუშავა ყველა საკვანძო ელემენტი, დაკავშირებული არგონავტების ლამქრობასთან, რომელიც დამოწმებული უნდა ყოფილიყო მითოლოგიურ ტრადიციაში.

ბუნებრივია, რომ რომაელ შემოქმედთათვის შთაგონების ძირითადი წყარო გახდა სწორედ თქმულების ლიტერატურული დამუშავების შედეგად შექმნილი ნაწარმოებები. მათ შორის ზოგიერთი თავისი მხატვრული ღირსებების წყალობით იმდენად პოპულარული იყო, რომ მას მიმართავდა მომდევნო ეპოქების ყველა მწერალი, ხოლო ზოგი ყურადღების გარეშე დარჩა და მნიშვნელოვანი გავლენა არ იქონია კოლხეთის თემის საფუძველზე შექმნილ რომაულ ნაწარმოებებზე.

კოლხეთის თემის მხატვრული ინტერპრეტაციის პროცესში ჩამოყალიბდა კოლხთა გმირების ძირითადი სახეები: მედეა, აიეტი და ნაწილობრივ, აფსირტე.

ბინდარედან ევრიპიდემდე მედეას მხატვრულმა სახემ დიდი მეტამორფოზა განიცადა.

აიეტი ბერძნულ ლიტერატურაში მედეასთან შედარებით მეორეხარისხოვან როლს ასრულებს და ძნელია მისი სახის მხატვრულ სრულყოფილებაზე ლაპარაკი. იგი უფრო შორეული ქვეყნის სასტიკი და ვერაგი მეფის სიმბოლურ სახედ წარმოგვიდგება. კიდევ უფრო ნაკლებად ჩანს აფსირტე ლეგენდარულ კოლხ გმირთა შორის, თუმცა მისი სახე, ტრაგიკულად დაღუპვის გამო, გასცდა მითოლოგიური სქემის ფარგლებს. რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს, მათ ბერძნების ტრადიციაში მხოლოდ სტატისტიკების ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ, თუ რაოდენ ორიგინალური გზები გამოიხატა რომაულმა ლიტერატურამ ბერძნული მასალის მხატვრული ტრანსფორმაციისას და რამდენად მოახერხა შეექმნა მაღალი დონის მხატვრული ნაწარმოებები კოლხეთის თემაზე.

**არგონავტების თქმულების მოდელის
რომაული ნოვაცია**

ბერძნულმა მწერლობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომაული ლიტერატურის განვითარებაში. იგი ლათინურ ლიტერატურულ ძეგლთა შექმნის მთავარი წყაროა. ბერძნულ-რომაული ლიტერატურების ურთიერთკავშირის მასშტაბებს მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბერძნულ თქმულებათა ყველა მთავარმა ციკლმა შემდგომი განვითარება ჰოვა რომაული ლიტერატურის ფორმირების პროცესში. მათგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლათინური მწერლობისათვის იყო თქმულება არგონავტებზე; ის შესაძლებლობას აძლევდა რომაელ მწერლებს კოლხეთში მოწყობილი სახელგანთქმული ლაშქრობის აღწერით მხატვრულად გადმოეცათ მათი თანამედროვე რომის იდეალები და პრობლემები.

ლათინები არგონავტების სიუჟეტის უბრალო გადმოღებით კი არ დაკმაყოფილდნენ, არამედ თქმულების თითქმის ყველა ელემენტის ტრანსფორმაციის გზით შექმნეს მრავალი საკვანძო ეპიზოდის ქეშმარიტად ლათინიზებული ვარიანტები.

შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ არგონავტების თქმულების ბერძნულსა და ლათინურ ვერსიებზე, ბერძნულსა და რომაულ წარმოდგენებზე კოლხეთის შესახებ, კოლხეთის თემის დამუშავების ბერძნულსა და რომაულ გზებზე. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ბერძნული ნიმუშების გვერდიგვერდ არგონავტთა თემის საფუძველზე რომაული ლიტერატურა ქმნის თავის ეპიკურ, დრამატულ და პროზაულ ნაწარმოებებს.

ის მნიშვნელოვანი ნოვაცია, რომელიც განიცადა ბერძნულმა მოდელმა რომაული ლიტერატურის ფარგლებში, ენება არა იმდენად თქმულების საერთო ინფორმაციულ პლანს, რამდენადაც გმირთა მოქმედების მოტივაციებს და კონკრეტულ მოვლენათა განვითარებას.

არგონავტების თქმულების ცალკეულ ელემენტებს ბერძნულ ლიტერატურაში ხშირად მხოლოდ საბერძნეთის ცალკეულ რეგიონთა ისტორიული ინტერესებისა და სრულიად კონკრეტული ისტორი-

ული მოვლენებიდან გამომდინარე ამუშავებდნენ. მაგალითად, ეპიზოდმა აიეტის კორინთული წარმოშობის შესახებ, რომელიც აღწერა არქაულმა პოეტმა -- ევმელოსმა, რომაელებთან არ პოვა გამოძახილი. როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, თვით ევმელოსისათვის ამ შემთხვევაში ძირითადი მოტივი კორინთული პატრიოტიზმი უნდა ყოფილიყო.¹ ბუნებრივია, რომაული ლიტერატურისათვის ეს არ იყო საინტერესო. იგივე შეიძლება ითქვას, როცა პინდარემ მედეა კვირენესთან დააკავშირა². აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე მდებარე ბერძნულ ქალაქ კვირენესადმი (რომლის მმართველ წრეებთან მას მკვიდრო კონტაქტები ჰქონდა) პოეტი ინტერესს იჩენს იმიტომ, რომ პინდარემ თავისი ნაწარმოები დაწერა იმათთვის, ვინც დაკავშირებული იყო კვირენესთან. რომაელი მწერლებისათვის, პინდარესაგან განსხვავებით, მნიშვნელობა არ ჰქონდა მინიელთა წინაპრების წარმომადგენლის — მეფე ბატოსის განდიდებას, რომელმაც დააარსა კვირენე. ბატოსის განსენებისას ის იგონებს არგონავტების ისტორიას, რითაც პოეტი ამდიდრებს პითიური სიმღერის სიუჟეტს და ამასთან იქმნება შესაძლებლობა, რომ მოგვიტხროს არგონავტ ევფემესა და კოლხი დედოფლის წინასწარმეტყველებაზე.

კოლხეთისაკენ არგონავტების მარშრუტის აღწერისას რომაულ ლიტერატურაში არ აისახა მგზავრობა პონტოსკენ ჩრდილო მიმართულებით. ეს არ არის ნახსენები არც აპ. როდოსელის ეპიკურ ნაწარმოებში, რომელიც თითქმის დეტალურად შეეხო არგონავტების მოგზაურობის პუნქტებს. დასახელებული ეპიზოდის შესახებ მოგვითხრობს დიოდორე, რომელიც იხსენიებს ტავრეთს და მისი მოსახლეობის წეს-ჩვეულებებს.

რომაელმა მწერლებმა არ გამოიჩინეს ინტერესი გლავკოსის ეპიზოდის მიმართაც. ეს, მაგალითად, ვალ. ფლავუსთან შეიძლება აიხსნას იმიტომ, რომ მან დაამუშავა ეპიზოდები, დაკავშირებული ჰერაკლესა და ჰილასთან და ზედმეტად ჩათვალა კიდევ დამატებითი მოქმედი პირის შემოყვანა, რათა არ გადაეტვირთა ნაწარმოებში. თუ აპ. როდოსელის „არგონავტიკაში“³ გლავკოსი გამოდის წინასწარმეტყველის როლში, და ამდენად ტელამონისა და იასონის შემრიგებლად, ვალ. ფლავუსთან⁴ ტელამონი თვითონვე მშვიდდება და მოუ-

¹ G. L. Huxley, დასახ. ნაშრ. გვ. 60.

² Pind., Pyth., IV, 12 c.

³ Ap. Rhodii Arg., I, 1310—1345.

⁴ Val. Flacci Argonautica, Cambr Mass., Londou, MCMLVIII,

წოდებს არგონავტთა წინამძღოლს ნუ იდარდებს ჰერაკლეს ჩამორჩენის გამო.

ასევე რომაელ მწერალთა შემოქმედებაში ფაქტობრივად გამოტოვებულია არგონავტთა თავგადასავალი ეგეოსის ზღვაში.

თქმულება არგონავტებზე რომაელ მწერალთათვის საინტერესო იყო ძირითადად ორი თვალსაზრისით: ისტორიულ-გეოგრაფიული და წმინდა მხატვრული.

პირველი ასპექტი რომაელებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც არგონავტთა ლაშქრობის მარშრუტი გარკვეულად ემთხვეოდა რომის იმპერიის ექსპანსიას ანატოლიასა და შავი-ზღვისპირეთში. ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც არგონავტთა თქმულების ბერძნულმა ინტერპრეტაციებმა შემოგვინახა, რომაელთათვის ახალ; სავსებით კონკრეტულ მნიშვნელობას იძენდა. ამდენად, „არგოს“ ექსპედიციის საშუალებით რომაელ პოეტებს შეეძლოთ აესახათ მათი თანამედროვე რომის პოლიტიკის აქტუალური მხარეები.

რაც შეეხება წმინდა მხატვრულ ასპექტს, იგი თქმულების მრავალთემიან სიუჟეტში იყო ჩადებული. ფათერაკებით სავსე ექსპედიცია, მკაცრი და ლმობიერი მმართველები, ბრძოლა ძალა-უფლებისათვის, სიყვარულის დრამა და მრავალი სხვა შომენტრი, რთაც ესოდენ გამოირჩეოდა თქმულების ბერძნული მოდელი, ახლობელი იყო რომაული მწერლობის სულისა და ლათინურენოვან მკითხველისათვის.

I. თქმულების საწყის ეპიზოდთა შორისაა ფრიქსესა და ჰელეს ამბავი. ბერძენ მწერალთაგან განსხვავებით, რომაელებმა უფრო სრულყოფილად და ღრმად დაამუშავეს ფრიქსესა და ჰელეს ეპიზოდი. ზოგიერთმა რომაელმა მწერალმა შეინარჩუნა თქმულების ტრადიციული სიუჟეტური მომენტები, სხვებმა კი არსებითად შეცვალეს ისინი.

ეპიზოდი მხატვრულად შესანიშნავად დაამუშავა ოვიდიუსმა „ფასტებში“.⁵ ავტორი მკვეთრი ფერებით, ოსტატურად ხატავს საბრალო და-ძმის ამბავს. იგი აღწერს როგორ გადაარჩინა დედამ შვილები, შემდეგ — ჰელეს ტრაგიკულ დაღუპვას ზღვაში და ფრიქსეს კოლხეთში ჩასვლას.

პიგინუსის მიხედვით, ლიბერისაგან შეშლილი ფრიქსე და ჰელე ტყეში დაძრწოდნენ; დედა — ნებულემ ისინი კოლხეთში გააპარა.

⁵ *Ovidii Fasti*, Cambr., Mass., London, MCMLIX, III, 852—876.

ავტორი მოგვითხრობს ჰელეს დალუპვისა და ფრიქსეს კოლხეთში ჩასვლის შესახებ. პოეტი იმასაც გვატყობინებს, რომ მან ცხვარი შესწირა მსხვერპლად, ხოლო ოქროს საწმისი მოათავსა მარსის ტაძარში და დამცველად დრაკონი მიუჩინა.⁶

სეველიანი ფრიქსე, რომელმაც და დაკარგა, მოხსენიებულია სენეკასთან.⁷

ეს ამბავი ორიგინალურადაა დამუშავებული ვალ. ფლავუსის შემოქმედებაში⁸. მოთხოვნილია ფრიქსესა და ჰელეს შესახებ: ბოროტმა, სასტიკმა დედინაცვალმა ყველაფერი გააკეთა, რომ გერები გაეძეებინა სამშობლოდან.

რომაელი ეპიკოსი პოეტი ფრიქსეზე მოგვითხრობს იმ მომენტში, როდესაც პელიასი ფიქრობს მოცილოს ტახტის მემკვიდრე იმ საბაბით, რომ აუცილებელია მან კოლხეთიდან ოქროს საწმისი ჩამოიტანოს; ამასთან ასაბუთებს ამას და კანონიერ სახეს აძლევს.

ფაქტიურად ავტორი ურთავს ამ თხრობაში არგონავტების თქმულების შემდეგ ეპიზოდს — კოლხეთში ლაშქრობის მიზეზს.

II. რომაული ლიტერატურა კოლხეთში ბერძენთა ლაშქრობის მხატვრული ინტერპრეტაციისას ძირითადად მისდევს ბერძნულ ტრადიციებს. ტახტის დაკარგვის შიში აიძულებს პელიასს ჩაიდინოს ბოროტება. ჰესიოდესა და პინდარეს მსგავსად, პომპეუს ტროგუსთან აღწერილია, თუ როგორ უბრძანებს პელიასი სახელოვან იასონს ოქროს საწმისის ჩამოტანას, იმედოვნებს, რომ ის დაილუპება გზაში ხიფათის გამო ან ბარბაროსებთან ომში.⁹

ოვიდიუსი „*Epistulae ex Ponto*“-ში იასონს უწოდებს დევნილს, გულისხმობს პელიასის სიბოროტეს, რადგან ის ეშმაკობით გათავისუფლდა კანონიერი მემკვიდრისაგან.¹⁰

პელიასის ბრძანებას, რომ იასონმა ოქროს საწმისი ჩამოიტანოს, გვაწვდის ჰიგინუსიც.¹¹

რომაულ ლიტერატურაში შეინიშნება ერთგვარი განსხვავებაც ეპიზოდის დეტალების დამუშავებისას. პელიასის დავალებების მო-

⁶ *Hygini fabulae*, ed. Tersagi, 1934, III.

⁷ *Seneca. Troades*, Cambr., Mass., London. MCMLX, vv. 1034—1038.

⁸ *Val. Fl., Arg.*, I, 277—293.

⁹ *Justini epitome historiarum Philippicarum Pompei Trogi post Ruehl*, ed. Seel, Lips., 1935; *Lib.*, XLII, 10—12.

¹⁰ *Ovid., Epist. ex Ponto*, I, III, 75—76; I, IY, 27—28.

¹¹ *Hygini fab.*, XII.

ტივაცია მთელ რიგ შემთხვევებში რომაულ ლიტერატურაში ინტენსიფიცირებულია დამატებითი ცნობებით. ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ პელიასი მოუთხრობს იასონს, რომ ფრიქსე ქეიფის დროს მოკლა აიეტმა, რომ ხშირად ხედავს სიზმარში სევდიან ყმაწვილს (ე. ი. ფრიქსეს), რომელიც მოუწოდებს მას შურისძიებისაკენ.

მეფის თქმით, შურისძიებისაკენ მას მოუწოდებს აგრეთვე ჰელეც.¹²

ამიტომ მოხუცი, უძლური მეფე სთხოვს ახალგაზრდა და ძლევაშობილ ძმისწულს, ქმნას სამართალი და წაართვას აიეტს ოქროს საწმისი. ცხადია, რომ პელიასი მიმართავს ეშმაკობას, რათა იასონი განიმსკვალოს შურისძიების გრძნობით აიეტისადმი.

თითქოს აიეტმა დაარღვია სტუმართმოყვარეობის წესი და მოკლა ფრიქსე — მხოლოდ მოგონილი მიზეზია, რომ გადაუყეტოს იასონს ტანტიცენ გზა. სინამდვილეში აიეტს ფრიქსეს მიმართ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ავტორი მოგვითხრობს მოსუცებული ფრიქსეს ბუნებრივ სიკვდილზე და ამბობს, რომ მისი გარდაცვალების დროს ცაზე გამოჩნდა ვერძი და ცეცხლს ალი. ვალ. ფლაკუსი იმასაც დასძენს, რომ ფრიქსეს მიერ მეგკეა პლიეობით დატოვებული ოქროს ვერძი მოთავსებულია მარსის წარაფში მისი სახელის უკვდავსაყოფად.¹³

ოვიდიუსიც ფრიქსეს მდგომარეობას შესაშურად მიიჩნევს, რადგან ოქროს ვერძმა ისეთ ადგილას ჩამოიყვანა, სადაც საფრთხე არ მოელოდა.¹⁴

ჰიგინუსიც, ზემოთ მოყვანილი ავტორების მსგავსად, დასაწყისში მოგვითხრობს აიეტის გულთბილ შეხვედრაზე ფრიქსესთან, მის დაქორწინებაზე კოლხი მეფის ქალიშვილზე.¹⁵ საინტერესოა მოცემული ეპიზოდის ფინალური ნაწილი. აიეტს აშინებდა წინასწარმეტყველება, რომ მას უცხოელი ჩამოაგდებდა ტანტიდან და მოკლავდა. ამიტომ თავდაცვის მიზნით, მან მოკლა ფრიქსე.¹⁶ აქ მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ ვარიანტის გამოძახილთან, რომელიც დიოდორესთან გვხვდება (Bibl., IV, 47).

¹² V. Fl., Argon., I, 41—52.

¹³ იქვე V, 224—230.

¹⁴ Ovid, *Heroides and Amores*, Camb., Mass., Lond. MCMLXII, XVIII, 143—144.

¹⁵ Hyg. Fab. III.

¹⁶ იქვე.

ლაშქრობის მიზეზის ეპიზოდში შედის გმირების კოლხეთში მგზავრობისათვის მზადების მომენტიც. ბერძნულის მსგავსად, რომელი მწერლები აძლიერებენ ჰერას როლს ლაშქრობის მზადებისას. განსაკუთრებით ეს ეხება „არგონავტიკის“ ავტორს — ვალ. ფლაკუსს. იგი პინდარეს ბაძავს, როდესაც გმირთა მზადების პროცესში რთავს ჰერას. ვალ. ფლაკუსთან იუნო ავრცელებს ხმას ლაშქრობის შესახებ და შთააგონებს ახალგაზრდებს, ჩაიდინონ სახელოვანი გმირული საქმეები.¹⁷

I სიმღერაში ვალ. ფლაკუსი ხაზს უსვამს, რომ იასონი დიდ იმედებს ამყარებს იუნოზე, რომელიც უდავოდ დაეხმარება მას.¹⁸

დრაკონციუსი მოგვითხრობს, თუ როგორ სთხოვს იუნო ენერას დახმარება აღმოუჩინოს იასონს. იგი პირდაპირ აცხადებს, რომ ძლიერ უყვარს ახალგაზრდა და ლამაზი იასონი, რადგან მან გადაიყვანა იგი ისტროსის ყინულიან წყლებზე.¹⁹

იუნოს მიმართ იასონის კეთილშობილ საქციელზე ცნობებს ეპოულობთ ჰიგინუსთანაც, სადაც მითხრობილია, რომ მდინარესთან მდგომი იუნო აზრებით მიმართავდა იქვე მყოფ იასონს დახმარების აღმოსაჩენად. როგორც კი შეამჩნია იგი იასონმა, იმწამსვე გადაიყვანა მეორე ნაპირზე და პელიასს ერთი სანდლით ეახლა, რითაც მისი რისხვა დაიმსახურა²⁰

ვალ. ფლაკუსის მიხედვით, იასონს დახმარებას უწევს ათენაც. იგი თვითონ არჩევს მუხას, რომლისგანაც გემის აგება გადაწყდა.²¹

III. არგონავტების თქმულებიან შეშდევგი ელემენტია ლაშქრობის მონაწილეთა კატალოგი. არგონავტთა ბერძნულ და რომაულ კატალოგს შორის საერთოა ის, რომ ორივეში დასახელებულია ქვეყნის საუკეთესო გმირები. ვალ. ფლაკუსთან იუნოს მოწოდებას ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა ჰერაკლე, რომლის გვერდით დგას მისი განუყრელი მეგობარი ჰილასი. ათენა-პალადასთან ერთად ხომალდს აგებს არგოსი და თან ემზადება სალაშქროდ. დასახელებულია ლაშქრობის სხვა მონაწილეები — ტინდარიდები, იდასი, ანკევსი, იდმონი, ტელამონი, პელიასის შვილი — აკასტე, რომელიც წარმატე-

¹⁷ Val. Flacc. Argon., I, 96—100.

¹⁸ იქვე I, 81...

¹⁹ Dracontii Carmina minora. Medea, ed. Tr. Dubn. Lipsiae, 1873, 55—57.

²⁰ Hyg. Fab XIII.

²¹ Val. Flacc. Argon: I, 91—93.

ბებზე ოცნებობს და სხვ. „არგონავტიკაში“ ჩამოთვლილია ლაშქრობის 52 მონაწილე.²²

ვალ. ფლაკუსის კატალოგი განსხვავდება ყველა ადრე არსებული კატალოგისაგან არა მხოლოდ კომპოზიციური თვალსაზრისით, არამედ შინაარსის მხრივაც. როცა პოეტი ლაპარაკობს არგონავტთა შორის ჰერაკლეს გამოჩენაზე, იგი დიდი ხელოვნებით, როგორც ჰემარიტ ფსიქოლოგს შეეფერება, ამელავენებს უკმაყოფილო დედინაცვლის — იუნოს სულიერ მდგომარეობას, რომელსაც არ სურს ჰერაკლეში სიამაყის გრძნობა გაადვივოს. ამიტომ იგი არ თვლის მიზანშეწონილად ჰერაკლეს მონაწილეობას ამგვარ სახელოვან საქმეში.²³

ვალ. ფლაკუსთან ლაშქრობის მონაწილეთა რიცხვი 7 კაცით ნაკლებია, ვიდრე აპ. როდოსელთან, მაგრამ ჰიგინუსთან, უკანასკნელისაგან განსხვავებით, დასახელებულია კიდევ 14 მონაწილე. არგონავტები სათითაოდ ჩამოთვლილია „ფაბულებში“, სადაც თავში — „Argonautae convocati“ („არგონავტების შეკრება-ხმობა“) დასახელებულია ლაშქრობის 74 მონაწილე.²⁴

რომაელი მწერლები, ყველა, გამონაკლისის გარეშე, სასახელოდ და მეტად საინტერესოდ თვლიან იასონის ლაშქრობას კოლხეთში, რისთვისაც შეიკრიბნენ უმამაცეს ვაჟკაცთა შორის რჩეულნი, ბერძენი ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები.

ტროგუსი მოგვითხრობს, — როდესაც იასონმა გაავრცელა ხმა, რომ ემზადება სახელოვანი ლაშქრობისათვის, მასთან თავი მოიყარეს წარჩინებულმა ახალგაზრდებმა; შედგა ჯარი უმამაცეს ვაჟკაცთაგან, რომელთაც დაერქვათ არგონავტები.²⁵

ოვიდიუს ნაზონი, რომელიც თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებს არგონავტების ლაშქრობის ისტორიას, ხაზს უსვამს ამ მომენტს, რათა შეადაროს თავისი — გადასახლებული კაცის მდგომარეობა, (რომელიც ძნელია რამით შეალამაზო), იასონის (ფაქტიურად პელიასის მიერ, ოვიდიუსივით, გამოგდებულის) ტრიუმფალურ სვლას. ოვიდიუსის წარმოდგენით, იასონი ბედნიერია, რადგან მას

²² ვალ. ფლაკუსის გმირთა კატალოგზე არსებობს საციკლოური ნაშრომები, მაგ., ბურმანისა და სხვათა, იხ. RE, გვ. 752. იხ. აგრეთვე აკ. ურუშაძის „არგონ. კატალოგი“, გვ. 59—62.

²³ Val. Flacc. Argon., I, 114—119.

²⁴ Hyg. Fab. XIV.

²⁵ Hist. Philipp. XLII, 11.

თანაუგრძნობენ, ადიდებენ. პელიასის რისხვა არაა საშიში თესალიის ფარგლებს გარეთ და, რაც მთავარია, ბერძენ გმირს მეგზურებად ახლავს აქაველთა საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც მისი ერთგულნი არიან. იასონს ზეციდანაც (იუნო, მინერვა, კუპიდონი) და მიწიდანაც (მედეა) ეხმარებიან, ხოლო ოვიდიუსი, როგორც თავის თავზე ამბობს, მარტოა მთელ სამყაროში.²⁶

IV. კოლხეთში ჩასავლელად არგონავტებს მრავალი განსაცდელის გადატანა მოუხდათ. პირველი სიძნელე დაკავშირებულია თესალიასთან.

რომაულ ლიტერატურაში არგონავტების მარშრუტი იგივეა რაც ბერძულში. ფლაკუსთან ბერძენი გმირები იოლკოსის შემდეგ ხვდებიან მაგნესიაში, სადაც მდებარეობს დოლოპეს სამარხი; შემდეგ დასახელებულია მდინარე ამირონი, ქალაქი ევრიმენე და პალენეს ველი. უკანასკნელ პუნქტთან დაკავშირებით ვალ. ფლაკუსი მოგვითხრობს იუპიტერის გიგანტებზე გამარჯვების შესახებ.²⁷

ეს ეპიზოდი ფლაკუსისეული ნოვაციის ნიმუშია. იგი ხასიათდება სიმბოლურობით, რაც არ გვხვდება არც ჰომეროსის, არც ვერგილიუსისა და არც აპ. როდოსელის ნაწარმოებებში. ამ შემთხვევაში პოეტი უახლოვდება პინდარეს, მაგრამ იმავე დროს არსებითად განსხვავდება მისგან.

თავგადასავალი თესალიაში, რომელიც ასახულია ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“, რამდენადმე ორიგინალური ვერსიითაა წარმოდგენილი.

ბერძენ მწერლებთან (ჰესიოდესთან, ჰეროდოტესთან, ფერეკიდესთან და სხვ.) ჰერაკლე კარგავს ჰილასს თესალიაში, ხოლო ფლაკუსთან — მიზიაში. ჰერაკლე რომ კოლხეთში ვერ ჩავიდა, ამის მიზეზად ფლაკუსი ასახელებს ჰილასის დაკარგვას.

V. არგონავტთა შემდეგი თავგადასავალი დაკავშირებულია კუნძულ ლემნოსთან. იგი აღწერილია მთელი რიგი რომაელი მწერლების შემოქმედებაში, პირველ რიგში — ოვიდიუსთან და ვალ. ფლაკუსთან. მათ მიერ ლემნოსის ამბების მხატვრული დამუშავება არსებითად განსხვავდება ბერძული ლიტერატურის ნიმუშებისაგან. რომაულ მწერლობაში ლემნოსის ეპიზოდი გამოირჩევა თავისთავობით და იქცა ლემნოსელი დედოფლისა და ბერძენი უფლისწულის

²⁶ Epist. ex Ponto, I, IV, 23—30; 33—45.

²⁷ Val. Flacc. Argon., II, 9—20.

სიყვარულის მიმზიდველ სიუჟეტად. ოვიდიუსმა მას მიუძღვნა მინიატურული ნაწარმოები ეპისტოლარული ჟანრის ფორმით.

რომაელი ეპიკოსი პოეტი აღწერს მამაკაცთა საყოველთაო ამოყლტეს და ამავე დროს მოგვითხრობს, როგორ გადაურჩა თოანტი სიკვდილს.

ჰიფსიპილე გადაარჩენს მამას, გამოაწყობს მას დიონისეს ტანსაცმელში და ჯერ ტყეს შეაფარებს საბრალო მოხუცს, ხოლო შემდეგ ზღვის ტალღებს მიანდობს. თოანტი რჩება ტავრეთის კუნძულზე, ხოლო ჰიფსიპილე ხდება მისი სკიპტრისა და ტახტის მფლობელი.²⁸ პოეტი დეტალურად მოგვითხრობს არგონავტების სტუმართმოყვარე ლემონელებთან ყოფნის შესახებ. აღწერილია მოლოდინით მოთმინებადაკარგული არგონავტის — ტიფისის განრისხება, რომელიც იძულებულია მოაგონოს მგზავრ ბერძნებს მათი მოგზაურობის მიზანი.²⁹ არგონავტები მიიღებენ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ განაგრძონ გზა.

ოვიდიუსი ტოვებს არგონავტებს ჰიფსიპილესთან ორი წლის განმავლობაში.³⁰

ჰიგინუსის მიხედვით, კუნძულ ლემნოსზე ქალები რამდენიმე წელი არ ასრულებდნენ საღვთო რიტუალს ვენერას სახელზე. მან სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ მათ ქმრებს თრაკიელი ქალები შეაყვარა. ლემნოსელმა ქალებმა მამაკაცთა სქესი ამოყლიტეს და ქმრების თრაკიელი საყვარლები მოახლეებად გაიხადეს. მხოლოდ ჰიფსიპილემ გადაარჩინა მამა. შემდგომ გადმოცემულია, თუ როგორ მოხვდნენ არგონავტები ლემნოსზე, იასონისა და ჰიფსიპილეს სიყვარული და ევენოსისა და დეიპილოსის დაიადეია. ჰიგინუსთან, ვალ. ფლაკუსისაგან განსხვავებით, არგონავტებს გზის გაგრძელებასაკენ მოუწოდებს ჰერაკლე.³¹

VI. რაც შეეხება ქრიზეს საკურთხეველს, რომაული მწერლობა³² მის აგებას იასონს მიაწერს, რადგანაც, როგორც ცნობილია, ვალ. ფლაკუსთან და ჰიგინუსთან ფილოქეტეე მიჩნეულია არგონავტად და ის, ტროაში მიმავალი, ათვალეიერებს მას.

VII. რომაულ ლიტერატურაში თავისებურადაა წარმოდგენილი

²⁸ Val, *Elacc. Argon.*, II, 301–310.

²⁹ იქვე, II, 367–368.

³⁰ Ovid., *Heroid.*, VI, 56.

³¹ Hyg. *Fabul.*, XV.

³² V. *Flacc. Argon.*, I, 391; III, 722; Hyg. *Fab.* XIV.

სამოთრატან დაკავშირებული ეპიზოდი. იქ ორი ვარიანტიც კი არსებობს არგონავტების კუნძულზე ყოფნის შესახებ.

ფლაკუსთან, ბერძენ ავტორთაგან განსხვავებით, არგონავტები არ გადმოდინან მასზე და არც ასრულებენ მათთვის უცნობ რიტუალს, თუმცა გრძნობენ შიშსა და ძრწოლას წმინდა ადგილთან მიახლოებისას. მას არგონავტები მხოლოდ ხომალდიდან ათვალისრებენ.³³

VIII. შემდგომი პუნქტი, სადაც არგონავტებს უნდა გამოეჩინათ თავი, არის ტროადა. ფლაკუსი მას ისევე უკავშირებს ჰერაკლეს სახელს, როგორც ეს ბერძნულ მწერლობაში იყო. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რომაულ ლიტერატურაში ბერძნულთან შედარებით ეპიზოდი შეცვლილია.³⁴ ჰერაკლე, მოხიბლული ახალგაზრდა ქალის — ჰესიონეს მშვენიერებით, გაბედულად შეებრძოლება ურჩხულს, რომელსაც იგი უნდა ჩაეყლაპა და კლავს მას. გმირის ირგვლივ ყველაფერი ნათდება და მოჩანს ხალხით გარშემორტყმული, მისკენ მომავალი მეფე — ლომედონტი მეუღლითურთ. იგი მადლობის ნიშნად გმირს ჰპირდება გადარჩენილ ჰესიონეს და ჯაღონსურ ბედაურებს.

ვალ. ფლაკუსი დუმს მომავალ ამბებზე: არაფერია ნათქვამი მეფის ბოროტ ზრახვასა და მის მიერ პირობის შეუსრულებლობაზე. ავტორი გვაძნობს მხოლოდ მეფის სიტყვას³⁵; შემდეგ კი აღწერილია, როგორ დაუთმო ძალა-უფლება აერაკლემ პრიამოსს. ვალ. ფლაკუსი თავისებურად წარმოგვიდგენს ჰესიონეს ეპიზოდს, რომელიც დაწვრილებით აგვიწერა დიოდორემ. რომელი ეპიკოსი მწერალი მას გადმოგვცემს ახალი, მისი სტილისათვის დამახასიათებელი ნიუანსებით. სიმბოლოებით დაბინდული სურათი შემდეგნაირად უნდა გაიშიფროს; მეფის ვერაგობის გამჟღავნების შემდეგ (მან განიზრახა ჰერაკლესა და სხვა გმირთა მკვლელობა) არგონავტები დამსახურებულად იძიებენ შურს. ტახტი ერგება ტროადელთა დინასტიის ყველაზე სამართლიან წარმომადგენელს — პრიამოსს, რომელიც ბერძენ მოგზაურთა ერთგულ მეგობრად გვესახება.

რომაული მწერლობა შეეხო ჰერაკლეს მიერ ტროას დარბევის საკითხსაც. ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკისა“ და ჰიგინიუსის „მოთხრობების“ მიხედვით ირკვევა, რომ ჰესიონეს გაათვისუფლება ემ-

³³ V. Flacc Argon. II 431—441.

³⁴ იქვე, II. 446—545.

³⁵ იქვე, 557—568.

თხვევა არგონაეტების ლაშქრობის პერიოდს, ხოლო ტროას განადგურება (როგორც დი.ადორესთან) უნდა მიეკუთვნებოდეს უფრო მოგვიანო პერიოდს.

ვალ. ფლაკუსთან, აპ. როდოსელის მსგავსად, ასახულია ტროაში ჰერაკლეს დამოუკიდებელი ლაშქრობა.

IX. ჰელესპონტში არგონაეტები ხვდებიან ტროადის შემდეგ. დასახლებული პუნქტი, ფრიქსესა და ჰელეს მითის პოპულარობის გამო. დიდ როლს არ თამაშობს საკუთრივ თქმულებაში³⁶ და, შესაძლოა, ამიტომ არ არის მისი მხატვრული ტრანსფორმაცია ბერძნულ ლიტერატურაში.³⁷

ვალ. ფლაკუსმა შეცვალა სიუჟეტური სქემა და მოგვცა ამ ეპიზოდის მხატვრული ტრანსფორმაცია ჰელეს სახის ინტენსიფიკაციის გზით. აპ. როდოსელისაგან განსხვავებით იგი არ მოიხსენიებს ყველა გეოგრაფიულ პუნქტს, რომლებსაც ჩაუარეს არგონაეტებმა. რომაელი ეპიკოსი პოეტი ასახელებს იდას და მასთან დაკავშირებით დარდანეს, ხოლო შემდგომ — ჰელესპონტს. ვალ. ფლაკუსი ამ სახელებს განზრახ უსვამს ხაზს. აქ მთავარია მათი მითოლოგიური მნიშვნელობა, ე. ი., რომ იდა დარდანების ადგილ-სამყოფელია: მას სათავეს უდებს ზევსის შთამომავალი — დარდანე. იდას შემდეგ ზღვის ალერსიანი ტალღები მშვიდად და წყნარად შეიყვანენ არგონაეტებს ვიწრო სრუტეში, სადაც მათ უწერიათ ჰელეს სულთან შეხვედრა. ჰელე მიმართავს იასონს, უწოდებს მას მასავით და ფრიქსესავით დევნილს. იგი იასონს თვლის უიღბლო ადამიანად. ბედით დაჩაგრულად. ის აფრთხილებს ბერძენთა წინამძღოლს, რომ არგონაეტები შეხვდებიან სკვითთა სისასტიკეს, სანამ საბოლოო მიზანს, ე. ი. კოლხეთსა და ფაზისის ნაპირებს მიაღწევენ. ჰელე უჩხნის იასონს, სად მდებარეობს კოლხეთში საკურთხეველი, — იქ არგონაეტებმა მსხვერპლი უნდა შესწირონ ფრიქსეს და ავალებს გადასცენ მის სულს, თუ რა დაემართა მას ზღვაში ჩაუარდნის შემდეგ. ჰელეს სურს დაამშვიდოს ძმის სული, რომელიც, მისი აზრით, წუნს დის ბედზე. ვალ. ფლაკუსის „არგონაეტიკაში“ მოთხრობილია ნეპტუნის სიყვარულზე ჰელესადმი. ჰელე უამბობს არგონაეტებს, რომ მას გადასცენ სკიპტრა და იგი დიდ პატივშია ზღვის ფსკერზე. ამასთან აქ თავი დააღწია ინოს დევნას.³⁸

³⁶ იხ. დაწვრ. RE, 757.

³⁷ ამ ფაქტის შესახებ აღნიშნული იყო წინა თავშიაც. იხ. 11 „ჰელესპონტი“.

³⁸ Val. Flacc., Argon., II, 587—608.

ავტორი აერთიანებს და აკონკრეტებს ფართო და მრავალფეროვან მასალას, რომელსაც ჰელეს სიტყვა მოიცავს. ბერძნულ ლიტერატურაშიც, ჰესიოდეს შემოქმედებაში, გვხვდება პოსეიდონის და ჰელეს სიყვარულის მოტივი, მაგრამ ლაკონურად. არ შეიძლება მისი შედარება სიმბოლიკით სავსე, ამდელვებელ და საინტერესო ვარიაციასთან, რომელიც წარმოდგენილია ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“. ჰელესპონტში არგონავტების გზის მაჩვენებელია ჰელე და ამიტომ აქ ნეპტუნუსი მოიხსენიება, როგორც ზღვის მშვიდობიანი მბრძანებელი, რომლის სამფლობელოში ტალღები მშვიდია და სუფევს სიწყნარე.³⁹

X. შემდეგ არგონავტები აღმოჩნდებიან ფრიგიის მეფე კოზიკოსთან. ეს ეპიზოდი ბერძნულ ლიტერატურაში წარმოდგენილია სხვადასხვა ვერსიით. თუ აპოლოდორეს ბევრი რამ აქვს საერთო აპ. როდოსელთან, „ორფიკული არგონავტიკა“ სრულიად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, სადაც მთავარი ადგილი ჰერაკლეს მიეკუთვნება.

რაც შეეხება რომაულ ლიტერატურას, აქ ეს ეპიზოდი ბერძნულისაგან სრულიად განსხვავებულად არის მხატვრულად დამუშავებული. ჰიგინუსისა და ვალ. ფლაკუსის შემოქმედებაში კოზიკოსის მცხოვრებლები იყვნენ არა დოლიონები, არამედ პელაზგები, რომლებიც ძველი მტრობის გამო სპეციალურად დაესხნენ თავს თესალიიდან მომავალ არგონავტებს.

ეს მოტივი ასახულია ვალ. ფლაკუსთან და ჰიგინუსთან.

XI. კიოსი — ტრაგიკული პუნქტია ჰერაკლესა და არგონავტებისათვის, რადგან იქ დაიკარგა ჰილასი და მის ძებნაში ჰერაკლე ჩამორჩა ბერძნებს.

თუ აპოლოდორე არც მიზნებს ასახელებს და არც იმ ამბავს აღწერს, რომელიც წინ უძღვის ყმაწვილის მოტაცებას ნიმფების მიერ, ვალ. ფლაკუსი, აპ. როდოსელის მსგავსად, გვაცნობს ჰერაკლეს მიზანს მიზიაში, — რომ მას სურდა გაეკეთებინა ახალი ნიჩაბი. მაგრამ შემდგომ ამბებს თავისებურად ავითარებენ რომაელი ავტორები, სადაც ერთმანეთშია გადაწნული ზეციერთა სურვილები და მიწიერთა განცდები — აქაა ოცნებები, გულის გატეხა და ახლის ძიება.

XII. ბოსფორის მიდამოებში არგონავტებს მოუწევთ ორი შე-

³⁹ Val. Flacc., Argon II, 618.

ზვედრა. ერთი მათგანი დაკავშირებულია დადებით ემოციებთან (ფინევსი), ხოლო მეორე — უარყოფითთან (ამიკოსი). ამიკოსის ეპიზოდი მხატვრულადაა დამუშავებული აპ. როდოსელის „არგონავტიკასა“ და „ორფიკულ არგონავტიკაში“, ე. ი. ეპოსში. „ორფიკულ არგონავტიკაში“ იგი სქემატური ხასიათისაა. რომაულ მწერლობაში ეპიზოდი აღწერა ვალ. ფლაკუსმა. მხატვრული თვალსაზრისით იგი სრულიად განსხვავებულია.

რაც შეეხება ფინევსის დასჯის მიზეზს, იმ ორი ვერსიიდან, რომლებიც ბერძენმა მწერლებმა წარმოადგინეს, რომაული ლიტერატურა იყენებს აპოლონიოს როდოსელის ვარიანტს.

ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკის“ IV თავში მადლიერების გრძნობით აღსავსე ფინევსი თავის მხსნელ არგონავტებს უმისნებს მომავალი მოგზაურობის ამბებს. მის წინასწარმეტყველებაში მოტანილია მრავალმნიშვნელოვანი ინფორმაციები კოლხეთის შესახებ: დასახელებულია ტერიტორიები, დასახლებული ძველი კოლხური ტომებით, აღწერილია მათი ზნე-ჩვეულებანი.

ფინევსი ასწავლის არგონავტებს, როგორ გადალახონ წინაღმდეგობანი და უწინასწარმეტყველებს მათ ჩაფიქრებული საქმის წარმატებით დაბოლოებას. რომაულ ლიტერატურაში ფინევსის თავგადასავალი, გარდა ვალ. ფლაკუსისა, აღწერილია პიგინუსის,⁴⁰ ევრაგილიუსისა⁴¹ და ოვიდიუსის⁴² თხზულებებში.

ოვიდიუსი ფინევსზე ლაპარაკობს არა მხოლოდ „მეტამორფოზებში“, სადაც არგონავტების მოსვლამდე ავტორი მას ძალზე უბედურ კაცად წარმოგვიდგენს, არამედ „იბისშიაც“, რომელშიც მოთხრობილია, როგორ გააყოლა ფინევსმა არგონავტებს მეგზურად მტრედი.⁴³

XIII. გზა აღმოსავლეთის მიმართულებით პონტოში. რომაულ მწერლობაში არსებობს ორი ეპიზოდი. პირველი ეხება იდმონს, რომელიც როგორც ბერძნულ, ასევე რომაულ ლიტერატურაში წარმოგვიდგება წინასწარმეტყველად. წინასწარმეტყველება მისი დალუპვის თაობაზე ახლა ლიკოსის ქვეყანაში,⁴⁴ მარიანდინების მხარეში.

⁴⁰ Hyg. Fab., XIX, XIV.

⁴¹ Virgil, Aeneid, Camb., Mass. Lond., 1960, III, 210.

⁴² Ovid, Metamorphoses, ed., by G. E. Page, Camb., Mass., Lond., MCMLX, VII, 1-4.

⁴³ Ovid, Ibis, Camb., Mass., Lond., MCMLXIX, 265-266.

⁴⁴ Val. Flacci Argon., I, 360; V, 2-3.

მეორე საბედისწერო ამბავი დაკავშირებულია პირველთან; ახლად-არჩეული მესაქე — ტიფისი მოულოდნელად გარდაიცვალა.⁴⁵

ხომალდში ჩაყოლებული მუხის ხაჭკერი ადამიანის ხმით ალაპარაკდა და მოუწოდა მოლაშქრეთ მესაქედ ერგინუსი აირჩიონ.⁴⁶

ყურადსაღებია სინოპზე ქალაქ კიტოროსის დაარსება (Kytoros) ფრიქსეს შვილის — კიტოროსის, ანუ კიტისოროსის მიერ. სტრაბონის ეს მოსაზრება გვხვდება პომპონიუს მელასთან.⁴⁷

პიგინუსთან არგონავტებმა მიაღწიეს კოლხეთს თერმოდონტის საშუალებით და მათ სერიოზული ბრძოლები გადახდათ ამძიმებთან და ხალიბებთან; აქ დაეცა პოლიფემე.⁴⁸

XIV. არეტიას კუნძულს რომაულ ლიტერატურაში ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ბერძნულში:

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ვალ. ფლაკუსი ეყრდნობა ფერეკიდესა და პეროდორეს ვერსიებს, რომელთა მიხედვით ფრიქსეს ვაჟები, რომლებმაც საბერძნეთში ლაშქრობა დაისახეს მიზნად, იძულებული იყვნენ დაბრუნებულიყვნენ უკან, და ეს მოხდა არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლამდე.⁴⁹

ფრიქსეს ვაჟების შეხვედრა არგონავტებთან ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ ხდება კოლხეთის მიწაზე და ისინი იასონისა და არგონავტების საქმეებში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ.

პიგინუსის მიხედვით, არგონავტები ხვდებიან ქალკიოპესა და ფრიქსეს შვილებს არეტიას კუნძულზე. აი მათი სახელები: არგოსი, კიტისოროსი, მელასი, ფრონტისი. ისინი აცილებენ ბერძნებს კოლხეთში თერმოდონტით.⁵⁰

ბერძნული ლიტერატურისაგან განსხვავებით, სადაც უბრალოდაა მოხსენიებული პრომეთე ან მისი კავკასიონის კლდეზე მიჯაჭვის ფაქტის ფრიად ლაკონური კონსტატირებაა (აპ. როდოსელთანაც კი მხოლოდ გმირის განსაცდელია წარმოდგენილი)⁵¹, ვალ. ფლაკუსთან ტიტანის შესახებ ეპიზოდის ტრანსფორმაცია მეტად ორიგინალურად

⁴⁵ Val. Flacci Argon., V. 14—21.

⁴⁶ იქვე, V, 26—65.

⁴⁷ Melae Pomponi De Chorographia, Lipsiae, 1880, I. 104.

⁴⁸ Hyg. Fabul., XXI.

⁴⁹ V. Fl. Arg., V, 460.

⁵⁰ Hyg. Fabul., XXI.

⁵¹ Ap. Rhodii Argon., II, 1246—1261.

და ადრე შექმნილ ნაწარმოებთაგან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. რომელმა პოეტმა დაგვიხატა არა ტანჯვის, არამედ მიჯაჭვული პრომეთეს ჰერაკლეს მიერ განთავისუფლების სურათი⁵².

პრომეთესა და კოლხეთთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცნობა მოცემულია კერგელიუსის „ბუკოლიკების“ VI ეკლოგაში, სადაც ნათქვამია კავკასიურ არწივსა და პრომეთეს მოტაცების შესახებ.⁵³

პრომეთე მოხსენიებულია სენეკასთან. პოეტი ლაპარაკობს პრომეთეს ქედზე, აღნიშნავს, რომ კავკასიონის ციცაბო ფერღობები სულმთლად ცარიელია.⁵⁴

პრომეთეს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰიგინუსის შემოქმედებაშიც. ავტორი მოგვითხრობს, რომ გმირმა გააფრთხილა იუპიტერი მორიდებოდა თეტიდას. ამიტომ მადლიერი მეხთამტყორცნელი გზავნის მასთან ჰერაკლეს არწივის მოსაკლავად, რომელიც გულს უკორტნიდა გმირს. ჰიგინუსის მიხედვით, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე განთავისუფლდა ოცდაათი წლის შემდეგ.⁵⁵ ავტორი პრომეთეს უთმობს ერთ თავს სახელწოდებით — „Prometheus“, სადაც მოთხრობილია იმაზე, თუ როგორ მოუტანა პრომეთემ ადამიანებს ცეცხლი ლერწამში და აჩვენა ნაცრის ქვეშ მისი შენახვის წესი. სწორედ ამან განარისხა იუპიტერი. მან უბრძანა მერკურიუსს, რომ მიეჯაჭვა პრომეთე კავკასიონის ქედზე რკინის ლურსმებით და მიეჩინა მისთვის არწივი. დღის განმავლობაში შექმული გული ღამით მთელდებოდა.⁵⁶

რომაული ლიტერატურა ერთსულოვნად უჭერს მხარს იმ ბერძენ ავტორთა ცნობებს, რომლებიც პრომეთეს მიჯაჭვის ადგილად კავკასიონის ქედს ასახელებენ. პრომეთე და არგონავტთა კოლხეთში მოსვლის ეპიზოდი მრავალგზის აღნიშნულია მეცნიერებაში. ეს კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს მისი კულტის კავკასიურ ამირანთან მიმართების თეორიას.⁵⁷

⁵² Val Flaccii Argon., V, 154—176.

⁵³ Virgil, Eclogues, V. I, Cambr., Mass., Lond., MCMLX, VI. 42.

⁵⁴ Seneca, Hercules Oetaeus, Cambr., Mass., Lond., MCMLXI, 1207—1210.

⁵⁵ Hyg. Fab. LIV.

⁵⁶ იქვე, CXLIV.

⁵⁷ J. raki Schengelia, Kaukasische Parallelen Zum Prometheusmythos, იხ. კრებული: Aischylos und Pindar, Berlin, 1981; 238—249;

ოვიდიუსი კი პრომეთეს სახეს უკავშირებს გმირის მიერ ადამიანის შექმნას.⁵⁸

XV. კოლხეთი და იქ მომხდარი ამბები.

რომაული ლიტერატურა ბერძნული მწერლობისაგან განსხვავებულად აღწერს კოლხეთში მომხდარ ამბებს: სიუჟეტური მომენტები არა მხოლოდ თავისებურადაა გარდაქმნილი, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში ისინი შეცვლილია მთლიანად. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს ვალ. ფლავუსის „არგონავტიკაში“. მაგრამ ჰიგინუსი თავის „მოთხრობებში“ იმეორებს თქმულების სიუჟეტს.⁵⁹ იგი გვიამბობს, რომ როგორც კი ფრიქსეს ვაჟების მიერ მოყვანილი იასონი ქალკიოპემ მედეას წარუდგინა, მეფის ასულმა მაშინვე შეიცნო მოსულში ის, ვისი სიყვარულიც იუნომ სიზმარში ჩააგონა. მედეა ჰპირდება იასონს, რომ ყველაფერში დაეხმარება.⁶⁰

ინფორმაციას არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლის შესახებ ვხვდებით ოვიდიუსთანაც, რომელიც ამბობს, რომ ბევრი რამ გადაიტანეს მოგზაურებმა, სანამ სანატრელ კოლხეთს მიაღწიეს. ისინი ეახლნენ მეფეს და მოსთხოვეს ფრიქსეს საწმისი.⁶¹

ვალ. ფლავუსთან იასონი, როგორც კი კოლხეთში ჩამოვა, პირველ რიგში ჰელეს დანაბარებს ასრულებს ფრიქსეს საფლავთან, ხოლო შემდგომ ცხრა თანამგზავრის თანხლებით აიეტის წინაშე წარდგება და სთხოვს მას ოქროს საწმისს.⁶² აქვე აღწერილია სურათი, რომელიც კოლხთა ტაძარში ყოფილა და რომელმაც არგონავტების ყურადღება მიიპყრო. სურათი ასახავს აქაველების ჩამოსვლას კოლხეთში. მოჩანს არგო, გაკეთებული პეგასური ფიჭვისაგან, ხომალდზე ასული წინამძღოლი.⁶³ კოლხთა ტაძრის სურათი მეტყველებს იმაზე, რომ აიეტის ქვეყნის მკვიდრთათვის იმთავითვე იყო ცნობი-

И. Г. Шенгелия, Некоторые типологические параллели к мифу о Прометее в грузинском народном сказании об Ампиране, Caucasia — Mediterranean, Тбилиси, 1980, გვ. 109; Чиквани М. Я., Народный грузинский эпос о прикованном Ампиране, Москва, 1966 წ. და სხვა; შ. ნუცუბიძის მიერ განახლებული და რესტავირებული მითოლოგიური პოემა — ამირანი, 1945 წ.

⁵⁸ Ovid, Metam., Vol. I, Lib., I, 78—88.

⁵⁹ Hyg, Fab., XXI.

⁶⁰ იქვე.

⁶¹ Ovid, Metam., Lib., VII, 5—8.

⁶² V. Flacc Argon., V, 471—519.

⁶³ იქვე, V, 434—436.

ლი არგონავტების მოგზაურობისა და მოსალოდნელი ამბების შესახებ. წინასწარმეტყველებით იცოდნენ, რომ აიეტს ეწერა მეფობის დაკარგვა, რამაც ძალზე შეაშფოთა. ვალ. ფლაკუსი იასონის აიეტის სასახლეში მოსვლის მომენტიდან მუდამ ხაზს უსვამს ამ საბედისწერო წინასწარმეტყველებით გამოწვეული შიშის გრძნობას. ბრაზობს აიეტი, როდესაც წინასწართქმას იხსენებს — V, 529. იასონის წინაშე წარსდგა კოლხთა მეფის დიდებული ოჯახი: მზის შვილი, მის გვერდით—აფსირტე, სტირუსი—მედეას საქმრო (ჩამოსული ალბანეთის სანაპიროდან, რომლის ქორწინებას ხელი შეუშალა ომმა პერსესა და აიეტს შორის), შემდგომ — ფრონტისი, არგოსი, მელასი და მსუბუქფარიანი კიტისორე.⁶⁴

აიეტი საშინლად განრისხდება, როცა გაიგებს არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლის მიზეზს. უსამართლო პელიასის მიერ უცხო მხარეში გაგზავნილი იასონი აქაც დაჩაგრულად გრძნობს თავს. მარტოდმარტომ უნდა შეასრულოს მოკვდავისათვის მიუწვდომელი დავალებები, რათა დააკმაყოფილოს ერთი მეფე, ე. ი. აიეტი, და ამის მეშვეობით შეასრულოს მეორე მეფისათვის — პელიასისათვის მიცემული პირობა და მიართვას მას ოქროს საწმისი.

ოვიდიუსი მოგვითხრობს აიეტზე, რომელმაც უბრძანა იასონს შეება უღელში მარსის სპილენძისფეხებიანი ხარები; ცეცხლისმფრქვეველი ხარებით უნდა მოეხნა ველი და დაეთესა თესლი, საიდანაც ამოიზრდებოდნენ მეომრები, ამასთან უნდა ეჯობნა მათთვის.⁶⁵ ამ ძნელ საქმეში იასონის მოკავშირეებად გამოდიან ქალკიოპე და მედეა.⁶⁶

ურთულეს განსაცდელთა შესახებ, რომლებიც იასონს თავს დაატყდა, გადმოგვცემს ჰიგინუსი მოთხრობაში იმის შესახებ, რომ ოქროს საწმისის მოპოვების მსურველს ფოლადის უღელში უნდა შეება სპილენძისფეხებიანი ხარები, რომლებიც ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევდნენ, დაეთესა დრაკონის კბილები, ამოეწყვიტა მეომრები.⁶⁷ იასონს მფარველობას უწევს იუნო, რომელიც სთხოვს ვენუსს, შთააგონოს მედეას იასონის სიყვარული, რათა დაეხმაროს აიეტის მოთხოვნათა შესრულებაში.⁶⁸

⁶⁴ Val. Flacc., Argon. V, 455—462.

⁶⁵ Ovid. Heroid., XII, 89—48.

⁶⁶ იქვე, 53—66.

⁶⁷ Hyg. Fab., XXII.

⁶⁸ იქვე.

ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ აიეტის დაეალებებს წინ უსწრებს სხვა პირობა: მეფე სთხოვს იასონს დაეხმაროს ომში მისი ძმის — პერსეს წინააღმდეგ. ბერძნები ბრწყინვალედ ასრულებენ მეფის პირობას და აიეტს გამარჯვებას მოუპოვებენ. ახლა მეფე უფრო რთულ დაეალებას აძლევს სტუმარს — უნდა დასძლიოს მარსის ველზე ცეცხლისმფრქვეველი ხარები და მიწიდან აღმოცენებული მეომრები.⁶⁹ სიუჟეტის ამგვარი სახეცვლილება, ე. ი. ჯერ ომი, ხოლო შემდგომ მარსის ველზე გმირობა, მხოლოდ ვალ. ფლაკუსთან გვხვდება.

პელიოსის ვაჟთა შორის მტრობა ბერძნულ ლიტერატურულ წყაროებშიც არის მოხსენებული, მაგრამ ვალერიუს ფლაკუსი მას მხატვრულად აღწერს და არგონავტთა ლაშქრობას უკავშირებს. ბერძნულ მწერლობაში კი მხოლოდ ერთი მომენტი ნახსენებია. სახელდობრ, აპოლოდორესთან ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ კოლხმა მეფის ასულმა დახმარება აღმოუჩინა პერსეს მიერ ტახტიდან ჩამოგდებულ აიეტს და დაუბრუნა მას ძალაუფლება.⁷⁰ მსგავსი ვარიანტია დიოდორესთანაც, რომელიც გვიყვება ეგვესისაგან მედეასა და მედოსის კოლხეთში გაქცევაზე. იგი ამბობს, რომ უკანასკნელმა მოკლა პერსე, რადგან მან ძალით ჩამოაგდო ტახტიდან აიეტი და წაართვა ძალაუფლება. მედოსმა დაუბრუნა პაპას ყოველივე.⁷¹

ამ სიუჟეტის მსგავსი მოტივირება მოცემულია ჰიგინუსთან⁷² და ტაციტუსთან. უკანასკნელი მოგვითხრობს მედეასა და იასონის მიგრაციიდან დაბრუნების ამბავს და აღნიშნავს, რომ იასონი მედეასა და მისგან შეძენილ შვილებთან ერთად დაბრუნდა აიეტისეულ ცარიელ სასახლეში, უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან.⁷³

იასონისა და მედეას შერიგების და მედოსსა და არმენიოსთან ერთად მათი აღმოსავლეთში დაბრუნების, მათ მიერ მცირე აზიის მთელი რიგი ნაწილების დაპყრობის ამბავს ვხვდებით აგრეთვე იუსტინუსთან.⁷⁴

პერსესა და აიეტის დამოკიდებულებათა გამწვავებისა და ომში

⁶⁹ V. Fl. Argon., VII, 62—68.

⁷⁰ Apollod., Bibl., I, IX, 28 (6).

⁷¹ Diod. Bibl., hist. IV, 56.

⁷² Hyg. Fab., XXVII.

⁷³ P. Cornelius Tacitus. Annales, Lips., 1934, VI, 34.

⁷⁴ Iustin., XLII, 2—3.

გადაზრდის ეპიზოდს მეტად დიდი ადგილი უჭირავს „არგონავტიკაში“.⁷⁵

ამბის, როგორც თითქოსდა ისტორიული რეალობის, აღქმას ხელს უწყობს ავტორის მიერ მისი ეპიზოდებად დანაწილება „არგონავტიკის“ ცალკეულ თავებში. თხრობა მიმდინარეობს: ეპოსის შესაფერისად — დინჯად და ძირითადი მოტივის პარალელურად. ასე რომ, ჯერ პერსეს, შემდეგ აიეტისა და მისი ამბავი, ურთიერთობა, კონფლიქტური სიტუაციები მკიდროდ უკავშირდება მთავარ სიუჟეტურ მომენტებს.

ვალ. ფლაკუსს ეს ბრძოლა ისე აქვს აღწერილი, როგორც ეს ნამდვილად მომხდარ ისტორიულ ომს შეეფერება. ერთმანეთში შერწყმული ბატალური სცენები და კერძო მოვლენები სავსეა ეპიკური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ისტორიულ-ლიტერატურული ნიუანსებით, რაც ავტორის იშვიათ განსწავლულობასა და მისი წერის ხელოვნებაზე მიუთითებს. კალეიდოსკოპივით ცვლიან ერთმანეთს ტომთა ბელადნი, კოლხები, პერსე თავისი მეომრებით.

როდესაც არგონავტები პერსეს ამარცხებენ, ზოლო აიეტი პირობას არ ასრულებს და ბერძნებს სხვა მოთხოვნებს უყენებს, მედეა ეხმარება მათ — ამზადებს „ჯადოსნურ წამლებს“ „ჯადოსნური მიწნებისათვის“. „ჯადოსნურ“ მოტივებთან ერთად რომაულ ლიტერატურაში ისევე, როგორც ბერძნულში, დიდა ადგილი უჭირავს იასონისა და მედიას სიყვარულის თემას; ბერძენმა უფლისწულმა ხომ სწორედ სიყვარულის ძალით სძლია აიეტს. რომაულმა მწერლობამ მედეასა და იასონის სიყვარულის თემა ფართოდ გაახმაურა. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ოვიდიუსის შემოქმედებაში. პოეტი აცხადებს, რომ იასონს ეწერა ენახა ფაზისი, დაუფლებოდა ოქროს საწმისს, მაგრამ მარტო თვითონ ვერაფერს გახდებოდა.⁷⁶

მედეას უსტარი იასონისადმი მოიცავს გმირი ქალის განცდების მთელ სპექტრს. პოეტი მათი სიყვარულის ისტორიასთან ერთად გვაცნობს თქმულების შინაარსს — არგონავტების ყოფნას კოლხეთში, ოქროს საწმისისათვის იასონის ლაშქრობის ეპიზოდს.

ძირითადად ოვიდიუსი ბაძავს ბერძენ მწერლებს და, ვფიქრობთ, არ შეიძლება ნოვაციად მივიჩნიოთ სიუჟეტიდან ის უმნიშვნელო გადახრები, რაც მასთან გვხვდება. მაგრამ იმას, რასაც სეს-

⁷⁵ V. Fl. Arg. Lib, III, V, VI.

⁷⁶ Ovid. Her., XII, 11—24.

ხულობს, ბაძავს და იმეორებს ოვიდიუსი, მთლიანად უარყოფს ვალ. ფლაკუსი. ეპიკოსი პოეტი წინა პლანზე წამოსწევს იასონის ჰეროიკულ ნატურას, უანგარობას და სიმამაცეს. ვლ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ იასონის მიერ სამკურნალო საშუალებათა გამოყენება ისეა აღწერილი, როგორც საგმირო საქმეებისთვის აუცილებელი კომპონენტი. ხოლო რაც შეეხება მედეას წამლებს, აღსანიშნავია მათი სამკურნალო თვისებების უდიდესი მნიშვნელობა.

მედეას წამლებთან დაკავშირებით საინტერესოა მ. ს. შენგელიას მოსაზრება: „სიტყვები — „გრძნეული“, „მისანი“ და „ჯაღოქარი“ — მხოლოდ ავტორისეული ეპითეტებია მედეას მიმართ, თორემ, თუ თვით მედეას მოქმედებას დავაკვირდებით, არც ერთი წამალი მას ჯაღოსნური გზით არ მიუღია.

მცენარეთა, ბალახთა სამკურნალო მოქმედებების შესახებ მედეას არა მარტო „ზეციერთა ძალებმა“ შთააგონეს, არამედ ეს ძირითადად ხანგრძლივი მეცადინეობის, გამოცდილების, შეძენილი ცოდნის შედეგია. მედეასათვის ბავშვობიდანვე დედას და დას უსწავლებიათ სამკურნალო საქმე, წამლების დამზადება და მკურნალობის წესები“.⁷⁷

ყველაზე უებარი, საიმედო და ძლიერი სამკურნალო საშუალება აღმოჩნდება პრომეთეს სისხლით ნაკვები მარადმწვანე ყვავილისაგან დამზადებული წამალი. ვალ. ფლაკუსი ყვავილის ბუნებაზედაც მოგვითხრობს: იგი იმდენად გამძლეა და ძლიერი, რომ არასოდეს არ ქნება და ელვაც ვერ ერევა მას. თვითონ მისი სახელწოდება „Immortale virens“ — მარადმწვანე ყვავილი — მეტყველებს მის თვისებებზე. ავტორი აგვიწერს, თუ როგორი გაშმაგებით კრეფს ყვავილებს მედეა ღმერთის გასისხლიანებულ ნაკვალევს შორის. ამათა გმირის გმინვა; მიყენებული ტყვილი უკუმშავს მას სხეულის ნაწილებს და მთელი ბორკილები ირყევა. ასეთი წამლებით მოქმედებს უბედური ქალი თავისი სამეფოს წინააღმდეგ. ძლიერ აღელვებული მედეა უჩინარდება ბნელ ღამეში.⁷⁸

როგორც ვხედავთ, ვალ. ფლაკუსი მარადმწვანე ყვავილის იდგილსამყოფელს უკავშირებს კავკასიასა და პრომეთეს ისევე, როგორც აბ. როდოსელი.⁷⁹

⁷⁷ მ. ს. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი, 1980, გვ. 47.

⁷⁸ Val, Flacc. Argon., VII 349—372.

⁷⁹ Ap. Rodii., Argon., III, 843—868. об. М. Чяковани, Народный

აიეტის მოთხოვნათა შემსრულებელი იასონი ემსგავსება თავის ბერძნულ პროტოტიპებს ოვიდიუსისა⁸⁰ და ჰიგინუსის⁸¹ შემოქმედებაში, მაგრამ არა ვალ. ფლაკუსთან.

ჰიგინუსი პირდაპირ აცხადებს, რომ იასონი კოლხი მეფის ასულის მზრუნველობის წყალობით ყოველგვარი ხიფათისაგან იყო გათავისუფლებული.

ვალ. ფლაკუსი მოგვითხრობს, თუ როგორ აცილებენ არგონავტები დიდსულოვან გმირს, რომელიც ცდილობს მათ გამხნეებას, თუმცა თვითონ საშინელ განსაცდელს მოელის.

ავტორი იასონს იმდენად ძლიერად წარმოადგენს, რომ მარსს აღარებს, როდესაც მან გეტებზე მოიპოვა გამაოჟგვებ...⁸²

საბოლოო წინააღმდეგობა ოქროს საწმისის მოპოვების გზაზე არის დრაკონი. რომელიც ავტორები აქ ერთხმად მისდევენ პერძნულ ტრადიციას და დრაკონის მიძინებას მთლიანად მედეას დამსახურებად თვლიან. ჰიგინუსი ამბობს, რომ როცა დრაკონმა დაიძინა, იასონმა ტაძრიდან ოქროს საწმისი წაიღო და საბერძნეთში თან გაიყოლა მედეა.⁸³

ოვიდიუსი გვიამბობს დრაკონზე, რომელსაც ძილი არ ეკარებოდა და საშინელი სანახავი იყო: იგრიხებოდა და სისინებდა. მისი ცეცხლოვანი თვალების სიფხიზლე ჩააქრო მედეამ დასაძინებელი წამლით — *flammea subdixi medicato lumina somno*⁸⁴ და იასონმა ადვილად ჩამოხსნა მუხიდან ოქროს საწმისი.⁸⁵

იგივე ფაქტი — რომ მედეამ დახმარება აღმოუჩინა გმირს ოქროს საწმისის მოტაცებისას — გვხვდება ოვიდიუსის „ჰეროიდების“ VI ეპისტოლეში.⁸⁶

აღსანიშნავია, რომ დრაკონის ეპიზოდს ოვიდიუსი წარმოგვიდგენს უფრო სხვაგვარად, ვიდრე ჰიგინუსი და ვალ. ფლაკუსი. ნაზონთან ოქროს საწმისის მოპოვება იმ მოთხოვნებში შედის, რომლებსაც აიეტი წარუდგენს იასონს.⁸⁷ მსგავს ვერსიას ვხვდებით პინ-

⁸⁰ Ov. Her., VI, 10—12; 32; 99—104; XII, 93; Metam. VII, 100—143.

⁸¹ Hyg. Fab., XXII.

⁸² V. Flacc. Arg., XII, 556—645.

⁸³ Hyg. Fab., XXII.

⁸⁴ Ovid. Heroid., XII, 107.

⁸⁵ იქვე, 108.

⁸⁶ Ovid. Heroid., VI, 13—14.

⁸⁷ იქვე, XII, 48—50.

დარესთან. ამაზევეა მოთხრობილი „მეტამორფოზებშიც“, სადაც ნათქვამია, რომ იასონს ერთი პირობა დარჩა შეასარულებელი — დაეძინებინა ფხიზელი გველი — (*Pervigilem superest herbis sopiro draconem*), რადგან ის ოქროს საწმისს ედგა დარაჯად. იასონმა სამგზის ასხურა მას სპეციალური წამალი, სამგზის წარმოთქვა ტყბილი ძილის მომგვრელი სიტყვები და დააძინა საშინელი დარაჯი, რის შემდეგაც ჩამოიღო ოქროს საწმისი და მასთან ერთად მედეაც გაიყოლა თან საბერძნეთში.⁸⁸

ვალ. ფლაკუსთან იასონი და მედეა ერთად მიდიან დრაკონთან ოქროს საწმისის მოსაპოვებლად. მოთხრობილია, თუ როგორ ხედავს გმირი ვაჟკაცი ღამით აღისფერ სხივთა ლივლივს და როგორ იგებს მედეასაგან, რომ ესაა დრაკონი, რომელიც თავისკენ იხმობდა ქალს და სთხოვდა საკვებს. მედეა სთავაზობს იასონს საწმისის მოტაცების ორ ხერხს: ან ძალით, ან დაძინებით. ქალის სიძლიერით გაოცებული გმირი პასუხად ღუშს. მედეა ლოცვით და წამლებით აძინებს დრაკონს, რის შემდეგაც მოუწოდებს იასონს ჩამოხსნას ოქროს საწმისი. ბერძენი უფლისწული ადის გველის ზურგზე, შემდეგ — ციკაბო კლდეზე, საიდანაც წვდება ტოტებს და ხსნის ჩამავალი მზის სხივებით ანთებული ღრუბლის მსგავს ოქროს საწმისს, ჩამოტანილს ფრიქსეს მიერ მრავალი წლის უკან. ამ მნიშვნელოვან მომენტში, ფლაკუსის მიხედვით, ხემ ამოიკვნესა და ყოველივე წყვილიაღმა შთანთქა.⁸⁹

მედეამ რომ დრაკონი დააძინა, ამის შესახებ „მედეაში“, მოგვითხრობს დრაკონციუსი, რომელიც „თქმულებას მთლიანად ასხვაფერებს იფიგენიასა და ორესტეზე თქმულების მიხედვით.“⁹⁰ ამ ნაწარმოებში იასონს ეხმარება ჰერა აფროდიტესა და ამურთან ერთად, რათა მედეამ ძსხვერპლად არ შესწიროს უცხოელი (უცხოქვეყნელთა მსხვერპლად შეწირვის ვარიანტის გამეორებაა); არ ჩანს არავითარი მოთხოვნა აიეტის მხრიდან იასონის მიმართ. უკანასკნელი, ფრიქსეს მსგავსად, ცოლად ირთავს კოლხი მეფის ქალიშვილს და თითქოს ბედნიერი უნდა იყოს. მაგრამ მისი ნატვრაა ოქროს საწმისის მოპოვება და სამშობლოში დაბრუნება. იასონი და მედეა მოიტაცებენ ოქროს საწმისს და საბერძნეთში გარბიან, ე. ი. დრაკონ-

⁸⁸ Ovid. *Metamorph.*, VII, 149—158.

⁸⁹ V. Fl. *Arg.*, VIII, 54—116.

⁹⁰ იხ. RE, 767.

ციუსი ბერძნული წყაროებიდან იმ ვარიანტს იზიარებს, რომ იასონისადმი მეგობრულად განწყობილი აიეტი თავისი ნებით მიათხოვებს მას ქალიშვილს.

XVI. არგონავტების დაბრუნება სამშობლოში. აიეტისა და აფსირტეს დადევნება.

რომაულ ლიტერატურაში არგონავტების სამშობლოში დაბრუნების იგივე მარშრუტია ნაჩვენები, რაც ბერძნულ მწერლობაში. არგონავტებმა რომ შეცვალეს თავიანთი მარშრუტი, ე. ი. დაბრუნდნენ სხვა გზით, და არა იმით, რომლითაც ჩამოვიდნენ კოლხეთში, მოგვითხრობს ვალ. ფლაკუსი. არგონავტთა მესაქე — ერგინუსი შეახსენებს იასონს, თუ რა საფრთხეს ქმნიან მოგზაურთათვის კიანეს კლდეები და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზღვას სხვა გზა უნდა ჰქონდეს, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათი მგზავრობა: აქედან ახლოს ზღვა უერთდება ისტროსს, რომელსაც შვიდი დინება აქვს. ისტროსით ცურვისას, რომელიც ფართო მდინარის სახით უერთდება ზღვას მარცხენა მხრიდან, არგონავტები მიადგებიან შავ ზღვას. ისტროსი უერთდება სხვა ზღვას და ამიტომ, ერგინუსის აზრით, უკეთესია მგზავრობა ამ გზით. მესაქემ, ცხადია, არ იცოდა, რომ კლდეები სამუდამოდ უძრავად დარჩნენ. იასონი და თანხმდა მარშრუტის შეცვლაზე და გამოთქვა სიხარული, რომ ახალ ქვეყნებს გაეცნობოდნენ.⁹¹ არგონავტების მარშრუტზე ვიგებთ პომპეიუს ტროგუსთანაც. როდესაც კოლხებმა გაიგეს მედეასა და ბერძნების გაქცევის ამბავი და გამოუდგნენ მათ, ისინი შევიდნენ პონტოდან ისტროსში, იქიდან — სავას კალაპოტში, მთებზე გავლით მხრებით გადაიტანეს თავისი ნაგები აღრიატიკის ზღვამდე, რადგან გაიგეს, რომ არგონავტები ზუსტად ასე მოიქცნენ.⁹²

ჰიგინუსის მიხედვით, აიეტი ამზადებს ხომალდს და აგზავნის აფსირტეს შეიარაღებული თანამგზავრებით, რომ დაეწიოს მათ.⁹³

ვალ. ფლაკუსის მიხედვით, როდესაც აიეტი იგებს მედეას ღალატს, სასწრაფოდ კრებს კოლხთა რაზმებს, აფსირტეს მეთაურობით ამზადებს ნაგებს და მთელ ქალაქს ფეხზე აყენებს. იგი იერიწყებს თავის ზანდაზმულობას და სხვებთან ერთად მირბის ზღვისკენ, რომ მოუწოდოს მედეას დაბრუნდეს უკან.⁹⁴

⁹¹ Val. Flacc. Argon., VIII, 177—202.

⁹² Pompeius Trogus, Hist. Philip., Lib., XXII.

⁹³ Hyg. Fabul., XXIII.

⁹⁴ Val. Flacc. Argon., VIII, 134—174.

მდევნელთა შორის ვ. ფლავუსი ასახელებს არგოსს⁹⁵ და მედეას საქმროს — სტირუსს.⁹⁶ იგი, მედეასადმი რომ თავისი სიყვარული დაამტკიცოს, მზადაა მსხვერპლად სიცოცხლე შესწიროს. მას სურვილი აქვს მარტო შეებრძოლოს იასონს და დაუმტკიცოს მედეას; რომ მისი ღირსია.

თავის მხრივ აფსირტეც ეძებს, მაგრამ არა და არ ჰიეცა არგონავტებზე თავდასხმის შესაძლებლობა.⁹⁷

რაც შეეხება გადარჩენილ კოლხებს, მათ მიაღწიეს კუნძულ პეკას, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა.⁹⁸ აქვეა არგონავტების გემიც, მაგრამ კოლხებს მათზე თავდასხმაში ხელს უშლიდა ქარიშხალი, რომელიც იუნოს ნებით ამოვარდა, რათა აეცილებინა სისხლის ღვრა.⁹⁹ ბერძნები და კოლხები კუნძულის სხვადასხვა ნაწილში იმყოფებოდნენ, ქარიშხალი ფარავდა მათ ერთმანეთისაგან.

აფსირტეს ტრაგიკული აღსასრულის ამბავი მოთხრობილია მრავალ რომაელ ავტორთან.

ციცერონს მოაქვს ნაწყვეტი (მაგრამ არაა დასახელებული საიდან) ეპიკური ნაწარმოებიდან მედეას შესახებ, რომელმაც ღვიძლი ძმის სიცოცხლე შესწირა, რომ თავი დაეხსნა კოლხი მდევრებისაგან.¹⁰⁰ მედეას მიერ ძმის მოკვლის შესახებ ამბობს ციცერონი სიტყვაში „De imperio cu. Pompeii ad quirites oratio“ და აღნიშნავს, რომ იმ ადგილას, სადაც მამა წამოეწია მედეას, მან მიმოაბნია ძმის სხეულის ნაწილები: უბედური მშობელი შეფერხდებოდა და ისეთი სისწრაფით ვეღარ გამოედევნებოდა.¹⁰¹ საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში ავტორი იმეორებს ბერძნული ლიტერატურიდან აპოლოდორეს ვერსიას, რომლის მიხედვითაც, აფსირტე მედეასთან ერთად ბერძნებთან იმყოფებოდა. იმავე ვერსიას ითვალისწინებს ოვიდიუსი „Tristia“-ს III წიგნში, სადაც მოგვითხრობს, თუ რატომ დაერქვა აფსირტეს მკვლელობის ადგილს ტომოსი, ანუ ტომე. პოეტი ამბობს. რომ მედეამ გადაწყვიტა ვერაგობით დაეყოვნებინა

⁹⁵ Val. Flacc., Argon., VIII, 295.

⁹⁶ იქვე, 296.

⁹⁷ იქვე, 369—372.

⁹⁸ იქვე, 375—376.

⁹⁹ იქვე, 378—384.

¹⁰⁰ Cicero, De natura deorum, Academia, Cambr., Mass., Lond. MCMLXI, გვ. 350

¹⁰¹ Cicero, Orationes, Rec. A. C. Clark, Oxonii, 9, 22.

მამა და ამ მიზნისთვის ამოირჩია იქ მყოფი ძმა. მას გული ხმლით გაუპო, მისი სხეული ნაწილებად დაჭრა და მიწდორში მიმოაბნია. მამა რომ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე, მაღალ კლდეზე ძმის თავი და ხელები გაპოფინა. მისი მიზანი იყო კოლხები დაყოვნებულყვნენ სხვადასხვა ადგილას აფსირტეს სხეულის ნაწილების შეკრებისას. პოეტი ასკენის, რომ სწორედ ამიტომ ეწოდა ამ ადგილს ტომე, რადგან, გადმოცემის მიხედვით, დამ თავისი ძმა ნაჭრებად აკუწა.¹⁰² ოვიდიუსი ქ. ტომეს ეტიმოლოგიას ხსნის ბერძნული ზმნით — τῆμυα — დაჭრა¹⁰³.

„Ibis“-ში ოვიდიუსი კვლავ ლაპარაკობს მედეას მიერ მოკლული აფსირტეს სხეულის ნაჭრებზე, რომლებმაც დააყოვნეს მამის დევნა.¹⁰⁴ მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ოვიდიუსის მიხედვით, არგონავტები მედეასთან ერთად შეხვდნენ სიმპლეგადებს სახლში დაბრუნებისას. ამ ინფორმაციას გვაწვდის თვითონ გმირი — ქალი, როდესაც ის, იასონისადმი მიწერილ წერილში, გამოხატავს სინანულის გრძნობას, რატომ კლდეებმა არ გასრისა ორივე მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის. მოხსენიებულია აგრეთვე სკილა და ქარიბდა, რომლებსაც მშვიდობიანად აუარეს გვერდი; შემდგომ — თესალიის მიწა, რომელსაც სიამაყის გრძნობით აღსავე იასონმა მიაღწია.¹⁰⁵

ჰიგინუსი ასახავს სხვა ვერსიას, რომლის მიხედვითაც, აფსირტე მოკლა იასონმა მინერვას კუნძულზე.¹⁰⁶ ის წერს, რომ აფსირტესთან ერთად მოსული კოლხები აიეტის რისხვას გაერიდნენ, დარჩნენ იქ და დააარსეს ქალაქი, რომელსაც აფსირტეს სახელის გამო აბსორიდოსი უწოდეს. ადგილსამყოფელი კუნძულისა, რომელსაც აფსირტეს სახელი ერქვა, არის ისტრიაში, პოლას მოპირდაპირედ.¹⁰⁷

ჰიგინუსის ნაწარმოების სქოლიოებში აღნიშნულია, რომ Apso-ros — ეს არის თანამედროვე ოსერო — კუნძული აფსირტიდის

¹⁰² Ovid., Tristia, III, 9, 1—34.

¹⁰³ SC, II, 229, შდრ. აგრ. О. Дримба, Овидий поэт Рима и Том, Бухарест, 1967, стр. 222.

¹⁰⁴ Ovid, Ibis. გვ. 286.

¹⁰⁵ Ovid. Her., XII, 119—128.

¹⁰⁶ Hyg., Fab., XXIII.

¹⁰⁷ იქვე, „Absyrtus“

კუნძულთა ჯგუფში, ისტრიას ნახევარკუნძულებთან ახლოს, ვენეციის უბესთან.¹⁰⁸

ლუკანუსი კი ინფორმაციას გვაწვდის მდინარე აფსირტეზე, რომელიც აქაფებს ზღვას.¹⁰⁹ იგი ლაპარაკობს არგოზე, რომელმაც პირველად დაკვალა ზღვა და ძველს ახალი სიკვდილიც მიუმატა,¹¹⁰ ე. ი. აქ იგულისხმება აფსირტეს სიკვდილი. „ფარსალიის“ X თავში პოეტი შედარებისათვის იყენებს იმ ამბავს, როცა მედეა მზად იყო აფსირტეს მკვლელობისათვის: ასე იცდიდა ქალი ზმლით ხელში, რომ ძმისთვის თავი მოეკვეთა.¹¹¹

მედეას მიერ აფსირტეს მკვლელობის ამბავი მრავალჯგონის მოხსენიებულია სენეკას „მედეაში“, სადაც ქალი საყვედურობს უმადურ მეუღლეს და ნანობს, რომ მისთვის ამდენი ბოროტება ჩაიდინა.¹¹²

ტროგუსი მოგვითხრობს აკვილევასთან კოლხების დასახლებაზე; ისინი გამოედევნენ არგონავტებს და დარჩნენ იქ, — მიიღეს ისტრების სახელწოდება იმ მდინარის სახელის მიხედვით, რომლითაც ზღვისკენ ავიდნენ.¹¹³

იასონისა და მედეას აფსირტესთან შეხვედრის ეპიზოდზე მინიშნებულია ოვიდიუსის „ჰეროიდებშიც“.

საყურადღებოა გაიუს პლინიუს სეკუნდუსის ინფორმაცია იმ ქალაქების შესახებ, რომლებიც კოლხებმა დააარსეს. ავტორი ასახელებს პოლას კოლონიას.¹¹⁴

დასახლებულია ქალაქი ოლკინიუმი, რომელსაც უწინ კოლხებმა კოლხინიუმი დაარქვეს¹¹⁵ არგონავტების დევნის დროს.¹¹⁶

პლინიუს სეკუნდესი აგრეთვე ასახელებს კოლხების მიერ დაარსებულ ქალაქ ორიკუმს (Oricum), რომელიც მდებარეობს ილირიის ნაპირზე.¹¹⁷

¹⁰⁸ SC, II, 207.

¹⁰⁹ Lucan. De bellī civili, Cambr., Mass. London, MCMLI, III, 190—191.

¹¹⁰ იქვე, III, 196—197.

¹¹¹ იქვე, 464—467.

¹¹² Seneca, Medea, MCMLX, 133; 278; 455, 919 ff და სხვა.

¹¹³ Trogi Hist. Philip., Liber., XXXII, 13—15.

¹¹⁴ G. Plinius Secundus, Naturalis historia, Borolini, 1866, Lib. III, 123.

¹¹⁵ იქვე - III, 144.

¹¹⁶ SC, II, გვ. 275.

¹¹⁷ Plin. Sec., NH, Lib., III, 145.

XVII. რაც შეეხება არგონავტების მგზავრობის შემდგომ პუნქტს, ანუ თავგადასავალს დასავლეთის ზღვებში, რომაული ლიტერატურა არ გვაწვდის დაწვრილებით ინფორმაციას მათი საბერძნეთში დაბრუნების მარშრუტის თაობაზე. დასავლეთის ზღვებში მომხდარი ზოგიერთი თავგადასავლის შესახებ ცნობას ვხვდებით ჰიგინუსის, ოვიდიუსისა და სხვათა შემოქმედებაში. ჰიგინუსთან¹¹⁸ ასახულია აპოლოდორეს ვერსია ორფეუსის მიერ ბერძნების გადარჩენისა, თავისი სიმღერით რომ ჩაახშო სირინოზების ხმები.

არგონავტების მიერ სკილასა და ქარიბდას შორის გავლასა და მასთან დაკავშირებულ ხიფათზე ინფორმაციას ვხვდებით ოვიდიუსის ნაწარმოებებში — „მეტამორფოზები“ და „ჰეროიდები“.¹¹⁹

ინფორმაცია არგონავტების სახიფათო კლდეებთან შეხვედრაზე შემონახულია კატულუსთან.¹²⁰

რომაულ მწერლობაში ასახულია ალკინოეს სამეფოში კოლხების ბერძნებთან შეხვედრის ეპიზოდი. ჰიგინუსი მოგვითხრობს, თუ როგორ სდევდა აფსირტე შეიარაღებული რაზმით არგონავტებს აღრიატიკის ზღვაში (ისტროსით), დასახელებულ სამეფომდე. შემდგომ, თავისი ბერძენი წინამორბედების მსგავსად, რომელი ავტორი გადმოგვცემს ალკინოეს გადაწყვეტილებას მედეას კოლხებისათვის დაბრუნების შესახებ, თუ იგი ჭერხნობით არ იყო შეუღლებული იასონთან და შემდგომ — როგორ მოაწყო არეტემ ფარულად სტუმრების ქორწინება.¹²¹

XVIII. მრავალი განსაცდელი გადახდათ თავს არგონავტებს ლიბიაში. აქ ეწერათ მათ საუკეთესო თანამგზავრთა დაკარგვა. ჰიგინუსი მოგვითხრობს, როგორ დაიღუპა კანთოსი კეფალეს ხელით.¹²² კანთოსს რომ დაღუპვა ეწერა, ამაზე ნათქვამია ვალ. ფლაკუსთანაც.¹²³

მეორე არგონავტის — მოფსოსის გველის კბენისგან დაღუპვის ამბავს, აპ. როდოსელის ვერსიის შესაბამისად, ვხვდებით ჰიგინუსთან იმავე XIV ფაბულაში, რომელშიც ის ევრიბატეს სიკვდილს გვატყობინებს.

¹¹⁸ Hyg. Fab., XIV.

¹¹⁹ Ovid. Metam., VII, 62..., Heroid., XII, 121...

¹²⁰ Catulli Veronensis, Carmen 64, Akademie Verlag, Berlin, 1963

¹²¹ Hyg. Fab., XXIII.

¹²² ოქვე, XIV.

¹²³ V. Flacc. Arg., VI, 317.

XIX. რომაულმა ლიტერატურამ ასახა ის ამბებიც, რომლებიც მოხდა არგონავტების საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ.

იოლკოსში იასონი სთხოვს მედეას გაახალგაზრდავოს მისი მამა. ესონის გაახალგაზრდაების ეპიზოდი, ასახული „მეტამორფოზებში“, ¹²⁴ მრავალმხრივია საინტერესო: მხატვრული. ესთეტიკური, ინფორმაციული, აგრეთვე ჰუმანურობისა და იმ გარკვეულ რიტუალზე ¹²⁵ დაკვირვების თვალსაზრისით, რომელიც დაკავშირებულია გარდაქმნებთან, ე. ი. მეტამორფოზებთან. აღნიშნული პასაჟი საინტერესოა და საყურადღებო რიტუალისა და მითის ურთიერთკავშირის პრობლემის კვლევის მხრივაც. ¹²⁶

ოვიდიუსი პელიასის „გაახალგაზრდაების“ ეპიზოდსაც გვიჩვენებს. იგი ყველაზე მუქ ტონებს არჩევს საკუთარი ქალიშვილების ხელით ვერაგი მეფის მკვლელობის აღწერისას. მედეას შურისძიება უფრო სასტიკია, ვიდრე პელიასის ხრიკები იასონის მიმართ; შორეული მგზავრობა, რომელიც ბერძენი უფლისწულისთვის მისი მეუღლის — მედეას წყალობით ასე კეთილად დამთავრდა, საბედისწერო აღმოჩნდა პელიასისათვის: კოლხმა მეფის ასულმა სასტიკად იძია შური იასონის მაგიერ. ¹²⁷

პელიასის მიერ იასონის ძმის მკვლელობაზე მოგვითხრობს ვალ. ფლაკუსი პოემის I სიმღერის ¹²⁸ იმ მომენტში, როდესაც არგონავტები ტოვებენ საბერძნეთის ნაპირებს და მიემართებიან კოლხეთისაკენ. ბრაზმორეულმა ვერაგმა მეფემ მკვლელობა ჩაიდინა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ რომაელი ავტორი ეყრდნობოდა დიოდორესა და აპოლოდორეს ვარიანტს. ვალ. ფლაკუსი მოგვითხრობს, რომ ესონს მხსხვერპლშეწირვის დროს ხარის სისხლი დააღევიწეს. ¹²⁹

ჰიგინუსის მიხედვით, რომელიც ამ შემთხვევაში დიოდორეს ვერსიას მისდევს, პელიასზე შურისძიების შემდეგ იასონმა ძალაუფლება იოლკოსში პელიასის ვაჟიშვილს — პელიადების ძმას — აკასტეს გადასცა. ¹³⁰ მედეას მიერ პელიასის მკვლელობის მოტივი,

¹²⁴ Ovid, Met., VII, 162—293.

¹²⁵ იქვე, VII, 180—192; 257—261.

¹²⁶ იხ. G. S. Kirk., The nature of Greek myths, 1976.

¹²⁷ Ovid. Metam., VII, 297...

¹²⁸ Val. Flacc. Argon., I, 700—710.

¹²⁹ იქვე, 774—822.

¹³⁰ Hyg., Fab., XXIV.

რომლის მიხედვითაც მის ქალიშვილებს მამა ნაწილებად ააქუწვინა, გეხვდება სენეკასთან.¹³¹

პელიასის მკვლელობის შემდეგ მფრინავი ღრაკონებიანი ეტლით მელეას გაქცევის სცენა ხაირფეოვონადაა აღწერილი. „მეტამორფოზებში“¹³² ავტორი გვიამბობს, როგორ გათხოვდა კოლინი მეფის ასული ეგეოსზე, რომ მან ჩააფიქრა თეზევსის მოკვლა; ლაპარაკია მეუღლესთან მომხდარ კონფლიქტზე, რის გამოც მელეა იძულებული გახდა თავშესაფარი სხვაგან ეძებნა.¹³³

ჰიგინუსთან იასონი იღუპება კრეუზასა და კრეონტთან ერთად.¹³⁴ იასონი და მელეა პელიასის მკვლელობის შემდეგ ხელებიან კორინთში. შემდგომ მელეა, როდესაც მას იასონი ტოვებს კრეუზას გამო, უგზავნის მეტოქეს მოწამლულ გვირგვინს, რის შედეგადაც იღუპებიან კრეონტის ქალიშვილი, თვითონ მეფე და იასონი. განრისხებული მელეა შურს შეილებზეც იძიებს — კლავს მერმეროსსა და ფერეტს, და კორინთოდან გარბის.¹³⁵

კორინთში მელეას შურისძიების შესახებ მოგვითხრობენ ოვიდიუსი და სენეკა.

შემდგომ, ჰიგინუსის მიხედვით, მელეა კორინთოდან მიდის ათენში, სადაც თხოვდება ეგეოსზე და შობს ვაჟს — მედოსს, მაგრამ, არტემიდეს ქურუმთან კონფლიქტის გამო, იძულებულია დატოვოს ქალაქი.¹³⁶

ათენიდან მელეა ხვდება კოლხეთში, სადაც იმყოფება მისი ვაჟი — მედოსი. უკანასკნელმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკლა პერსე და პაპას ტახტი დაუბრუნა, აგრეთვე გაუფართოვა სამეფოს საზღვრები (XXV—XXVII).

პერსეზე აიეტის გამარჯვების შესახებ მოგვითხრობს ვ. ფლაკუსი.

ამგვარად, მართალია, რომაული მწერლობა ძირითადად მისდევს ბერძნულ მოდელს არგონავტების თქმულებაზე ინფორმაციის გადმოცემისას, მაგრამ არცთუ იშვიათად უხვევს ამ სქემიდან და თანაც საინტერესოდ წარმოგვიდგენს ამბებს. იბადება კითხვა: რაოდენ

¹³¹ Seneca, Medea, ed. Miller, Cambr., Mass., Lond., გვ 268.

¹³² Ovid, Metam., VII.

¹³³ იქვე, 402—455.

¹³⁴ Hyg., Fabul., XXV.

¹³⁵ იქვე.

¹³⁶ იქვე, XXVI.

თვითმყოფადია რომაული მწერლობა არა მხოლოდ არგონავტების თქმულების მთლიანი ციკლის, არამედ ცალკეული მოტივების, კოლხეთთან დაკავშირებული თემის და გმირების სახეთა გააზრებაში? შეიძლება თუ არა იმის მტკიცება, რომ რომაულ ლიტერატურაში ასახული კოლხეთი საგრძნობლად განსხვავდება ბერძნულ ლიტერატურაში ასახული კოლხეთისაგან როგორც რაღაც მხატვრული სიმბოლო, რომ კოლხი გმირების სახეები, რომაული ინტერპრეტაციით, არსებითად განსხვავდებიან ბერძნული პროტოტიპებისაგან და, ბოლოს, შეიძლება თუ არა ვილაპარაკოთ, რომ ბერძნული და რომაული ლიტერატურები განსხვავებულია კოლხური თემატიკის გამოყენებისას ლიტერატურის ცალკეული ქანრების ფარგლებში?

**რომაულ ლიტერატურაში კოლხეთის თემის
ვაიკური ღაფუზავებისათვის**

რომაული ეპოსი გარკვეული მიმართებით ავითარებს ბერძნული ეპოსის ტრადიციებს. მაგრამ, როგორც უკანასკნელ დროს მკვლევარნი აღნიშნავენ, აქ საქმე გვაქვს ეპიკური აზროვნების განვითარების ახალ საფეხურთან. თავად რომაულ ეპოსში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება, რომლებსაც ერთ შემთხვევაში მივყავართ რომაული ეპოსის კლასიკურ ფორმამდე (ვერგილიუსი), მეორეში — ეპოსის ფორმამდე, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ანტიეპოსს უწოდებს (ოვიდიუსი), მესამეში — სინთეზურ ფორმამდე ეპოსის ზოგადი მონახაზებით (დრაკონციუსი).

კლასიკურმა ეპოსმა თავისი განსახიერება პოვა „თავ-ს „ნანამედროვე ცხოვრების მტაცებლური პოლიტიკის აპოლოგეტიკოსის“, მაგრამ იმავე დროს „თავისებური რომანტიკოსის“¹ — ვერგილიუსის შემოქმედებაში. მის „ენეიდაში“ ჰომეროსისებური სრულყოფა იგრძნობა². აქ გათავისებულია რომის მითოლოგიური წარსული ფაქტიურ ისტორიულ მასალებთან ერთად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილია ეპიკური ინტეგრაციის რთული ამოცანა.

ვერგილიუსი წარმოგვიდგება ნოვატორად; „რომაული ლიტერატურის ჰომეროსი“ აძლიერებს ეროვნულ ნაკადს. იგი, ე. წ. პატრიოტული ეპოსის ფუძემდებელი, თვლიდა, რომ სწორედ რომს უნდა ემართა მსოფლიო“³. „ოქროს საუკუნის“. პოეტთა უდიდესი წარმომადგენლის ეს დებულება დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს შემდგომ რომაელმა მწერლებმა, რომელთაც შექმნეს მალა-

¹ ს. გ. ყაუხჩიშვილი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 399.

² Willy Schetter, Das römische Epos. წიგნში: Römische Literatur herausgegeben von M. Fuhrmann, Neues Handbuch der Literatur Wissenschaften, Frankfurt am Main, 1974, გვ. 71.

³ Вергилий, Энеида, пер. С. Шервинского, Москва, 1971, с. 24.

მხატვრული, ორიგინალური ნაწარმოებები, სადაც რეალური სინამდვილე მითოლოგიურთან, წარსული — მომავალთან სინთეზში წარმოგვიდგება და სადაც ძირითადია მმართველის იდეალიზაცია. ვერგილიუსი აგრძელებს ეპიკური ჟანრის ტრადიციებს, რაციონალურად იყენებს ბერძენი ხალხის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ბრწყინვალედ ართმევს თავს იმ მაღალ პოეზიულობას, რასაც რომაული საზოგადოება ნაციონალური ეპოსის შემქმნელს აკისრებდა. იგი ძველ, ლეგენდარულ სიუჟეტებს აქტუალურ ელემენტებს ანიჭებს და ქმნის თვისობრივად ახალ, ორიგინალურ ეპიკურ ნაწარმოებს. თუმცა მასთან სეკამჩნეცია არა მარტო ჰომეროსის, არამედ სხვა ბერძენ ეპიკოსთა გავლენაც. ამაზე მეტყველებს ვერგილიუსისა და აპ. როდოსელის სიუჟეტური ნათესაობა, რომლის „არგონავტიკაც“ თქმულების სიუჟეტის გადმოცემის თვალსაზრისით დაკანონდა და მერმინდელი მითოგრაფიის უპირატესი დასაყრდენი გახდა.⁴

მკითხველი საზოგადოების თვალში აპოლონიოსი არგონავტებზე საგის ძირითად წყაროდ იქცა; მას კითხულობდნენ და სწავლობდნენ საუკუნეების განმავლობაში. ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი პაპირუსების მიხედვით, რომლებიც მისი პოემის ნაწყვეტებს შეიცავენ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეგვიპტის ბერძენებისათვის თითქმის ჩვ. წ. VII საუკუნემდე იგი ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი იყო. მაგრამ ის არ დაუფიწყნია მომდევნო საუკუნეებსაც. ეს დასტურდება შუა საუკუნეების იმ ხელნაწერებით, რომლებმაც შემოინახეს პოემა მთლიანობაში, აგრეთვე მისი დიდებული სქოლიონებით, რომლებიც უძველესი სამყაროს მეცნიერთა „არგონავტიკაზე“ ინტენსიური მუშაობის შედეგი იყო.⁵

უნდა აღინიშნოს, რომ ვერგილიუსი დიდადაა დავალებული აპ. როდოსელისგან. ვერგილიუსის „ენეიდის“ ბევრი ადგილი გადმოღებულია „არგონავტიკიდან“, ხოლო. ენეასისა და დიდონას რომანი აღწერილია აასონისა და მედეას სიყვარულის მსგავსად.⁶ ვილი შეტერი შენიშნავს, რომ „ენეიდაში“ თავი იჩინა არა მარტო

4 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 14.

5 Ap. Podoskij, Аргонавтика, перевод Г. Ф. Церетели, Тбилиси, 1964, გვ. 15.

6 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 58

„ილიადის“ ზეგავლენამ, არამედ პომპროსის შემდგომი პერიოდის ბერძნულ-რომაული ეპოსის მნიშვნელოვანმა ნიშნებმაც, და ხაზს უსვამს, რომ ნაწარმოებში ვხვდებით რემინისცენციებს აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკიდან“, კერძოდ, ეს ვლინდება დიდონას მგზნებარე სიყვარულის აღწერისას⁷

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ დიდონას სახე შექმნილია მედეას სახის გავლენით და რომ კართაგენის დედოფლის სასიყვარულო განცდები ძალიან ჰგავს კოლხეთის მეფის ასულის განცდებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი გაცილებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.⁸

კოლხეთის თემის მრავალმხრივ ასახვას, მისდამი ღრძა ინტერესს, ვხვდებით ეპიკური ჟანრის ტრადიციების გამგრძელებელ ოვიდიუსთან.

არგონავტების თქმულებიდან კოლხეთთან დ კაჴირებულ ეპიზოდის დამუშავებისას „მეტამორფოზების“ VII წიგნში ოვიდიუსი, შესაძლებელია, სარგებლობს მრავალი პირველწყაროთი, მაგრამ იგიც უპირატესად ეყრდნობა აპ. როდოსელის ნაწარმოებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „მედეას სახის შედარებისას აპოლონიოს როდოსელთან და ოვიდიუსთან — „მეტამორფოზებში“ მკვლევარები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ რომაელი პოეტი მასალას განალაგებს რომაელთა მაღალი ეპოსის მხატვრული სტრუქტურის შესაბამისად.“⁹

მაგრამ იმავე დროს, ჩვენ არ უარყოფთ მის შემოქმედებაზე „არგონავტიკის“ ზეგავლენას, მით უმეტეს, რომ იგი იცნობდა და მაღალ შეფასებას აძლევდა დასახელებული ნაწარმოების ტერენციუს ვარონ ატაციუსისეულ თარგმანს ლათინურ ენაზე,¹⁰ რომელიც ყველამ ბრწყინვალე თარგმანად ცნო.¹¹

ვ. ატაციუსი, რომელიც სახელგანთქმულია უფრო „არგონავ-

⁷ Willy Schetter, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

⁸ An. Родосский, Arg., Пер., Церетели, გვ. 15.

⁹ В у л и х Н. В., Мировоззрение и художественный стиль Овидия, Автореферат дисс. на соис. уч. ст. докт. фил. наук, Л. 1977, გვ. 5.

¹⁰ P. Ovidius Naso, Heroides and Amores, Lib. I, XV, 21—22.

¹¹ M. Fabii Quintilliani Institutionis oratoriae, Cambr., Mass., Lond., 1958, L. X, 87.

ტიკის“ თარგმანით,¹² ვიდრე საკუთარი ნაწარმოებებით, ფაქტიურად შემაერთებელი ხიდია, რომელმაც აპოლონიოს როდოსელი დააკავშირა რომაელ ეპიკოს პოეტებთან მათ წინაშე მისი პოემის მთელი ბრწყინვალეობისა და ღირსების წარმოჩენით. ოვიდიუსმა თავის შემოქმედებაში დიდი ადგილი დაუთმო კოლხეთის თემას, — მას სულ სხვადასხვა უნარის ნაწარმოებები მიუძღვნა (ტრაგედია „მედეა“, „ჰეროიდები“ და ა. შ.). ეს თემა ეპიკურად დაამუშავა „მეტამორფოზებში“.

ამ უნივერსალურ პოემაში,¹³ რომელიც ანტიკლასიკური ხასიათისაა და გრანდიოზულ მასალას მოიცავს (კოსმოსის შექმნიდან ავგუსტუსის საუკუნემდე),¹⁴ ადგილი აქვს დათმობილი არგონავტთა ამბებსაც. აქ მოთხრობილია, თუ როგორ მიადწია მრავალტანჯულმა იასონმა კოლხეთს, როგორ წარუდგა აიეტს მოთხოვნით — გადევცა მისთვის ფრიქსეს ოქროს საწმისი.

მდიდარი წარმოსახვის უნარისა და სიტყვაკაზმულობის წყალობით ოვიდიუსი ოსტატურად ქსოვს თქმულების პოეტურ ქარვას. ვაღმოგვეცემს მითისთვის ტრადიციულ პერიპეტეებს და ლაკონურად გვიამბობს, როგორ ჩაფიქრდა იასონი, როცა აიეტმა მძიმე პირობები წაუყენა ოქროს საწმისის მოპოვებისათვის. მოთხრობილია აგრეთვე იასონისადმი მედეას ყოვლისშთანთქმელ გრძნობაზე, დასმარებაზე, რომელიც მეფის ასულმა იასონს გაუწია საწმისის დაუფლებისას. ყველაფერი ტრადიციული ხაზით მიდის, იდეალიზაციისა და წინასწარმეტყველების გარეშე, მასალის გააზრების რეალური გეგმით, რაშიც იგრძნობა გამოცდილი შემოქმედის კალამი. აღწერილია ბრძოლა და მოპოვებული გამარჯვებით აღტაცება, საწმისის მოტაცების ამბავი (VII, 100—158). ყველა წინააღმდეგობა დაძლეულია, ოქროს საწმისითა და კოლხეთის მეფის ასულთან ერთად იასონი ბრუნდება საბერძნეთში. თითქოსდა რომაელ პოეტს შემოქმედებითი ფანტაზია უნდა გაეშალა — დაეხატა სურათები გასაოცარი შურისძიებისა, გაქცეულთა შესაბყრობად მზადებისა, მა-

¹² История римской литературы, под ред. Соболевского С. П., Грэнбарь — Пассек М. Е., Петровского Ф. А., Москва, 1962, с. 180; Ап. Родосский, Аргонавтика, пер. Церетели Г. Ф., с. 15; Bulter H. E., სქოლიოები, Inst. orat., с. 48.

¹³ W. Ludwig, Struktur und Einheit d. Metamorphosen Ovids, Berlin, 1965.

¹⁴ Вулх Н. В. „Мировоззрение и худ. стиль Овидия“, с. 8.

გრამ ოვიდიუსმა საერთოდ გამოტოვა კოლხების მიერ ბერძენთა დევნის ეპიზოდი, აფსირტეს მკვლელობაც, რითაც აშკარად შეამსუბუქა გამტაცებელთა მწარე ხვედრი, მისცა მათ საშუალება საზეიმო ცერემონიების ფონზე მშვიდობიანად შესულიყვნენ იოლკოსში. აქ მედია გამოაქვს თავისი მკურნალობის ხელოვნებას. იგი ახდენს სასწაულს დასუსტებული, დაღუპვის პირას მისული ესონის გაახალგაზრდავებით.

„მეტამორფოზებში“ მედეას ეპიზოდი გამოირჩევა თავისი ოვითმყოფადობით. ოვიდიუსთან კოლხეთის ეპიზოდი წარმოადგენს იმ სისტემის ნაწილს, რომელიც აერთიანებს იასონის მოგზაურობის სხვადასხვა ეტაპს. მედეასა და იასონის ამბების შესახებ პოემის VII წიგნის „არგონავტიკის“ სტრუქტურასთან შედარებისას შეიძლება დავასკვნათ, რომ ოვიდიუსს თავიდანვე შეაქვს სიახლე ეპიზოდის სიუჟეტში, სადაც აბ. როდოსელის პოემისაგან განსხვავებით, საერთოდ არაფერია ნათქვამი გმირების ბედში ღმერთების ჩარევის შესახებ. პოემაში პირველ ადგილზეა აფექტური სიტუაციები, სადაც მთავარ როლს ასრულებს ჯადოსნური განახლებები და გარდაქმნები, დაკავშირებული მოკვდავთა, გმირთა ბედთან, აგრეთვე სულიერი ძალა მოკვდავი ადამიანებისა, უკან რომ არ იხევენ სიძნელეთა წინაშე, არ უშინდებიან დამოუყიდებელ მოქმედებას.

„მეტამორფოზების“ VII წიგნის სტრუქტურა ამტკიცებს, რომ ოვიდიუსი მისდევს თქმულების სიუჟეტს, თუმცა შემოქმედებითად ამუშავებს მას, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ფანტასტიკური ელემენტები მასთან ორგანულად უკავშირდება რეალურ სინამდვილეს. პოეტის თანამედროვეობა გადმოცემულია ზღაპრული სახით, რაც ყოველ ნაბიჯზე იჩენს თავს ნაწარმოების ანალიზის დროს. უმწეობა ამ ქვეყნის მბრძანებელთაგან განაწყენებული იასონისა, რომელიც იძულებულია თავისი მიზნის მისაღწევად მიმართოს ყოველგვარ საშუალებას, — იმდროინდელ რომში არსებული ვითარების ერთგვარი გამოხატულებაა. მთავარ გმირთა პერიპეტიები, ფანტასტიკურად შეფერილი, იმავე დროს ოვიდიუსისეული სინამდვილისათვისაა დაძახასიათებელი. თავად მედია „ანტიერესებს“ ოვიდიუსს უმთავრესად როგორც მოკვდავი, რომელიც ეუფლება ირაციონალური სასწაულების სამყაროს. ოვიდიუსის მედეას შედარება აპოლონიოს როდოსელის მედეასთან („არგონავტიკა“) გვიჩვენებს, რომ ოვიდიუსს არ აინტერესებს საყოფაცხოვრები დეტალიზაცია და ტიპობრივი თვისებები. მას გამოყავს გმირი ქალი იმ გარე-

მოცივიდან, რომელშიც ის მოქმედებს აპოლონიოსთან¹⁵ არგონავტთა ამბის ინტერპრეტაციისას უთუოდ ახლებურია მისი მიდგომა გმირებისადმი. ოვიდიუსის შემოქმედებაში ისინი წარმოგვიდგებიან წინამორბედებთან შედარებით იერშეცვლილნი, ახალი თვისებებით. „მთავარია ადამიანური გრძნობების სტიქია, რომელთა ქაოსიც წესრიგდება მორალითა და ესთეტიკით, რაც ბევრად განსხვავდება წინა თაობის პოეტთა მიერ შექმნილ ფასეულობათა შკალისაგან.“¹⁶

არგონავტთა მოგზაურობის ამბავი კოლხეთში სრულიად ახლებურადაა დამუშავებული ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკაში“. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორსა და მის ნაწარმოებზე ყველა ერთგვარი აზრისა როდია. ზოგს იგი მიაჩნდა მძიმე საკითხავად, არასაინტერესოდ, თვითონ ვალერიუს ფლაკუსს აპოლონიოს როდოსელის ბრმა მიმბაძველად თვლიდნენ,¹⁷ ხოლო სხვები — ღირსეულ პოეტად აღიარებდნენ,¹⁸ თვითმყოფადად და ნიჭიერად,¹⁹ რომელმაც აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ სიუჟეტი სულ სხვაგვარად, ახალი პოზიციებიდან,²⁰ ლამაზი, პათეტიკური სტილით, კეთილხმოვანი ჰეგზამეტრით დაამუშავა.²¹ უკანასკნელნი მას უწოდებდნენ „ძვირფას განძს“ (*Thesaurus locupletissimus*)²², რომლისთვისაც ავტორმა შეძლო შთაებერა ახალი სული, გადმოეცა თავისი ეპოქის დამახასიათებელი ნიშნები.²³

¹⁵ В у л и х., Мир. и худ. стиль Овидия, გვ. 14.

¹⁶ В у л и х., Овидий и августовский классицизм, Проблемы античной культуры, Тбилиси, 1975, გვ. 217.

¹⁷ H. E. Butler, *op. cit.* The Cambridge history of classical literature: II. Latin literature, Ed. Kenney, Cumb., London, New-York, 1982, c. 551. Модестов, Лекции по истории римской литературы, С—П, 1888, сmp. 675; L. Quicherat, *Thesaurus poeticus linguae Latinae*, Paris, 1852, გვ. 18.

¹⁸ Quintiliani institutio oratoria, X, 1.

¹⁹ M. Val. Martialis epigrammaton, Lips., 1925, Lib. VIII, 56, 45, 48 და სხვა; ЖМНП, С—П, 1874, გვ. 67.

²⁰ M. Schanz, *Geschichte der Römischen Literatur*, 1913, München, 138, A history of Latin literature by Moses Hadas, New-York; Lond., 1964, გვ. 255.

²¹ История римской литературы, Москва, 1962, т. II, გვ. 183.

²² I. Peters, *De Valerii Flacci vita et carmine*, Regimonti, 1890, გვ. 2.

²³ Н. Ф. Дератани, И. М. Нахов, К. П. Полонская, М. Н. Чернявский, История римской литературы, Москва, 1954, გვ. 442; აკ. ურუშაძის ძვ. კოლხ., გვ. 92.

„არგონაეტიკა“ არის პოემა, სადაც უწვდაა შავიზღვისპირეთის მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მოიცავს მითოლოგიურ²⁴ ინფორმაციასაც. ბერძენ ეპიკოს პოეტთან შედარებისას ძნელი არ არის შევნიშნოთ უდიდესი სხვაობა, რაც არსებობს ერთი და იგივე სახელწოდების ნაწარმოებთა შორის. ვალერიუს ფლაკუსის „არგონაეტიკა“ ინფორმაციით მდიდარი ეპიკური პოემაა, რომელშიც უდერს ისტორიული, რომანტიკული, სათავგადასავლო, საყოფაცხოვრებო, აგრეთვე რაინდული სიუჟარულის მოტივები. ნაწარმოების ცენტრშია არგონაეტების ლაშქრობა კოლხეთში და მასთან დაკავშირებული ამბები. რომელი ეპიკოსი პოეტი პოემას იწყებს ღვათებრივი წარმოშობის გმირის — იასონის ხსენებით და გვპირდება მისი გმირობის აღწერას.²⁵ მრავალი სიახლეა ვალ. ფლაკუსის პოემაში.

აბ. როდოსელი დეტალურად გვაცნობს წინასწარმეტყველებას, რომელმაც აიძულა მეფე პელიასი იასონი შორეულ კოლხეთში გაეგზავნა (1, 5—17), ვალ. ფლაკუსმა საერთოდ გამოტოვა ეს მომენტი: ის არ განმარტავს, რატომ ეშინოდა მეფეს სახელგანთქმული უფლისწულისა. აქ უბრალოდ იგულისხმება ის ამბავი, რომელსაც აბ. როდოსელი ამდენ ყურადღებას უთმობს, რის შედეგადაც აღნიშნული ადგილი ვალერიუს ფლაკუსთან შედარებით, აბოლონიოსთან „საკმაოდ უსუსურად გამოიყურება“.²⁶ თავისებურადაა გააზრებული რაზმის შემადგენლობაში აკასტეს შეყვანა, რომელსაც სალაშქროდ იზიდავს იასონის მხნეობა, სიმამაცე და დიდების სურვილი.²⁷ სიახლეა იასონის მშობელთა სულიერი განცდები და მდგომარეობა. ისინი უბედურებაში იმით ინუგეშებენ თავს, რომ მათ ვაჟს უწერია ჩაიდინოს საგმირო საქმე და ისინი მზად არიან შეურიგდნენ მის სიკვდილსაც, თუ იასონი მაღალ მიზანს მიაღწევს.²⁸ აბ. როდოსელისაგან განსხვავებულადაა გადმოცემული ალკიმედესა და ესონის თვითმკვლელობა²⁹. ახალი მოტივაციაა ვალ. ფლაკუსთან ზოგად სიუჟეტურ მომენტებშიც. მაგალითად, ლემნოსური ეპიზოდის აღწერისას ავტორის აზრთა სვლა იმდენად თავისებურია, რომ

²⁴ ВДИ, т. II, 1904.

²⁵ V. Flacci, Argon., I, 1—4.

²⁶ ЖМНП, С—П, 1874, გვ. 68.

²⁷ V. Fl., Arg., I, 156—182.

²⁸ იქვე, I, 326—328.

²⁹ Latin literature, დას.ხ. ნაშრ., გვ. 582.

მას ვერ ეუპოვით პოეტურ პარალელს ვერც ერთ ეპიკოს მწერალ-თან.³⁰

ვილი შეტერის აზრით, ვალ. ფლაკუსი აპოლონიოსის ეპოსს არც საგმიროდ თვლიდა და არც დრამატულად. იგი ნაწარმოების ნაკლად მიიჩნევდა იმას, რომ არგონავტთა მოგზაურობის დროს ჰერაკლეს არ ჩაუდენია არც ერთი გმირობა. ამიტომ მწერალმა თავის ნაწარმოებში ჩართო ჰერაკლეს მიერ ზღვის ურჩხულისაგან ჰესიონეს გათავისუფლების ეპიზოდი.³¹

ჩვენი აზრით, ჰერაკლეს მიერ ჰესიონეს გათავისუფლების ეპიზოდის ჩართვა კიდევ ერთი სიახლეა, რაც „არგონავტიკას“ ანიჭებს არა მარტო ჰეროიკულ-დრამატულ, არამედ რომანტიკულ-რაინდულ ხასიათსაც.

ახლებურადაა: ტრაგიკული ეპიზოდი კიზიკოსის სამეფოში,³² ჰერაკლეს მიერ ჰილასის დაკარგვა³³ (სადაც ფლაკუსის პოემაში უდიდესი როლი განკუთვნილი აქვს ღმერთების ნებას), ამიკოსისა და პოლიდეკეს ორთაბრძოლა,³⁴ რომელიც დამთავრდა უკანასკნელის ბრწყინვალე გამარჯვებით, ფინევსის გათავისუფლება პარპიებისაგან.³⁵ პრომეთეს გათავისუფლება და ბერძნების კოლხეთში მისვლა.³⁶ და, რა თქმა უნდა, აპოლონიოს როდოსელისაგან სრულიად ახალი და განსხვავებულია აიეტსა და პერსეს შორის ომის ეპიზოდი, რასაც ეპიკურ ნაწარმოებში დრამატიზმი შეაქვს. ეს ეპიზოდი, მსგავსად იმისა, ჰერაკლეს რომ შესაძლებლობა მიეცა გმირობა ჩაედინა — გაენთავისუფლებინა ჰესიონე, გასაქანს აძლევს იასონს გვიჩვენოს თავისი პოტენციური შესაძლებლობები და წარმოგვიდგეს უშიშარი ვაჟკაცის სახით.

ვალ. ფლაკუსი „შეგნებულად უპირისპირდება თავის ბერძენ წინამორბედს“³⁷. მეცნიერთა შორის არსებობს აზრი, რომ ვალ.

³⁰ V. Fl. Arg. II.

³¹ W. Schetter, დასახ. ნაშრ. გვ. 90.

³² V. Flacc. Argon. II—III.

³³ იქვე, III—IV.

³⁴ იქვე, IV.

³⁵ იქვე.

³⁶ იქვე, V—VII.

³⁷ Дератаиц, Нахов, Полонская, Чернявский, Ист. римск. лит-ры,

ფლაკუსმა გადააქარბა სანიმუშო წყაროს სიუჟეტის დამუშავების მხრივ.³⁸ მისი გეგმა უფრო სწორია, ვიდრე აპ. როდოსელისა.³⁹

ვალ. ფლაკუსთან, VI წიგნში გმირთა ბედს კვლავ ქალღმერთები წარმართავენ. ეს იგრძნობა უკვე ჰილასის გაქრობისა და ამასთან დაკავშირებული პერაკლეს ჩამორჩენის ეპიზოდიდან. აღწერილია, როგორ დაიჩივლა იუნომ ვენერასთან, რომ ზევსი გულგრილი გახდა მის მიმართ, ვერ უპატიებია, რომ პერაკლესა და არგონავტების მიმართ ბოროტება ჩაიდინა. ორი ქალღმერთის შესვლად ის ეპიზოდი წააგავს პერასაგან ზევსის ცდუნების პოპეროსეულ სცენას, სადაც ჰერა დახმარებისათვის ასევე კიპრდას მიმართავს.⁴⁰ აპ. როდოსელთან ჰერა, ათენა, აფროდიტე და ეროსი აიეტის ასულს ჩაუნერგავენ იასონის სიყვარულს (III, 5—166).

განსაკუთრებით ხაზგასმულია არგონავტთა ღირსებები ვალ. ფლაკუსთან. ოქროს საწმისის ხელში ჩაგდების სურვილით ატაცებული არგონავტები გამოირჩევიან ბრძოლის ველზე. მებრძოლთა შორის ყველაზე მეტად ჩანს იასონი. ბრწყინვალე გამარჯვებამ, რომელიც უმთავრესად იასონმა და მისმა თანამგზავრებმა მოიპოვეს, არ შეიძლება არ გამოიწვიოს რომელიღაც დამპყრობლური პოლიტიკისადმი სიყვარულის ასოციაცია, რაც დამახასიათებელი იყო ვალ. ფლაკუსის ეპოქისათვის. იასონი ყველაფერს აღწევს საკუთარი ძალებით, — სიმამაცით, თავდადებით და ჭეშმარიტი გმირობით. რაც შეეხება იასონს აპ. როდოსელის „არგონავტიკიდან“, იგი ყოველ ნაბიჯზე გარემორტყმულია თანაშემწეებით და ფაქტურად პელიასის ძნელი დავალების შემსრულებელს წარმოადგენს მედეა და არა არგონავტთა მეთაური.

მიუხედავად დიდი დამსახურებისა, აპოლონოსის მიხედვით, არესის ველზე იასონის გამარჯვების შემდეგ, მედეა მარტო რჩება. იგი თვითონ მიდის ბერძნებთან საბოლოო გადაწყვეტილებით — გაიქცეს არგონავტებთან ერთად. კოლხი ქალი გამოისმობს იასონს ამხანაგების წრიდან და მიჰყავს, რომ დაეხმაროს მას საწმისის გატაცებაში (IV, 20—185). ვალ. ფლაკუსის იასონი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა. მან არც კი იცის, რომ მედეამ ჩუმად წამა-

38 В. И. Модестов, Лекции по истории римской литературы, 23. 674—675.

39 История латинской литературы, написанная проф. Е. Нажжотом, Москва, 1914. ст. 530.

40 *Homeric Illias*, ed. Dindorf. 1915, XIV.

ლი შეასხურა მას და ბრძოლისთვის მხოლოდ საკუთარი თავის იმედით ემზადება. მედღეა ძვირფასია მისთვის. მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ისინი მიემართებიან ხომალდისაკენ გახარებულნი იმით, რომ ხელთ აქვთ ოქროს საწმისი.⁴¹

იასონის გრძნობა მტკიცეა მაშინაც, როცა გამოუვალი მდგომარეობა აიძულებს ბერძნებს, მიმართონ წინამძღოლს თხოვნით — დაუბრუნონ მედღეა კოლხებს.

ვალ. ფლაკუსის პოემაში იასონის დრაჰა თანაგრძობას ეწვევს, ხოლო აბ. როდოსელთან ბერძენი უფლისწული არ არას გულწრფელი თავის მოქმედებაში და სრულებით არ წუხს მედღეას მდგომარეობაზე, რომელმაც იხსნა მისი სიცოცხლე. იასონი კერაგობს და ატყუებს მას საკუთარი კეთილდღეობისათვის. კეშმარიტად „იასონში არაფერია გმირული. შემთხვევამ გახანდა იგი ექსპედიციის ხელმძღვანელი, შემთხვევა — მედღეას სიყვარული—აძლევს მას საშუალებას ჩაიდინოს საგმირო საქმენი.“⁴² ერთი სიტყვით, იგი არსებითად განსწავდება ვალ. ფლაკუსის გმირისაგან.

ჩვენი თემის საინტერესო ინტერპრეტაციას იძლევა დრაკონციუსის ეპიკური ხასიათის ნაწარმოები „მედღეა“. თუმცა იგი არგონავტებზე თქმულებას ეხება, მისი სიუჟეტი საკმაოდ შორსაა მითისგან. „მედღეაში“ დამუშავებულია იასონისა და კოლხი მეფის ასულის სიყვარულის ეპიზოდი, მაგრამ აქ იგი იძენს ახალ უღერადობას. ეს ნაწარმოები საკმაოდ ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ ცვლილებებს განიცდის შინაარსი, ტრადიციულად დაფუძნებულიც კი, გვიანი ანტიკური ეპოქის ლიტერატურაში.

ამ ნაწარმოებში საინტერესოა არა მარტო სრულიად განსხვავებული სიუჟეტი, რომელიც დრაკონციუსთან საკმაოდ თავისუფლადაა წარმოდგენილი, — ფაქტიურად მხოლოდ თავის შემოქმედებით ფანტაზიაზე დაყრდნობით, — არამედ სახეებიც, რომლებიც მწერალმა დაგვიხატა ტრაგიკომიკურ ასპექტში, შეიძლება ითქვას, მათდამი უსაზღვრო სიძულვილით. განსაკუთრებით პარადოქსულად გამოიყურება იასონი, რომელსაც სხვა უარყოფით თვისებებთან ერთად ახასიათებს უჩვეულო სიმბდალე.

თუ ვალ. ფლაკუსი და ოვიდიუს ნაზონი მეტად უბრალოდ გვაუწყებენ იასონის მოსვლას კოლხეთში, დრაკონციუსთან ეს ეპი-

⁴¹ Val. Fl., Arg., VIII, 1—133.

⁴² Церетелн, введ к пер. «Аргонавтики» Ап. Род. 33. 12.

ზოდი წარმოდგენილია საკმაოდ ორიგინალური ინტერპრეტაციით — ბერძენი უფლისწული ვერც კი ასწრებს წარუდგეს მეფეს და განუცხადოს მოსელის მიზეზი, რომ მას შეიპყრობენ.⁴³

თუ ივიდიუსთან და ვალ. ფლაკუსთან კოლხეთის მეფის ასული ვერ მალავს სიყვარულს, ჯადგან იგი მოხიბლა გმირის გარეგნობამ და ღირსებებმა, დრაკონციუსთან იასონი დახატულია უმნიშვნელო სათამაშოდ ბედის ხელში. იგი არაფრით არ გამოირჩევა.

იასონი თვითონ კი არ მიდის კოლხეთის მეფესთან — დიდებული და ღირსეული, როგორც შეჭვერის ქირონის აღზრდილს, ოქროს საწმისის მომპოვებელს (როგორც წარმოდგენილია ივიდიუსთან, ვალ. ფლაკუსთან), აოამედ მას, ძალით დატყვევებულს, მიათრევენ აიეტის სასახლისაკენ. იუნო კიპრიდას სთხოვს, აღანთოს კოლხი მეფის ასულის გული იასონისადმი სიყვარულით და ისე გააყენოს, რომ მედეამ შეიცვალოს ღვთისმსახურების კულტი — უარყოს დიანა, მიმართოს თავისი მზერა მხოლოდ ვენუსისაკენ (60—70).

კუპიდონის დახატვისას პოეტი წარმოაჩენს სიყვარულის გრძნობის მარადიულ იდუმალებას.⁴⁴ ღმერთი, რომელსაც ზღვის ტალღებში პოულობენ, დრაკონციუსთან წარმოდგენილია მომხიბლავი სახით. თითქოს თვით ამბროზიის სურნელება იფრქვევა ნაწარმოების სტრიკონებიდან. განსაკუთრებით ამაღლევებელი და სასიამოვნოა მისი შეხვედრა დედასთან, რომელიც ეფერება და აქებს მას, მიმართავს ნაზი სიტყვებით და ავალებს სიყვარულის ისარი ესროლოს მედეას, რომ მას შეუყვარდეს იასონი.⁴⁵

დრაკონციუსთან კოლხეთი ცივი ქვეყანაა, რომელიც ახლოსაა ყინულოვან სკვითეთთან. რომაელ მწერალთან კუპიდონის ძალა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ღმერთის გამოჩენა გარდაქმნის ამ პირქუშ ადგილს, — იქაურობა გამხიარულდება. მწერლის ძიერ გამოყენებულ გამოთქმაში — „barbara Colchis“⁴⁶ („ბარბაროსული კოლხეთი“) უკვე აშკარად იგრძნობა უპატივცემულობა ამ ქვეყნისადმი. შემდგომში კი დრაკონციუსი პირდაპირ აცხადებს, რომ კოლხეთი უწმინდური ქვეყანაა. მედეა განზრახ წარმოდგენილია გულ-

⁴³ B. A. Dracontii carmina, ed. Fr. Vollmer, Berolini, Medea, 1905, 47.

⁴⁴ იქვე, 90.

⁴⁵ იქვე, 120—144.

⁴⁶ იქვე, 171.

ცივ, ბოროტ ქალად, ერთი სიტყვით, ნამდვილ ჯადოქრად, „უწმინდური კოლხეთის“ ასულად. ღმერთის სამსახურს იგი ასრულებს გულგრილად, ცივად, სისხლს მოწყურებული ასახიერებს რისხვას შიშველი ხმლით ხელში. მას გვერდით უდგას ძიძა, რომელიც აქეზებს სიმკაცრისა და ბოროტების ჩასადენად და ტკობით უცქერს, როგორ ემზადება მედეა უცხოელის მსხვერპლად შესაწირად.

იასონისა და მედეას პირველი შეხვედრის სცენაში, დრაკონციუსთან, სავსებით უგულვებელყოფილია რომანტიკა. სამსხვერპლოზე სამარცხვინოდ მწოლი ბერძენი უფლისწული მუდარით შესთხოვს შებრალებას დიანას ქურუმს — მედეას, რომელიც ემზადება მის მოსაკლავად.

სიყვარულის ღმერთის მარჯვედ ნატყორცი ისარი თავის საქმეს აკეთებს, — მედეას გულში მყის აენთება გრძნობა სიყვარულისა და ფურთას მონად აქცევს. ეს მეტამორფოზა ძიძის პროტესტს იწვევს. იგი ნაწარმოებში ფიგურირებს როგორც ბოროტი სული, რომელიც ცდილობს თავისი ბნელი საქმის დაუყოვნებლივ აღსრულებას.

ავტორი ისევ და ისევ დასცინის ბერძენ უფლისწულს. დაცივნითა და კომიზმით სავსეა სცენა, სადაც იასონი, რომელმაც დაკარგა ღირსებისა და საკუთარი თავის ფლობის ყოველგვარი გრძნობა, ღრიალებს და იხვეწება, დაზოგონ და შეიბრალონ იგი.

პაუზა, როცა მედეა გაქვევებულივით დგას ხმლით ხელში, სანამ საუბარს დაიწყებდეს უცნობ, ზღვით მოსულ მოგზაურთან, მის წინ სამსხვერპლოზე რომ წევს, შევსებულია ძიძის სიტყვით. იგი მოაგონებს მედეას მოვალეობას, ზეციდან წარმოგზავნილი მისიის შესრულების აუცილებლობას. ეპიზოდში წამით გაიელვებს კუპიდონი. იგი იასონის ყვირილს დაცივნით ეგებება. შემდეგ მედეა ურცხვად — დიანას, მშობლებისა და მახლობლების წინაშე, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე — გაათავისუფლებს მშიშარა მეზღვაურს და პირდაპირ იწყებს მასთან მოლაპარაკებას ქორწინებაზე, ესე იგი, გაურიგდება იასონს.

ტრადიციისაგან განსხვავებით დრაკონციუსს ნაწარმოებში შემოჰყავს ახალი მოქმედი პირი — დიანა, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს მოვლენათა შემდგომ მსვლელობას. „მედეაში“ დიანა ბედ-იღბლის მკაცრი მსაჯულია. მოულოდნელად თავის სამლოცველოში დაბრუნებული და მომხდარით შეძრწუნებული ქალღმერთი,

წყევლის თავის ქურუმ ქალს, უწინასწარმეტყველებს მას უბედურებას და ტანჯვას.⁴⁷

დიანას წყევლა, რომელშიც ასახულია მედეას შემდგომი ბედი, ეხმაურება ვალ. ფლაკუსის პოემაში საინტერესო, ლაკონურ წინასწარმეტყველებას, სადაც ნათქვამია, რომ მეფის ასულს შეუყვარდება იასონი, დატოვებს სამშობლოს, ნათესაეებს, მამას და რომ აიეტი ამგვარ ხვედრს იმსახურებს თავისი ვერაგობით.⁴⁸

დრაკონციუსთან შფოთიანი მოვლენები ხშირად მონაცვლეობენ: ბედი მღვეარი იასონს განდევნილი საზიზღარი მეზღვაურიდან გადააქცევს მეფის სიძედ, რომელსაც აიეტი თავის ქალიშვილთან ერთად მიიწვევს სასახლეში.

იასონს კმაყოფილება ვერ მოუტანა ვერც მედეასთან ქორწინებით გაჩენილმა ორმა ვაჟმა, ვერც ცხოვრებამ სასახლის კარზე, ვერც მეფის ოჯახის წევრობამ, რადგან მისი ოცნებები კვლავ ოქროს საწმისს უტრიალებს, საბერძნეთში რომ სურდა ჩამოეტანა.

როდესაც მედეა გაიგებს იასონის მწუხარების მიზეზს, მაშინვე დააწყობს გეგმებს.⁴⁹ დრაკონციუსი არ თვლის საჭიროდ თუნდაც მცირე ადგილი დაუთმოს აფსირტეს მკვლელობის ეპიზოდს. ამჟობინებს საერთოდ არაფერი თქვას იმაზე, რა ხერხით გაუსწორდნენ მედეა და იასონი უდანაშაულო აფსირტეს, და საშუალებას აძლევს მკითხველს, ივარაუდოს ყოველივე თვითონ, თავისი ფანტაზიის შესაბამისად. ერთი წინადადებითაა ნათქვამი, რომ იასონმა და მედეამ მოკლეს ძმა და გაიქცნენ... *pariter iugerunt fratre necato.*⁵⁰

დრაკონციუსის პოემის სიუჟეტი შემდგომ კიდევ უფრო მოულოდნელად ვითარდება. იასონი კოლხეთიდან პირდაპირ თებეში, კრიონტის სამეფოში ხვდება, მიართმევს მას ოქროს საწმისს, რისთვისაც მეფისგან დიდ შექებას იმსახურებს⁵¹

როგორც ცნობილია, იასონის მშობლებზე მოგვითხრობენ ოვიდიუსიც და ვალ. ფლაკუსიც. რაც შეეხება იასონის ღალატის მოტივს, ოვიდიუსი მხოლოდ გაკვრით ამბობს ამის შესახებ და პოემაშიც მხოლოდ მისი შედეგია ასახული: ახალგაზრდა ცოლი, ე. ი. გლავკე, დამწვარია შხამით გამოწვეულ ცეცხლში. ლაპარაკია ბავ-

⁴⁷ *Drac. Medea*, 290—301.

⁴⁸ *V. Flacc. Argon.*, V, 217—225.

⁴⁹ *Drac. Medea*, 351—363.

⁵⁰ იქვე, 364.

⁵¹ იქვე, 366—368.

შვების დაღვრილ სისხლზეც.⁵² დრაკონციუსი ამ ეპიზოდს გეთავაზობს სრულიად ახლებურად: ანგარიშს არ უწევს არავითარ ეთიკას, რომელიც უნდა დაიცვას ქალმა. ავტორი გლავკეს წარმოგიდგენს, როგორც მოუთმენელს, რომელიც გაიტაცა არა მარტო იასონის სილამაზემ, არამედ იმანაც, რომ „მას აღელვებდა მომწიფებული ქალწულობა“.⁵³

მეფე კრეონტისა და მისი მახლობლების საოცრად გულგრილმა დამოკიდებულებამ, ქმრის ღალატმა, სასახლეში საზეიმო მზადებამ ერთიანად შესძრა გრძნეული მედეა და იგი ტრაგიკულ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა.

ავტორი გადმოგვცემს, როგორ შეიცვალა საზეიმო სიმღერები ტირილითა და მოთქმით, ხოლო მედეა იდგა მარტო, მხედარმთავრის მსგავსად, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება მტერზე. მაგრამ იგი ასეთმა შურისძიებამაც ვერ დააკმაყოფილა.⁵⁴ დრაკონციუსი აქედან მკვეთრად გადადის ყველაზე ტრაგიკულ მომენტზე — ბავშვების მკვლელობაზე.

მაშასადამე, ჩვენ ვაწყდებით კიდევ ერთ გადახვევას: ავტორი თავის გმირ-ქალს არა მარტო აიძულებს ხმლის ერთი მოქნევით მოკლას ორთავე ვაჟი, არამედ მათი გვამები ცეცხლს მისცეს. დრაკონციუსი აღწერს ეტლს, რომლითაც მიემგზავრება მედეა.⁵⁵

ნაწარმოები მიგვიითითებს, თუ რაოდენ თავისუფლად შეეძლო მოპყრობოდა მოგვიანო ანტიკური პერიოდის პოეტი ტრადიციულ მასალას, მაშინ, როცა ანტიკური კულტურის ელემენტებმა თანდათან დაკარგეს თავისი მნიშვნელობა ქრისტიანული პოეტების მსოფლმხედველობაში.

დრაკონციუსი, რომელმაც თავისი გმირები ტრაგიკომიკურ სიტუაციაში ჩააყენა, მკვლევარისაგან ითხოვს მისი ნაწარმოების მიმართ ფაქიზ მიდგომას. ამ შემთხვევაში უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ღირებულებათა გადაფასების ის ტენდენცია, რომელიც დასახელებული ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო თემას — კოლხეთს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იგი ნაწარმოების ცენტრშია: მას აქ მთავარი ადგილი უჭირავს.

⁵² Ovid, *Metam.*, VII, 394—396.

⁵³ *Drac. Medea*, 369...

⁵⁴ იქვე, 523—530.

⁵⁵ იქვე, 559—561.

ამგვარად, შეგვიძლია დაეასკვნათ, რომ კოლხეთის თემის და-
შუშავენამ რომაულ ეპოსში ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვ-
ლო ყველა ეტაპზე. მაშინაც კი, როდესაც რომაული ვერსია განსა-
კუთრებით უახლოვდება მის რომელიმე ბერძნულ ლიტერატურულ
პროტოტიპს, რომელი პოეტები ახერხებდნენ მოენახათ თქმულე-
ბის ინტერპრეტაციის საკუთარი გზები, მოეხდინათ მისი აქტუალი-
ზაცია თავისი ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

კოლხეთი და რომაული დრამა

კოლხეთის ი.ღ.მა ყველაზე ინტენსიურად აისახა რომაულ დრამაში. ეს შეიძლება ვამტკიცოთ, მიუხედავად იმისა, რომ დრამატული ნაწარმოებებიდან, რომლებიც შექმნილია რომაულ მწერლობაში დასახელებულ თემაზე, ჩვენამდე მხოლოდ სენეკას „მედამ“ და ჰოზიდიუს გეტას ამავე სახელწოდების ტრაგედია მთავრდება. მაგრამ ცნობილია, რომ მედეასა და იასონის ტრაგიკული სიყვარულის სიუჟეტი მრავალმა მწერალმა დაამუშავა თავის შემოქმედებაში. არგონავტების შესახებ თქმულების მთელი ციკლიდან რომელ დრამატურგებს იზიდავდა მედეასა და იასონის ურთიერთდამოკიდებულება საბერძნეთში დაბრუნების შემდეგ, რომელიც მოიცავდა ძლიერი ვნებების ამაღლებულ სურათებს. რომაულ დრამატურგიაში ისევე, როგორც ბერძნულ ლიტერატურაში, ეს საფუძვლად დაედო მრავალ ტრაგედიას. კოლხეთის თემამ, თავად მედეას ფიგურამ რომაულ დრამატურგიაში (ბერძნული ნიმუშების მიბაძვის საფუძველზე) უბიძგა მწერლებს შეექმნათ ჭეშმარიტი შედეგები.

გზა, რომელიც გაიარა კოლხეთის თემამ რომაულ დრამატურგიაში, მსგავსია იმისა, რომელიც საერთოდ გაიარა ლათინურმა დრამამ ბერძნული წყაროებისთვის მაქსიმალური მიბაძვიდან დამოუკიდებელი კონცეფციებისა და ფორმების ჩამოყალიბებამდე.

ჩვენამდე მოღწეული დრამატურგებიდან, რომელთა შემოქმედებაშიც აისახა კოლხეთი და მასთან დაკავშირებული ამბები, უნდა აღინიშნოს კვინტუს ენიუსი. უკანასკნელი, როგორც ცნობილია, იყო ბერძნული განათლების მომხრე და თავისი წინამორბედების — ლივიუს ანდრონიკუსისა და ნაწილობრივ ნევიუსის მსგავსად ქმნიდა თავის ნაწარმოებებს ბერძნული კომედიებისა და ტრაგედიების მიბაძვით. კვინტუს ენიუსის სახელთანაა დაკავშირებული ტრაგედია „მედეა“, რომელმაც ჩვენამდე ცალკეული ფრაგმენტების სახით მოაღწია. ენიუსი ანტიკურ ლიტერატურაში ცნობილია როგორც ევრიპიდეს ტრადიციების მიმდევარი.

ციცერონი შენიშნავს, რომ ენიუსმა გამოიყენა ევრიპიდეს

„მედეას“ ფაბულა და შექმნა ტრაგედია მისი თანამედროვე ლიტერატურული გემოვნების შესაბამისად.¹

ციცერონი ევრიპიდესგან ნასესხებად თვლის არა მარტო „მედეას“ სიუჟეტს, არამედ მთელ შინაარსს. უფრო მეტიც, ენიუსის დასახელებული ნაწარმოები მან შეიტანა ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნ პიესათა რიცხვში.²

ენიუსის თარგმანების ანალიზისას ციცერონი ამბობს, რომ რომაელი მწერალი ცდილობს გადმოგვცეს ბერძენ პოეტთა ენის სიმძლავრე, რომ ლამაზი რითმების გამო ხშირად მეორეხარისხოვანი მოკლენები მშვენივრად და მუშავებულ, იმ დროს, როცა ძირითადი აზრი მიჩქმალულიათ. რომაელი ორატორი ყველაზე დამახასიათებლად თვლის იმას, რომ ევრიპიდეს მძლავრი სტილი იცვლება მედერი ფიგურალური გამონათქვამებით. მაგრამ, ციცერონის აზრით, ავტორი თვითნებურად კი არ ექცევა ტექსტს, არამედ წარმოგვიდგენს ევრიპიდეს ნაწარმოების კომენტარების გათვალისწინებით. ასეთმა დიდმა გულმოდგინებამ ავნო მის ნაწარმოებს, რასაც მოწმობს ენიუსის „მედეას“ შემორჩენილი პროლოგი.

ამ ფრაგმენტების შედარება ევრიპიდეს „მედეას“ პროლოგთან ცხადყოფს, რომ უკანასკნელი მშვენიერია თავისი დიდებული პათეტიკით, ხოლო გადამუშავებულ ვარიანტში იგი შეცვლილია დამატებებით და გაუხეშებულიც კია.³

შედარებითი ანალიზის დროს ვრწმუნდებით ცნობილი ორატორის აზრის სისწორეში. ევრიპიდესთან ძიძა ამძაფრებს მედეას ტანჯვას და ამ ფონზე იშლება მისი სიყვარულის ისტორია. არგონავტებისა და არგოს ხსენებაც დაკავშირებულია მედეასთან. რაც შეეხება ენიუსს, როგორც ფრიდრიხ ლეო შენიშნავს, აქ „მედეას“ ჩვენამდე მოღწეულ პროლოგში უფრო მეტია მოთხრობილი „არგოს“ და არგონავტების შესახებ, ვიდრე ევრიპიდესთან.⁴

სწორი არ იქნება ენიუსს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, მივაწეროთ კიდევ რომელიმე პიესა მედეას შესახებ, მაგალითად, „მედეა ათენელი“. ვარონი, ციცერონი და ნონიუსი იცნობდნენ ენიუს-

¹ Cic. de fin 1, 24.

² Remains of Old Latin, ed. E. H. Warmington, Camb., Mass., Lond., V, 1, 1967, 33-311; Friedrich Leo, Geschichte der Römischen Literatur, Berlin, 1912, 33-191.

³ Fr. Leo, დაახ. ნაშრ., 33. 191-192.

⁴ იქვე, 33. 192.

სის მხოლოდ ერთ „მედეას“, რომელსაც პოეტმა შეარქვა „Medea exul“ — „გაძევებული მედეა“ (კორინთოში მისი იასონთან ერთად გაძევების შესახებ)⁵. მ. შანცის მიხედვითაც, ენიუსს ჰქონდა მხოლოდ ერთი პიესა მედეაზე — „Medea exul“⁶.

დასახელებული ფრაგმენტი მოიცავს სიუჟეტის ყველა ძირითად მომენტს, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ტრაგედიის შინა-არსზე მთლიანად. შემორჩენილია მედეას ძიძის მონოლოგი, რომელიც ასახავს ენიუსის „მედეას“ მთელ სიუჟეტურ ქარგას.

მოცემული პასაჟი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ძიძის მოთქმა, სინანული, რომ ააგეს „არგო“, რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა მის ქალბატონს („არგოს“ აგების გამო სინანულის ქვეტექსტი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი ბოლო მოსაზრება, სხვა მიზეზი მას არა აქვს). შემდეგ იგი გვაცნობებს, რომ რჩეული ახალგაზრდობა გაემგზავრა კოლხეთში ოქროს საწმისისათვის. ამ ინფორმაციას მოსდევს წინადადება, რომელიც გვამცნობს მედეას სევდიან განშორებას სამშობლოსთან, რადგან იგი სიყვარულის გამო იძულებული გახდა მიეტოვებინა იგი.

ჩვენის აზრით, ლაპარაკიც ზედმეტია ენიუსის მიერ ევრიპიდეს მედეას სიტყვასიტყვით თარგმანზე ლათინურად.

თუ ენიუსი მაინც არის ავტორი, რომელიც არ გასცილებია ბერძნულ ლიტერატურულ მიჯნებს, შემდგომი მწერალი, რომელმაც მიმართა კოლხეთის თემას, აქციუსი წარმოგვიდგება ნოვატორად რომაულ დრამაში. აქციუსი ძირითადად ამუშავებს ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებს და თავის ნაწარმოებებში შეაქვს ბევრი რომაული ელემენტი. მისი როლი უკვე აშკარად იგრძნობა რომაულ ლიტერატურაში, რადგან „ბერძენი გმირების და გმირი ქალების ზოგიერთი გამონათქვამი და ფილოსოფიური მსჯელობა აქციუსის ტრაგედიაში თანამედროვე რომაული საზოგადოების ახალი მსოფლშეგრძნებისა“.⁷

ფრ. ლეო ეხება აქციუსის შემოქმედებას და შენიშნავს, რომ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს თვალყური ვადევნოთ ავტორის თავი-

⁵ Remains of Old Latin, გვ. 191 ..

⁶ M. Schanz, Geschichte der Römischen Literatur, München, 1907, გვ. 144.

⁷ История римской литературы, под ред. проф. Н. Ф. Дератани, МГУ 1954, гв. 98.

სებურ სტილს მისი ტრაგედიის ზოგიერთ შემორჩენილ ნაწყვეტში, რომლებიც ისევე ცოტაა, როგორც ენიუსის⁸. შრომაში ვხვდებით ციცერონის მოსაზრებას, რომელიც აქციუსის პიესებს ნაკლები ღირსებისად თვლის, ვიდრე ენიუსისას.⁹

და მაინც, სწორედ ციცერონის წყალობით, რომელმაც თავის ფილოსოფიურ ტრაქტატში — „ღმერთთა ბუნების შესახებ“ გამოიყენა ფრაგმენტი ლ. აქციუსის ტრაგედიიდან „მედია“, ჩვენამდე მოაღწია პასაჟმა დასახელებული ნაწარმოებიდან. ციცერონი აღწერს „არგოს“ ხილვით გაოცებულ მწყემსს, რომელმაც „ხომალდი რომ შენიშნა, თავდაპირველად გაოცდა და არგონავტები მიიჩინა ღმერთთა წარმოგზავნილებად“.¹⁰

ლიტერატურის ისტორიამ შემოინახა მხოლოდ სახელები იმ დრამატურგებისა, რომლებმაც კოლხეთის თემაზე შექმნეს ნაწარმოებები „მედეას“ სახელწოდებით. ერთი და იგივე სათაური ჰქონდათ ლუკანუსის, კურიაციუს მატერნუსის და ბასუსის ნაწარმოებებს. ამ მწერალთა ტრაგედიებს ჩვენამდე არ მოუღწევია, როგორც ვერ მოაღწია ჩვენამდე ოვიდიუსის „მედეამ“. პიესიდან შემოგვრჩა ორი ფრაგმენტი. ერთ მათგანში აღწერილია იმედგადაწყვეტილი მედეა, გიჟივით რომ აწყდება აქეთ-იქით. მეორეშია გმირი ქალის წერილი იასონისადმი. უკანასკნელი მეტად მნიშვნელოვანი ცნობაა, რადგან გადმოგვცემს რომაული პოეტის მსოფლმხედველობას.¹¹

ოვიდიუსის „მედეას“ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ანტიკური ლიტერატურის ავტორიტეტული წარმომადგენლები.¹² ისეთმა დიდმა მწერლებმა, როგორიც იყვნენ ლუკანუსი, ოვიდიუსი და სენეკა, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს რომაულ ლიტერატურაში საერთოდ და, კერძოდ, დრამატურგიაში, გარკვეული ადგილი დაუთმეს მედეას სიყვარულს იასონისადმი. კომედიიდან (ესე იგი დრამატურგიაში კომიკური ენარის ფუძის ჩამყარელის — ტიტუს მაქციუს პლავტეს შემოქმედებიდან) ტრაგედიამდე (კვ. ენიუსი, ტერენციუსი, აქციუსი, ლუკანუსი, ოვიდიუსი) რომაულმა ლიტერატურამ განვითარების აარკვეულ სტადიები გაიარა, მიაღწია სენეკამდის —

⁸ Fr. Leo, დასახ. ნაშრ., გვ. 400.

⁹ იქვე.

¹⁰ Cicero, De natura deorum, Academia, 1961, გვ. 156—208.

¹¹ M. Schanz, დასახ. ნაშრ., გვ. 339.

¹² Quintiliani inst. orat. X, 1, 98; Дрмбд, Овдддд, с. 139.

„რაიმე ვნების დამღუპველი ზემოქმედების მამხილებლამდე“.¹³ სენეკა თავის ნაწარმოებებში ასახავს მანკიერებებს, რომლებსაც პიროვნების ტრაგედიაში მივყავართ. სისხლის აღრევა, ნეკრომანტია, შეშლილობა, მაგია, წყევლა, მოჩვენებები — წარმოადგენს მისი ნაწარმოებების ლეიტმოტივს.¹⁴ არც თუ უკანასკნელი ადგილი ეკუთვნის შურისძიების მოტივსაც. იყო რა მოწმე სასახლის კარზე მრავალი ინტრიგისა, სენეკამ ასახა სისასტიკე და უსამართლობა, სიხარბე და ვერაგობა, რაც გამეფებული იყო მის თანამედროვე საზოგადოებაში. ისტორიულმა ვითარებამ, რომელშიც ცხოვრება მოუხდა სენეკას, გადამწყვეტი როლი შეასრულა მის შემოქმედებაში, მაგრამ იგი ბოლომდე თავყვანს სცემდა ადამიანის გონიერებას და მთავარ ადგილს მას უთმობდა ცხოვრებაში.

სენეკას თეზისი შეიცავს მოთხოვნას, რომ ადამიანმა უნდა იბრძოლოს ბოლომდე, თუნდაც უიმედო მდგომარეობაში.

სენეკამ მოახდინა დრამის უანრის „მოდერნიზაცია“, მიანიჭა მას ახალი თვისებები, ჩამოაყალიბა ორიგინალური რომაული ტრაგედია, სადაც მთავარი ადგილი დაუთმო ფილოსოფიური ხასიათის სენტენციებს.

სენეკასთან, როგორც სამართლიანად შენიშნავენ რანკე და ჰერმანი, გვაქვს არა იმიტაცია, არამედ ნასესხები მასალის ახლად ფორმირება, სადაც გამოყენებულია საკუთარი ახალი კატეგორიები¹⁵.

ვერბილედ თავდაპირველად არაფერს ამბობს მედეას შურისძიებაზე. სენეკასთან კი მედეა მაშინვე წარმოგვიდგება მტკიცე მებრძოლ ქალად, რომელიც მზად არის დაიცვას თავისი უფლებები. რომაელი დრამატურგი თავიდანვე ხატავს მას აშკარა სისხლისმსმელად, აღწერს, თუ ერთგულებიდან და თავდავიწყებული სიყვარულიდან როგორ წარმოიშვა მრისხანება, სისხლის დაღვრის განზრახვა.¹⁶ მედეა მოუცავს რისხვას, გულს. ჩაუმარხავს შურისძიება, „მასშია ღმერთების ცეცხლი, რკინა, ელვა“.¹⁷

¹³ История римской литературы, под ред. С. П. Соболевского и др., т. 3, 65.

¹⁴ Hubert Cancik, Seneca und die römische Tragödie, Römische Literatur, Frankfurt am Main, 1974, т. 253.

¹⁵ Otto Regenbogen, Kleine Schriften, Schmerz und Tod bei Seneca, München, MCMLXI, т. 431.

¹⁶ Seneca, Medea, MCMLX, 1—55.

¹⁷ Сенека, Пред. к переводам С. Соловьева, 1933, т. 24.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, რომელი დრამა უფრო სწრაფად და ახლოს მივიდა უშუალოდ გმირი ქალის სულიერ განცდებთან.

მედეას დრამაში „პოლიფონური ინსტრუმენტების მსგავსად წარმოდგენილია „ქალის ტკივილი“ გამოხატვის ყველა შესაძლებელი ფორმით. აქ ბერძნული ტრაგედიის „ვენებათა პათოსი“ გადადის აგრესიული ქმედების პათოსში“.¹⁸

მედეა, ოდესღაც ქმარს რომ დიდება მოუტანა, მასთან ერთად მისი ცხოვრების ყველა გაჭირვება გაიზიარა, სამშობლო მიატოვა, ევრიპიდესთან გარშემო მყოფთა თანაგრძნობას იმსახურებს. უკვე პროლოგში იგრძნობა ეს, სადაც ნათქვამია, რომ მედეას „უბედურებამ დაანახა დაკარგული სამშობლოს ფასი“ და რომ აუტანელმა მწუხარებამ საკუთარი შვილებიც კი შეაძულა.¹⁹

მაგრამ ევრიპიდეს მედეას შურისძიების განზრახვამდე მიიყვანს კრეონტის მომაკვდინებელი განაჩენი მისი გაძევების შესახებ, ხოლო სენეკას მედეა მეფესთან დიალოგის შემდეგ არა მარტო უსაზღვროდ გამძვინვარებული ქალია, რომელშიც „ეჭვიანობამ შთანთქა სიყვარული“,²⁰ არამედ ქეშმარიტი სისხლისმსმელი ფურიაა.

ორივე ტრაგედიაში ქოროს დიდი როლი ეთმობა და იგი ფაქიზად გადმოგვცემს საზოგადოებრივ აზრს, რომელიც გმირი ქალის გარშემო იქმნება და რომელიც შეესაბამება თავად პოეტების ეპოქების სულს.

სენეკა თავის გმირ ქალს აიძულებს იტანჯოს არა მარტო ახალი სამწუხარო მოვლენების გამო, რომლებიც მას თავს დაატყდა, არამედ ძველი ცოდვების გამოც, იასონის გულისათვის რომ ჩაიდინა.²¹ მედეა არც კი ფიქრობს ვედრებითა და დამკირებით თავი იმართლოს მეფის წინაშე. როგორც დიადი პელიოსის ქეშმარიტი შვილი-შვილი და სახელოვანი მამის ქალიშვილი, იგი არ შეუპყრია შიშს, მკაცრ სინამდვილეს თვალს უსწორებს და აღიარებს, რომ ბრალი მიუძღვის დანაშაულებრივ მოქმედებაში, მაგრამ ლოგიკურად უმტკიცებს კრეონტს, რომ მას შეუძლია თავის მართლება. იგი მიუთითებს მეფეს ნამდვილ დამნაშავეზე, რომელმაც ჩაადენინა ბოროტ-

¹⁸ Regenberg, დასახ. ნაშრ. გვ. 440.

¹⁹ Euripides, *Medea*, Cambr., Mass., London, 1958, 67—73.

²⁰ Сенека, пред. к пер. гл. 41.

²¹ Seneca, *Medea*, 134—135.

მოქმედება და სამართლიანად მიაჩნია კორინთოდან იასონის განდევნაც: მისი გულისათვის იქნა მოკლული პელიასი.²²

იასონის გამოჩენამდე მისი სახელი მრავალჯერ მოიხსენიება ევრიპიდესთანაც და სენეკასთანაც, ხოლო მედეასთან შეხვედრის პირველსავე სცენაში ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის პიროვნებაზე. მაგრამ იასონის სახე ისევე, როგორც მედეასი, ძირეულად განსხვავდება ბერძენ და რომაელ ტრაგიკოს პოეტებთან.

იმ დროს, როდესაც ევრიპიდეს მედეა დახატულია როგორც საბრალო და კეთილშობილი ახალგაზრდა ქალი, იასონი წარმოდგენილია ვერაგ ქმრად.²³

იასონი, მედეას მთავარი პარტნიორი, გამოყვანილია დაბალი ხარისხის სოფისტად და უხეშ ეგოისტად. მას ოჯახის ერთგულადაც კი მოაქვს თავი, და ღალატი, რომლის მიზეზია არა გატაცება, არამედ პრაქტიკული ანგარიში, ცდილობს ახსნას იმით, რომ ახალი ქორწინებით უზრუნველყოფს მედეას შვილების კეთილდღეობას.²⁴

სენეკასთან, თუ იასონს დაუუჭერებთ, მას დიდი უბედურება შეემთხვა. იგი საბრალო წამებულია, რომელსაც ძალად აშორებენ მედეას. ცოლთან განქორწინება — ეს მისი კი არა, მეფის ნებაა. იასონის სიტყვებით, მას სურს იყოს მეუღლის ერთგული, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სიკვდილი გარდუევალა.²⁵

აქ იასონი არ არის პირფერი, უპრინციპო და დაუნდობელი მოღალატე ოჯახისა, როგორც ევრიპიდესთან. სენეკა ახლებურად ხატავს იასონს, გვაჩვენებს მის უნებისყოფობასა და მეფის სასახლის წინაშე მონურ მორჩილებას. აქ გამოძახილს პოულობს ავტორის დამოკიდებულება ნერონის დესპოტური ხელისუფლებისადმი, რომელიც ითხოვდა უსიტყვო მორჩილებას და კლავდა პიროვნებაში არა მარტო ინიციატივას, არამედ უსამართლობის წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებათა ძიების სურვილსაც.

იასონს არ შესწევს ბრძოლის უნარი. რომ როგორმე შეირყეს კრეონტის დიქტატურა, რომელიც ნერონის დიქტატურას მოგვაგო-

22 Sen. Med., 275.

23 Eurip. Medea, 415.

24 Радциг, История древнегреческой литературы, Москва, 1969.

25 Seneca, Medea, 434—436.

ნებს, უნდა მოხდეს წარმოდგენლად საზარელი, საშინელი რამ, რაც შეაძრწუნებს ყველას. ასეთ თავზარდამცემ სასწაულად მოგვევლინა მედეა.

არავითარ ძალას არ შეუძლია მედეას შეჩერება. მაგრამ განა საკმარისი არ არის მსხვერპლი ოქროს საწმისისათვის?! ქოროს სურვილია, რომ იასონი გადაურჩეს მოსალოდნელ უბედურებას.²⁶

ბერძენი უფლისწული ცდილობს აუხსნას მეუღლეს ღალატის გამო მიღებული საყვედურის საპასუხოდ, რომ მათ შვილებს ემუქრებოდა საფრთხე, თუ იგი უარს იტყოდა კრეუზასთან ქორწინებაზე.²⁷ იგი ცოლს აუწყებს, რომ მასაც ემუქრებოდა სასტიკი ხვედრი, მაგრამ მან მუდარით გამოსთხოვა კრეონტს მედეასათვის სიკვდილი გაძევებით შეეცვალა.²⁸

იასონს ავიწყდება შიში მეფის წინაშე, როცა საქმე ეხება მის ვაჟიშვილებს. როგორც სენეკას გმირი ამბობს, მათთვის ცოცხლობს: „haec causa vitae est“.²⁹

ევრიპიდეს ტრაგედიაში მონაწილეობს პერსონაჟი, რომელიც სენეკასთან არ არის. ეს არის ეგევსი, რომელიც მივიდა ფებოსის სამისნოსთან, რომ გაეგო, რა იყო მისი უშვილობის მიზეზი. მორალურად დამცირებული მედეა ეგევსის გამოჩენაში ხელავს სინათლის სხივს. ამ ეპიზოდით ავტორი აღვიძებს იმედს უარყოფილი მეფის ასულის გულში. იგი ჰპირდება უშვილო მეფეს შთამომავლობას, თუ ის დათანხმდება შეიფაროს ლტოლვილი ქალი.³⁰ აქ უკვე თავს იჩენს მედეას განზრახვა. როცა დარწმუნდება, რომ თავშესაფარს პოვებს ეგევსის დიდებულ სამეფოში, მედეა დაისახავს შურისძიების გეგმას — უნდა დაილუპნენ მისი მტრები და მისი საკუთარა შვილები.³¹ იგი ხელავს როგორ სპირდება მემკვიდრე ეგევსს და ეს კიდევ ერთხელ არწმუნებს მედეას, რომ განუკურნებელ კრილობას მიაყენებს ქმარს, თუ ამოუწყვიტავს შთამომავლობას, ახლანდელ ცოლს კი არ მისცემს მემკვიდრის გაჩენის საშუალებას—დალუპავს კრეუზას. მედეა ებრძვის საკუთარ თავს, როცა თავდაპირველ ჩანა-

26 Seneca, Medea, 599—669.

27 იქვე, 437—441.

28 იქვე, 490—491.

29 იქვე, 547.

30 იქვე, 663—758.

31 იქვე, 764—810.

ფიქრს—მოკლას იასონი—შეცვლის და გადაწყვეტს დახოცოს საკუთარი შვილები. ამით იასონს ერთდროულად წაართმევს ძველ და ახალ ოჯახს, გაწირავს მთელ მის გყარს დასაღუპად და გადასაშენებლად.³²

სენეკასთან ასეთი შურისძიების გზას იმიტომ დაადგა შედეგი, რომ იცის, ქმარს უსაზღვროდ უყვარს შვილები.

სენეკას დრამის მეოთხე მოქმედებაში აღწერილია ჯადოსნური წესი, რომელიც არ არის ევრიპიდესთან, ხოლო შემდეგ მოტანილია — შელოცვის ტექსტი, რომელსაც წარმოთქვამს მედეა³³. კოლხი მეფის ასულის მზადება შურისძიებისათვის — ეს მთელი პოეზიაა ჯადოსნური წეს-ჩვეულებისა, მისი მაგიური ძალისა, ძლევამოსილებისა და ყოვლის მორჩილების უნარისა.

მედეას მკითხაობა, ბნელეთის მოჩვენებებისა და სულების გამოწვევა — ყველა ეს სცენა მოწმობს იმ საგანგებო ტკობას საშინელებებით, რაც, როგორც ჩანს, მოთხოვნილებად ექცათ სენეკას დრამების მსმენელებსა და მკითხველებს. ისინი იმდენად მიეჩვივნენ სისასტიკეს რეალურ ცხოვრებაში, რომ საჭირო გახდა ახალი ხერხების გამოძებნა: რაიმეთი უნდა მოეხდინათ შემოქმედება მათს შერყენილ წარმოდგენაზე.³⁴

დედის მიერ შვილების მოკვლის საზარელ სცენას წინ უსწრებს შეყოვნება წუთით, როცა მედეას გულში ერთმანეთს ებრძვის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა — მრავალტანჯული დედის და პირქუში შურისმაძიებლის. მედეა გრძნობს, რომ მისი მრისხანება უსაზღვროა, ძალუძს ყოველგვარი ბოროტების ჩადენა და რომ მისი ხელი ამ დროს არ შეკრთება.³⁵

მოლაღატე ქმარზე შურისძიების სურვილი იმდენად ძლიერია, იმდენად უსაზღვროა მისწრაფება ნახოს იგი უბედური და უმწეო, მარტოხელა და დამცირებული, რომ მედეას არ ძალუძს მოერიოს საკუთარ თავს.

ერთი შვილის მოკვლის გამო გმირი-ქალის მიერ განცდილ უსაზღვრო მწუხარებას თან ახლავს ტკობა, როცა მტრების უბედურებას უყურებს. მედეა თავისი ტრაგიზმით შემადრწუნებელ სიტუაცია-

³² Еврипид, Трагедии, пер. И. Анненского, вступ. В. Ярхо, 1969, 33. 19.

³³ Seneca, Medea, 670—842.

³⁴ Истор. рим. лит-ры, Изд-во Академии наук СССР, Москва, 1962, 33. 74.

³⁵ Seneca, Medea, 914—915.

ში, კლავს მეორე ვაჟსაც იასონის თანდასწრებით. ფინალურ სცენაში გმირი ნაკლებ იტანჯება, მრისხანებამ უველა ჯებირი გაარღვია და ახლა ტკბება შურისძიებით. მაგრამ რა საზარელი საფასურით!

ამ ეპიზოდში ჩვენ ვხედავთ მკვეთრ სხვაობას სენეკასა და ევრიპიდეს იასონს შორის. პირველის გმირი თავიდანვე მოსიყვარულე და მზრუნველია. უდიდესი განსხვავებაა ბავშვების მოკვლანების სცენაში. ევრიპიდე ამას ახდენს სცენის მიღმა, თავიდან აცილებს ამ კოშმარულ სანახაობას დამსწრეთ, მაშინ როცა მყოფრებელთა წარმოსახვის შეძრწუნებითა მოყვარული სენეკა მედეას ამას სცენაზე, მამის თანდასწრებით აკეთებთებს. ქალი შეილების გვამებს გადაუგდებს იასონს.³⁶ შესაძლებელია, რომელი პოეტი ამით ამსუბუქებს მდგომარეობას შეილების მოყვარული მამისა, აძლევს მას საშუალებას დაიტროს ვაჟები, მაშინ როცა ევრიპიდე იასონს ამის საშუალებასაც ართმევს.³⁷ როგორც ცნობილია, ხედვამ უარი უთხრა მოლაღატე მამას და არ მისცა შეილების გვამები დასაძარხად.

სენეკას „მედეა“ ერთი მხრივ, მისდევს ევრიპიდეს ქარგას და მოქმედების განვითარების შესაბამისად ეყოღნობა მას, მეორე მხრივ — თავის გმირებს ისეთი დამახასიათებელი თვისებებით წარმოგვიდგენს, რომ მრავალი თვალსაზრისით, ისინი ბერძენი პოეტის პერსონაჟების საწინააღმდეგოა. სენეკა ამას აღწევს ევრიპიდეს შესაბამის ეპიზოდებში ახალი აქცენტებით — ნაწარმოებში დამოუკიდებელი პასაჟების შემოტანით და ზოგიერთი არსებული მომენტის მოდიფიკაციით

რომ ბავშვთა მკვლელობის დანაშაული მედეას მიაწერა ევრიპიდემ და იგი არარეალურია, დასტუოდება მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენელთა დასკვნებით, რომლებიც დაფუძნებულია ფაქტობრივი მასალის ანალიზზე.³⁸

მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ მედეას თენაზე ევრიპიდეს შემდგომ შექმნილი ტრაგედიების სიუჟეტები თავისი ფესვებით დაკავშირებულია სწორედ მასთან, „ყველაზე ტრაგიკულთან პოეტებს შორის“. სწორედ ევრიპიდე თქმულების ფაბულის შეცვლითა და უსაზარლესი დანაშაულის — ბავშვთა მკვლელობის მოტივის შემოტანით, მკითხველის მეხსიერებაში ვასისწლიანებულ ხანჯალს ტო-

³⁶ Seneca, Medea, 1024—1025.

³⁷ Eurip. Medea, 1377—1383.

³⁸ Euripides, Tragödien, Ester teil, Medea, Griechischen und Deutsch von Dietrich Ebener, Akademieverlag, Berlin, 1972, 31; ა. ურუშაძე, „ძვ. კლბ“ ..; 33. 40; გვ. 185 - 186.

ვებს... ეს სისხლი კი მედეას ღვიძლი შვილებისაა! დედამ მოკლა შვილები, რომ დაეკოდა ქმრის გული.³⁹

ძნელია დავეთანხმოთ ზოგიერთი ლიტერატორისა და მკვლევარის მტკიცებას, რომ „ქალთმოდულე“ ევრიპიდემ კორინთელების მიერ გაღებული ქრთამის გამო მედეას დააბრალა ასეთი მძიმე დანაშაული. აქ უფრო ღრმა მიზეზებია. უპირველეს ყოვლისა, ბერძენი ავტორი ესწრაფის დაგვიხატოს ძლიერი სულის ადამიანი. „ქალს ახასიათებს როგორც თავდადებული სიყვარული, ისე უზომო სიძულვილი: ორივე გრძნობა, ერთიმეორის საპირისპირო, ერთად თავსდება ქალში ერთი და იმავე პიროვნების მიმართ. როგორც სიყვარულის გრძნობის დასაკმაყოფილებლად გაწირა მედეამ მამა, ძმა და სამშობლო, ისე მისი გრძნობის შეუტრაცმყოფელზე შურის საძიებლად მან არ დაინდო თავისი შვილები“.⁴⁰

არისტოტელე ამტკიცებს, ტრაგედიაში დიდ ეფექტს იწვევს მახლობელთა შორის ვნებების გაჩენაო, მაგრამ იგი არ გმობს ევრიპიდეს იმისათვის, რომ მისმა გმირმა-ქალმა, ესე იგი მედეამ, შეგნებულად მოკლა შვილები.⁴¹

რ. გორდენიანი სტატიაში — „კულტურულ ურთიერთობათა ტრადიციები გრძელდება“ — ევრიპიდეს მიერ თქმულების ტრადიციული ფაბულის შეცვლის მიზეზის შესახებ ამბობს, რომ მწერლის მიზანს „კოლხი ქალის სისასტიკის ჩვენება როდი წარმოადგენდა. მას უფრო იმის თქმა სურდა, რომ მაშინ, როდესაც საზოგადოება კარგავს მორალს, როდესაც ანბანურ, ელემენტარულ ქვეშარტიკებს ფასი ეკარგებათ, როდესაც ყველაზე უფრო უღირსი საქციელიც კი სიქველედ შეიძლება იქნას წარმოდგენილი, საჭიროა მოხდეს რაღაც ისეთი, საგვებით უჩვეულო თავის შემზარავობით, რაც შეძრავს, გამოაფხიზლებს საზოგადოებას, დაანახევებს თავისი თითქოსდა შეუვალი, ყველაფრის გამამართლებელი ლოგიკის უსუსურობას ცხოვრების ქვეშარტიკი კანონების წინაშე. ამ მიზნის განსახორციელებლად ევრიპიდემ სწორედ მედეა შეარჩია და იგი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ, ყველაზე უფრო პოპულარულ სახედ აქცია“.⁴²

39 Aristotle, *The Poetics*, Cambr., Mass., Lond., 1960, 13, 1453a.

40 ს. ყაუხჩიიშვილი, ანტიკ. ლიტ-ის ისტორია, 1971, გვ. 192.

41 Aristotle, დასახ. ნაშრ., XIV თავი.

42 რ. გორდენიანი, კულტურულ ურთიერთობათა ტრადიციები გრძელდება, გაზ. „კომუნისტი“, 1982, 18. 11., გვ. 2.

როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, მედეა, მიუხედავად მის მიერ ჩადენილი ბოროტებისა, მაინც ხიბლავს მაყურებელს თავისი მრავალტანჯული სულის მთლიანობითა და ხასიათის სიმტკიცით.⁴³

სენეკა ხაზს უსვამს მედეას შესახებ თქმულების ტრაგიკულ მომენტს, აღრმავებს მის შურისძიებას, რათა თავის დრამაში ასახოს მისი თანამედროვეობა სწორედ ისევე, როგორც „ხელოვნების საშუალებით ევრიპიდე აღადგენს ყოველივეს, რაც აღელვებდა მის თანამედროვეებს, — თავისი დროის იმედებსა და ეჭვებს.“⁴⁴

სენეკა ყოველთვის ბრძოლის, მოქმედების მომხრეა. დაუფიწყარია მისი სიტყვები: *Vivere militare est* (იცოცხლო — ნიშნავს იბრძოლო).⁴⁵

სენეკას ტრაგედიები გარკვეული წინსვლაა ელინისტურ ტრაგედიებთან შედარებით: გმირული წამების პათოსიდან ავტორი გადადის პრაქტიკული მოქმედებებისკენ, მოუწოდებს წინააღმდეგობის გაწევისაკენ. სწორედ ეს არის სენეკას ტრაგედიების არსი.⁴⁶

საყურადღებოა ვერგილიუსის ნაწარმოებების საფუძველზე მოგვიანო ანტიკური ეპოქის ახ. წ. III ს-ის პოეტის—ჰოზიდიუს გეტას დრამატული ხასიათის ნაწარმოები „მედეა“, რომელიც „ენეიდას“, „ვეორგიკების“ და „ბუკოლიკების“ ტექსტის ცალკეული ფრაზების ნაკრებს წარმოადგენს. ავტორი თითქოს აჯამებს მედეას ტრაგიკულ სიყვარულზე შექმნილ ნაწარმოებებს. შინაარსით და კომპოზიციურად ჰოზიდიუსს გეტას „მედეა“ ტრაგედიის უნარს მიეკუთვნება. მთლიანობაში, თავისი სტრუქტურული აგებულებით, თუ ცალკეულ ნიუანსებს არ გავითვალისწინებთ, იგი ენათესავება სენეკას ამავე სახელწოდების ტრაგედიას, და უკანასკნელი ამავე დროს მის წყაროდაც უნდა ჩაითვალოს.⁴⁷ მართალია, „მედეა“ ტრაგედიია, მაგრამ ამავე დროს იგი გამოირჩევა ეპიკური ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი სიღინჯით. მისი გმირები მეტყველებენ ვერგილიუსის ეპოსიდან აღებული ფრაზებით. ამდენად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ მხრივ მისი ავტორი უახლოვდება ვალ. ფლაკუსს, როგორც ეპიკოს

43 ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკ. ლიტ. ისტ., თბილისი, 1961, გვ. 193.

44 Вопросы античной литературы в зарубежном литературоведении Москва, 1963, გვ. 56.

45 Regenbogen, დასახ. ნაშრ., გვ. 393.

46 იქვე, გვ. 413.

47 *Hosidii Getae Medea*, ed: R. Lamacchia, Leipzig, 1981, გვ. 17.

პოეტს. „მედეაში“ გვხვდება საერთო შტრიხები დრაკონციუსის ამავე სახელწოდების ნაწარმოებთანაც.

ჰოზიდიუს გეტას „მედეა“ შეგვიძლია დავეყუთოთ რამდენიმე სცენად. ტრაგედია იწყება მედეას გამოჩენით, რომლის სიტყვა მიმართულია მზისა და დედამიწისადმი, შურისძიების ქალღმერთებისა და იუნოსადმი, ე. ი. ავტორი არ არღვევს ტრადიციას და მისი გმირი, რომელიც გასაქირში იმყოფება, შემწეობას თხოვს იმ ღმერთებს, რომელთაც შეუძლიათ მედეას უფლებების დაცვა. მედეა მიმართავს ვენუსს, აგრეთვე ყველა თავის კეთილმოსურნე ღმერთს, ისმინონ ვედრება უსაზღვროდ უბედური ადამიანისა, რომელიც მიტოვებული და უარყოფილია მეუღლის მიერ. გრძნობს რა, რომ არ გაუმართლა ცოდვიანმა სიყვარულმა, მრავალი განსაცდელი რომ გადაატანინა და დაამცირა, სასოწარკვეთილებაში მყოფი, შერცხვენილი ქალი, რომლის მუდარაც იასონმა არ შეისმინა, იმსკვალება შურისძიების გრძნობით და მოუწოდებს თავის თავს მოიკრიბოს ძალა მტრის დასაძლევად. როგორც ვხედავთ, აქ ჰოზიდიუს გეტა სენეკას მიმდევრად გვეკლინება, რადგან ნაწარმოების დასაწყისშივეა შურისძიების ქალღმერთების ხსენება: აგრეთვე ვხვდებით გმირი ქალის გამძვინვარებულ სახეს.

როდესაც კრეონტი მოითხოვს, რომ მტრულად განწყობილმა ქალმა, რომლის სივერაგეზე ბევრი რამ სმენია მეფეს, მისი ქვეყანა დატოვოს და გაშორდეს იასონს, საპასუხოდ მედეა ევედრება, უარი თქვას მბრძანებელმა მისი ქალიშვილის ცოდვიან შეუღლებაზე იასონთან და, როდესაც კრეონტი არ თანხმდება, მაშინ მედეა ევედრება მისცეს უფლება კიდევ ერთი ღამით დარჩეს კორინთოში. როგორც ვხედავთ, აქ გეტა სიუჟეტს მისდევს და, ევრიპიდესა და სენეკას მსგავსად, თავის გმირს დაყოვნების უფლებას აძლევს, რაც ძვირად უჯდებათ მის მტრებს.

ქალს უკვირს, როგორ დაივიწყა იასონმა მისი სიკეთე, როცა მან ფათერაკებისაგან არაერთგზის იხსნა. მედეას ერთიანად მოიცავს შურისძიების გრძნობა, რომელიც უბიძგებს მას მოქმედებისაკენ. იგი ჩივის, რომ მოულოდნელმა განსაცდელმა გული გაუტეხა, მაგრამ ვერ შეარყია, იმედი აქვს შელოცვებისა და პონტოს ნაპირზე შეგროვებულ ბალახთა და შხამთა ძალისა. ავტორი კოლხ ასულს წარმოგვიდგენს მაგიურ ძალებთან კავშირში, რომელსაც, დრაკონციუსის მედეას მსგავსად, თავისი შელოცვებით ყოველივე ძალუძს. იგი თვითონ აცხადებს, რომ „შელოცვებს შესწევთ ძალა მთვარე

დედამიწაზე ჩამოიტანონ და მდინარეთა წყლები შეაჩერონ“: „Carmina vel caelo possunt deducere lunam“⁴⁸ და „Sistere aquam fluvii.“⁴⁹ მედღა არწმუნებს ძიძას, რომ საჭიროა 'შებრძოლება მტრებთან და გამარჯვების მოპოვება, თუნდაც ვერაგობით ან სიკვდილის ფასდაც კი.

თავის დრამაში ჰოზიდიუს გეტას შემოჰყავს ახალი პერსონაჟები, რომლებიც მანამდე არ გვხვდებიან მედღაზე შექმნილ ტრაგედიებში. ესენია: მცველი, აფსირტეს აჩრდილი და მისი ვაჟები. მცველი მონაწილეობას იღებს მედღასა და იასონის შეხვედრის სცენაში. იასონ-მედღას დიალოგში ჩართულია მისი სიტყვა. იგი ვაოცებას გამოთქვამს, რომ მოსალოდნელი ამბების გამო თვით ბუნებაც შფოთავს — ღელავს ზღვა, მზე იჩქარის ჩაეშვას ოკეანეში, ღრუბლებმა მოიყარეს თავი ზეცაზე. სიტყვა მცველისა არეკლავს შფოთს, რამაც აღამიანთა ურთიერთობაში იჩინა თავი. მცველის სიტყვა მოსდევს იასონის თავისიანებისადმი მიმართვას, რომელშიც ჩანს უსაზღვრო სიხარული და ბედნიერების გრძნობა, რომ დადგა სასურველი დრო, როცა აღარაა საჭირო ზღვის სივრცეთა დალახვა, რომ იგი იმყოფება სამშობლოში, სადაც მისი საქმე კეთილად მიდის. იასონი მოუწოდებს ნაცნობ-მეგობრებს ცეკვა-თამაშისაკენ. ავტორი კომპოზიციურად ისე აგებს თავის ტრაგედიას, რომ მთავარ გმირს — იასონს ახალ მიზანს უსახავს — საცოლის მეშვეობით ტახტს უნდა დაეპატრონოს. იგი იმდენად გართულია, ვერ გრძნობს, რა საშიშროება ელის მას შეურაცხყოფილი მეუღლისაგან. მედღასთან დიალოგში ის შეუბრალებელი, გულცივი, ზვიადი და თვითდაჯერებულა. მოუთმენლობა იგრძნობა მის ტონში — მან, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა მოიშოროს თავიდან ყოფილი ოჯახი. თავხედურად უცხადებს მედღას, რომ ეშინია მისი შხამებისა და იმისიც, ვაითუ ქორწილი ჩაუშალოს. იასონს არც კი სურს, ქალი მიუახლოვდეს და გარკვეულ მანძილზე აჩერებს მას. ბერძენი უფლისწული ამცირებს მედღას, აშინებს მოსალოდნელი საფრთხით. როდესაც მედღა მოაგონებს, რამდენი რამ გააკეთა მისი გულისთვის, რომ მის გამარჯვებაში მასაც დიდი წვლილი აქვს, უფრო ღიზიანდება და ნიშნის მოგებით უცხადებს ქალს, რომ ტყუილუბრალოდ იტანჯება და მოსთქვამს, რომ არაფერი არ გამოუვა. მომავალში თვითონ კი სიმ-

⁴⁸ H. Getae. Med. 174.

⁴⁹ იქვე, 175.

შვიდე და მყუდროება ელოდება. იასონი შეუბრალებლად კიცხავს მეუღლეს აფსირტეს მკვლევლობის გამო და მოხერხებულად იმართლებს თავს, რომ მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ ბოროტმოქმედებაში. იასონს არც კი სურს საბოლოოდ ღირსეულად დაემშვიდობოს მეუღლეს; იგი უცხადებს მედეას, რომ ეჩქარება მეფესთან.⁵⁰ კოლხი მეფის ასული იასონის მოსიყვარულე მეუღლეა. იგი ევედრება მას დაუბრუნდეს, მოიგონოს, რამდენი რამ გადაიტანა კოლხმა ასულმა მისი გულისთვის — სდია მას ზღვით და ხმელეთით (*hoc sum terraque marique secuta?*)⁵¹, ააშორა მას საფრთხე ხარების უღელში შებმის დროს, საშინელი მეომრების მოგერიებისას, (როდესაც ისინი მიწიდან გაიზარდნენ), დააძინა გველეშაპი და ჩააბარა ოქროს საწმისი.⁵² მედეა საბოლოო სიტყვაში ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ იასონი ვერ გაქცევა ღვთაებათა მართლმსაჯულებას. ისინი მიუზღავენ მოღალატეს იმით, რასაც იგი ყველაზე ნაკლებად მოელოს.⁵³ იასონის უღმერთო პასუხებით გამწარებული მედეა იმასაც მოაგონებს, რომ მის გამო დასაჯა პელიასიც, რომ მის მიზნებს შეეწირა აფსირტეს სიცოცხლეც. ყველა ღონეს ხმარობს კოლხი ასული, რათა გულცივი მეუღლე დაიბრუნოს. იგი მას ბავშვებსაც აგონებს, მის მგზნებარე სიყვარულსაც. იასონის ფიქრები კი მეტად შორსაა მედეას გასაპირისაგან. ის ფიქრობს ახალგაზრდა, მდიდარ და მეფის ტანტის მემკვიდრე კრეუზას სიყვარულზე, რომელიც ბოლოს და ბოლოს აღუსრულებს მას ოცნებას და სამეფო გვირგვინს დაადგამს თავზე. იასონს უსრულდება ოცნება, რომლისთვისაც ამდენი ტანჯვა-წამება აიტანა და ამდენი სიბოროტე ჩაიდინა. მაგრამ იგი ცდილობს მოიხსნას პასუხისმგებლობა ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის და ისინი მედეას მიაწეროს.

ქალი გაოცებულია მისი შეუბრალებლობით და მოუხმობს ღმერთებს მისცენ მას ძალ-ღონე, რომ სამაგიერო მიუზღას მოღალატე მეუღლეს. იასონისა და მედეას დიალოგს მოსდევს ქოროს სცენა, რომელიც გვიამბობს, როგორ მოიცვა რისხვამ კოლხი ასული. მედეა შედარებულია მონადირეთა ხელში ჩავარდნილ, საბრძოლველად გამზადებულ ლომთან, მიწის ქვეშ დიდხანს მყოფ უზარ-

⁵⁰ H. Getæ Med., 272.

⁵¹ იქვე, 205.

⁵² იქვე, 206—237.

⁵³ იქვე, 246—247.

შაზარ გველთან, რომელიც ამაყად სწევს თავს და ეძებს, ვის შეერ-
კინოს; ორესტესთან, რომელიც ღედას მისდევს შურისსაძიებლად;
ფურიებთან, ორფესვთან, როცა მან მეუღლე დაკარგა.⁵⁴ ავტორი
ქმნის ფონს, რათა გადმოსცეს გმირი-ქალის განცდების მთელი სი-
ღრმე, მისი სულიერი ტკივილი, გამოუვალი მდგომარეობა, დამცი-
რებული, შეურაცხყოფილი ყოფა. შედარებების ფონზე იგი დეტა-
ლურად გვიამბობს, თუ როგორ ეშზადება კოლხი ასული, რათა შუ-
რი იძიოს მოღალატე მეუღლეზე. შემდეგ ქოროსთან ჩნდება მაცნე.
იგი მოგვითხრობს, თუ როგორ მორთო და შეამკო პატარძლისათვის
გვირგვინი მედეამ, როგორ იყენებს სხვადასხვა მცენარეულობას
შხამებრს დასამზადებლად და თან როგორ ასრულებს აუცილებელ
რიტუალს. იგი უხმობს ჰეკატესაც.⁵⁵ აქ გვახსენდება ვალ. ფლაკუ-
სის „არგონაუტიკის“ ის ადგილი, სადაც მედეა უმზადებს იასონს
საჭირო წამალს და დახმარებას ჰეკატეს სთხოვს. მაგრამ ამჟამად
მას ჰეკატე სჭირდება არა კეთილი საქმისთვის, არამედ სამაგიე-
როს გადახდისათვის. მედეას შურის საძიებლად მზადების მომენტი
წააგავს დრაკონციუსის „მედეაში“ აღწერილ სცენას. ჰოზიდიუს გე-
ტა, დრაკონციუსის მსგავსად, გვირგვინს იყენებს, რომელსაც გამ-
ძენვარებული მედეა საწამლაკებით გაქლენაილი ძვირფასეულო-
ბით რათავს.

ჰოზიდიუს გეტასთან მედეას შეხვედრა შეილებთან ხდება სულ
სხვაგვარად, არა ისე, როგორც აქამდე განხილულ ტრაგედიებში.
მეფის ასულს სძულს იასონის მოღვმა, მაგრამ ეერიბიდედან დაწყე-
ბული ვიდრე სენეკამდე ქალს უმძიმს შეილების მკვლელობა და
საშინელი განცლებით ეთხოვება მათ. დრაკონციუსთან უკვე სხვა-
გვარ გადაწყვეტას ვაწყდებით. შიშისაგან გაოგნებული ბაქჩიზა—
მერმეროსი და ფერეტი ღედასთან გარბიან, შველას ეძებენ მასთან.
მაგრამ აქ მათ სიკვდილი ელით. დრაკონციუსი არ გადმოგვეცემს ამ
შემთხვევაში გმირის განცდებს, ყოველივე მოცემულია თვით მე-
დეას მოქმედებაში. სულ სხვაგვარადაა აღწერილი მედეას შეხვედ-
რა შეილებთან ჰოზიდიუს გეტას ტრაგედიაში. ქალი „სასტიკი დედი-
ნაცკლის“ როლშია წარმოდგენილი. იგი პირდაპირ, მოურიდებლად
მიმართავს რა შეილებს, უწოდებს მათ „საძულველ მოღვმას.“⁵⁶ შეი-

⁵⁴ H. Getae Med., 285—312.

⁵⁵ იქვე, 324—334.

⁵⁶ იქვე, 382.

ლები ევედრებიან დედას, რომ თან წაიყვანოს ისინი, მზად არიან გაიზიარონ ჳირ-ვარაძი, მოსალოდნელია ზიფათი.⁵⁷ აქვეა აფსირტეს აჩრდილიც, რომელიც მოაგონებს დას თავის დასახიჩრებულ სხეულს და უფრო მეტ სასოწარკვეთილებაში აგდებს მას. მედეა ეუბნება შვილებს, რომ აპირებს მათ მსხვერპლად შეწირვას,⁵⁸ რათა უსამართლობისათვის შური იძიოს. შვილები ხან ჰვეწნით, ხან საყვედურით მოუწოდებენ დედას გონს მოვიდეს და დაინდოს ისინი, მოუხმოს დედობრივ სიყვარულს, მაგრამ იასონის სიძულვილით გაოგნებული მედეა ჩქარობს ბოლო მოუღოს საზიზღარ გვარს და თვითონ კი მფრინავი ეტლით უშველოს თავს.

სასტიკი და დაუნდობელი იასონი სულ სხვაგვარადაა გამოყვანილი ფინალურ სცენაში. იგი მზადაა თვითონაც მოკვდეს, რაოდენ საშინელი სიკვდილიც არ უნდა ხედეს წილად და ყველაფერში თავის თავს თელის დამნაშავედ. მაცნე დაწვრილებით გვაუწყებს მოზეიმე ხალხის მიერ ძირთმეულ საჩუქრებზე. ისმის მხიარულა სიძღერები, იგრძნობა ბედნიერი განწყობა. მაგრამ ყველაფერი უცებ ცეცხლით შეიცვალა. ის გვირგვინიდან წაეკიდა პატარძალს ჳერ თმაზე, ხოლო შემდეგ ტანზე. მოთხრობილია, რა საშინელი შიში დაეუფლა სტუმარ-მასპინძელს და როგორ მოძებნეს სამალავი ადგილები. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ იასონს მედეა უთმობს შვილების გვაშებს დასაკრძალად და მწარედ ეუბნება, რომ ესაა მისგან ნაბოძები საბოლოო საჩუქარი. როგორც ცნობილია, სხვა ტრაგედებში, მაგალითად, ევრიპიდესთან, მედეა არ აძლევს იასონს საშუალებას გამოეთხოვოს შვილების გვაშებს, ხოლო დრაკონციუსი, რომლის „მედეაც“ მრავალი უანრის ნიშნების შემცველ ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ფიზიკურად სპობს იასონს სიმამრთან და საცოლესთან ერთად. ირონია ისმის ჳოზიდიუს გეტას მედეას საბოლოო სიტყვებში, რომლებითაც იგი სიკვდილის მაძიებელ იასონს მიმართავს. ქალი მოაგონებს მას ჳორწილისათვის მზადებას და თითქოს უკვირს კიდევ, რატომ გაურბის მას.⁵⁹

ჳოზიდიუს გეტამ რთული სამუშაო შეასრულა: ძნელია თითოეულ აზრს მიუსადაგო ცალკეული ფრაზები და ხანდახან მხოლოდ თითო სიტყვა სხვა მწერლის შემოქმედებიდან. ჳოზიდიუს გეტას

57 H. Getae Med., 386—385.

58 იქვე, 398.

59 იქვე, 447.

„მედეა“ კომპოზიციურად, შინაარსობრივად, ფორმით საკმაოდ გამართულია. ავტორს, თავის წინამორბედთაგან განსხვავებით, სიუჟეტური სიახლეების შეტანაც კი უცდია. „თუ დავივიწყებთ, რომ ყოველივე ეს შექმნილია ვერგილიუსის მიერ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გეტა ცუდი პოეტი როდია“.⁶⁰

ამგვარად, ევრიპიდეს და სენეკას ტრაგედიებს ემატება კიდევ ერთი „მედეა“, რომელიც საინტერესო და საყურადღებო ნაწარმოებია კოლხეთის თემის რომაულ დრამაში დამუშავების ისტორიის გასათვალისწინებლად.

⁶⁰ История рим. лит-ры, под ред. С. Соболевского, М. Грабарь — Пассек и Ф. Петровского, гл. 394.

კოლხეთის თემის ინტეგრაცია ოვიდიუსის
„ჰეროიდებში“

კოლხეთი და მასთან დაკავშირებული ამბები აღწერილია არა მხოლოდ დიდ, არამედ მცირე მოცულობის პოეტურ ნაწარმოებებშიაც. კერძოდ, რომაულ მინიატურულ შედევრებს შორის აღსანიშნავია ოვიდიუსის „ჰეროიდები“, სდაც ეპისტოლენი გადმოგვცემენ ამბებს და მათთან ერთად წარმოადგენენ სახეებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება კოლხეთს. ოვიდიუსმა თითოეული წერილი გაიაზრა სხვადასხვა შთაბეჭდილების თვალსაზრისით და ყოველ მათგანში ჩააქსოვა ამა თუ იმ გმირის განცდები. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამბები, რომლებიც „ჰეროიდებშია“ გადმოცემული, არ შეიცავენ არაერთარ ისტორიულ-გეოგრაფიულ ან რაიმე სხვა კონკრეტულ მასალას. ისინი წარმოადგენენ უბრალოდ საინტერესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, შექმნილს ოვიდიუს ნაზონის შემოქმედებითი ფანტაზიის საფუძველზე. მიუხედავად მცირე მოცულობისა, თითოეული უსტარი ასახავს თქმულების ამა თუ იმ მნიშვნელოვან მომენტს. ყურადღება გავამახვილოთ მედეას წერილზე იასონისადმი, რადგანაც ეს გმირები გვანტერესებს როგორც კოლხური ამბების მთავარი მოქმედი პირები. მაგრამ საინტერესოა ჰიფსიპილეს წერილიც, რომლის ადრესატი იგივე იასონია.

„ჰეროიდებში“ ოვიდიუსი უბრუნდება ტრადიციულ წინა ელეგიურ შეხედულებას სიყვარულზე, სადაც ინიციატივა მომდინარეობდა ქალისაგან.¹ ოვიდიუსთან სწორედ გმირი ქალები ლაპარაკობენ თავის გრძნობებზე. ნაწარმოებებში აშკარად ჩანს მათი გრძნობების აქტიურობა, სწრაფვა შეყვარებულის გულის დასაპყრობად; ჩამოთვლილია მათ მიერ გაღებული ყველა მსხვერპლი მიზნების განხორციელების მისაღწევად. ჩვენთვის საინტერესო წერილებშიც ინიციატივა მედეასა და ჰიფსიპილესაგან მოდის.

მედეას უსტარში მრავალი საინტერესო ინფორმაცია გვხვდ-

¹ Cambridge history of class. literature, II, გვ. 423.

ბა — მოთხრობილია ცეცხლისმფრქვევე ხარებზე,² სიყვარულზე, რომელმაც გადაარჩინა იასონი.³ ქალი გამოთქვამს სინანულს, რომ დაკარგა მშობლები; განსაკუთრებით განიცდის ძმის მიმართ ჩადენილ ცოდვას.⁴ მას აგონდება გამარჯვებული, სიამაყის გრძნობით აღსავსე იასონი, როდესაც ხელთ ოქროს საწმისი ეპყრა, რომლის მოპოვებისათვის მეფის ასულმა აკვაცური საქციელი ჩაიდინა.⁵ მედეა საყვედურობს მოღალატე ქმარს და საშინლად ექვიანობს იასონის ახალ ცოლზე — კრეუზაზე,⁶ მას ემუქრება კიდეც.⁷ იგი ემუდარება იასონს შეიცოდოს ბავშვები, რომლებიც ასე ძლიერ ჰგვანან მას.⁸ მედეა საშინლად განრისხებულია; რისხეა, როგორც თვითონაც გრძნობს კოლხი მეფის ასული, აუცილებლად გადაიზრდება სასტიკ შურისძიებაში.⁹ უსტარში მოხსენიებულია ფაზისი¹⁰ (მისი ნახვა ბედისწერით ჰქონდა დადგენილი იასონს); ლაპარაკია, რომ ოქროს საწმისი მოპოვებული იყო მედეას წყალობით და არა იასონის გმირობით; ხაზგასმულია კოლხი ასულის უსაზღვრო შესაძლებლობები, — რომ იგი ფლობს ჯადოსნობასა და მაგიის საიდუმლოებებს.

მეორე უსტარში, კერძოდ, იასონისადმი ჰიფსიპილეს წერილში, აგრეთვე აღწერილია ის ამბები, რაც მოხდა კოლხეთის მიწაზე, მაგრამ ყოველივე სულ სხვა კუთხითაა დანახული.

XII უსტარში „მედეა იასონს“ მოთხრობილია, თუ როგორ შეძლო ბერძენმა უფლისწულმა მედეას დახმარებით ჩაედინა სამი გმირობა მეფე აიეტთან, რამაც მას მოუტანა სახელი, დიდება და, რაც მთავარია, მიაღწევინა მიზანს. თავის თხრობაში მედეა ხაზს უსვამს იასონის სისუსტეს, უძლურებას, ვერაგობასა და სიცრუეს. ის პირდაპირ აცხადებს, იასონი რომ დაღუპულიყო მარსის ველზე, მასთან ერთად დაიღუპებოდა ყველა უბედურება, სივერაგე და

¹ Ovid, *Heroides and Amores*, *Medæa—Iasoni*, XII. 15—20.

³ იქვე, XII, 29—108.

⁴ იქვე, 109—116.

⁵ იქვე, 127—132.

⁶ იქვე, 133—177.

⁷ იქვე, 178—182.

⁸ იქვე, 183—198.

⁹ იქვე, 207—212.

¹⁰ იქვე, 10.

ბედნიერ კოლხეთს არ გაეკარებოდა არავითარი ავბედობა.¹¹ ბერძენი უფლისწული კი აყვედრის ქალს ბარბაროსულ წარმოშობას, ადანაშაულებს. ბოროტმოქმედებაში,¹² ივიწყებს, რომ ყოველივე მისი გულისათვის მოხდა.

მედეას უსტარში იასონი წარმოდგენილია როგორც უსამართლო, სასტიკი და დაუნდობელი პიროვნება. მისი მიზეზით ოჯახი განსაცდელშია ჩავარდნილი, იასონი კი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, გაბრწყინებული სახით წინ უძღვის საქორწინო სვლას კრეუზასთან ერთად.¹³

ოვიდიუსი აღნიშნავდა მედეას ღიდ ცოდვას სამშობლოსა და მშობლების წინაშე ღალატის გამო. მაგრამ პოეტი, რომელმაც ხოტბა შეასწა და განადიდა: სიყვარული, შეეცადა ბოლომდე ჩახვედროდა თავისი გმირის ამ გრძნობის სიღრმეს. მას არ შეეძლო არ დაენახა მედეას სიყვარულის მთელი სილამაზე, ამალეკბულობა.

„სიყვარული განსილუღია როგორც სიცოცხლის ერთ-ერთი უმაღლესი ფასეულობათაგანი, რომელიც აზიარებს მოკვდავთ უმაღლეს არსებობას“.¹⁴

მედეა წარმოდგენილია მოსიყვარულე არსებად, რომელიც მზადაა სიყვარულის გამო ჩაიდინოს გმირობა.

მედეას უსტარი იწყება იმის გახსენებით, თუ როგორ დათანხმდა კოლხი ასული იასონს მის თხოვნაზე აღმოეჩინა დახმარება უცხოქვეყნელთათვის და როგორ უშველა მათ თავისი ხელოვნებით; იგი მყისვე მოეშადა არგონავტებისათვის, იასონისთვის სამსახურის გასაწევად:

*Ars moa cum peterés ut tibi ferret opem*¹⁵

„როგორც კი მთხოვე, რომ ჩემი ხელოვნებით დაგხმარებოდი...“

მედეა ძლიერ ნანობს, რომ შეიყვარა იასონი, რომ გადაარჩინა იგი სიკვდილს, სირცხვილს და დამცირებას. კოლხი ასული ახლა თვითონ ოცნებობს სიკვდილზე. ეს იქნებოდა მისთვის უდიდესი ხსნა არა მხოლოდ ამჟამად, არამედ მაშინაც, როდესაც იასონს

¹¹ Ovid., Her., XII, 19—20.

¹² იქვე, XII, 105—106.

¹³ იქვე, 137—152.

¹⁴ Н. В. Вулих, Мировоззрение и художественный стиль Овидия. Дисс. на сонск. уч. ст. доктора филолог. наук, Ленинград, 1976, გვ. 84.

¹⁵ Ovid. Heroid., XII, 1—3.

მიენლო: „Tum potui Medea mori bene“¹⁶—„ყველაზე უკეთესი იქნებოდა იმ ხანში მომკვდარიყო მედელა.“

უსტარში გამოხატულია სევდა და სინანული იმის გამო, რომ ბედისწერამ დააკავშირა მედელა არგონავტებთან; რაოდენ ბედნიერი იქნებოდა, რომ ბერძნებს არ დასკირებოდათ ფრიქსეს საწმისისათვის წასვლა კოლხეთში — ფაზისის ნაპირებთან.¹⁷ მაშინ არ გაიცნობდა მედელა იასონს, არ გადააქცევდა მის ქვენა ვნებებს გმირულ საქმეებად და არ გადაიტანდა ამდენ ტკივილს, ტანჯვა-წამებას.

მედელა იგონებს კოლხეთის მშვენიერ მხარეს, სადაც გამოჩნდა დაუბატიყებელი სტუმარი — იასონი და დაარღვია მეფის ოჯახის ბედნიერი ცხოვრება, გააუბედურა თვითონ აიეტის ასული, ფუფუნებაში, სიმდიდრესა და პატივში რომ ჰყავდა მამას. მან არ იცოდა, რა იყო დარდი და მოწყენილობა.¹⁸

ოვიდიუსმა ისარგებლა ბალადის ფორმით, რამაც საშუალება მისცა მას თავისი ნება-სურვილით შეეცვალა მოთხრობა. მედეას სულიერი ტრავმის დასაძლევად პოეტი ცდილობს გვიჩვენოს მისი ხასიათი და განწყობილება, როდესაც იგონებს წარსულს, წინ რომ უძღვის უბედურებას. ესაა სიყვარულის სასიხარულო წამები. ოვიდიუსი გვიხატავს ნაზი გრძნობის ამადლეველ სურათს, რომელიც განუმეორებელი სიმშვენიერით ავსებს მის ეპისტოლეს.

როცა მედელა იგონებს, რაც სიყვარულისთვის ჩაუდენია, იგი ეძებს წუთიერ თავდავიწყებას, მაგრამ მოგონებას ცვლის რეალური სინამდვილის სასტიკი სურათები. კოლხი ასული გრძნობს, თუ რა საბედისწერო ხიფათი ელოდება კრეონტისა და კრეუზას სახით.

მედელა აანალიზებს თავის მდგომარეობას, მოქმედებებს და გრძნობებს. ყოველივე ეს მკაფიოდ, ნათლად და ასახული მის მოთხრობაში. მედელა თავს დამნაშავედ თვლის, რომ მიენლო მატყუარა იასონს: არაა მისთვის საპატიებელი, როგორც თვითონვე ამბობს, ის გულუბრყვილობა, რომელიც გამოიჩინა, როცა დაუჯერა მის არა-გულწრფელ ცრემლთა ღვრას და ყალბ სიტყვებს.¹⁹

სინანულს ცვლის სხვა გრძნობა — რისხვა. რისხვის მოტივი თანდათან მძლავრობს და ფარავს ყოველივე სხვას. დიდი მწუხარე-

16 Ovid, Heroid., XII, 5—6.

17 იქვე, 7—10.

18 იქვე, 21—28.

19 იქვე, 55—92.

ბით, სევდით და განცდებით იხსენებს მედეა მამის ოჯახის წინაშე ჩადენილ ღალატს. მაგრამ ყველაზე დიდი მსხვერპლი, რომელიც მან იასონის გულისათვის გაიღო, და რაც მის ცხოვრებაში შავბნელ წერტილად დარჩა — ეს იყო ძმისადმი ყოვლად გაუპართლებელი და უნამუსო ღალატი. მედეას სურს, რომ თვითონ იყოს მის ადგილზე.²⁰ კოლხი ასული ამბობს, რომ სამართლიანი იქნებოდა იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც მან და იასონმა ჩაიდინეს აფსირტეს მიმართ, თვითონაც მისგვარი სიკვდილი ერგოთ წილად.

კოლხი ასული უმადურ მეუღლეს მოაგონებს მეფის მკვლელობას, რაც მან პელიასის ქალიშვილების მეშვეობით განახორციელა.²¹

ამრიგად, მედეას სასიყვარულო უსტარში პირადი ამბების ფონზე გადმოცემულია იასონის თავგადასავალი და მასთან დაკავშირებული ამბები, რომლებიც კოლხეთს შეეხება.

საინტერესოა ჰიფსიპილეს წერილი იასონისადმი. ლემნოსის დედოფალი არაფრად უთვლის მედეას მის დამსახურებებს, უარყოფს მის ნიქს, ღირსებებს და ცდილობს გამოიწვიოს იასონში მისდამი მხოლოდ ზიზღის გრძნობა. ჰიფსიპილეს აზრით, მედეას ძლევა-მოსილება მის ბუნებრივ მონაცემებში კი არ არის, არამედ ჯაღობა-ლაზებაში, რითაც დაიპყრო იასონი. ლემნოსელი ქალი არ აღიარებს მედეას ცოდნას სამკურნალწამლო მცენარეულობის გამოყენების საქმეში. მისთვის კოლხი ქალი მხოლოდ საშინელი ჯაღოქარია. მედეას რომ შეუძლია დაიმორჩილოს ყოვლადძლიერი მნათობები — მზე და მთვარე, სხვა არაფერია, თუ არ ავსულობა და ვერაგობაო. მას, ჰიფსიპილეს, მიაჩნია, რომ მედეას უფლებები ბუნების ძალებზე ხორციელდება მხოლოდ მისი მაგიისა და ჯაღო-თილისმების საშუალებებით.²² ლემნოსელი დედოფალი ნეგატიური პოზიციებიდან აფასებს მეტოქის გარეგნობასა და ზნესაც. მისი შეხედულებით, მედეასთვის არაფერს არ წარმოადგენს ვინმეს მკვლელობა ან რაიმე ზიანის მიყენება. იგი გაცხადებულია, რომ იასონი არ შიშობს მედეასთან ურთიერთობას, რადგან მისგან მხოლოდ საფრთხე და მზაკვრობაა მოსალოდნელი; ჰიფსიპილეს ისიც უკვირს, თუ როგორ შეუძლია ბერძენ უფლისწულს თავისი სიცოცხლე ჯაღოქარს ანდოს და ალერსით დაასაჩუქროს.²³

20 Ovid, Heroid., XII, 109—116.

21 იქვე, 129—130.

22 იქვე, VI, 83—94.

23 იქვე, 95—96.

იმ მიზნით, რომ გააგებინოს, რა სასტიკ სისხლისმსმელთან აქვს საქმე, ჰიფსიბილე მოუთხრობს იასონს, რომ ორი ვაჟიშვილი შეეძინა, რომლებსაც ის უდავოდ აჩვენებდა, ბოროტი დედინაცვალი რომ არა. მისი ხელები ხომ დაჩვეულია ბოროტმოქმედებას.²⁴ ჰიფსიბილე ლაკონურად და დამაჯერებლად ახერხებს იასონის წინაშე მისი მეუღლის დახასიათებას — ქალისა, რომელსაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ძალუძს კეთილი საქმეების ქმნა. მან ხომ მინდორში მიმოფანტა აქუწული ძმის ნაჭრები.²⁵ ჰიფსიბილე ცდილობს იასონს ისიც კი ჩაუნერგოს, რომ მისი მეუღლე თვითონ მიიწერს ბერძენი უფლისწულის მიერ ჩადენილ გმირობას და ამით ჩრდილს აყენებს მის დიდებას.²⁶ ის მედეას დახასიათებისას იქამდე მიდის, რომ კოლხ ასულს უღირსად თვლის იასონისთვის. მეტოქის წარმოშობაშიც დამამცირებელს ხედავს — საყვედურობს, რომ მისი სამშობლო შორეული სკვითეთია.²⁷ მისი აზრით, სწორედ იქ უნდა ეშონა ჯადოქარს ქმარი და იქ დასახლებულიყო.

ჰიფსიბილე მედეას უსაყვედურებს იმასაც, რომ მიატოვა მამა, საკუთარი ოჯახი და უსირცხვილოდ გაიქცა უცხოქვეყნელებთან ერთად.²⁸

მიუხედავად თავისი უსაზღვრო ერთგულებისა, ჰიფსიბილე თავის უსტარში იასონს წარმოადგენს ტრადიციულ ამპლუაში: როგორც მოლალატე და ფუქსავატ პიროვნებას, რომელიც ადვილად ტოვებს საყვარელ არსებას ანგარებითი მიზნებისათვის.

რომაელი პოეტი იყენებს საინტერესო ხერხს: მოთხრობას თვითონ მოთხრობაში. ჰიფსიბილე გვიყვება არა მარტო თავის განცდებზე, დაკარგულ სიყვარულზე, არამედ მოაქვს ეპისტოლეში სხვისი მოყოლილი ამბავიც.

თუ „მეტამოროფოზებში“ ოვიდიუსი არ ეხება მედეასა და იასონის აფსირტესთან შეხვედრის მომენტს, ჰიფსიბილეს უსტარში იგი განსაკუთრებულადაა ხაზგასმული, როგორც ისეთი ბოროტმოქმედება, რომელსაც არაფერი არ შეედრება. აქ ასახულია მედეას

24 Ovid, Heroid., vi, 119—128.

25 იქვე, 129—130.

26 იქვე, 99—100.

27 იქვე, 107—108.

28 იქვე, 135—136.

საშინელი დანაშაული, სისაძაგლე — ძმის მხეცური მკვლელობა. ჰიფსიპილე იასონს იხსენიებს შემოიღებულად, რადგანაც მან უპირატესობა მისცა ბოროტმოქმედს. ამას ლემნოსელი დედოფალი კოლხური საწამლავეების მოქმედებას მიაწერს.²⁹

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ორი შეყვარებული ქალი სხვადასხვა პოზიციებიდან მოქმედებს, რათა დაიბრუნოს დაკარგული სატრფო. იასონის წასვლას ორივესაგან ერთი და იგივე მიზეზი აქვს — სხვა ქალის სიყვარული (ჰიფსიპილეს ტოვებს მედეას გამო, ხოლო უკანასკნელს — კრეუზას გამო), მაგრამ მედეასა და ჰიფსიპილეს მიერ იასონის შეფასებისას მათი აზრები ყოველთვის როდი ემთხვევა ერთმანეთს. საერთოა ის, რომ ორივე დედოფალი საყვედურობს იასონს უმადურობასა და ცვალებადობას. როგორც ცნობილია, ორივე დედოფალი ერთ დასკვნამდე მიდის, რომ იასონის დამახასიათებელი თვისებებია: სიცრუე, ვერაგობა, ღალატი პირველსავე ხელსაყრელ მომენტში. მაგრამ, თუ მედეა დაუზოგავად კიცხავს ცვალებად იასონს და უარყოფს მის ვაჟეაცობას და ადამიანურ ღირსებებს, ჰიფსიპილე მოკრძალებულად წერს, და წერილში იგრძნობა სითბო და მორიდებულობა.

მედეა რეალურად მოაზროვნე და სამართლიანი ნატურაა: თავის თავისადმიც დაუნდობელია, გრძნობს საკუთარ დანაშაულს, მისგან შორსაა ის ეშმაკობა, რომელსაც მიმართავს ჰიფსიპილე. ცხადია, მისეული მედეას შეფასება არ შეიძლება ჩაითვალოს ობიექტურად.

როგორც ვხედავთ, „ჰეროიდების“ XII ეპისტოლეში დამუშავებულია კოლხეთის თემასთან დაკავშირებული არგონავტების თქმულების ერთ-ერთი სიუჟეტური მომენტი, კერძოდ, იასონ-მედეას სიყვარული; ხაზგასმულია, რომ კოლხმა ასულმა ყველაფერი შესწირა ვერაგ მებულეს, რომელმაც შემდეგ უარყო იგი.

XVIII ეპისტოლეში დასახელებულია კოლხეთი, „არგო“, შობილი პონტო (...Colchos et in ultima Ponti...)³⁰, აგრეთვე ფრიქსე (Invideo Phrixo).³¹

პოეტი იყენებს თქმულების სიუჟეტურ მომენტებს ცალკეული

²⁹ Ovid, Heroid., VI, 129—132.

³⁰ იქვე, XVIII, 157—158.

³¹ იქვე, 143.

პოეტური ნაწარმოების შესაქმნელად, იძლევა მათში კოლხეთის თემის ორიგინალურ ინტერპრეტაციას.

ოვიდიუსის „ჰეროიდებში“ მოცემულია კოლხეთის ამბების თავისებური ინტერპრეტაცია, მაგრამ არ არის მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ინფორმაცია. ნაწარმოებში ფსიქოლოგიურად, ღრმად აისახა მომხდარი ამბები და ავტორმა დაგვიხატა ფანტასტიკური კოლორიტი; მან გმირები ისე წარმოგვიდგინა, რომ ისინი უკვდავყო არა როგორც ზნეობრიობის დარღვევის საზიზღარი მაგალითები, არამედ როგორც დაზარალებულნი გრძნობის არასწორი ორიენტაციის გამო.³²

³² В у л и х Н В. დასახ. ნაშრ., გვ. 98.

**კოლხეთთან დაკავშირებულ გმირთა სახეები
ვაითებების კონტაქტში**

როდესაც რომაული ლიტერატურის თვითმყოფადობაზე ვლაპარაკობდით, კოლხეთის თემის ინტერპრეტაციის გამო, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რამდენად ცვლიან რომაელი ავტორები ბერძენი წინამორბედების მიერ შემოთავაზებულ სქემას, თუ რა სიახლე შეაქვთ მათ თავის ნაწარმოებში.

აქ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, თუ რამდენად დამოუკიდებელია რომაული ლიტერატურა ბერძნულისაგან გმირის გარეგნული და შინაგანი მხარეების გამომხატველ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლოს — ეპითეტების მხრივ. უკანასკნელ ხანებში ძალზე ბევრი დაიწერა, რამდენად მკიდრო კავშირშია ამა თუ იმ მითოლოგიური გმირის ეპითეტები ტრადიციასთან ბერძნულ ლიტერატურაში, თუ როგორ მეორდება და გადადის ერთი და იგივე ეპითეტები ნაწარმოებიდან ნაწარმოებში. თითოეული გმირი წარმოადგენს, ერთი მხრივ, კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების, ხოლო მეორე მხრივ — უხსოვარ დროში ჩაკარგული ტრადიციის კუთვნილებას. მწერალს იოლად როდი შეუძლია გმირის იმ მახასიათებლების იგნორირება, რომლებსაც მას ტრადიცია სთავაზობს და რომლებიც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ხალხს ძვალსა და რბილში აქვს გამჭდარი. დაახლოებით იგივე შეგვიძლია ვთქვათ, როდესაც ერთმანეთს ვუფარდებთ ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურას. ჩვენ ვგულისხმობთ იმ რომაულ ნაწარმოებებს, რომელთაც ამკარა ბერძნული წინამორბედი გააჩნიათ და რომლებიც ამუშავებენ სწორედ ბერძნული მითოლოგიის ტრადიციულ სიუჟეტებს. უაღრესად საინტერესოა, რას გვთავაზობს რომაელი ავტორი განსხვავებულს ბერძნული ლიტერატურისაგან ტრადიციულ სახეთა ეპითეტების თვალსაზრისით.

კოლხეთის თემასთან დაკავშირებულ ყველაზე პოპულარული სახეების — მედეას, იასონის, აიეტის და აფსირტეს მიმართ გამოყენებული ეპითეტების შინაარსისა და ხმარების სინჭირის შესწავ-

ლის საფუძველზე გამოვიკვლიეთ, რამდენად დამოუკიდებელნი არიან რომაელი პოეტები გმირთა ეპითეტებით შემკობის საკითხში.

განვიხილეთ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენამდე მოღწეულ იმ ბერძნულ წყაროებში, რომლებიც ამოსავალი უნდა ყოფილიყო რომაელი მწერლებისთვის, ხოლო შემდგომ მათ პარალელურად — რომაული წყაროები, კერძოდ, სენეკას, ვალ. ფლავუსის, ოვიდიუსის, დრაკონციუსის და პოზიდიუს გეტას შემოქმედება. ყურადღება შევაჩერეთ პინდარზე, აპ. როდოსელზე და ევრიპიდზე. აქედან, როგორც ცნობილია, პინდარე და აპ. როდოსელი ამუშავებენ თქმულების იმ ნაწილს, რომელიც წინ უსწრებდა იასონისა და მედეას ტრაგიკულ ამბავს, ხოლო ევრიპიდე იმას, თუ როგორ დამთავრდა მათი ურთიერთობა.

ეპითეტები და მათი მნიშვნელობის შემცველი სიტყვები დავყავით რამდენიმე ჯგუფად: წარმომავლობის, ნეიტრალური, დადებითი, უარყოფითი, თანაგრძნობის გამომხატველი.

პინდარე მედას იხსენიებს, როგორც „*Αἰθήρα Ζαμηνῆς παῖς*“¹, ე. ი. „აიეტის მრისხანე ქალიშვილი“. ბერძენი პოეტი სიტყვა „მრისხანეთი“ დამატებით აძლიერებს შთაბეჭდილებას, რომ თვით აიეტი სასტიკია და მრისხანე, მისი ქალიშვილიც მას ჰგავს, მისი ღირსეული მემკვიდრეა. მედეას პინდარე უწოდებს კოლხთა მბრძანებელს — „*δέσποια Κόλχων*“². იგი პინდარესთან არის „*παμφαρχαχισ ξείνας*“³ — (ყველა წამალი რომ იცის) წამლების მცოდნე. ამგვარად, ბერძნული ლირიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყენებს წარმომავლობის (აიეტის ქალიშვილი), ნეიტრალურ (კოლხთა მბრძანებელი) და მაგიურობასთან კავშირის აღმნიშვნელ დადებით ეპითეტებს (წამლების მცოდნე). აღსანიშნავია, რომ „*δέσποια Κόλχων*“ მეტად საპატიო ეპითეტია და ბევრის მთქმელი. ის მიუთითებს მედეას ძალა-უფლებაზე.

იასონს პინდარე იხსენიებს, როგორც ესონის ვაჟს — „*Αἰσωνος παῖς*“⁴ ბრძენ ესონიდეს — „*σιφόν Αἰσωνίδαι*“⁵ და უცხოქვეყნელს — „*ῶ ξείν*“⁶ როგორც ვხედავთ, აქ გვხვდება იასონის ტრა-

¹ Pindar, Pythia, IV, 11.

² იქვე, 12.

³ იქვე, 233.

⁴ იქვე, 118.

⁵ იქვე, 216.

⁶ იქვე, 97.

დიციული ეპითეტები — ესონის ვაჟი, უცხოქვეყნელი (წარმომავლობის აღმნიშვნელი და დადებითი ეპითეტები).

პინდარე ტრადიციული ეპითეტით მოიხსენიებს აიეტსაც, რომელსაც ამატებს სიტყვა „საკვირველს“: ἸΑελοῦ φασαμασῶς υἱός⁷ — ჰელიოსის საკვირველმა ვაჟიშვილმა, ე. ი. აიეტ-მეფემ.

ბერძნულ ეპოსში, ე. ი. აპ. როდოსელთან, ძირითადად ვხვდებით ტრადიციულ ეპითეტებს. მედეა — აიეტის ქალიშვილია — „κισρην Αιήτεος“⁸, „παρμῆιον Αιήτεος“⁹; კოლხელი ქალია — „Κολχιδᾶ κισρην“¹⁰; — გრძნეულია, საშიშია მრავალი წამლის ცოდნით — „Μηδῆϊνᾶ φρίμη πολυφαρμάχου“¹¹, ე. ი. ამ შემთხვევაში აპ. როდოსელი მედეას მაგიურობასთან კავშირზე მიუთითებს.

ყურადსაღებია, რომ აპ. როდოსელი ამ შემთხვევაში მედეას მახასიათებლად იყენებს სიტყვას „საშიშია“ („φρίμη“), რომელიც ქვესკნელის ქალღმერთის ეპითეტია; მიუხედავად ამისა, მედეა დადებით როლს ასრულებს, ეშველება რა არგონავტებს ტალოსის დაძლევაში.

აპ. როდოსელს დასახელებული ჰყავს მედეა როგორც აიეტის ქალიშვილი, ასევე კოლხ ასულად, ე. ი. ტრადიციული, წარმომავლობის აღმნიშვნელი ტერმინებით. მედეა მოხსენიებულია როგორც წამლების მცოდნე, მაგიურობასთან კავშირში. ბერძენი ეპიკოსი მწერლის პოემაში ვხვდებით ეპითეტ „საბრალოსაც“, ასე მიმართავს მედეა საკუთარ თავს. „ἸΑελη ἔγαν“¹² — „მე საბრალო“.

აპ. როდოსელს მოაქვს კიდევ ერთი ასეთივე ტიპის ტრადიციული ტერმინი — „ლტოლვილი“ — „φειταλέην“¹³

განვიხილოთ, თუ რა ეპითეტებს იყენებს მწერალი იასონის მიმართ.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მისი ტრადიციული, წარმომავლობითი ეპითეტი — Αλσειονίδης — ესონის შთამომავალი ან

7 Pind., Pyth. IV, 241.

8 Ap. Rhod., Arg., III, 27; 153, 814; IV, 1296—7.

9 იქვე, III, 86, 142.

10 იქვე, IV, 689.

11 იქვე, 1677.

12 იქვე, III, 636; 771.

13 იქვე, IV, 55.

Αἰσιος სინς¹⁴ — ესონის ვაჟიშვილი, რომლითაც ბერძენი ეპიკოსი პოეტი მას ძალიან ხშირად ახსენებს. ავტორი კიდევ უწოდებს მას „გმირ ესონიდეს“ — „ἦρας τὸ Αἰσιονίδης“¹⁵.

აბ. როდოსელი იასონს უეშმაკესად და უმოხერხებულესად მოიხსენიებს: *πολυαπερδής*¹⁶. როგორც ცნობილია, ესაა ოდისევსის ეპითეტი და მეტად საპატიოდ და დადებითად ითვლება. იასონი მოიხსენიება წარმომავლობის ეპითეტითაც — „უცხოელი“ — *ξένος*¹⁷ — ასე მიმართავენ ხოლმე იასონს.

მაგრამ ერთხელ ნეგატიურ ეპითეტსაც ვხვდებით, როდესაც გმირის უმწეობაა გამოხატული: *ἀμύχανος*¹⁸ — უძლური, უმწეო.

აბ. როდოსელი მოიხსენიებს აიეტსაც მისი ტრადიციული წარმომავლობის ეპითეტით — „*Κυταιῖος Αἰήταιος*¹⁹“ — კეტაიელი აიეტი“. ნეგატიურად უნდა ჩაითვალოს „*Αἰήταιος ἀπηνέος*²⁰“ — „ბირქუში აიეტი“; დადებითი ეპითეტებია — „*Αἰήτης Κόλχων ἀγός*²¹“ — „აიეტი — კოლხთა წინამძღოლი“, „*ἄρεια Αἰήτης*²²“ — „მბრძანებელი აიეტი“ და „*Αἰήτη ἰπερρήγορι*²³“ — „ზვიადი აიეტისა“, „*ἀνὴρ ἀρείων*²⁴“ — „უძლიერესი ვაჟკაცი“.

რაც შეეხება ასფირტეს, აბ. როდოსელი მას იხსენიებს, როგორც აიეტის ვაჟს — „*πᾶς Αἰήταιος*²⁵“ და „*Φαῖθιοιτα*²⁶“ — „ფაეთონი“²⁶.

ახლა ვნახოთ, თუ რაოდენ მდიდარია ეპითეტების მხრივ ევრიპიდეს „მედეა“. კოლხ ქალს ტრაგიკოსი იხსენიებს შემდეგი ეპითეტებით: დადებითი: *σοφῆ*²⁷ — ბრძენი; თანაგრძნობის გამომხატველი:

14 Ap. Rhod, Arg, I, 854, 887, 899, 1032, 1288, 1332, 1396; II, 437, 444, 615, 1134, 1178, 1271.

15 იქვე, II, 410; IV, 1528.

16 იქვე, III, 1364.

17 იქვე, I, 793; III, 401; IV, 89, 745.

18 იქვე, I, 460.

19 იქვე, II, 403; II, 1094; III, 228.

20 იქვე, III, 492.

21 იქვე, 1245.

22 იქვე, 240.

23 იქვე, IV, 212, 1051.

24 იქვე, III, 438.

25 იქვე, III, 241; IV, 697.

26 იქვე, III, 245.

27 Eurip., Med., 303.

πανάλτης²⁸ — „უბედური“ („განკიცხული“), „მისმῶμιον²⁹“ — „ბედშავი“, „ἔρημον³⁰“ — მიტოვებული.

ხოლო შემდგომ, როდესაც მედიაში იღვიძებს შურისძიების გრძნობა, ჩვენ ვხვდებით ისეთ ეპითეტებს, როგორიცაა ნეგატიური: „ἀσπίδα³¹“ — „თავნება“ „φοινίαν³²“ — „ბოროტმოქმედს“, „ἄμυσος³³“ — „ბოროტმოქმედი“, ἡ μέρυστον ἔχμῖστον γύνα³⁴ — „საშინლად განწყობილო ძე“, „ἄαχης³⁵“ — „ავსულმა“, „ἄαα³⁶“ — „უსაშინელესობავ“, „μυσαρὰ χεῖρα ἰσχυρῆ³⁷“ — „საზიზღარო და შვილების დამლუბველო“ და ვკლავ — „μυσσαρᾶς³⁸“ — „საზიზღარო“; თანაგრძნობის გამომხატველი: „ἄασις³⁹“ — „ბედუქულმართი“, „ἄασις⁴⁰“ — „ბედკრულო“, „μισαῖλα⁴¹“ — „ზედმიწვევითა უბედურია“, „ἄαα⁴²“ — „უბედურო“, „ἄαα⁴³“ — „უბედური“, „ἄαα⁴⁴“ — „უბედური“.

ამრიგად, ეპითეტების კონტექსტში დასტურდება ის დახასიათება, რომელიც ევრიპიდემ მისცა თავის გმირს. ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ გაკიცხული, მიტოვებული ქალი გადაიქცევა მკვლელად, თავნება ბოროტმოქმედად, სისხლისმწყურველად და ა. შ.

ევრიპიდე, როგორც ვხედავთ, იყენებს არა მხოლოდ ტრადიციულ ეპითეტებს, არამედ სხვა, ჩვეულებრივ სიტყვებსაც ისე აქსოვს წინადადებაში, შინაარსში, რომ ისინი ეპითეტების მნიშვნელობას იღებენ და ასეთად ემსახურებიან ავტორს სახის წარმოდგენისას.

28 Eur. Med., 277.

29 იქვე, 711.

30 იქვე, 712.

31 იქვე, 1028.

32 იქვე, 1253.

33 იქვე, 1323.

34 იქვე.

35 იქვე, 1363.

36 იქვე, 1369.

37 იქვე, 1393.

38 იქვე, 1406.

39 იქვე, 1274.

40 იქვე, 1246.

41 იქვე, 1028.

42 იქვე, 1057.

43 იქვე, 1265.

44 იქვე, 1250.

ევრიპიდესთან იასონი მოიხსენიება თითქმის სულ უარყოფითი ეპითეტებით. საშინლად ბოროტს და უვარგისს უწოდებს მედეა იასონს, როდესაც სალაპარაკოდ ხვდება მას. „ὦ παχάρχαισται“⁴⁵ — „მეტად უვარგისო“, „საშინლად ბოროტო“. იქვე მედეა იასონს იხსენიებს: ἔχθιστος⁴⁶ — „(უსაძლველესი, განსაკუთრებით საძლველი). ქოროს უწოდებს იასონს უმადურს — „ἄχάριστος“⁴⁷, ვერაგ მეუღლეს — „ὦ γαῖονυμφε“⁴⁸. შურისძიების შემდეგ, როდესაც იასონი ევედრება მედეას მისცეს ბავშვების ცხედრები, რომ დაიტეროს და დაკრძალოს ისინი, მედეა უარს ეუბნება მას და უსურვებს, რომ ბედისწერამ არგუნოს ასეთივე საშინელი სიკვდილი: „κατὰ θυγῆ γαῖον γαῖον“⁴⁹ — „საშინელი ბოროტმოქმედებით სიკვდილი“. აქ იგულისხმება იასონის „ბოროტმოქმედი“ ნატურაც, მის მიერ ჩადენილი საშინელებაც, და, მთლიანად წინადადება შეიცავს აღნიშნული სიტყვის ეპითეტად გამოყენების საშუალებასაც. „γαῖον“ — ბოროტმოქმედი, გაძლიერებულია კულმინაციურ წერტილამდე მისული საშინელების გამოხატვით, რაც ხორციელდება მეორე სიტყვით — γαῖον — ცუდი, საშინელი.

იასონის არასანდო და მოღალატე ბუნება ასახულია იმ წინადადებაში, სადაც მედეა მეტად ორიგინალური ეპითეტით — „τὸν ψευδῆρξον“ (ფიცის გამტეხო) მიმართავს მას:

τὸν ψευδῆρξον καὶ ξειναπῆται⁵⁰

— „შე ფიცისგამტეხო და უცხოელის შემცდენელო“.

იასონი მოიხსენიება თანაგრძნობის გამომხატველი ეპითეტებითაც. ევრიპიდესთან იგი არის „φυσῆς“⁵¹ — ლტოლვილი, გაძევებული, „ἔρημις“⁵² — მიტოვებული, τᾶλας⁵³ — უბედური.

თუ პინდარესთან ნახმარია ეპითეტები, რომლებიც ჭერ კიდევ ძალზე ახლოს დგას გმირთა ტრადიციულ შეფასებასთან და ერთმა-

45 Eur. Med., 465.

46 იქვე, 467.

47 იქვე, 659.

48 იქვე, 991.

49 იქვე, 1386.

50 იქვე, 1392.

51 იქვე, 554.

52 იქვე, 604.

53 იქვე, 991.

ნეთს არ უპირისპირდება დადებითი და უარყოფითი ტერმინები, რომლებსაც უფრო მეტად ჰეროიკული ხასიათი აქვთ, ევრიპიდე აშკარად უხვევს ტრადიციული ხაზიდან და გადამწყვეტ უპირატესობას უარყოფით ეპითეტებს აძლევს. მათ მისდევს თანაგრძობის გამომხატველი ტერმინები და იშვიათი გამონაკლისია — დადებითი.

აპ. როდოსელი ასევე ცდილობს ახლოს იყოს სახეების ტრადიციულ გააზრებასთან.

რომაული ლიტერატურა განაგრძობს ტრადიციებს და მედეას წარმოგვიდგენს როგორც კოლხთა მეფის ბრძენ ასულს, რომელიც მცენარეულობის სამკურნალოდ გამოყენების დიდი ხელოვანი იყო. ოვიდიუსი თავის შემოქმედებაში მედეას მიმართ ისეთ ეპითეტებს ხმარობს, რომ ავტორისთვის ექვსგარეშეა კოლხთა მეფის ასულის მაგიასთან კავშირი, მისი დამოკიდებულება ჯადოსნურ სფეროსთან. ეს დასტურდება „მეტამორფოზებშიც“ და „ჰეროიდებშიც“. VI ეპისტოლეებში ის დახატულია მტრულად განწყობილი მეტოქე ქალის თვალთახედვით, რომელსაც არ შეეძლო ეხელმძღვანელა სამართლიანობის პრინციპით და ელიარებიანა მედეას დამსახურებები, ხოლო XII ეპისტოლეში წარმოდგენილია როგორც დაჩაგრული, ქმრისგან დაუმსახურებლად, ვერაგულად მიტოვებული ქალი თავისი შვილებით.

ჰიფსიპილეს ეპისტოლეში იასონისადმი ოვიდიუსი მიმართავს რამდენიმე ეპითეტს: წარმომავლობის — „Aetino⁵⁴—„აიეტის ქალიშვილი,“ „Phasias“⁵⁵ — კოლხელი; „barbara“⁵⁶ — ბარბაროსი, უარყოფითი: „saeva noverca“⁵⁷ — „სასტიკი დედინაცვალი“, „noverca“⁵⁸ — „დედინაცვალი“; მავიურობასთან დაკავშირებული — „venefica“⁵⁹ — „ჯადოქარი,“ „მომწამელები“.

ეპითეტების საფუძველზე, თავი რომ დავენებოთ ეპისტოლეს შინაარსს, იქმნება გარკვეული შთაბეჭდილება მედეას შესახებ. მათი საშუალებით, ასე ვთქვათ, ჰიფსიპილე ჩვენს წინაშე წარმოდგენს „აიეტის ქალიშვილს, კოლხ ქალს, ბარბაროსს, მომწამე-

54 Ovid, Her., VI, 103.

55 იქვე, 103.

56 იქვე, VI, 19, 81.

57 იქვე, 126.

58 იქვე, 127.

59 იქვე, VI, 19.

ლელს და დედინაცვალს“. აღსანიშნავია, რომ ოვიდიუსი იყენებს ტრადიციულ ეპითეტებს და მათი დახმარებით ამ შემთხვევაში, ქმნის უარყოფითი პერსონაჟის სახეს. ჰიფსიპილე, ახსენებს რა „კოლხ ქალს, აიეტის ქალიშვილს“ (VI, 103), შთაბეჭდილებების გაძლიერების მიზნით, ორჯერ მოიხსენიებს მედეას, როგორც თავისი შვილების დედინაცვალს.

ერთსელ მედეა „სასტიკ დედინაცვალადა“ მოხსენიებული (VI, 126), ხოლო მომდევნო სტრიქონში — უფრო მეტ სიბოროტედ, ვიდრე დედინაცვალი შეიძლება იყოს: „...plus est Medea nocentia“⁶⁰ (მედეა უფრო მეტია, ვიდრე დედინაცვალი).

ტრადიციული ეპითეტია „barbara“⁶¹ — ბარბაროსი, რომელიც აზრობრივად გამოხატავს უცხოელს. მედეა უსაყვედურებს მეუღლეს, რომ ახლა გასდა ის ბარბაროსი, როდესაც ყველაფერი მოიმოქმედა მისთვის, რაც კი შეეძლო!

ხოლო პოეტის მიერ წარმოქმნილი მახასიათებლებია — pauper — ღარიბი და nocens — ბოროტმოქმედი, ავსული:

„...nunc tibi sum pauper
nunc tibi visa nocens..“⁶²

„...ახლა გეჩვენები შენ ღარი-
ბად, ახლა ვარ ავსულიო...“

ჩვენს წინაშეა ქალი, რომელსაც უწოდებენ ბარბაროსს, ღარიბსა და ავსულს.

რაც შეეხება იასონის სახეს ოვიდიუსთან ნახმარი ეპითეტების კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ VI ეპისტოლეში იგი მოიხსენიება, როგორც ცვალებადი — „mobilis“ და არასარწმუნო — „incertus“⁶³ პიროვნება. აღსანიშნავია, რომ ჰიფსიპილეს წერილში, გარდა იასონის უარყოფითი ნატურის გამომხატველი ამ ორი სიმბოლოსი, სხვა კლასის ეპითეტი არ მოიძებნება. XII ეპისტოლეში მედეას სიტყვებზე დაყრდნობით, რომელიც არ ზოგავს ვერაფერს მეუღლეს, შესაძლებელი ხდება იასონის დახასიათება. მის მიმართ გამოყენებულია შემდეგი ეპითეტები: დადებითი: „formosus“⁶⁴ — ლამაზი,

60 Ov. Her., VI, 127.

61 იქვე, XII, 105.

62 იქვე, 106.

63 იქვე, VI, 109.

64 Her., XII, 35.

მშვენიერი; „sospes“⁶⁵ — ბედნიერი, „victor“⁶⁶ — გამარჯვებული; წარმომავლობის: „peregrinus“⁶⁷ — უცხოელი, უცხოქვეყნელი; ნეგატიური: „latro“ (onis)⁶⁸ — ავაზაკი, ყაჩაღი, „ingratus“⁶⁹ — უმადური, დაუნახავი, „inprobis“ („improbis“)⁷⁰ — უტიფარი, თავხედი, „perfidus“⁷¹ — ცბიერი, გაუტანელი, „sceleratus“⁷² — დამქცევი, დამღუპველი.

ოვიდიუსი იყენებს ტრადიციულ ეპითეტებს: ჩვენს წინაშეა ლამაზი ცბიერი უცხოელი. ავტორი ამავე დროს ქმნის იასონის დასახასიათებლად ახალ ტერმინებს. იგი ესახება პოეტს ყაჩაღად, უმადურად, თავხედად, დამღუპველად სხვებისთვის, მაგრამ ბედნიერად და გამარჯვებულად თავისი თავისათვის.

ხოლო, ეპითეტების საფუძველზე, ოვიდიუსის „ჰეროიდების“ მიხედვით, მედეა, რომელმაც სიყვარულის გულისთვის ღმერთების ნება-სურვილით დიდი დახმარება გაუწია იასონს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას უარყოფით პერსონაჟად.

რაც შეეხება აიეტსა და აფსირტეს, ისინი მოიხსენიებიან მეტად ლაკონურად, ყოველგვარი დახასიათებისა და ეპითეტების გარეშე.

იასონი და მედეა „მეტამორფოზებში“ მრავალნაირი ეპითეტებით წარმოგვიდგებიან. მედეას მიმართ გამოყენებულია შემდეგი კლასის ეპითეტები: თანაგრძნობის გამოხატველი — უბედური, ბედკრული — „infelix“⁷³; პოზიტიური: „callida“⁷⁴ — გრძნეული; ნეგატიური: „fallax“⁷⁵ — ცბიერი; წარმომავლობის: „Colchis“⁷⁶ — კოლხი, „barbara“⁷⁷ — ბარბაროსი, „Aetias“⁷⁸ — აიეტის ქალიშვილი; ზავიური: „venefica“⁷⁹ — ჯადოქარი მომწამვლელი.

65 Her., XII, 127.

66 იქვე.

67 იქვე, 111.

68 იქვე.

69 იქვე, 206.

70 იქვე, 204.

71 იქვე, 37.

72 იქვე, 19.

73 Ovid, Metam., VII, 18.

74 იქვე, 301.

75 იქვე, 326.

76 Ovid, Met., VII, 296, 301, 331, 348.

77 იქვე, 276.

78 იქვე, 316.

79 იქვე.

„შეტამორფოზების“ ეპითეტები თითქოს ჰგავს „ჰეროიდებისას“, მაგრამ აღსანიშნავია, რომ თავისი შინაარსით სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობას შეიცავენ. აქ ავტორი გვიხატავს აიეტის გრძელ ქალიშვილს, რომელსაც მკიდრო კავშირი აქვს მაგიასთან, მაგრამ კოლხი ასული ბედკრულია იასონის სიყვარულის გამო, რადგან მოუხდება ცბიერის და ჯადოქრის როლში გამოსვლა; „ბარბაროსი რძლის“ (ე. ი. მედეას) სასიკეთო ნაბიჯი კი მაინც ვერ მოუტანს სიხარულს.

თვითონ იასონი წარმოგვიდგება ისეთი მახასიათებლებით როგორცაა: დადებითი: „clarus“⁸⁰—სახელოვანი, ბრწყინვალე, „formosus“⁸¹—ლამაზი; ნეგატიური: „ingratus“⁸²—უმაღური, წარმომავლობის: „advena“⁸³—გადამთიელი, „nescius“⁸⁴—უცნობი; ინდივიდუალური: „Aesone natus“⁸⁵—ესონის შვილი, როგორც ვიცით, ეს იასონის ტრადიციული ეპითეტია ისევე, როგორც „clarus, „formosus“. რაც შეეხება ტერმინ „ingratus“-ს, საეხებით შეეფერება ოვიდიუსის მიერ დახატულ იასონს და მის ეპითეტად შეიძლება მივიჩნიოთ ისევე, როგორც „ჰეროიდებში“, სადაც მედეა ამ სიტყვით იხსენიებს მას. ხოლო „advena, nescius“ შეიძლება მივიჩნიოთ „peregrinus“-ის სინონიმებად. უკანასკნელი როგორც ვიცით, ასევე იასონის ტრადიციული ეპითეტია.

ამგვარად, იასონი გვესახება, როგორც ბერძენთა სახელოვანი წინამძღოლი, რომელიც თუმცა მედეასთვის უცხოა და გადამთიელი, მაგრამ თავისი მომხიბლავი გარეგნობისა და მოხერხებულობის წყალობით მაინც მიიღებს კოლხთა მეფის ასულის დახმარებას და ახორციელებს თავის მიზნებს.

რაც შეეხება აიეტს, ოვიდიუსი იხსენიებს მას ტერმინ „senis“-თან ერთად, რაც ითარგმნება საზოგადოდ როგორც „მოხუცი“. მაგრამ ამ უკანასკნელს, რომელიც შეიძლება ნეიტრალურ ეპითეტებს მივაკუთვნოთ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ოვიდიუსი ასე უკავში-

80 Ov. Met., VII, 5.

81 იქვე, 84.

82 იქვე, 43.

83 იქვე, 39.

84 იქვე.

85 იქვე, 84, 110.

რებს მოცემულ სიტყვას აიეტს. „senis Aetliae“⁸⁶—„მოხუცი აიეტის“. მედეა თავის მამას უწოდებს: „მრისხანე“ — „saevus“⁸⁷. ამ შემთხვევაში „saevus“ შეიძლება აიეტის ტრადიციულ ეპითეტ „ferus“-ის სინონიმად მივიჩნიოთ (ferus — მკაცრი, მრისხანე, სასტიკი) და ნეიტრალურ კლასს მივაკუთვნოთ.

განსაკუთრებით ორიგინალურ მასალას გმირთა დასახასიათებლად (კერძოდ, მედეას შესახებ) გვაწვდის სენეკას „მედეა“, რომელიც წარმოგვიდგენს გმირებს არა ერთი რომელიმე ეპითეტით, არამედ რამდენიმე ერთად, ე. ი. ორი ან მეტი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს განსაზღვრულ შტრიხს, გაერთიანებულია წინადადებად. მართალია მახასიათებლების რთულ ვარიანტს ზოგჯერ ევრიპიდეს გვთავაზობს განსაკუთრებულ, მძაფრ სიტუაციებში, მაგრამ ისეთი სახით, როგორც ეს სენეკასთანაა, არსად არ გვხვდება. საინტერესოა ვნახოთ, თუ რა ფუნქციების მატარებელი არიან ევრიპიდეს „მედეას“ და ამავე სახელწოდების სენეკას დრამის მთავარი მოქმედი პირების მიმართ ნახმარი ეპითეტები, როგორ შეისისხლხორცა და განავრცო რომაულმა ტრაგედიამ ბერძენი დრამატურგის მიერ გამოყენებული სიმბოლოები ამა თუ იმ გმირის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ევრიპიდეს „მედეას“ ეპითეტებს ენათესავება სენეკასთან ცნება „უბედური“, რომელიც რამდენიმე სიტყვითაა წარმოდგენილი, ისევე, როგორც ეს ბერძენ ტრაგიკოსთან ვნახეთ.

იასონისა და მედეას დიალოგის დროს, როდესაც უკანასკნელი უარს ეუბნება მეუღლეს მისი შვილების სიზილეს მოდგმასთან დანათესავებაზე და მოუწოდებს შერიგებისაკენ, ბერძენი უფლისწული უწოდებს მედეას უბედურს, თვითონ გაძევებულს, რომელსაც სურს გადასახლებაში ქმრის წაყვანა:

„Quid, misera, moque teque
in exitium trahis.“⁸⁸

„რატომ გსურს, უბედურო,
გადასახლებაში ჩემი წაყვანა?“

როდესაც მედეა თავის შვილებს კრეუზასთან აგზავნის, იგი უწოდებს მათ „უბედური დედის შვილებს“:

⁸⁶ Ovid, Heroid., 50.

⁸⁷ Ovid, Metam., 53.

⁸⁸ Seneca, Medea., 513.

„ite, ite, nati, matris infausta genus“⁸⁹

„წადით, წადით, უბედური
ღედის მოდგმავ!“

შურისძიების შემდგომ მომენტში სასოწარკვეთილებაში მყოფი მედეა მოთქვამს:

„quid, misera, feci? misera, paeniteat licet“⁹⁰

„რა ჩავიღინე მე უბედურმა?
დაე ვინანო, უბედურმა...“

როგორც ვხედავთ, სიტყვა „misera“, ისევე როგორც „infausta“, შეგვიძლია მივიჩნიოთ ეპითეტად, რადგან იგი განსაზღვრავს მედეას მდგომარეობას და მის სულიერ განწყობილებას, შესანიშნავად გამოხატავს მას აზრობრივად და ემოციურად. სენეკასთან გვხვდება ევრიპიდესეული „ბოროტმოქმედი“, რომელიც მასთან გამოხატულია ტერმინით „nefanda“⁹¹ და ნეგატიურ ეპითეტებს მიეკუთვნება. ასევე ენათესავენ ბერძენი წინამორბედის მიერ გამოყენებულ ეპითეტებს ორი ნეგატიური და ამავე დროს მედეას ტრადიციული ეპითეტი. ესენია: noxia⁹² — ბოროტი და ferox⁹³ — სასტიკი, მრისხანე.

აღსანიშნავია „furiosa“⁹⁴ — შეშლილი, რომელიც უარყოფითი ეპითეტის მნიშვნელობით იხმარება. შეიძლება ტერმინი „infesta“⁹⁵ გულღვარძლიანი, ავი — მივიჩნიოთ „აჰაჰ“ -ს მონათესავე ნეგატიური კლასის ეპითეტად.

სენეკას „მედეაში“ გამოყენებულია წარმომავლობის ეპითეტი — „Aetiae genus“ — აიეტის ქალიშვილი, მაგრამ იგი დამოუკიდებლად როდია წარმოდგენილი. ავტორი გვაძლევს აქ მეტად რთულ კონსტრუქციას, რომ, რაც შეიძლება აშკარა გახადოს კრეონტის უარყოფითი დამოკიდებულება მედეასადმი:

„Medea, Colchi noxium Aetiae genus.“⁹⁶

„მედეავ, კოლხი აიეტის ასუ-
ლო, ბოროტო ქალო!“

მედეას ეპითეტი აქ იმდენად დაკავშირებულია ტერმინ „noxia“-სთან, რომ სიტყვა „Colchi“-ც და Aetiae genus“-იც მხოლოდ მას ემსახურებიან. როგორც ვხედავთ, სენეკა აერთიანებს მათ და

89 Seneca, Medea, 845.

90 იქვე, 990.

91 იქვე, 131, 871.

92 იქვე, 179.

93 იქვე, 186, 442.

94 იქვე, 897.

95 იქვე, 1018.

96 იქვე, 179.

აძლევს უარყოფითობის იერს. მსგავსი რთული კონსტრუქციების შემცველია კრეონტის ბრძანება მსახურებისადმი, რომ გაათრიონ მედეა. იგი მას უწოდებს: „saevus horribilis“⁹⁷ — „მძვინვარე [ნადირს]“, ე. ი. ორი ტერმინი, თითქმის სინონიმები, „მძვინვარე“ და „საშინელბა“ გაერთიანებულია, რომ უფრო მეტად იყოს აღნიშნული მედეას ნატურა, თუ როგორ ესახება იგი კრეონტს. ასევეა მომდევნო მიმართვაში მედეასადმი: მოტანილია — malorum („malum“-დან — „სიბოროტე“ და „facinus“ (facinorum) — „ბოროტმოქმედება“) —

tu, tu malorum machinatrix
facinorum“...⁹⁸

„შენ, შენ სიაყეთა გამოგონებელი...“

ყველა ჩამოთვლილ სიტყვას ემატება უფრო მეტი სიმძაფრის შემცველი ტერმინი, როგორცაა „cruenta maculas“⁹⁹ — სისხლის მწყურვალე მენადა, რასაც ქორო უწოდებს მედეას და „sceleres auctorem horridi“¹⁰⁰ — „საშინელი სიბოროტის ჩამდენი“.

სენეკასთან ვკითხულობთ წარმომავლობის — Colchis¹⁰¹ და თანაგრძნობის გამომხატველ ეპითეტებს: „fugitiva“¹⁰² — გაქცეული, ლტოლვილი, exul¹⁰³ — გაძევებული, ლტოლვილი, fugiens¹⁰⁴ — გაძევებული.

მედეას მიმართ სენეკას მიერ გამოყენებული ეპითეტები გამოირჩევა ემოციურობით, თავისი რთული ფორმით ისინი ააშკარავენ ფსიქოლოგიურად დაძაბული, ტრაგიკული პიროვნების სულიერ სამყაროს და სხვების დამოკიდებულებას (კრეონტის, იასონის, საზოგადოების) მისდამი.

საინტერესოა, რომ იასონის მიმართ ნახმარი ეპითეტები სენეკასთან ძლიერ ახლოსაა ევრიპიდეს „მედეაში“ გამოყენებულ ტერმინებთან.

აღსანიშნავია, რომ სენეკასთან იასონის მოხსენიებისას ნეგატიური ეპითეტების სიჭარბეა, როგორც ევრიპიდესთან.

97 Seneca, Medea, 191.

98 იქვე, 266.

99 იქვე, 849.

100 იქვე, 979.

101 იქვე, 871.

102 იქვე, 115.

103 იქვე, 459.

104 იქვე, 489.

სენეკასთან უფრო აქტიურია მედეა, როცა ახასიათებს მეულ-
 ლეს; მას უარყოფითი მნიშვნელობის შემცველი ტერმინებით მოი-
 ხსენიებს: ორჯერ შეახსენებს მას უმადურობას.¹⁰⁵ ტერმინი „ვერა-
 გი“ — *perfidus*¹⁰⁶ ნახმარია იასონის მიმართ, როდესაც მედეა
 მტრებს სიბოროტეს უშაადებს და მსჯელობს ამაზე. ეპითეტს
 „*ferox*“¹⁰⁷ — „სასტიკი“ ხმარობს მედეა, როდესაც ის ორგოფობს
 იასონის საქციელის გამო: იქნებ თვითონ არაა დამნაშავე და კრე-
 ონტმა აიძულა ელალატა მისთვის. მაგრამ თვლის, რომ იასონი სას-
 ტიკია, უღმობელია, თუ შეუშინდა მეფის ბრძანებას. ქედმაღალს—
 „*superbo*“¹⁰⁸ უწოდებს მედეა იასონს, როცა მიმართავს დაცინვით.

იასონის კეთილშობილება ჩანს, მიუხედავად უარყოფითობის
 აღმნიშვნელი ეპითეტის „*noxius*“-ისა იმ მომენტში, როდესაც იგი
 ევედრება მედეას, რომ ჯავრი იყაროს მის „ბოროტმოქმედ თავზე
 და არა შვილებზე“:

„*me dedo morti: noxium
 macta caput*“¹⁰⁹.

„მე მოჰალი, ბოროტმოქმედი
 თავი მომკვეთე“.

„მედეაში“ გვხვდება თანაგრძნობის გამოძნატველი ეპითეტი
 „*exul*“¹¹⁰—ლტოლვილი, გაძევებული. ასეთად მოიხსენიებს კრეონ-
 ტი იასონს. ის მოხსენიებულია წარმომავლობის აღმნიშვნელი ეპი-
 თეტითაც: „*peregrinus*“¹¹¹ — „უცხოქვეყნელი.“

საყურადღებოა, რომ კოლხთა მეფე — ძიეტი სენეკასთან მო-
 ხსენიებულია ყველაზე საპატიო, ტრადიციული, პოზიტიური ეპი-
 თეტით — „*Sole generis*“¹¹² — „მზის შთამომავალი“ (მზისგან
 წარმოშობილი).

რაც შეეხება აფსირტეს, მედეა მას უწოდებს „*inclitum regni
 decus*“¹¹³ — „სახელგანთქმულ სამეფოს სამკაულს.“ როგორც ვხე-
 დავთ, ავტორს შეუჩრჩევია მედეას ეპითეტების საწინააღმდეგოდ და-

105 Seneca, Medea, 465; 1021.

106 იქვე, 916.

107 იქვე, 419.

108 იქვე, 1007.

109 იქვე, 1005.

110 იქვე, 255.

111 იქვე, 115.

112 იქვე, 572.

113 იქვე, 131.

დებითი ტერმინების კომპლექსი და ამით გამოუხატავს არა მხოლოდ თავისი პოზიცია აიეტის ვაჟისადმი, არამედ თავისი ხელოვნებაც, როგორც სიტყვის ოსტატს. ამ ლაკონური წინადადებიდან ჩანს, რომ აფსირტე შესანიშნავი თვისებების მქონე და ღირსებით აღჭურვილი პიროვნება იყო.

ახლა ვნახოთ, თუ როგორაა დახასიათებული კოლხეთთან დაკავშირებული გმირები ეპითეტების საშუალებით ეპიკურ ნაწარმოებებში. საინტერესოა, მეორდება თუ არა ეპიკოს მწერლებთან ის ეპითეტები, რომლებიც სხვა ქანრის ნაწარმოებებში გვხვდება.

ვალ. ფლავუსი მედეას იხსენიებს ტრადიციული ეპითეტებით, მაგრამ უარყოფითად არსად არ ახასიათებს. მის მიმართ გამოყენებულია „არგონავტიკაში“ შემდეგი ეპითეტები: წარმომავლობის — „Aeetia virgo“¹¹⁴ — „აიეტის ქალიშვილი.“ იმავე მნიშვნელობის მქონე — „Aeetida“¹¹⁵; დადებითი — „Medea iuventa“¹¹⁶ — „ტურფა მედეა“; ნეიტრალური — „Filia tyranni“¹¹⁷ — „ტირანის ქალიშვილი“, „virgo“¹¹⁸ — „ქალიშვილი“, წარმომავლობის — „Regis filia“¹¹⁹, „Regina“¹²⁰ — „მეფის ასული“. „Sol magne“¹²¹ — „დიდო მზეო“, „Colchis“¹²² — „კოლხი“; „თანაგრძნობის გამომხატველი“ — „infelix“¹²³ — „უბედური“, „საბრალო.“

ამრიგად, ბერძნულ ეპოსში ნახმარი მედეას ტრადიციული ეპითეტები გვხვდება ვალ. ფლავუსთანაც. „არგონავტიკაში“ ტერმინი „ტურფა მედეა“ გვამცნობს რომ მედეა შესახედავად მშვენიერია. სწორედ ამ ტერმინთანაა დაკავშირებული ის პასაჟი, რომ „აიეტის ლამაზი ასული“ შეპირებულია ცოლად გაყვეს ალბანელ სტირუსს, რომელიც „აიეტის ქალიშვილის“ შესანარჩუნებლად (VI, 267) ყველაფერს ცდილობს. როდესაც თავის მეტოქე ანასიუსს დაინახავს,

114 Val. Flacc. Argonautica, IV, 14; VI, 267.

115 იქვე, VI, 481; VII, 445; VIII, 233.

116 იქვე, V, 257.

117 იქვე, VII, 78.

118 იქვე, III, 495; V, 240, 379, 392; VI, 440, 606, 754; VII, 104, 173, 287, 306, 397, 419, 515; VIII, 32, 38, 45, 59, 67, 132, 136, 173, 387, 394.

119 იქვე, I, 61.

120 იქვე, V, 373, 441, VI, 657.

121 იქვე, VIII, 350.

122 იქვე, V, 349; VII, 584; VIII, 67, 70.

123 იქვე, VI, 490; VIII, 160.

გაემართება მისკენ, რომ მოკლას იგი. მედეას ხელის მოსპობებლად მოსულ მეტოქეებს, მიიღი ნამდვილი ღიოსებების ასეთ პლანში წარმოჩენას და მისი პერსონის განდიდებას მხოლოდ ვალ. ფლაკუსთან ვხვდებით.

სიტუაცია, როდესაც მედეას გული სამუდამოდ დაემონება იასონს, საოცრად ჰგავს „ვისრამიანში“ აღწერილ ბრძოლაში რამინის გაბედულებისა და მოხერხებულობის სურათს, რომელსაც ვისი უცქერის, ხოლო ძიძა, რომელიც ვისის გვერდითაა ამ დროს, გვაგონებს იუნოს. იგი გმირის ღირსებებზე მიუთითებს, რათა სიყვარულის გრძნობა გაულრმავოს ქალიშვილს. მედეა ჩინს ინიციატივას სიყვარულში და იგი მომხიბლავად გამოიყურება, რადგან მას უყვარს რამინით გაბედულ, მამაცი და ღირსებებით სავსე რაინდი. საპატიო ეპითეტით ამკობს მედეას ვალერიუს ფლაკუსი. რომელიც უწოდებს მას „magni virgo ne regia Solis-ს“¹²:—„ღიადი მზის შვილის მეფის ასულს“. მედეას „დიდ მზეს“ უწოდებს სტირუსი, რომელსაც სურს გამოგლიჯოს იგი ბერძნებს ხელიდან (VIII, 350).

ეპითეტების მიხედვით მედეას დამახასიათებელი ნიშნებია: გულახდილობა, მოკრძალება, პატიოსნება, სიფრთხლე, სიბრძნე და ერთგულება, რომლებიც სწორედ ყველაზე დაძაბულ და პასუხსაგებ მომენტში მელაჯნდება.

ქალიშვილი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაემორჩილა იმ გრძნობას, რომლითაც სავსეა მისი სული, არსება. მედეა იმიტომაც მრავალტანჯული, რომ ნებისყოფა არ დალატობს. ის უბრალოდ შეყვარებული ქალიშვილი კი არაა, არამედ იმ მძიმე ცნებათა ღელვას შეუპყრია, რომელიც ყველა საუკუნეში მოითხოვს უდიდეს მსხვერპლს. მედეასთვის სიყვარული მისი ცხოვრების უმალლესი აზრია, მისი გულისთვის ის მზადაა გმირობა ჩაიდინოს. სწორედ ესაა ვალ. ფლაკუსის სიახლე. მედეა სწორედ ჰემმარტი გმირია და არა უნებისყოფო სათამაშო ოლიმპიელების ხელში. მას რწინქტი კი არ ამოძრავებს, როგორც ეს ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა სხვა ავტორების ნაწარმოებებში, არამედ მიზანსწრაფვა, რომელიც გულის სიღრმიდან წარმოჩინდა და გრძნობასთან ერთად კონებასაც მოიცავს. როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, დაეხმაროს ბერძნებს, უკვე აღარ ყოყმანობს. მას ამოძრავებს დაუოკებელი სურვილი ემსახუროს მაღალ იდეალს და მტკიცედ დგას თავის პო-

ზიციებზე. მან თავიც კი გადასდო, მთელი მისი პოტენცია მიზნის შესრულებისკენაა მიმართული. ის დარწმუნებულია, რომ სწორად იქცევა, რომ სამართლიანობა მოითხოვს დაეხმაროს განწირულებს, მით უმეტეს იასონს, რომელიც მას თავდავიწყებით უყვარს. მას უყვარს მამაც, თავისიანებიც და ეყვარება ისინი მთელი სიცოცხლე, მაგრამ როგორც ადამიანი, ის გრძნობს, რომ ვალდებულია იხსნას დაჩაგრულები. ეს აზრები მედევს ზოგადსაკაცობრიო იდეებამდე ამალვებს და ხდის მას არა საშიშ პიროვნებად, როგორც აქამდე ტრადიციულად იყო ცნობილი, არამედ იდეალურ, შესანიშნავ და მიმზიდველ პერსონაჟად. მედეა-წამებული, რომელიც თავისიანების ერთგულიცაა, მაგრამ ასევე საყვარელი ადამიანის სამართლიანობის დამცველიც, მალდდება მსოფლიო ლიტერატურის მრავალი კლასიკური გმირის დონემდე.

აღსანიშნავია, რომ ვალ. ფლაკუსი ყოველ ნაბიჯზე უსვამს ხაზს მედეას კეთილშობილებას.

ამრიგად, ეპითეტების საფუძველზე, რომლებიც გამოხატავენ გმირის სულიერ სამყაროს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკის“ მთავარი მოქმედი პირი — მედეა არის დადებითი პერსონაჟი. ვალ. ფლაკუსმა მოხსნა მედეას ავხორცი ქალის სამარცხვინო დაღი, რომელსაც ეგოისტური მიზნები ამოქმედებს და მეხსიერებაში საშიშად და ვერაგად რჩება. მისი გმირი ქალი არის ჭეშმარიტად გმირი, რომელიც თანაგრძნობას იწვევს და განაცდევინებს მკითხველს მის უბედობას, მწუხარებას, სიხარულსა და ბედნიერებას. ავტორი მედეას მაგიურ ძალებთან კავშირს მხოლოდ დადებითად ეხმაურება, განსაკუთრებით კი — სასწაულ-მოქმედი საიდუმლოების ცოდნას უქებს. ლ. რადერმახერი წერს, რომ მედეა გვევლინება ბუნების ყველა ძალის მბრძანებლად. მეცნიერი შენიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ მედეას გენეალოგია ჰელიოსიდანაა, ქალიშვილი თავისი არსით შორსაა მისგან. მედეა უფრო ახლოსაა პერასთან, რომელიც ზევსის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. მკვლევარის აზრით მედეაში თავდაპირველ ღვთიურ არსებას ვხედავთ, რომელიც უძველეს ბერძნულ რელიგიაში პოულობს სათავეს, როცა ჯადოქრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ღმერთთა ძალები მათი ჯადოქრობის უნარით იზომებოდა.¹²⁶

¹²⁶ Ludwig Radermacher, *Mythos und Sage bei den Griechen*, Darmstadt, 1968, зз. 243.

მედეა, როგორც იასონის მშველელი, შესაძლოა რანგით ჰერას, ათენასა და აფროდიტეს გვერდითაც იდგა.¹²⁶

უნდა აღინიშნოს მედეას სიბრძნე, რადგან ის წამლების საუკეთესო მცოდნეა. ავტორი ასეთ ფორმას მიმართავს: „Medea venenis“ — „მედეას ჯადოსნური წამლები“, ე. ი. ქალის სახელს უკავშირებს წამლებს.

როგორც ვნახეთ, ცნობას მედეას საექიმო ხელოვნებისა და პაგიასთან მისი კავშირის შესახებ აპ. როდოსელი „არგონავტიკაში“ რამდენიმე ეპითეტით გვაწვდის. ამ საკითხზე ინფორმაცია ვალ. ფლაკუსის პოემაშიც გვხვდება.¹²⁷

ეპითეტების მეშვეობით ვასკვნით, რომ აიეტიდა — ტურფა, კოლხი მეფის სახელოვანი ქალიშვილი დაჯილდოებულია ჯადოქრის ნიჭით, ყოვლისშემძლეობითა და იდეალური გმირის თვისებებით.

რაც შეეხება ვალ. ფლაკუსის იასონს, მის დასახასიათებლად ავტორი იყენებს შემდეგნაირ ეპითეტებს: ინოივიდუალურს: „Aesonatus“, „Aesonides“¹²⁸ — „ესონის შვილი“, „ესონიდეს შთამომავალი“; ნეიტრალურს: „ductor“¹²⁹ — ბელადი“, „dux“¹³⁰ — წინამძღოლი. „heros“¹³¹ — „გმირი“; „დადებითს“: „deum magni natis“¹³² — „ძღვევამოსილ ღმერთთა ნაშობს“, „decus“¹³³ — „სიამაყე“, „magnum ducem“¹³⁴ — „წინამძღოლს ვაჟკაცურს“, „pulchrior“¹³⁵ — „ულამაზესი“, „fama viri virtusque“¹³⁶ — „სახელი და ვაჟკაცობა გმირის“, „ferox“¹³⁷ — „გაბედული“. „მამაცია“, „უშიშარი“, „turbidus“¹³⁸ — „მალი“, „სწრაფი“. „fortissime“¹³⁹ —

126 L. Radermacher, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

127 Val. Flaccus, Arg., VI, 267; VII, 633; VIII, 18.

128 იქვე, I, 148, 161, 194, 226, 474, 488; II, 334, 346, 385, 659; III, 8; IV, 675, 755; V, 4, 302, 571, 577, 583; VI, 173, 592, 655, 736; VII, 165, 409, 464, 491, 530, 587, 594, 639; VIII, 105, 118, 166, 178, 192, 197, 244, 353, 387, 414.

129 იქვე, IV, 703.

130 იქვე, V, 310.

131 იქვე, VII, 614; VIII, 24, 109.

132 იქვე, I, 1.

133 იქვე, I, 56.

134 იქვე, VII, 556—557.

135 იქვე, VII, 263.

136 იქვე, I, 30.

137 იქვე, VI, 615.

138 იქვე, VI, 618.

139 იქვე, VII, 67.

მეტად ძლევაშობილი, „fidissime coniunx“¹⁴⁰ — „უერთგულესო მეუღლევ“; წარმომავლობის: „dux Thessalus“¹⁴¹ — „თესალიელი, ბელადი“, „ignotus“¹⁴² — „უცნობი“, „Thessalus“¹⁴³ — „თესალიელი“, „Haemonius“¹⁴⁴ — „ჰემონიელი“; თანაგრძნობის გამომხატველს: „miserus“¹⁴⁵ — „უბედური“, „profuga“¹⁴⁶ — „ლტოლილი“.

იასონს, რომელიც „არგონავტიკაში“ უმთავრესად მოიხსენიება როგორც ესონის შთამომავალი, ავტორი „ძლევაშობილ ღმერთთა ნაშობს“ უწოდებს (I, 1). იგი წარმოდგენილია უბრწყინვალეს გმირად, თავისი ღირსებებით ტიტუსს რომ ანსახიერებს, რომლის პროტოტიპადაც გამოიყენა იგი ვალ. ფლაკუსმა. ავტორმა „არგონ“ მეთაური, ბოროტმა პელიასმა რომ მძიმე მისია დაუსახა, კეთილშობილ რაინდად წარმოგვიდგინა, ისეთად, როგორიც უნდა იყოს ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მოამაგე თავისი მეგობრების, გამზიარებელი ყველა მათი უბედურების.

როგორც ცნობილია, ამგვარი ეპითეტები არ გვხვდება აპოლონიოს როდოსელთან. „უცხოელის“ შესატყვისად ვალ. ფლაკუსთან შეიძლება ჩაითვალოს „ignotus“ — უცნობი.

ასევე ტრადიციულ „formosus“-ს შეიძლება შეენაცვლოს „pulchrior“, რომელიც ნახმარია იმ მომენტში, როდესაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ულამაზესი“ იასონი ყველას შორის გამოირჩეოდა თავისი გარეგნობით.

საინტერესოა ეპითეტი „heros“ — გმირი. მართალია, „გმირი“ ტერმინია, რომელიც ყველა რაიმე განსაკუთრებული მოქმედების ჩამდენ პიროვნებას შეიძლება ვუწოდოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, ე. ი. ვალ. ფლაკუსთან, იგი ეპითეტის როლს ასრულებს.

ვალ. ფლაკუსთან ვხვდებით იასონ-მედვასთან დაკავშირებით ანტიკურ ლიტერატურაში ეგზომ ხშირად გამოყენებულ ტერმინ „miserus“ — უბედურს.

წარმომავლობის ეპითეტები — „თესალიელი“ და „ჰემონიე-

140 V. Fl. Arg., VIII, 419.

141 იქვე, V, 277.

142 იქვე, VII, 173.

143 იქვე, VII, 437.

144 იქვე, VII, 17, 524.

145 იქვე, I, 225; VII, 317.

146 იქვე, VII, 129.

ლი“ — იასონის წარმოშობას აღნიშნავენ, მის ტრადიციულ ტერ-
 მინებად ითვლებიან. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ პოზიტიური ეპი-
 თეტებით ანუ, უფრო სწორად, ორი ტერმინით — „სახელი და
 ვაჟკაცობა“ — მოიხსენიება იასონი. აპ. როდოსელთან იასონი არაა
 დამშვენებული ასეთი ეპითეტებით, როგორც ვალ. ფლაკუსთან.
 ესაა, გარდა დასახელებულისა, „ferox“ — გაბედული (IV, 615), რო-
 დესაც იასონი შედარებულია ლომთან (ისე გაბედულად იბრძვის);
 საინტერესოა სიტყვა „turbidus“, რომელიც ასევე შეიძლება მივიჩ-
 ნოთ ეპითეტად (VI, 618). იაიკ, ცხადია, იასონის დადებით მსარეზე
 მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ვალ. ფლაკუსი იასონის ღირსებების
 ჩამოთვლისას ყოველთვის იყენებს აღმატებით ხარისხს. ეს ეხება შე-
 სანიშნავ ტერმინს „fortissime“ — უძლევამოსილეს (VII, 67). ამ
 ეპითეტით მიმართავს იასონს აიეტი, როდესაც მოუწოდებს, რომ
 ცეცხლისმფრქვევ ხარებს შეებრძოლო. შესანიშნავი სიტყვებით,
 რომლებიც ასევე დადებითად უნდა ჩაეთვალოს იასონისათვის, მი-
 მართავს მედეა „მეუღლეს უერთგულესს“ (VIII, 419) — „fidussi-
 me coniunx“.

ამგვარად, რომაულ ეპოსში, კერძოდ, ვალ. ფლაკუსის პოემა
 „არგონავტიკაში“ წარმოდგენილი გმირი—იასონი, რომელიც „ტრა-
 დიციულად განხილული იყო, როგორც უარყოფითი პიროვნება,
 იძენს სხვა თვისებებს. იასონი არის აქტიური, ფხიანი პერსონა. ეს
 არის რომაელი სარდლის — დამპყრობის — სახე.“¹⁴⁷

ეს არ არის ის, პიროვნება, „რომელიც თავის საქმეს აგვარებს
 სხვების საშუალებით.“¹⁴⁸

„ვალ. ფლაკუსის პოემის გმირს — იასონს ეყრიპიდეს ტრაგე-
 დიისა და აპ. როდოსელის პოემის იასონთან მხოლოდ ერთი საერ-
 თო აქვს — სახელი. მატყუარა, მშიშარა და ვერაგი იასონის, მაც-
 დურისა და აფსირტეს მკვლელის, აგრეთვე მოღალატე ქმრის, უმწეო
 კაცის ნაცვლად, გაშუდმებით რომ სულით ეცემა, ვალ. ფლაკუსი
 გვისჩატავს გაბედულ და გულზვიად რაინდს, რომელიც ყველაზე
 უფრო სახელსა და ღირსებას უფრთხილდება, შეგნებულად მიდის
 ნებისმიერ რისკზე, ე. ი. ნამდვილი რომაელია თავისი დადებითი და
 უარყოფითი თვისებებით.“¹⁴⁹

147 Д е р а т а н и Н. Ф., Нахов И. М., Полонская К. П., Чернявский М. Н., История римской литературы, 1954, гл. 442.

148 W. R a d e r m a c h e r, Mythos und Sage... гл. 209.

149 История римской литературы, под ред. Ф. А. Петровского и др.,

იასონი ვალერიუსთან წარმოდგენილია ისე, რომ იგი თავისი სიმამაცით და არა ჯადოსნობით აღწევს მიზანს.¹⁵⁰

ეს დასტურდება ეპითეტებით. ჩვენს წინაშეა ღვთის ნაშობი, ესონის შთამომავალი, თესალიელთა წინამძღოლი, ვაჟკაცური, ლამაზი, გულზეიადი გმირი, რომელიც უშიშარია და მალი, ძლევამოსილი და სახელოვანი, ერთგული — მეომრების, მეუღლისა და საერთოდ ადამიანების.

ეპითეტებშიც შეინიშნება განსხვავება აპ. როდოსელის პოემის იასონსა და ვალ.ფლაკუსის გმირს შორის. საერთოა მათ შორის ეპითეტი „ესონის შთამომავალი“ და „უცხოელი“, „უცნობი“. აპ. როდოსელი თავის გმირს არც ვაჟკაცურად, არც ძლევამოსილად და არც გაბედულად არ გვიხატავს, რომ არაფერი ვთქვათ მის ერთგულებასა და სხვა დადებით პირად თვისებებზე.

რაც შეეხება აიეტს, აპ. როდოსელისაგან განსხვავებით, ვალ.ფლაკუსი მას უფრო პირქუშად და ვერაგად წარმოადგენს. რომაელი ეპიკოსის „არგონავტიკაში“ მას ნეგატიური ეპითეტები აქვს დამატებული.

აიეტთან დაკავშირებით ვალ. ფლაკუსს ნახმარი აქვს დადებითი ეპითეტებიც და ისეთებიც, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის უარყოფით თვისებებზე მიგვითითებენ: წარმომავლობის — „Soligena“, „Sol + gigno“¹⁵¹ — „მზის ნაშობი“, „მზის შთამომავალი“, „Sole satus“.¹⁵² — „მზის შვილი“, „შთამომავალი“, „Aeaeus“¹⁵³ — „კოლხური“, „ეასი“, „Rex Hyperionides“¹⁵⁴ — „ჰიპერიონის შვილი“ (ე. ი. ჰელიოსის) შვილი; ნეგატიური: „ferus“¹⁵⁵ — „პირქუში“, „furens“¹⁵⁶ — „გამძვინვარებული“, „გაათრებული“, „perfidus“¹⁵⁷ — „ვერაგი“, „infandus“¹⁵⁸ — საშინელი.

ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ აიეტის დადებით პერსონაჟად მიჩნევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მართალია, ის

¹⁵⁰ Ж.М.П. С—П, 1874, гл. 69.

¹⁵¹ Val. Flaccus, Argon., V, 223, 317.

¹⁵² იქვე, V, 264, 456, 567.

¹⁵³ იქვე, V, 547, 620.

¹⁵⁴ იქვე, V, 471.

¹⁵⁵ იქვე, I, 43; V, 553.

¹⁵⁶ იქვე, V, 268; VII, 640.

¹⁵⁷ იქვე, V, 289; VI, 432.

¹⁵⁸ იქვე, VIII, 415.

თვით ჰიპერიონის — მზის ღმერთის შთამომავალია, მაგრამ ვერაგია, პირისგამტეხი, არასაიმედო და ცრუ.

ამრიგად, აპ. როდოსელის „კუტიელი აიეტი“, რომელიც „კოლხთა წინამძღოლი“, „ზვიადი“ და „უძლიერესი ვაჟაკია“, ვალ. ფლაკუსთან „მზის შთამომავალი“, „ჰიპერიონის შვილიშვილი“, „მძვინვარე“, „ვერაგი“ და „საშინელია“. ორივე ეპიკოსი მწერალი მიიჩნევს მას პირქუშად.

ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკის“ ეპითეტების კონტექსტში აიეტ-მეფე გამოდის მთაჯარ და მნაშავედ, რომელმაც აიძულა თავისი ქალიშვილი და იასონი ჩუმად მოეტაცნათ მისთვის ოქროს საწმისი, რადგან არც ერთი დადებული პირობა არ შეასრულა და თანაც განიზრახა არგონავტების დაღუპვა. როგორც ავტორი ამბობს, იგი ღირსი იყო, რომ მოატყუეს და მიატოვესო.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ აფსირტე უფრო აქტიურია, უფრო ვაჟაკური, მამაცი და გამჭირაბი ჰკუისაა, ვიდრე აპ. როდოსელთან. რომელიც ეპიკოსი მწერალი გვერდს უვლის მის ტრადიციულ დახასიათებას, რომელიც მას საწყლად, სევდიანად და შესაბრალისად გვიხატავს. ვალ. ფლაკუსთან იგი ისეთია, როგორც შეეფერება მზის ღმერთის შთამომავალს. მიუხედავად თავისი „მცირეწლოვანი“ ასაკისა, ასფირტე მამაცურად და თავგანწირვით ებრძვის თავისი ბიძის პერსეს ჯარს და გამოირჩევა კიდევ ბრძოლის ველზე. იგი საოცარი გაბედულებით ცდილობს დაეწიოს არგონავტებს, რათა მედეა გამოგლიჯოს მათ ხელიდან და შეებრძოლოს, თავისი წინაპრების ღირსების დამცველი — აფსირტე ვალ. ფლაკუსს ყველგან დიდი პატივით ჰყავს მოხსენიებული. როდესაც ავტორი წარმოგვიდგენს მეფის ჯარს, აფსირტე აიეტის გვერდითაა დასახლებული (V, 457). ეს ყმაწვილი პაპის ღირსეული შთამომავალია და იმსახურებს სვეეთილ მომავალს.¹⁵⁹

„იგი ელვარებს ეტლითა და შუბით პაპის სხივებისგან“ (VI, 517 — 518).

ვფიქრობთ, შემთხვევითი როდია აფსირტეს სახელის დაკავშირება სახელოვან წინაპართან, სახელდობრ, პაპასთან და არა აიეტთან. ვალ. ფლაკუსს აფსირტე ნამდვილად მზის ღირსეულ შთამომავლად გამოჰყავს თავის პოემაში.

¹⁵⁹ Val. Flaccus, Argonautica, V, 457—458.

აფსირტესთან დაკავშირებით ერთხელ გვხვდება მისი ტრადიციული ეპითეტი — „infelix“ — „უბედური“. ეს არის მომენტი, როდესაც „უბედური ძმა“ იარაღშია ჩასმული, (VII, 136).

აფსირტე ვალ. ფლაკუსთან ნამდვილ გმირად გვევლინება.

თავისებურად წარმოადგენს თავის გმირებს დრაკონციუსი. განვიხილოთ, თუ როგორ გვიხატავს „მედეას“ ავტორი გმირთა სახეებს ეპითეტების კონტექსტში.

მისი მედეა პირველსავე სტრიქონში „*virginis atrae*“¹⁶⁰ — „თვალბედითი ქალწულია“, რომელიც გადაიქცევა „*cruentalam novercam*“¹⁶¹ — „სისხლმომწყურებულ დედინაცვლად“, ე. ი. ავტორი იყენებს ტრადიციულ, უარყოფით, კლასის ეპითეტს (სისხლმომწყურებული) და უმატებს ნეგატიურობის გამომხატველ მეორე სიტყვას — „დედინაცვალს“, რომლის საშუალებითაც აძლიერებს გმირის სახის უარყოფითობას.

გამხეცებული, მძვინვარე ქალწულიდან, რომელიც მომზადებულია მსხვერპლად შესწიროს იასონი, იუნოს სურს მედეა ნაზ, იასონის მოსიყვარულე და მოამაგე მეუღლედ აქციოს, რასაც აღწევს ამურის საშუალებით. აი მისი სიტყვები:

... et virgo cruenta adprobet
hos arcus dominae plus posse
pharetris¹⁶².

„და სისხლმომწყურებულმა ქალწულმა უნდა აღიაროს, რომ ამ მშვილდს და ისრებს უფრო მეტი ძალუძთ, ვიდრე მისი ქალღმერთის საისრეს“.

დრაკონციუსი ამჯერად ხმარობს „*cruenta*“-ს სიტყვა „*virgo*“-სთან ერთად, რის შედეგადაც ახალ ნეგატიურ ტერმინს ვეთავაზობს: „*virgo cruenta*“. უკანასკნელს იმეორებს შემდგომ პასაჟშიც, სადაც „სისხლმომწყურებული ქალიშვილი“ — „*virgo cruenta*“¹⁶³, რომელზედაც ჯერ არ მოუხდენია მოქმედება კუპიდონის ისრებს, დიანას ტაძარში იასონის მსხვერპლად შესაწირად ემზადება. მედეა ვირტუოზული შემსრულებელია თავისი მოვალეობისა. რაკი დიანას ემსახურება, მას ახასიათებს ის თვისებები, რომელიც ამ ქალღმერთს მოსწონს. გულცივად, ინდეფერენტულად და დაცინვით

160 Drac. Medea, 1.

161 იქვე, 22.

162 იქვე, 152.

163 იქვე, 195.

ეპყრობა მსხვერპლშეწირვის ობიექტს — ტყვე იასონს, არ აქცევს ყურადღებას მის ახალგაზრდობას, სილამაზეს და წარმოშობას. მედეა სავსეა მაგიური საიდუმლოებებით, ღვთისმოსაობით. იგი იწყებს ლოცვას რიტუალის შესასრულებლად ძიძის მეთვალყურეობით. აღსანიშნავია, რომ დრაკონციუსი სიტყვა „noverca“-ს კიდევ ხმარობს, მაგრამ ეპითეტ „cruenta“-ს გავიშვ. ეს ხდება იმ მომენტის აღწერი-სას, როდესაც მედეა გადაწყვეტს, რომ უმადური გვარიდან არ დატოვოს შთამომავლობა და შვილებს კლავს.

„Hæc ait et geminos uno
simul ense noverca transegit
pueros“¹⁶⁴

„ოქვა ეს და ხმლის ერთი და-
რტყვით მოკლა შვილები. რო-
გორც ღვთისმოსაობა“.

ავტორი კვლავ ნეგატიური ეპითეტით ახსენებს მედეას, როდესაც აგვიწერს, თუ როგორ მიათრევენ იასონს, როგორც ხარს, სამსხვერპლოზე, ხოლო უკან მისდევს მას „მავნებელი მედეა“ — „Medea nocens“.¹⁶⁵

დრაკონციუსი მედეას „კაცისმკვლელ“ — „homicida“-ს¹⁶⁶ უწოდებს. ტერმინი გამოყენებულია ძიძის სიტყვაში.

ეს არის სრულიად ახალი ნეგატიური ტერმინი მედეას მიმართ. „მედეაში“ დრაკონციუსს მოაქვს ტრადიციული, უარყოფითი კლასის ეპითეტები „furens“¹⁶⁷ -- „გამძვინვარებული“, როცა აგვიწერს, თუ როგორ მისდევს კოლხი მეფის ასული უკან ტყვედ ჩაგდებულ იასონს.

დრაკონციუსი მედეას პოზიტიური ეპითეტითაც იხსენიებს. იგი მას „ბრწყინვალე მედეასაც“ — „fulgens Medea“¹⁶⁸ უწოდებს, როდესაც კუპიდონის ისრების წყალობით მედეას შეუყვარდება იასონი და მის ერთგულ მეუღლედ იქცევა (როგორც რჩება იგი მის მუხანათურ საქციელამდე). ავტორი აგვიწერს ჯვრისწერის მომენტს ტაძარში, სადაც ყოველი მხრიდან ივრძნობოდა ამბროზიის სუნი და ისმოდა სალოცავი სიმღერები და:

„iungitur Aesonidi fulgens
Medea marito“¹⁶⁹

„ბრწყინვალე მედეა თხოვე-
ბოდა იასონზე“.

164 Drac. Med., 547.

165 იქვე, 180.

166 იქვე, 231.

167 იქვე, 181.

168 იქვე, 289.

169 იქვე.

როგორც ვხედავთ, აქ აღნიშნულია მხოლოდ გარეგნული სი-
„ლამაზე. დრაკონციუსი იყენებს უნივერსალურ ეპითეტსაც: ესაა
„misera“¹⁷⁰ — „საბრალო“, „უბედური“.

დრაკონციუსის სიუჟეტის მიხედვით, მედეა იმდენად სასტიკი
მკვლელია, რომ წინასწარ ტყბება ჩადენილი საქციელით. ბავშვებს
არ ატანს გვირგვინს, თვითონ უნდა დარწმუნდეს, რომ გლავკე
უსათუოდ დაიღუპება. იგი შემოსავს იასონის საცოლეს, „საჩუქრით“
და ტოვებს მეფის სასახლეს.

აღსანიშნავია მაგიურობის გამომხატველი ეპითეტები: „Medea
sacerdos“¹⁷¹ — „მედეა-ქურუმი“, „Maga“¹⁷² — ჯადოქარი.

დრაკონციუსის მიერ აღწერილი რიტუალი, რომელსაც მედეა
ასრულებს, რათა რისხვა დაატეხოს თავს დამნაშავეებს, იმათ, ვინც
ამ მდგომარეობაში ჩააგდო, ადასტურებს სიძლიერეს, ძლევამოსი-
ლებას გმირი ქალისა, მის კავშირს მთვარეს, პლუტონსა და ფუ-
რიებთან. ღრმად დამწუხრებული მედეა გრძნობს თავის უბედურე-
ბას, მაგრამ არ სურს დამორჩილდეს მას და გაახაროს მტრები. იგი
რისხვას და შურისძიებას გამოხატავს; იასონის მიმართ აღარ ექვიან-
ნობს, აღარ უყვარს. ქმარი მასში მხოლოდ ტკივილის გრძნობას
იწვევს (424). ამიტომაც, რომ სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით,
სადაც იასონი ცოცხალი რჩება, დრაკონციუსის მედეა მას ფიზიკუ-
რად ანადგურებს, სპობს.

დრაკონციუსს აინტერესებს მედეა როგორც მაგიური პიროვ-
ნება, ჯადოქარი. ავტორი აღწერს, თუ როგორ ამზადებს მედეა ახალ
გვირგვინს გლავკესათვის (484—508) და თან წყევლასაც ურთავს.
იგი ფლობს ჯადოსნობის ნიჭს, შელოცვების საიდუმლოებებს, აგრე-
თვე დახვეწილია საწამლაკების ხელოვნების ცოდნაში.

მედეას სახე დრაკონციუსის „მედეას“ ეპითეტების კონტექსტ-
ში — ბრწყინვალე გარეგნობის კოლხი ჯადოქარი ქურუმი, მაგრამ
უიღბლო, ამავე დროს იგი მავნეცაა, კაცისმკვლელი, სისხლმომწყუ-
რებული დედინაცვალია.

დრაკონციუსის „მედეას“ მეორე მთავარი მოქმედი პირი —
იასონი — უარყოფითი სახეა.

170 *Drac. Med.*, 420, 428.

171 იქვე, 184, 213, 267, 392, 430, 527

172 იქვე, 343, 496.

მედეასაგან განსხვავებით ავტორი იასონს თავიდანვე ახსენებს იმ მიზანთან დაკავშირებით, რამაც იგი კოლხეთში მოიყვანა:

„Hanc propter pelagi temerator primus Iason Venerat, ut rutilas subducerat arbore lauas“¹⁷³

„ოქროს საწმისისათვის მოვიდა პირველად იასონი, ზღვის წამბილწველი, რომ ბრწყინვალე, წითელი ფერის ბეწვი მოეტაცა“.

ამ სტრიქონებში ყურადღებას იქცევს გამოთქმა „Pelagi temerator“ — „ზღვის წამბილწველი“. როგორც ვხედავთ, იასონის პირველივე ხსენება უარყოფით ტერმინთანაა დაკავშირებული.

დრაკონციუსმა შეძლო ეჩვენებინა თავისი გმირის ყველაზე დამახასიათებელი შტრიხი — უზომო მშობარობა, სილაჩრე. როცა უცხო ხალხს დაინახავს, იასონი იმ წამსვე ზღვაში ჩახტება, მას ავიწყდება ყველა და ყველაფერი, და ცდილობს, რომ როგორმე გადაარჩეს (41—44).

საინტერესო ფაქტია, რომ დრაკონციუსი „გმირად“ ახსენებს იასონს იმ მომენტში, როდესაც ის სიმხდალეს იჩენს, „callidus“—თან ერთად. ცხადია, აქ ავტორის ეს გამოთქმა უნდა ჩავთვალოთ დაცივად, მაგრამ შეიძლება იასონის ეპითეტად — „თვალშაქვი“ მივიჩნიოთ, რომელიც კვლავ მეორდება მომდევნო პასაჟში ფორმით: „callide“¹⁷⁴, როდესაც მედეა შეატყობს, რომ მისი ქმარი უძილო დამეებს ოხვრაში ატარებს, — სამშობლოში დაბრუნებას ნატრობს.

„Quam, callide, fraudem quodve nefas moliris?“¹⁷⁵

„შე თვალშაქვო, რა სიყრუეს იგონებ?“ — ეკითხება მედეა ქმარს.

ქალი ამით ამჟღავნებს, რომ კარგად იცის თავისი მატყუარა ქმრის ბუნება.

ღმერთქალ დიანას იასონი „Perfidus nauta“¹⁷⁶ — „ვერაგ მეზღვაურად“ მიაჩნია და დალოცვის ნაცვლად წყევლას უგზავნის ახლადდაქორწინებულთ, რომლებიც მოულოდნელად ნახა თავის ტაძარში ნადირობიდან დაბრუნებულმა საქორწინო ცერემონიალის დროს.

173 Drac. Medea, 34—35.

174 იქვე, 343.

175 იქვე.

176 იქვე, 294.

საინტერესოა ის ეპითეტები, რომლითაც მედეა მიმართავს
იასონს:

„*dic nauta fugax, pirata nefunde*“¹⁷⁷

„მითხარი, მხდლო მეზღვაუ-
რო, საშინელო მეკონრე...“

ესაა პირველი სიტყვები, რომლებსაც ქურუმი-მედეა თავის მო-
მავალ ქმარს ეუბნება, რაც ნათლად ამტკიცებს მის დამოკიდებუ-
ლებას იასონისადმი, რომელიც დრაკონციუსის პოემაში არსად არაა
მოხსენებული, როგორც სახელოვანი წინამძღოლი ან ბელადი. მას
ავტორი ყველგან „მეზღვაურად“ ასახელებს.

დრაკონციუსი გვატყობინებს, რომ „უმადულია მეზღვაური“
იწეის თავის საცოლესთან ერთად.

„*Ingratum maritum*“ (384) და „*ingratus nauta*“ (519) მოტა-
ნილია თითოჯერ, მაგრამ ნათლად წარმოგვიდგენს იასონის შინა-
გან ბუნებას.

აღსანიშნავია უარყოფითი ტერმინი „*mendicus Iason*“¹⁷⁸ —
„მათხოვარი იასონი“, რომლითაც მედეა ახსენებს ქმარს, როდესაც
პროზერპინას სთხოვს, რომ არ დაეხმაროს მას, არ გადააჩინოს იგი.

იასონის მიმართ ნახშირია თანაგრძნობის გამომხატველი ეპი-
თეტი „*infelix*“¹⁷⁹ — „უბედური“. უკანასკნელი მოტანილია სიტყვა
„*captivus*“ — „ტყვე“-სთან ერთად.

ამ ეპითეტს ხმარობს იუნო, რომელიც ანტიკურ ლიტერატურა-
ში ტრადიციულად იასონის მფარველად ითვლება.

ისევე როგორც მედეაზე, დრაკონციუსი იასონზე წერს, რომ
იგი ლამაზია. „*Pulcher Iason*“¹⁸⁰ — „ლამაზი იასონი“.

გარდა „*pulcher*“-ისა. აღსანიშნავია კიდევ ერთი ეპითეტი:
„*pirata decore*“¹⁸¹ — „გამოჩენილო ზღვის ყაჩაღო“.

დრაკონციუსი იასონს წარმომავლობის ეპითეტებითაც ახსე-
ნებს: „*Aesonides*“¹⁸² — ესონის შვილი.

ესონიდე წარმოდგენილია მშვიდარა, გაუბედავ და ეშმაკ ჰეროვ-
ნებად, რომელიც ამავე დროს ვერაგი, უბედური და საშინელოა;

177 *Drac. Medea*, 248.

178 იქვე, 418.

179 იქვე, 58.

180 იქვე, 56.

181 იქვე, 210.

182 იქვე, 76, 289, 351.

უმადური და მათხოვარიც. მაგრამ დრაკონციუსი იმასაც აღნიშნავს, რომ იასონს ბრწყინვალე გარეგნობა აქვსო.

თუ დიანას ტაძარში იასონი, კუბიდონის მხარდაჭერის მიუხედავად, ვერ მალავს თავის მშიშარა ბუნებას და საცოდავად გამოიყურება, სამაგიეროდ, ბრწყინვალე, თვითდაჯერებული სასიძოა გლავკეს გვერდით, როდესაც საქორწინო ხელშეკრულებას აწერს ხელს.¹⁸³

აღსანიშნავია, რომ ასფირტე დრაკონციუსის „მედეაში“ ტრადიციული ეპითეტით არის მოხსენიებული — როგორც მედეას ძმა.

„pariter fugerunt fratre u-
cato“¹⁸⁴

„ერთად მიიზიან ძმია მკელე-
ლები“.

ერთხელაა მხოლოდ ნახსენები „სასტიკი აიეტის“ — „immitis Aetos“.¹⁸⁵

საინტერესოდაა წარმოდგენილი თქმულების მთავარი გმირები პოზიდიუს გეტას „მედეაში“. მართალია, ისინი ვერგილიუსის ნაწარმოებების ენით მეტყველებენ და ეპითეტებიც მისივეა, მაგრამ როგორც ტიპები, უდავოა, ამ მწერლის მიერ შექმნილ სახეებს წარმოადგენენ.

მედეა პოზიდიუს გეტასთან არის „საცოდავი“ — „perdita“,¹⁸⁶ „შეშლილი“ — „dementis“.¹⁸⁷ ასე ახასიათებს მას კალსტური ქორო.

მეფე კრეონტს მედეა მისი შვილის მეტოქედ მიაჩნია და ამიტომ ცდილობს დაამციროს ისეთი გამოთქმებით, როგორც „hostilis“¹⁸⁸ — „უცხოქვეყნელო“, „hostilis“¹⁸⁹ — „მტრულო“, „არაკეთილგანწყობილო“, „varium“ და „mutabile“¹⁹⁰ „მერყევო“, „ცვალებადო“. იგი ამბობს, რომ ქალს თითქოს შეეძლოს მხოლოდ შუღლის და მტრობის გაჩაღება, ტყბილი ოჯახის სიმყუდროვის დარღვევა. ამავე დროს კრეონტის ხმაში ჟღერს შიშის ნოტები, რომ ქალის პოტენციას ძალუძს ვარსკვლავების უკუქცევა იმ დროს, როდესაც სა-

183 Drac. Medea 476—479.

184 იქვე, 364.

185 იქვე, 59.

186 Hos. Getae Med., 44.

187 იქვე, 45.

188 იქვე, 52.

189 იქვე, 55.

190 იქვე, 59.

ხეზე მშვიდობის ნილაბი აქვს. მეფეს სურს გააგებინოს მედეას, რომ გრძნობს ყოველივეს, რაც ამჟამად მის გულსა და სულში ხდება, რომ მას ათასი ხერხების მფლობელს და „გამძვინვარებულს“ — „furens“¹⁹¹ ბევრი საშინელების ჩადენა შეუძლია. მედეა თავის თავს უწოდებს „მიტოვებულს“ — „relictæ“¹⁹², როდესაც ევედრება კრეონტს მოწყალება მოიღოს და ერთი ღამე დატრავოს მის სამეფოში. კოლხი ქალი „უბედურად“ — „infelix“¹⁹³ იხსენიებს თავის თავს ძიძასთან დიალოგში. მას უმტყუნა ბედმა და ვერ შეძლო საყვარელი ქმრის დაბრუნება. იმავე დიალოგში იგი გამოხატავს იმედს, რომ, შესაძლოა, „საცოდავებს“ — „miseros“.¹⁹⁴ ბედმა გაუღიმოს. კვლავ ნახმარია ეპითეტი „საბრალო“ „miseris“¹⁹⁵ მაშინ, როდესაც მედეა ელაპარაკება იასონს და გამოთქვამს იმედს, რომ მისი ცოლი — კრეუზა ალბათ მისცემს მათ კუთხეს. ამავე დიალოგში, სადაც მედეა მავედრებლადაა წარმოდგენილი, ხოლო იასონი მდგომარეობის ბატონ-პატრონად, იგი მედეას უწოდებს „საცოდავს“ — „perdita“¹⁹⁶. მაგრამ ამ შემთხვევაში ეპითეტი შებრალების მიზნით როდია ნახმარი. პირიქით, იასონი ემუქრება ყოფილ მეუღლეს ღვთისა და მმართველი წრეების ძალით. ჰოზიდიუს გეტასთან მედეას დხასიათებისას უარყოფითი ეპითეტები ქარბობენ. აღსანიშნავია მედეასა და მისი შვილების დიალოგი, სადაც საკუთარი შვილი მას „ბოროტ უცხოქვეყნელს“ — „Hostis amare“¹⁹⁷ უწოდებს, ხოლო იასონი — სასტიკ, შეუბრალებელ, საზარელ ღედას — „crudelis mater“¹⁹⁸, როდესაც ნახავს მოკლულ შვილებს.

ამრიგად, ჰოზიდიუს გეტას „მედეაში“ ჩვენს წინაშეა „უცხოქვეყნელი“, „მტრულად განწყობილი“, „შეშლილი“ ქალი, რომელსაც თავისი თავის კონტროლი დაუკარგავს, რითაც ძლიერ ჰგავს სენეკას მრავალტანჯულ მედეას. ჰოზიდიუს გეტასთან, ძიძის გარდა, არავინაა მედეას მხარდამჭერი და ერთგული, როდესაც ის დაბნეულია და არ იცის რა ქნას. ამ ავტორთან სიახლეა შვილებთან დია-

191 Hos. Getae Med., 65.

192 იქვე, 80.

193 იქვე, 151.

124 იქვე, 171.

195 იქვე, 240.

196 იქვე, 199.

197 იქვე.

198 იქვე, 444.

ლოგი. მედღა ისეა გაცეცხლებული, ისეა გადარეული, რომ ისიც კი ამძვინვარებს — შვილის სახე იასონს რომ აგონებს თავისი ზედმიწევნითი მსგავსებით. მას ის აზრიდა ამოძრავებს, რაც შეიძლება მალე ამოაგდოს საძულველი გვარი ფესვიანად, არ დაუტოვოს იასონს ნუგეში და იმედი, რაც შეიძლება მწარედ გადაუხადოს სამაგიერო შეურაცხყოფისათვის, უსამართლობისათვის. იგი მზადაა ამისთვის საკუთარი შვილების სიცოცხლეც კი გასწიროს. „მიტოვებულნი“, „უბედურნი“ ქალი, რომელსაც თავისი თავი ეცოდება, რომელსაც ამცირებენ, უწოდებენ „ცვალებადს“, „მერყეუს“, „გამძვინვარებულს“ და არაფრად აგდებენ მის სულიერ ტანჯვას, გადაიქცევა „ნამდვილ ფურიად“ — „ბოროტ უცხოქვეყნელად“, „საშინელ“, „სასტიკ“ არსებად. მაგრამ აქაც არის მომენტი, როდესაც დედას უჭირს შვილის მოკვლა და საბოლოოდ უაღერსებს მას. წინააღმდეგობით აღსაესება მისი განცდები; ერთი მხრივ, დედობრივი ინსტინქტები და შვილების სიყვარული, მეორე მხრივ, — ზიზღი, შეურაცხყოფის გრძნობა, დაუოკებელი სურვილი, რომ მათი მამის საძულველი მოდგმა განადგურდეს.

პოზიდიუსს გეტასთან მედღა მსგავსად სენეკას გმირისა, თავიდანვე შურისძიების გრძნობითაა შეპყრობილი. ამ მწერალთან პირველივე მონოლოგი მედეასი მტრებისადმი მუქარით მთავრდება.

რაც შეეხება იასონს, პოზიდიუსს გეტასთან, იგი სენეკას გმირისაგან იმით განსხვავდება, რომ არ ცდილობს მედეასთან შეხვედრისას იმართლოს ან შეაბრალოს თავი. პირიქით, ემუქრება, გულზავიდად წარმოუდგება ცოლს, არც კი სურს მოუსმინოს. ერთი სიტყვით, ისე იქცევა, როგორც ადამიანი, რომელსაც თავისი მიზნისთვის მიუღწევია და სხვისი განცდები, თუნდაც ამგადარი მეუღლისა, არაფრად მიაჩნია. წარსულში მედეას მიერ გაღებული მსხვერპლი, რამაც იასონს სახელი და ღიღება მოუტანა (ხოლო ქალი კი დაღუპა), მხოლოდ მძიმე ტვირთად აწევს, რასაც სიამოვნებით მოიხსნის და, ასე ვთქვათ, მოიხსნა კიდევ. იასონმა ჩაიხშო ყოველგვარი სიბრალული მედეასადმი და, როდესაც იგი შეახსენებს შვილებს, ამითაც ვერ აღწევს სასურველ შედეგს. იასონი მოურიდებლად უცხადებს მედეას, რომ მათი შეხვედრა უკანასკნელია. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სენეკას გმირი გარკვეულ თანაგრძნობას იწვევს, პოზიდიუსს გეტასთან მისი გამომწვევი მოქმედება იმდენად აუტანელია, გასაკვირი იქნებოდა, მედღა რომ არ გაცეცხლებულიყო. ცხადია, გმირის ეპითეტებიც ხელს უწყობს მკითხველს თვალნათლივ

წარმოიდგინოს იასონის სახე. „Cruclis“¹⁹⁹ — „სასტიკს“ უწოდებს მედეა იასონს თავის მონოლოგში, როდესაც იგი უსაყვედურებს ლალატს: „ვერაგად“ — „improbis“²⁰⁰ მოიხსენიებს მედეა მეუღლეს, როდესაც შურისძიებით ემუქრება. „უთავხედესს“ — „confidentis-sime“²⁰¹ უწოდებს იასონს მედეა, როცა შოაგონებს, თუ როგორ შეიპარა მისი ოჯახის მშვიდობიან ცხოვრებაში და ზღვაზე მოხეტიალე უცხოელმა მის ძმას სიკვდილი მოუტანა. იასონის ვერაგობის — „perfidus“²⁰² გახსენებას გაჰოპყავს მედეა მღვთმარეობიდან, მაგრამ იგი დადებითი ეპითეტებითაც ამკობს მოლალატე მეუღლეს. იგი აღნიშნავს მის გარეგნულ „სილამაზეს“ — „formose vale“²⁰³ („მშვენიერო, ნახვამღის!“) — მწარედ ეუბნება მედეა იასონს, როდესაც სასოწარკვეთილს ტოვებს მოკლული შვილების გვამებთან.

სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი იასონი ბოლოს აღარაა ის „მშვენიერი მეუღლე“ — „pulcherrime coniunx“²⁰⁴, „ძღვევამოსილი“, „გაბედული გულით და თავისი იარაღით“ — „quam forti pectore et armis“²⁰⁵, რომელსაც ხალხი (ქორო) ასე ახასიათებს — ის „საამაყო“ მეუღლე („i, aecus, i nostrum“²⁰⁶ — „შენ, ჩვენო სიამაყევე“), რომელიც მედეას შვილების მშობელი გახდა. მკითხველის წინაშე რჩება გაუბედურებული, მარტოხელა კაცი, რომელიც თავის თავს უბედურს უწოდებს — „misero“²⁰⁷.

ამგვარად, ჰოზიდიუს გეტას მიერ წარმოდგენილი პერსონაჟი, თუმცა მოგვაგონებს თავის წინამორბედებს, ე. ი. ევრიპიდესა და სენეკას გმირებს, მაგრამ თავისებურად განსხვავდება მათგან. ჰოზიდიუს გეტას იასონი დასაწყისში წააგავს ევრიპიდეს გულგრილ იასონს, ხოლო ფინალურ სცენაში — განსხვავდება იმით, რომ მედეას კი არ აბრალებს ყველაფერს, არამედ თავის თავს აღანაშაულებს.

საინტერესოა აფსირატეს სახე, რომელიც მუდამ ამ ეპითეტით — „უბედური“ — „infelix“²⁰⁸ მოიხსენიება. იგი თავის თავს თვი-

199 Hos. Getae Med., 20.

200 იქვე, 245.

201 იქვე, 258.

202 იქვე, 385.

203 იქვე, 460.

204 იქვე, 35.

205 იქვე, 40.

206 იქვე, 241.

207 იქვე, 434.

208 იქვე, 391.

თონ უწოდებს „უბედურ აჩრდილს“ — „infelix simulacrum“, და ასედაც წარმოგვიდგება ნაწარმოებში.

ამგვარად, რომაულ ლიტერატურაში შეინიშნება ტრადიციისადმი ერთგულება ეპითეტების საკითხში; სრულიად აშკარაა ტენდენცია სახეთა თავისებური გააზრებისა: მედეასადმი თანაგრძნობა და იასონის დადანაშაულება; მედეას დადანაშაულება და იასონისადმი თანაგრძნობა.

იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოა პოეტი რომის ისტორიის შფოთიან წლებთან, მედეას სახე სულ უფრო და უფრო შმაგი და იდუმალებით მოცული ხდება, ხოლო იასონისა — საოცრად დეპეროიზებული. დრაკონციუსის შემოქმედება, რომელიც თავის გმირების მიმართ თანაგრძნობით არ არის გამჭვალული, ლოგიკური დასასრულია ამ ტენდენციისა. ლათინურენოვანმა ლიტერატურამ შესაბამისად შემოგვთავაზა მრავალი ისეთი ეპითეტი, რომელიც შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო სახეთა რომაული ინტერპრეტაციის საფუძველზე აღმოცენებულად მივიჩნიოთ.

**კოლხეთის შესახებ რომაული წყაროების
ისტორიული ღირებულება**

რომაელთა ცნობები კოლხეთის შესახებ, პირველ რიგში, ჩვენს ყურადღებას იპყრობს როგორც ლიტერატურული წყარო. მაგრამ, რასაკვირველია, მათ დიდი ისტორიული ღირებულება აქვთ. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომელ ავტორთან გვაქვს საქმე და რამდენად ძლიერი იყო ამ ავტორის ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერესი კოლხეთის მიმართ. ისტორიული თვალსაზრისით მეტი ღირებულება აქვთ რომაელ ისტორიკოსთა, გეოგრაფთა და მეცნიერთა თხზულებებში დაცულ ცნობებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებულ წმინდა ლიტერატურულ ძეგლებში არ იყოს საინტერესო ცნობები კოლხეთის შესახებ. მთელი რიგი ავტორები, ამუშავებენ კოლხეთის სიუჟეტს და იმავე დროს გვაწვდიან მნიშვნელოვან ინფორმაციებს ძველი კოლხეთის საზოგადოებრივი განვითარების მაღალი დონის, მისი ფლორისა და ფაუნის, მდინარეებისა და ქალაქების, მოსახლეობისა და სხვადასხვა ტომების ზნე-ჩვეულების შესახებ და ა. შ.

ჩვენ შევეცდებით, ძირითადად მხატვრულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, თუმცა სხვა რომაული წყაროების გათვალისწინებითაც, წარმოვადგინოთ ცნობები კოლხური სამყაროს შესახებ, დაეაჯფუფოთ ეს ინფორმაციები სხვადასხვა ასპექტით და ვაჩვენოთ, რამდენად ახალი ან ტრადიციულად შეიძლება იყოს რომაული მწერლობა.

ოქროს საწმისის მფლობელის — აიეტ-მეფისა და მისი ქალიშვილის — ჯადოქარი მედეას ქვეყანამ — კოლხეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბერძენი, ხოლო შემდგომ რომაელი ხალხის ისტორიაში.¹

I. ქვეყნის სახელწოდება და ლოკალიზაცია. კოლხეთი, ანუ უძველესი სახელწოდებითა და საზღვრებით ცნობილი აია, მდებარეობდა „შავი ზღვის აღმოსავლეთ

¹ А. В. Урушадзе, Страна волшебницы Медуи, Изд-во Тбилисского Университета, Тбилиси, 1975, стр. 21.

სანაპიროს გულში“² უფრო ზუსტად, მისი „ტერიტორია დაახლოებით სოხუმ-ბიჭვინთის სექტორიდან კოროხის 'მესართაეის რაიონამდე ვრცელდებოდა“.³

მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ-რომაულ მწერლობაში თითქოს კოლხეთი სრულიად გარკვევით უკავშირდება დასავლეთ შავი ზღვისპირეთს, ცნება „კოლხეთის“ ხმარებისას სიზუსტე დაცული არაა და ხშირად იგი იდენტიფიცირებულია „სკვითეთთან“. საქმარისია დავასახელოთ ვალერიუს ფლაკუსი, რომელთანაც სკვითეთი კოლხეთის ნაცვლად „არგონავტიკის“ დასაწყისშივე გვხვდება.⁴

რომაელი მწერლები ხშირად უწოდებენ კოლხურ გეოგრაფიულ პუნქტებს სკვითურს, არ აძლევენ ამას არავითარ მნიშვნელობას, რადგანაც სკვითეთი ფართო ცნებაა.

დრაკონციუსთან კოლხები და სკვითები იმდენად გაიგივებულა ერთმანეთთან, რომ იგი სრულიად თავისუფლად ხმარობს ამ სახელწოდებებს ერთიმეორის ნაცვლად (44—50). და კილია...

et Scythiam Bacchus iam
sponte petebat: iam venit ad
Colchos⁵

და უკვე შემობრუნდა ბახუსი
სკვითეთისკენ თავისი ნება-სურვილით, და წავიდა კოლხებთან.

ავტორს არ აღეღვეს ის გარემოება, აიეტს უწოდებს სკვითს თუ კოლხს.

ხოლო სტაციუსი მეფეას სამკურნალო ხელოვნების აღწერისას აღნიშნავს, რომ კოლხეთის მეფის ასულს შესწევს უნარი უმკურნალოს სკვითური ჯადოსნური წამლებით — *Scythicis quatiens medicata venenis Colchis agel*⁶.

II. კოლხეთის მდინარეები. განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებული მდინარეების საკითხი. რომელი მწერლები კოლხეთის მდინარეებად ასახელებენ ფაზისს, თერმოდონტს, ირისს და ხობს. მნიშვნელოვან ინფორმაციად მიგვაჩნია ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“ მოხსენიებული ალაზანიც... *et tota non audit Alazona ripa*⁷, რაც ნიშნავს — „და არავის არ სმენია ალაზნის ნაპირების შესახებ“.

² მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბილისი, 1969, გვ. 60.

³ ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბილისი, 1966, გვ. 5.

⁴ Val. Flaccus, Argon., I, 4.

⁵ Dracontius, Medea, 281—282.

⁶ Statius Thebais, Cambr, Mass, Lond., MCM LV, Vol. I, IV, 505—506.

⁷ Val. Flaccus, Argon., VI, 101.

მდინარე ალაზანი რომაულ ლიტერატურაში გვხვდება პლინიუსის „ბუნების ისტორიაში“ „ოკაზანის“ სახელწოდებით. უკანასკნელს ე. ლატიშევი უკეთებს შემდეგ კომენტარს: „სხვაგვარად იკითხება“ „Olazanes“ (შდრ. RE, I, 1, 1299, s. v. Alazonius), იდენტურია სტრაბონის ალაზონიუსისა და იგივედგება თანამედროვე ალაზანთან, მტკერის ერთ-ერთ შენაკადთან.“⁹

თითქმის ყველა დიდ ავტორთან კოლხეთის მთავარ მდინარედ მოხსენებულია ფაზისი. ბერძნულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, პირველთაგანია ჰესიოდე, ვინც მდინარე ფაზისი კოლხეთს და არგონავტებს დაუკავშირა. ეს მდინარე მრავალ ბერძნულ წერილობით წყაროში მოიხსენიება და იდენტიფიცირებულია თანამედროვე რიონთან (არის საწინააღმდეგო შეხედულებებიც).

გაეიხსენოთ აპ. როდოსელის ინფორმაცია, რომელიც მდ. ფაზისის კოლხეთის მდინარედ მიიჩნევს.¹⁰

რომაულ მწერლობაშიც მდინარე ფაზისი მოხსენიებულია და აღწერილი მრავალ წყაროში.

პლინიუს სეკუნდუსი ფაზისს უწოდებს „...clarissimusque Ponti Phasis“¹¹ — „უგანთქმულეს პონტოს მდინარეს“ და ასე ახასიათებს მას:

„Oritur in Moschis, navigatur quamlibet magnis navigiis XXXVIII D p, inde minoribus longe spatio, pontibus CXX pervius“¹²

„სათავეს მოსხებთან იღებს, დიდი ზომადებისთვის სანაოსნოა, 38500 ნაბიჯზე, ხოლო პატარებისთვის — დიდ მანძილზეც. ზედ 120 ხილია გადასასვლელი“.

რომაულ წყაროებში ფაზისი მიჩნეულია კოლხურ მდინარედ, ე. ი. მისი ადგილსამყოფელი არის კოლხეთი, სახელგანთქმული აიეტ-მეფის ქვეყანა; იგი იდენტურია მდინარე რიონის, მისი სათავე — კავკასიონის მთებია, ხოლო ერთვის ის პონტოს, ანუ შავ ზღვას.

ლირიკოსი პოეტი ვალერიუს კატულუსი მოგვითხრობს არგონავტების გამგზავრებაზე კოლხეთში, ასახელებს მათ საბოლოო პუნქტს — აიეტ-მეფის ქვეყნის საზღვრებს, სადაც მიედინება მდ.

⁹ C. Plinii Sec., NH. Lib. VI, § 26.

¹⁰ SC, II, 2. Plat. mus, стр. 865.

¹¹ Ap. Rhodii, Arg., II, 401.

¹² Plinii Sec., N. H., Lib., VI, 12.

¹³ * ქ ვ ე. 13.

ფაზისი.¹³ ასევე კოლხეთის ტერიტორიას უკავშირებს მდ. ფაზისს ავგუსტუსის ხანის პოეტი სექსტუს პროპერციუსი, რომელიც თავის „ელეგიებში“ მოიხსენიებს ხოლმე მას.¹⁴ პოეტი მანილიუსი თავის ასტრონომიულ პოემაში, რომელსაც ეწოდება „ასტრონომიკა“, იხსენიებს ფრიქსეს, რომელსაც ბედისწერამ წაართვა და — პელე, ხოლო თვითონ კოლხეთში, მდ. ფაზისთან მიიყვანა.¹⁵

მდ. ფაზისს ხშირად ასხენებს თავის შემოქმედებაში ოვიდიუსი: „მეტამორფოზებში“¹⁶ „მწუხარების ლექსებში“¹⁷ „პეროიდებში“¹⁸ და სხვა.

VI ეპისტოლეში ოვიდიუსი გეოგრაფიულ ტერმინებს თავის-უფლად ექცევა: სკვითიის საზღვრებს ფაზისს უკავშირებს.¹⁹

მდ. ფაზისი განსაკუთრებულ როლს ასრულებს სენეკას შემოქმედებაში.²⁰

ფაზისს ასახელებს თეზევსი „ფედრაში“. აგი მას უწოდებს „კოლხეთის ფაზისს“ — *Colchusque Phasis*.²¹

საყურადღებოა სენეკას მიერ ფაზისის ბუნებრივი პირობების აღნუსხვა ნილოსის დახასიათების ფონზე, რაც ავტორმა წარმოგვიდგინა „*Naturales quaestiones*“-ში. ამ გამოკვლევის ფრაგმენტი თავის თავად მეტად საინტერესოა.

„ფაზისს, როგორც კოლხეთში შესავალ გზას და იქაურ მდინარეს, ხშირად ასხენებს ვალ. ფლაკუსი „არგონავტიკაში“.

ფაზისი, როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო მდინარე, დასახელებული აქვს ვერგილიუსსაც.²²

ზოგიერთი რომაელი ავტორი კი ფაზისის სახელს უკავშირებს სისხლის ღვრასა და მედეას ცოდვებს: მაგალითად, ლუკანუსი „ფარსალიაში“.²³

¹³ Catullus, Tibullus, Propertius. *Epithalium Peloi et Thetidos*, Lipsiae, 1829, LXIV, 1—3.

¹⁴ Sextus Propertius, დასახ. ნაწარმ. *Lib. I, XX, 17—18 Lib. III: Eleg.*, XXI, 11.

¹⁵ M. Manilii *Astronomica*, ed Iacobus van Wageningen, Lipsiae, MCMXV, Lib. IV, 516—517.

¹⁶ Ovid. *Metamorphoses*, Lib VII, 6.

¹⁷ Ovid., *Tristia*, Cambr., Mass., London, MCMLXV, Lib. II, 439.

¹⁸ Ovid., *Haroid*, VI, 103; XII, 10.

¹⁹ იქვე, VI, 107—108.

²⁰ Seneca, *Medea*, 43—45; 102, 762; 211—213; 451—452.

²¹ Seneca, *Phaedra*, Lipsiae, MCMII, 907.

²² Virgil, *Georgics*, Cambr., Mass., London, MCMLX, IV, 367.

²³ M. Annaei Lucani *De bello civili*, IV, 652—555.

სტაციუსი ასახელებს მდ. ფაზისს და მის დასახასიათებლად ხმარობს ეპითეტ — „სისხლიანს“ — „cruentum“.²⁴

სქოლიოებში სახელწოდება „სისხლიანი“ განმარტებულია შემდეგნაირად: „ფაზისი მდინარეა, რომელსაც პოეტი იმიტომ უწოდებს სისხლიანს, რომ ამბობენ, როდესაც მედეა მამის დევნას გაუბოდა, მიმოფანტა მოკლული ძმის სხეულის ნაწილები“.²⁵

ამრიგად, რომაული მწერლობა ფაზისის კოლხეთის ყველაზე მნიშვნელოვნ მდინარედ აღიარებს. მდ. თერმოდონტის დახასიათებისათვისაც გვერდი არ აუვლია ბერძნულ მწერლობას და სანამ რომაულ წყაროებს მოვიტანდეთ მის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ იგი ყველაზე სანაქებოდ აღწერა აპ. როდოსელმა თავის პოემაში.

თერმოდონტი თავის ნაპირებზე მცხოვრებ ამადონელთა ტომით, როგორც ეს სენეკას „მედეაშია“ აღნიშნული, მდებარეობს კოლხთა მეფის სამფლობელოში.²⁶

ვერგილიუსი კი თერმოდონტს მაკედონიის ჩრდილოეთით მყოფ ქვეყანაში — თრაკიაში ათაკებებს.²⁷

თერმოდონტი მოიხსენიება ოვიდიუსის თხზულებაში „წერილები პონტოდან“ (IV, 10, 51).

ვალ. ფლავიუსი ორჯერ ასახელებს მდ. თერმოდონტს. პირველად ფინეცის წინასწარმეტყველებაში, როდესაც ის არგონავტებს მათ მომავალ მარშრუტს აცნობს, ხოლო შემდგომ, როდესაც არგონავტები გაივლიან მას. პოეტი მოკლედ ახასიათებს: იგი საშინელი ბო-ბოქრობით მიგორავს ზღვაში და უმდიდრესია დოვლათის მოპოვების მხრივ.²⁸

აღსანიშნავია, რომ პლინიუსი მდ. თერმოდონტის მიდამოებში მცხოვრებლებად ხალიბების გვერდით ასახელებს კენების (Caenarum) ტომს,²⁹ რომელთა სახელწოდებას ვ. ლატიშევი ადარებს კენებთან (χαίνοι XII, 4, 2) სტრაბონთან და პლინიუსთან (Caenici IV, 40).³⁰

²⁴ Statius, Thebais, V., I, V, 457—458.

²⁵ SC II, Lat. нис. стр. 906.

²⁶ Seneca, Medea, 215.

²⁷ Virgil, Aeneid, XI, 659.

²⁸ V. Flaccus, Arg., IV 601: V, 121.

²⁹ Plin., NH, VI, § 11.

³⁰ SC, II, Lat. нис., с. 855.

თერმოდონტს ასახელებს პომპონიუს მელაც. საყურადღებოა, რომ ამ მდინარეს, ჰალისთას ერთად, ავტორი უკავშირებს ხალიბებს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ თერმოდონტის იქით იყო ველი, სადაც მდებარეობდა ქალაქი თემისკურა და, აგრეთვე იყო იქ ამჰმონთა ბანაკი, რის გამოც თერმოდონტს ამჰმონთა (მდინარესაც) უწოდებენ.³¹

კურციუს რეფუსთანაც ვხვდებით მდ. თერმოდონტის დასახელებას, — მასთან ახლოს თემისკირიონის დაბლობში, ბინადრობდა ამჰმონთა ტომი.³²

როგორც ვხედავთ, რომაულ მწერლობაში შეინიშნება აზრთა სხვადასხვაობა მდ. თერმოდონტის მიდამოებში მცხოვრებ ტომთა შესახებ.

მდ. ირისი, რომელსაც ვალ. ფლავუსი ასახელებს, როცა საქმე ეხება კოლხეთის ტერიტორიასთან მიახლოებას, ორჯერ მოიხსენიება „არგონავტიკაში“.³³

რაც შეეხება მდ. ხობს (ხობისი — ც. გ.), იგი მოხსენიებულია პლინიუსთან. მწერალი მოგვითხრობს, რომ იგი სათავეს იღებს კავკასიონიდან და მიედინება სუანების (ე. ი. სვანების — ც. გ.) არემარეზე.³⁴ ხობი მოხსენიებულია ცატიტუსთანაც.³⁵

II. პონტო. კოლხურ სამყაროსთან დაკავშირებულია სხვა, უფრო მოზრდილი, ვიდრე მდინარეები, წყლის სივრცე — ევქსინის პონტო ანუ შავი ზღვა, რომლის აღწერაც ხშირად გვხვდება რომაელ მწერალთა თხზულებებში.

ანტიკურ მწერლობაში პონტოს ზღვა ის საოცრებაა, რომელიც პირველად არგონავტებმა გადალახეს, როდესაც აიეტ-მეფის ქვეყანაში მიემგზავრებოდნენ.

³¹ Pomponii Melae de Chorographia libri tres. Lips.. Teubn.. 1880, Liber I, § 19. იხ. აგრეთვე ალ. გამყრელიძე, პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, კრებული I, „მეცნიერება“, თბილისი, 1965, წიგნი I, 19, 105, გვ. 29.

³² Q. Curtius Rufus, De gestis Alexandri Magni, ed. P. H. Damsche, 1897, VI, 5, 24.

³³ Val Flacc., Argon., IV. 600; V, 120.

³⁴ Plin., Natur. hist., VI, 14.

³⁵ Tacitus, Historiae, III, 48. იხ. აგრ. ალ. გამყრელიძე, ტატიტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, „მეცნიერება“, თბილისი, 1973, გვ. 129.

იმ მოსაზრებათა შოლის, რომლებიც ბერძნულმა მწერლობამ მიუძღვნა პონტოს, აღსანიშნავია სტრაბონის „გეოგრაფიაში“ დაცული აღწერილობა. აქ ნათქვამია, რომ პონტოს ზღვა თითქმის ოკეანედ ესახებოდათ.³⁶

ეს იყო იდუმალებით სავსე და ჯადოსნობით ცნობილი ზღვა, რომელიც დიდხანს ითვლებოდა მიუწვდომლად უცხო კაცისათვის.

ბინდარე მას „უცხოთმოდულეს“ უწოდებს.³⁷

ეპითეტ „სტუმართმოდულეს“ დიოდორე სიცილიელი იმით ხსნის, რომ ზღვის ველურ-ბარბაროსული მოსახლეობა იქ ჩასულ ყველა უცხოელს სიცოცხლეს ასალმებდა.³⁸

აღსანიშნავია, რომ პონტოს „სტუმართმოდულობამ“ რომაულ ლიტერატურაშიც პოვა ასახვა.

ლუკანუსის „Scholia Bernensia“-ში მოტანილია „ევქსინის“ სახელწოდების ახსნა: „ევქსინის სახელი ამ ზღვამ მოგვიანებით მიიღო. უწინ კი ეწოდებოდა „axenum“ (ἄξιον — სტუმართმოდულე), ესე იგი, სადაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო უცხოქვეყნელი“.³⁹

მსგავს ინფორმაციას ვხვდებით პლინიუსთანაც, რომელიც ასევე ამბობს, რომ ევქსინის პონტო წინათ იწოდებოდა აქსინოს სახელით, რაც განპირობებული იყო მისი მოსახლეობის არასტუმართმოყვარეობით. ის აღწევს ევროპამდე და აზიამდეც, ეფინება, აგრეთვე, უზარმაზარ სიერცეზე ბოსფორიდან მეოტიის ტბამდე, ზოგიერთის აზრით, 1438500 ნაბიჯიანო⁴⁰

სხვა შემთხვევაში პლინიუსი აონიშნავს, რომ ზღვა გარს ევლება შორეულ მიწებს. ავტორი ცდილობს წარმოგვიდგინოს პონტოს ფორმა. ის წერს, რომ ზღვა თითქოს იღუნება უზარმაზარ ნაპირთა ხვეულებით, იშლება ორივე მხარეს რკალების სახით და წარმოგვიდგება სკვითური მშვილდის ფორმით. მისი აზრით, ხვეულის შუა ნაწილში პონტო უერთდება მეოტიის ტბას.

პლინიუსი იმოწმებს მწერალთა მოსაზრებებს და აღნიშნავს,

³⁶ Strabonis Geographica, I, 2, 10. იხ. თ. ყ ა უ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის „გეოგრაფია“ (ცნობები საქართველოს შესახებ), თბილისი, 1957, გვ. 67.

³⁷ Pind., Pyth., IV, 361.

³⁸ Diod., Bibl. hist., IV, 40.

³⁹ SC, II, გვ. 896.

⁴⁰ Plin., Nat. hist., VI, 1, 3.

რომ პონტოს მთელი მოცულობა უდრის 2000 000 და მეტ ნაბიჯ-სო.⁴¹

რაც შეეხება პონტოს მდებარეობას, პლინიუსი აღნიშნავს, რომ ეს არის უზარმაზარი ზღვა, რომელიც აზიის წინ მდებარეობს და გამოწეულია ევროპისაგან ხერსონესის გრძელი ნაპირით. იგი იკრება წვრილი სრუტით მიწებს შუა და ევროპას აზიისაგან ყოფს.⁴²

ვალ. ფლავიუსი პონტოს ფორმას მშვილდს ადარებს,⁴³ დეტალურად აღწერს და გვაწვდის მოსაზრებას ზღვის ბუნების შესახებ.

პონტოს თავზე ღრუბელთა მსგავს ნისლზე და მის სკვითური მშვილდის ფორმაზე საუბრობს ამიანე მარცელინეც.⁴⁴

პონტო, როგორც ბარბაროსული ზღვა, თავისი სასტიკი ტომებიტა და მკაცრი ბუნებით, წარმოდგენილი აქვს ტერტულიანუსს.

პონტო არსადაა ისეთი ლამაზი და მშვენიერი, როგორიც რ. ფ. ავიენუსის შემოქმედებაში.

ავტორი პონტოს უზარმაზარი სივრცეების საზღვრებად ასახელებს მეწამული აღმოსავლეთის ქვეშ მდებარე ოქროს ბორბალსა და ბორეასის სამფლობელოებს. ლაპარაკია პონტოს წყლის მდებარეობაზე აზიასა და ევროპასთან, დახატულია ლამაზი სურათი მზის ჩასვლისას, როდესაც, ავტორის სიტყვებით, პონტო თავის ტალღებს რბილად გადახრის ჩრდილოეთ საზღვრებისკენ, საიდანაც იბადება დღის სინათლე: იქ კი, სადაც ეშვება ჩასასვლელად დღე, გახვეულია შავ ჩრდილებში და ქმნის სკვითური მშვილდის შთაბეჭდილებას. შემდგომ ავტორი აღწერს მეოტიის ტბას...⁴⁵

ჩვენს მიერ განხილულ ბერძენ მწერლებთან არსად არ გვხვდება პონტოს აღწერილობა. თვით კოლხური სამყაროს შესანიშნავი მცოდნე — აბ. როდოსელიც კი არსად არ ჩერდება პონტოს რაიმე საგულისხმო თვისებაზე. პონტო რამდენჯერმე აქვს ნახსენები „არგონავტიკის“ ავტორს, როგორც აია-კოლხეთის ზღვა. იგი იტყობინება, რომ „აია-კოლხეთი პონტოს ზღვასა და მიწის დასალიერში

⁴¹ Plin. Nat. hist. IV, 75.

⁴² იქვე.

⁴³ Val Flaccus, Argon., IV, 711—728.

⁴⁴ Ammiani Marcellini rerum gestarum libri qui supersunt, Lipsiae 1874—1875, L. XXII, 8, 46.

⁴⁵ R. Festi Avieni Descriptio orbis terrae, 214; SC, II, 1040.

მღებარეობსო“⁴⁶ ვხვდებით ჩვენთვის ნაცნობ ტერმინს — „უცხოთ-
მოძულესაც“⁴⁷ და მისთ., მაგრამ თვითონ ზღვის ბუნებაზე, საერთო
დახასიათებაზე — არაფერს.

რომაულ ლიტერატურაში გვხვდება ინფორმაცია იმის შესახებ,
თუ რით იყო სახელგანთქმული პონტო და მის ნაპირზე მღებარე
კოლხეთი, რომლისკენაც მიილტვოდნენ უცხოელები, მკვლევართა
და მწერალთა მოსაზრებით, სწორედ სიმდიდრის გამო.

IV. ბუნებრივი პირობები, ფლორა, ფაუნა,
წიაღისეული სიმდიდრე.

ვერგილიუსი, სხვა რომაელ ავტორთაგან განსხვავებით, პონტოს
აღწერილობის ნაცვლად გვაძლევს თვით ზღვაში და მის სანაპირო-
ზე არსებული მატერიალური დოვლათის სურათს, ესე იგი იჩენს
ინტერესს, ასე ვთქვათ, ეკონომიური პოზიციებიდან. ავტორი გვატ-
ყობინებს, რომ პონტოში უხვად მოიპოვება ხამანწყის ჯიშის თევზი.⁴⁸

აღსანიშნავია ვერგილიუსის მიერ მოწოდებული ცნობა თახვე-
ბის შესახებ, რაც სხვა ავტორებთანაც გვხვდება.

გ. იულიუს სოლინუსიც გვაწვდის ცნობას თახვების შესახებ.⁴⁹
იგი დეტალურად გადმოგვცემს, რომ მთელი პონტოს გასწვრივ იცის
თახვიო.

პონტური თახვების შესახებ ინფორმაციას ვხვდებით პლინიუს-
თანაც (VIII, 109).

თახვებისაგან მზადდება უნიკალური სამკურნალწამლო პრეპა-
რატი. ეს დასტურდება უპირველეს ყოვლისა ვერგილიუსთან, რომე-
ლიც თახვებს ასახელებს რკინის მოპოვების გვერდით და ხაზს უს-
ვამს იმ გარემოებას, რომ პონტო სუნიანი ნაკადის მომწოდებელია.

წამლების დამზადებისას გამოიყენებოდა თახვების სხეულის
განსაზღვრული ნაწილები და არა მისი შთამომავლები.

პონტოს სიკეთეზე და მისი ბუნების სასარგებლო თვისებებზე
მიგვიითითებს ამიანე მარცელინე.⁵⁰

⁴⁶ Ap. Rhodii Argon., II, 418. ქართული თარგმანი აკ ურუშაძისა, 1970
გვ. 129.

⁴⁷ Ap. Rhod., II, 984.

⁴⁸ Virgil. Georgics. I, 207.

⁴⁹ Iulii Solini Collectanea rerum memorabilium., Berol., 1895,
XII, 2.

⁵⁰ Am. Marcell., Lib. XXII, 8, 47: იხ. აღ. გამყრელიძე, ამ. მარც., გვ.
119.

პლინიუსი გვატყობინებს, რომ ყოველი სახის თევზი საოცრად იზრდება პონტოში. ამის მიზეზი უნდა იყოსო მრავალი მდინარის შენაკადი, რომელთაც უმარტილო წყალი მოაქვთ თან.⁵¹

აღსანიშნავია, რომ ძარცვლინის მსგავსად, მწერალი იმასაც გვაუწყებს, პონტოში მანეე ცხოველები არ შედიანო.⁵²

მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად ახსენებს არისტოფანე (ძვ. წ. V ს.), ხოლო შემდეგ — ძვ. წ. III—II სს, ბერძენი მწერალი — ავათარქიდე კნიდოსელი.⁵³

ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებიდან ჩანს, რომ ხოხობიც და მისი სახელიც ანტიკურ სამყაროში კოლხეთის ფასისიდანაა გავრცელებული.⁵⁴

თავის მხრივ კოლუმელა თვლის, რომ მისთვის გასაგებია ის მოთმინება, რასაც ადამიანები იჩენენ სპილენძისა და ვერცხლის მოსაპოვებლად. მაგრამ უკვირს ავმუცლობას (ლორმუცელობას) გადაყოლილი ადამიანები, რამდენ დროს ანდომებენ პონტური ფაზისის ფრინველებისა და სკვითური მეოტიდის თევზების მოპოვებას.⁵⁵

პლინიუსმა იცის ხოხობის ბუნება. იგი წერს, რომ კოლხეთში ხოხობი, რომელსაც ორი ქოჩორი აქვს, სისტემატურად ამოძრავებს მათ ყურებს ზემოდან: ხან მაღლა და ხან დაბლა.⁵⁶

„სატირებში“ პეტრონიუსი ახსენებს ორ ფრინველს. ერთი მათგანი გვხვდებაო ფასიანელ კოლხებთან (იგულისხმება ხოხობი — ც. გ.), ხოლო მეორე ფრთამოხატული აფრიკული ფრინველია (ე. ი. ფარშევანგი). ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს ფრინველები დიდი მოწონებით სარგებლობენ, განსაკუთრებით თუ ადამიანს სათუთი გემოვნება აქვს; მათი შოვნა არც ისე ადვილია.⁵⁷

ხოხობს, როგორც იშვიათ ფრინველს, არაერთგზის იხსენიებს მარკიალი.⁵⁸

⁵¹ Plin., Natur. hist., IX, 49.

⁵² იქვე, IX, 50.

⁵³ ო. ლოთქიფანიძე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბილისი, 1972, გვ. 47.

⁵⁴ იქვე.

⁵⁵ Columella, De re rustica, VIII, 2, 10; SC, II, 888.

⁵⁶ Plin. Nat. hist., Liber X, 132.

⁵⁷ Petronii Arbitri Satirae, Berol., 1895, ob. SC, II, გვ. 839.

⁵⁸ Martialis epigrammaton libri ed. Heraeus, Lips, 1925, XIII, 72; III, 58, 16; III, 77, 4; III, 28, 4.

დიდ იშვიათობად თელის ხოხობს ვერგილიუსიც. მასზე საუბარია „ეკლოგებში“⁵⁹, როდესაც ეპიკოსი პოეტი კავკასიასა და პრომეთეზე ლაპარაკობს.

ეს ფრინველი გაუწყვეტიათ იმის გამო, რომ მასზე დიდი მოთხოვნილება ჰქონიათ გურმანებს. პეტრონიუსი, მაგალითად, ადასტურებს, რომ „ფაზისის ტალღებს უკვე მოაკლდა ფრინველები და მდუმარე ნაპირზე ქარია ღაჭქრის უდაბურ ფოთლოვანში“.⁶⁰

პონტოს და კოლხეთის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მისი ტყეების საკითხს, რომლებიც საშენ მასალად გამოიყენება.

კოლხეთის ამ სიმდიდრის შესახებ, რომლითაც იგი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა, მოგვითხრობენ ჰიპოკრატე და სტრაბონი. რომაელები თავის მხრივ ბევრს მსჯელობენ ხე-ტყის პრობლემებზე, მისი გამოყენების ხერხებზე.

ვერგილიუსი ამბობს, რომ კავკასიონის ულრანი ტყეები ბევრ სასარგებლო ხის მასალას იძლევაო.⁶¹ სტრაბონის მსგავსად, მისი აზრით, ხე-ტყე გამოიყენება გემთმშენებლობისათვის.

მანილიუსი აღნიშნავს, რომ ფაზისის წმინდა ტყეებიდან გამოაქვთ სურსათ-სანოვაგე, იმ ტყეებიდან, საიდანაც უცნობი წყლის სივრცით წაიღეს ოქროს საწმისი.⁶²

კოლხური ტყის სიმდიდრეზე მიუთითებს ვიტრუვიუსი.⁶³

მანილიუსი წერდა:

„...divesque per omnia tellus“⁶⁴ (იქ) მიწა მდიდარია ყველაფრით.

მწერლის აზრით, გულუხვია პონტოს პირას არსებული კოლხური სახელმწიფო. იგი ასახელებს ბუნებრივ სიმდიდრეებს, რასაც შეადგენენ ოქროვანი მდინარეები და პონტო თავისი ძვირფასი, ბრჭყვიალა ქვებით, ტყეები კეთილსურხელოვანი სამკურნალო საშუალებებით.⁶⁵

⁵⁹ Virgil, *Ecloues*, VI, 42.

⁶⁰ შ. ბერძნ. შვილი, დასახ. ნაშრომ, გვ. 37.

⁶¹ Virgil, *Georgics*, II, 442—445.

⁶² Manilii *Astronomica*, V, 376—378.

⁶³ Vitruvii *De architectura*, Cambr., Mass., London, M.CMLXII, Lib II, I, 4.

⁶⁴ Man. Astr., IV, 671.

⁶⁵ იქვე, 671—673.

მანილიუსის წარმოდგენაში პონტო, მდინარეები, რომლებიც მას ერთვიახ, მის სანაპიროზე მდებარე ტყეები, ერთი სიტყვით, ყოველივე, რაც კი კოლხეთს ეკუთვნის, ბრწყინავს ოქრო-ვერცხლით, სავსეა სიმდიდრით, ყველგან იგრძნობა დოვლათი და კეთილდღეობა, ჰაერიც კი კეთილსურნელოვნებითაა გაჟღენთილი.

სოლინუსი წერს, რომ პონტოდან მოაქვთ ძვირფასი ქვები, რომელთაც მათი წარმოშობის გამო პონტურს ვუწოდებთ.⁶⁶

პლინიუსი საყურადღებო ცნობას გვაწვდის, რომ ძვირფასი ქვების ხმარება დაკავშირებულია პრომეთეს ჯაჭვების ფატალურ ინტერპრეტაციასთან. კავკასიონის კლდის ნატეხი, ჩასმული რკინაში და გაკეთებული თითზე — იყო პირველი ბეჭედი და პირველი ძვირფასი ქვა.⁶⁷

კოლხეთის ფლორა ცნობილი იყო თავისი სამკურნალო თვისებებით. ბერძნულ მწერლობაში, კერძოდ, „ორფიკულ არგონავტიკაში“ დაცულია უმნიშვნელოვანესი ფაქტები ამის შესახებ. ეგრეთ წოდებული „ჰეკატე — მედეას ბალში“ იზრდებოდა მცენარეულობა და თითოეულს თავისი დანიშნულება ჰქონდა.

კოლხეთში მოპოვებული სამკურნალო მცენარეებისგან მზადდებოდა საჭირო სამედიცინო პრეპარატები. წამლების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი იცოდა კოლხმა მედეამ. ანტიკური წყაროები ასახავენ მის ერუდიციას, აღნუსხავენ მისი ბაღის ბოტანიკურ ნომენკლატურას და წარმოგვიდგენენ ზოგიერთ იმ ხერხს, რომელსაც იყენებდა კოლხი მედიკოსი.

კოლხური წამლები რომ ძლიერმოქმედი იყო, ეს ჩანს დრაკონის დამორჩილების პასაჟიდან.

მედეას ჯადოსნური ბალახების საშუალებით დრაკონის დაძინება აღწერილია ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“.⁶⁸

ს. იტალიკუსი გვაუწყებს, რომ მედეა იყო პირველი, ვინც აღამიანებს საწამლავი აჩვენაო.⁶⁹

სასიკვდილო, საშინელ ბალახებზე, რომლებსაც მედეა დაკირკე აგროვებენ, მოგვითხრობს კლავდიანუსი. მწერალი ამბობს, რომ არის ხეები, რომლებსაც წვენი სდის, და მცენარეები, რომლებიც

⁶⁶ Solini დას. ნაწ, XIII, 3.

⁶⁷ Plin. Natur. hist., XXXVII, 2.

⁶⁸ Ovid, Metamorph., VII, 149—155.

⁶⁹ Silius Italicus, Punica, by Daff., 1934, VIII, 498.

მომაკვდინებელ თვისებებს შეიცავენო. კავკასია და სკვითეთი, ავტორის აზრით, მდიდარია შხამიანი მცენარეებითა და ბალახებით.⁷⁰

სტაციუსთან კოლხელ ქალს — მედეას შეუძლია სკვითური ჯადოსნური წამლებით მკურნალობა.⁷¹

მედეას რომ წამალთა მომზადებისა და ამ მიზნით მცენარეების გამოყენების უნარი ჰქონდა, იმდენად აღიარებულია რომაელ მწერალთა მიერ, რომ ვერგილიუსს VIII ეკლოგაში მეტამორფოზის მოტივიც კი მოაქვს. გარდაქმნას აღწევენ იმ ბალახთა საშუალებით, რომლებიც მრავლად მოიპოვება პონტოში (95—99).

მედეას ამ უნარზე მოგვიტხრობს კიდევ ერთი რომაელი მწერალი — დრაკონციუსი, რომელიც თავის „მედეაში“ აღწერს მის ჯადოსნურ ხელოვნებას. დასახელებულია თეთრი სანთელი, რომელსაც მედეა ურევს გოგირდს, მერე მათ ამაგრებს ფიჭვით და ძენძით. საწამლავის დამზადების პროცესს მედეა უმატებს ოთხ ხერხს: წვავს კეთილსურნელოვან ფიჭვს და ცდილობს, რომ კვიპაროსი აბოლდეს, ხოლო შემდეგ ყველაფერს სპილენძით ამაგრებს. საინტერესო მომენტია გველის შხამის დამატება. მწერალი აგვიწერს, რომ გვირგვინის შეერთებული ნაწილები მედეამ გველებს აალოკინა.⁷²

სპილენძის ჯადოსნურ თვისებებზე ნათქვამია „ვისრამიანში“, როდესაც „ძიძამან სპილენძი და რვალი მოიღო და გრძნებითა რაითმე ტილისმი შექმნა“...⁷³

დრაკონციუსი დიდ ძალას ანიჭებს თავის გმირ ქალს, მის აქტიურობას მამაკაცისას უთანაბრებს.

კავკასიის დიადმა ბუნებამ თავისი მრავალმხრივი მცენარეულობით შთააგონა ქალიშვილს ჩაეტარებინა დაკვირვებები და ცდები. საფუძველს არაა მოკლებული სიტყვა „მედიცინას“ დაკავშირება მედეას სახელთან.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *Μήδεα* — „მედეა“-ს სახელის ფუძეს უკავშირდება ლათინური ანალოგიური ფუძისა და მნიშვნელობის შემცველი სიტყვები: *Medeor* (*mederi*) „ვწამლობ“, „ვმკურ-

⁷⁰ Claudian, In Rufinum. Camb, Mass., London, MCMLVI, I, 149—159.

⁷¹ Statius, Thebais, V., I, MCMLV, IV, 605—506.

⁷² Dracon. Medea, 484—490.

⁷³ ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 50.

ნალობ“, medica, orum „სამკურნალო საშუალებანი (ბალახები)“, medica, ae მკურნალი ქალი“, medicalus, us „ჯადოსნური საშუალება“, medicina, ae — „სამკურნალო მეცნიერება“, „წამალი“ და მისთ.⁷⁴

ხსენებული ფუძის შემცველი ჩანს ბერძნული $\mu\eta\eta\acute{\alpha}\nu\epsilon\iota\varsigma$ — „აზრი, „ზრახვა“, $\mu\eta\theta\text{-}\sigma\mu\alpha\iota$ — „განვიზრახავ, „მოვიაზრებ“. მეტად საყურადღებოა პრომეთეს ჰესიოდესეული ეპითეტი „ $\mu\acute{\alpha}\gamma\alpha\lambda\upsilon\ \pi\acute{\epsilon}\nu\epsilon\mu\epsilon\iota\varsigma$ $\epsilon\lambda\acute{\iota}\omega\acute{\nu}\varsigma$ — “ „ყოველ ზრახვათა მცოდნე“.

მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს კოლხეთის მცენარეების სამკურნალო თვისებების და გამოყენების საკითხები. ქართული მედიცინის მაღალ დონეზე იველად, როგორც ვიცით, მრავალი წყარო მიგვითითებს. ვარძიის აფთიაქის შესწავლამ კი საინტერესო ფურცლები გაგვაცნო წამალთა ტექნოლოგიისა და მედიცინის ისტორიის თვალსაზრისით.

მარტო ფლორა და ფაუნა როდი იყო კოლხეთს სიმდიდრე. მთავარი მისი სიმდიდრე ოქრო-ვერცხლი იყო, რომლითაც ესოდენ განთქმული ყოფილა კოლხეთი და რომლის სიმბოლოსაც ოქროს ვერძი წარმოადგენდა.

ეყრდნობა რა მრავალ სარწმუნო წყაროს და, კერძოდ, სტრაბონის „გეოგრაფიას“, თ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ჯერ ფრიქსე და შემდგომ იასონი კოლხეთში წავიდნენ, რადგან ქვეყანა მდიდარი იყო მრავალგვარი ლითონით. მეცნიერის აზრით, ოქროს საწმისის ლეგენდა გამომდინარეობს კოლხეთში ოქროს საბადოების არსებობისა.⁷⁵

არგონავტების ლაშქრობისა და უცხო ქვეყნების, კერძოდ კოლხეთის, მიმართ გამოწვეული ინტერესის მიზეზად ა. ლოსევი ამ ქვეყნის ზღაპრულ სიმდიდრეს ასახელებს. მისი აზრით, არგონავტების უდიდესი ლაშქარი, რომელშიც შედიოდნენ მაშინდელი სახელმწიფოებრივი გმირები, სამყაროს კიდებზე მდებარე ქვეყანაში — კავკასიაში, კოლხეთში იმიტომ გაემართა, რომ მოეპოვებინა ოქროს საწმისი — სიმდიდრისა და სიმძლავრის სიმბოლო.⁷⁶

საცხებით მისაღებია მეცნიერთა აზრი იმის შესახებ, რომ არ-

74 ა. უ რ უ შ ა ძ ე, ძვ. კოლხეთი, გვ. 552.

75 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1957, გვ. 18.

76 А. Ф. Л о с е в, Античная мифология в ее историческом развитии, Москва, 1957, გვ. 34.

გონავტების ლაშქრობის მიზეზი იყო ოქროს სიუხვე იქ (ე. ი. კოლხეთში).⁷⁷

თვითონ ანტიკური წყაროებიც ხომ ამტკიცებენ, რომ კოლხეთი უმდიდრესი ქვეყანა იყო და მრავალ უცხოელს იზიდავდა, მაგრამ ზღვის სივრცე შიშსაც ბადებდა.

მ. ტერენციუს ვარონი თავის ერთ-ერთ თხზულებაში აღნიშნავს, რომ კოლხეთში, აიეტთან, ცხოველებსაც კი ოქროს ტყავი ჰქონდათ, რის გამოც წავიდნენ არგონავტები იქ.⁷⁸

კოლხეთის სიმდიდრის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქვს პლინიუს სეკუნდუსს. იგი გადმოგვცემს საინტერესო ამბავს აიეტ-მეფის შთამომავლის — სავლაკის მიერ კოლხეთის მიწაზე ოქროსა და ვერცხლის, ამ ტუნებით ნაბოძები სიმდიდრის, მოპოვებაზე.

„...qui terram Virginem nactus plurimum auri argentique eruisse dicitur in Suanorum gente et alioque velleribus aureis incluto regno.“⁷⁹

„...რომელიც აღმოჩნდა ბარაქიანი მიწის მფლობელი, მოიპოვა რა უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ოქრო, ვერცხლი და სხვა საგნები სვანების ტომში, აგრეთვე თავის სამშობლოში, რომელიც განთქმული იყო ოქროს ვერძით.“

რომაელი მწერლის ინფორმაცია კოლხეთში ოქროს საბადოების არსებობის შესახებ შეესაბამება იმ ცნობებს, რომლებსაც ბერძენი ავტორები გადმოგვცემენ, სახელდობრ, სტრაბონის მოსაზრებას (XI, 2, 19).

რაც შეეხება სვანებს, არსებობს დამამტკიცებელი მასალა, რომ უძველეს დროში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო სვანების მოსახლეობა. ამას მოწმობს ამ მხარის ტოპონიმების შესწავლა. სვანთა ცალკეული სახელწოდებების არსებობა ცნობილი იყო არა მხოლოდ მათთან, არამედ დასავლეთ საქართველოს დაბლობებშიც.⁸⁰

კოლხეთის არაჩვეულებრივ სიმდიდრეზე მიუთითებს სენეკა

⁷⁷ ა. წერეთელი, ძველი საბერძნეთი, ტ. I, 1958, გვ. 137.

⁷⁸ M. Terentii Varonis Rerum rusticarum, Lips., Teubn., MCMXII, Lib., II, 1, 6.

⁷⁹ Plin. Sec., Nat. hist., XXXIII, 62.

⁸⁰ ნაკვეთები საქართველოს ისტორიიდან, გ. მელიქიშვილის რედ., თბილისი, 1970, გვ. 341.

მედეას სიტყვაში, როცა მათ მეფის ასული იხსენებს თავის სამშობლოს, მოუთხრობს კრაიონტს, თუ როგორ მოაქვთ სკვითებს მის ქვეყანაში ყოველგვარი სიმდიდრე ინდოეთიდან. იგი ამბობს, რომ სახლები ზერ იტევენ განძეულს, ოქროსულობას და ამიტომ ტყეებს ვამკობთ ამ განძეულობითო (*ornamus auro nemora*).⁸¹

დრაკონციუსი „მედეაში“ მოგვითხრობს, რომ კოლხებს ჰქონდათ ძვირფასი ოქროს ტყავი, რომლისთვისაც იასონმა პირველმა გადალახა ზღვა.⁸²

ვალ. ფლაკუსთანაც არის მითითება იმის თაობაზე, რომ კოლხეთის ხშირ ტყეებში დამალული იყო სიმდიდრის ემბლემა — ოქროს საწმისი.⁸³

რომაულმა მწერლობამ, ბერძნულის მსგავსად, შემოგვინახა ცნობები ოქროს მოპოვების შესახებ. ცნობილია სტრაბონის მიერ (XI, 2, 19) მოწოდებული ინფორმაცია, თუ როგორ აგროვებენ ოქროს ადგილობრივი მოსახლეები ბანჯველიანი ტყავების საშუალებით. ავტორი დასძენს: „აი აქედან წარმოიშვა იგავი ოქროს საწმისის შესახებ“.⁸⁴

ამრიგად, რომაელ მწერალთა ინფორმაციების საფუძველზე ჩვენს წინაშე წარმოდგა ზღაპრული ელფერიტ შემკული კოლხეთის სამეფო თავისი ბუნებრივი სიმდიდრით, შესანიშნავი ადგილმდებარეობით — შავი ზღვის ნაპირით. პონტო თავისებურ კოლორიტს მატებდა კოლხეთს საერთოდ და, კერძოდ, მის ნაპირზე ან მის მახლობლად მდებარე ქალაქებს, რომელთა შორის რომაული წყაროები უპირატესად იხსენიებენ ქუთაისს, დიუსკურიას და ფაზისს.

V. ქალაქები. აღსანიშნავია, რომ დასახელებული ქალაქებიდან ქუთაისი კოლხეთის დედაქალაქადაა მიჩნეული. ჯერ კიდევ ბერძნული ლიტერატურული ძეგლებიდან ვიტყობთ ამ ფაქტის რეალურობას. აბ. როდოსელის „არგონავტიკაში“ (II წიგნი 1267 ტაქი) მითითებულია „აიას ქალაქი კვტაისი“.⁸⁵

ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა: „მართალია, უძველეს მითებში

⁸¹ Seneca, Medea, 483—486.

⁸² Dracontius, Medea, 31—35.

⁸³ V. Fl., Arg., V, 201—202.

⁸⁴ ს. ბერძნული წიგნის დას. ნაშრ., გვ. 39; ი. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1960, გვ. 115.

⁸⁵ ა. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი... გვ. 6.

არაფერია ნათქვამი ამაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით სხვა წყაროებით, რომ აია-ქვეყნის, ე. ი. კოლხეთის, დედაქალაქი იყო ქუთაისი.⁸⁶

„ორფიკული არგონავტიკა“ მოგვითხრობს, თუ როგორ „შედის“ (არგონავტთა — ც. გ.) ხომალდი ფაზისში და მდინარეს აყვება აღმა, ვიდრე არ მიაღწევს აიეტის ციხე-სიმაგრე — კვტაისს,⁸⁷ ე. ი. ქუთაისს. თეოპომაზე ქიოსელის ცნობით, კვტაია—კოლხეთის ქალაქია, საიდანაც (ლიკოფრონმა) თვითონ მედევასაც კვტაიელი უწოდა.⁸⁸ აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აპ. როდოსელმა თვით კოლხეთის მიწა-წყალს, აიეტს, მედევას ყველგან კვტაიელები დაარქვა. რაც აშკარად ადასტურებს ქუთაისის მთავარ ქალაქობას კოლხეთის ქვეყანაში. ამგვარად, „კუტაია“-დ წოდებული თანამედროვე ქუთაისი კოლხეთის დედაქალაქი იყო, ხოლო თვით აიეტის სახელი კი წარმოდგება ეადან — Αἰητης — ადამიანი ეადან.⁸⁹

რომაულმა მწერლობამ, როგორც ამას ლიტერატურული ძეგლები გვიდასტურებენ, გაიზიარა ბერძენთა მოსაზრება და ქუთაისი, ქალაქთა შორის პირველი, დაუკავშირა აიეტ-მეფის სამფლობელოს, მის ქალიშვილს — მედევას, (რომლის განუყოფელ ეპითეტად იქცა ქალაქის სახელი), და, კოლხეთის სამყაროს — მთლიანად.

ქუთაისი რომ რომაულ მწერლობაში მიჩნეულია კოლხეთის დედაქალაქად, ამაში გვარწმუნებს ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკა“, სადაც პოეტი არაერთგზის იხსენიებს მას ასეთად.

პირველად V თავში ვხვდებით ქუთაისის სახელწოდებას; პოეტი მას წარმოგვიდგენს Cytacus-ის ფორმით.⁹⁰

ვალ. ფლაკუსისათვის ჩვეული, ლაკონური ფორმით მოცემულია ქალაქის დახასიათება, აღნიშნულია მისი სილამაზე, რომელიც აკვირვებს უცხოელებს. მომდევნო სტრიქონები ამტკიცებენ, რომ ქუთაისი კოლხეთის მთავარი, ანუ დედაქალაქია. მოთხრობილია იასონისა და აიეტის შეხვედრა (V, 471...), რაც ადასტურებს, რომ იქ

86 ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძენები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1964 წ.

87 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი... გვ. 66.

88 იქვე, გვ. 295.

89 აბ. Гордесняни Р. В., Проблемы гомеровского эпоса, Тбилиси, 1978, გვ. 202.

90 Val. Flaccus, Argon., V, 466.

ცხოვრობს აიეტ-მეფე თავისი ოჯახით; სწორედ კიტეუსს უკავშირებს ავტორი საკვანძო საკითხებს.

მრავალჯერაა ნახსენები ქალაქი ქუთაისი „არგონავტიკის“ VI თავში. ავტორი აღნიშნავს, რომ მედეას სახელმა (*fama Cylaeae virginis*)⁹¹ მოიყვანა კოლხეთში მედეასავით შხამთა მეცარი — კოასტი, რომელიც ქუთაისელი ქალიშვილის გულისათვის ჩამოვიდა და არა საბრძოლველად, მაგრამ ავტორი მას წარმოადგენს ბრძოლის ველზე.

Cylaeae virginis — ე. ი. ქუთაისელი ქალიშვილი, ასეთი სახელით მოიხსენიებს მედეას პოეტი. ამ შემთხვევაში „კიტეე“ უკავშირდება მეფის ასულს. შემდგომ ავტორი, როცა ბრძოლებს აგვიწერს, ხმარობს სახელწოდება „ქუთაისელს“ კოლხ მეომრებთან დაკავშირებით — „*Cylaei*“⁹², „*Cylaeis agminibus*“⁹³ (ე. ი. ქუთაისელები, ქუთაისელ მებრძოლთა წყება). აღსანიშნავია მეომრებთან კავშირში ასევე სახელწოდება „კიტეოს“, მაგრამ სხვა კონტექსტში. იასონზე ნათქვამია, რომ:

„...inter proceresque Cylaeos
emi cet“⁹⁴

„...კიტეელთა შორის ბრწყინავს...“

ვალ. ფლაკუსი კვლავ ასახელებს „კიტეუსს“ და ამ შემთხვევაში მისი სახელით იწოდება მიწა: „*terris Cylaeis*“ (ქუთაისურ მიწაზე).⁹⁵

ამგვარად, როგორც ვხედავთ, რომაულ წყაროებში, ისევე როგორც ბერძნულ ეპოსში, ქუთაისი ფიგურირებს როგორც კოლხთა მეტროპოლისი — აიეტ-მეფის ციხე-სიმაგრე, მისი რეზიდენცია.

რაც შეეხება დიოსკურიას, ანუ თანამედროვე სოხუმს, ამ ქალაქის შესახებ ცნობებს ვხვდებით ბერძნულ წყაროებში, რომლებიც გვაწვდიან მეტად საინტერესო ინფორმაციას. არგონავტების კოლხეთში ყოფნის კვალი ჩანს მათ მიერ დაარსებული ქალაქის — დიოსკურიის ისტორიიდან. ისტორიკოს აპიანეს აზრით, „კოლხებს ეს ქალაქი მიაჩნიათ არგონავტებთან ერთად დიოსკურიების (კასტორისა და პოლიდევკეს — ა. უ.) აქ ყოფნის საბუთადო.“⁹⁶

91 V. Fl., VI, 156—157.

92 იქვე, 427.

93 იქვე, 543.

94 იქვე, 595—596.

95 იქვე, 693.

96 ავ. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი... გვ. 70.

ეს ვერსია გაიზიარა რომაულმა მწერლობამაც. პომპონიუს მელა აღნიშნავს, რომ კასტორმა და პოლუქსმა, რომლებიც იასონის ლაშქრობის მონაწილეები იყვნენ და ჩამოვიდნენ პონტოში, დაარსეს ქალაქი დიოსკურია.⁹⁷

ქ. დიოსკურია, რომ კოლხური ქალაქია, ამის შესახებ ცნობა გვხვდება პლინიუსთან,⁹⁸ ხოლო გაიუს იულიუს სოლინუსის ინფორმაციის მიხედვით, მისი დამაარსებელი თვითონ კასტორი და პოლუქსი კი არა, არამედ მათი მეეტლეები — ამფიტუსი და კერკიუსია, რომლებმაც სათავე დაუდეს ჰენიოხების ტომს.⁹⁹ ამავე თეზას ვხვდებით ამიანე მარცელინესთან, ესე იგი, რომ კოლხური ქალაქი დიოსკურია დაარსეს არგონავტების — ზევსის ვაჟების — კასტორისა და პოლიდეკეს მეეტლეებმა. ესენი იყვნენ ჰენიოხების წინაპრები.¹⁰⁰

ამრიგად, როგორც ვხედავთ, აპიანეს მოსაზრებას ადასტურებს პომპონიუს მელა, ხოლო სხვა ავტორებთან მაინც არის პატარა, არაპრინციპული განსხვავება. მთავარია საბუთი, რომ არგონავტების მოგზაურობა პონტოში ასახულია ქ. დიოსკურიის დაარსების ისტორიაში.

მესამე ქალაქი, რომელიც რომაულ მწერლობაში გვხვდება, არის ფაზისი, ანუ თანამედროვე ფოთი, მდინარე ფაზისის (რიონის) შესართავთან რომ მდებარეობს. როგორც ცნობილია, ამ ქალაქმა დიდი ინტერესი გამოიწვია. უახლესმა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულმა მასალამ, მრავალი საყურადღებო ინფორმაცია გამოიტანა სამზეოზე მთლიანად კოლხეთის და მისი ურთიერთობის შესახებაც ანტიკურ ქვეყნებთან.¹⁰¹

რომაულ მწერლობაში, ისევე როგორც ბერძნულში, ქ. ფაზისი დასახელებულია მდ. ფაზისის შესართავში, პონტოს ნაპირზე მდებარე ქალაქად, რომელშიც ადვილი გამოსაცნობია თანამედროვე ქალაქი — ფოთი.

მდინარე ფაზისის ნაპირზე რომ მდებარეობს ქალაქი ფაზისი,

⁹⁷ Pomp. Melae De chorographia, 1. 7, 111. об. აკ. ურუშაძის, ძვ. კოლხეთი... გვ. 103; აღ. ვამყრელიძე, პომპონიუს მელას..., გვ. 29.

⁹⁸ Plin., NH., VI, 15.

⁹⁹ Solinus, Pol. XV, 17.

¹⁰⁰ Am. Marcell., XXII, 8, 24.

¹⁰¹ об. М. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды,

რომელმაც სახელწოდება მდინარისაგან მიიღო, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ამიანე მარცელინე.¹⁰²

მდ. ფაზისის აღწერა გვხვდება პლინიუსთან. ავტორი ასახელებს მდინარის ნაპირზე მდებარე რამდენიმე სახელგანთქმულ ქალაქს, რომელთა შორისაა მის შესართავთან მდებარე ფოთი.¹⁰³

ამრიგად, რომაულ მწერლობაში სამივე ქალაქის შესახებ დასტურდება ის ცნობები, რომლებიც ბერძნულმა წყაროებმა შემოგვინახა.

VI. კოლხები და მათი მეზობელი ტომები. საინტერესოა, როგორ აისახა რომაულ მწერლობაში ძველი ქართული და მისი ახლო მეზობელი ტომები. აღსანიშნავია, რომ წყაროებში წარმოდგენილი არიან ისეთი სახელგანთქმული კოლხური ტომები, როგორცაა — ხალობები, ტიბარენები, მაკრონები, ბიძერები, მოსინიკები, თვითონ კოლხები, ფილირები და ა. შ.

ფაზისისაკენ მიმავალი არგონავტები, სანამ კოლხური ტომებით დასახელებულ ტერიტორიას ვაივლიან, მის მეზობელ, სახელგანთქმულ ამაძონების ტომს ხვდებიან. როდესაც ჩვენ მდ. თერმოდონტს ვახსენებდით. აღვნიშნეთ, რომ მის მიდამოებში ცხოვრობდა მეომარ ქალთა ტომი, რომელსაც, ზოგი მეცნიერის აზრით, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ხალობებთან.¹⁰⁴

რომაული ლიტერატურა, ბერძნულისაგან განსხვავებით, უფრო მეტ ინფორმაციას გვაწვდის ამა თუ იმ ტომის შესახებ. მაგალითად, ამაძონთა ზოგიერთ, მეტად საინტერესო ისტორიული მნიშვნელობის ამბავს რომაული მწერლობა წარმოგვიდგენს ისე, რომ მას გააჩნია მხატვრული ღირსებები ლიტერატურული თვალსაზრისითაც. გარდა ამისა, ჩვენ ოვიდიუსისაგან (*Ex Ponto*, IV, X, 47). სენეკასაგან (*Medea*, 101—102), ვალ. ფლავუსისაგან (*Arg.*, V, 121—124 და სხვა ადგილები) ვიგებთ ამაძონების ადგილსამყოფელის შესახებ, ე. ი. რომ თერმოდონტის მიდამოების ბინადარნი იყვნენ. სხვა ავტორებ-

¹⁰² *A. m. Marcell.*, XXII, 8, 24; იხ. გეორგიკა, I, ტომი, თბილისი. 1961, გვ. 111—112.

¹⁰³ *Plin.*, NH, VI, 13.

¹⁰⁴ იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960, გვ. 36—37; გ. გოზალიშვილი, მითრიდატე პონტოელი, თბილისი, 1962, გვ. 9.

თან, სახელდობრ, რუფუსსა და ტროგუსთან ვეცნობით დასახლებული ტომის წარმოშობის ისტორიას და ამაძონთა დედოფლის თალესტრისისა და ალექსანდრე მაკედონელის სასიყვარულო სათაგადასავლო ამბავს.

ტრადიციულად ამაძონთა დასახლებას ხალიბების გვერდით უჩვენებენ, თუმცა გვხვდება სხვაგვარი მოსაზრებაც — ვიბიუს სეკვესტრუსისა, რომლის გადმოცემით, თერმოდონტი ყოფს კოლხთა და ამაძონთა ტომებს.¹⁰⁵

კომენტარებში აღნიშნულია, რომ ამგვარ წარმოდგენებს საფუძვლად ედო ცნობა, რომ კოლხეთის დაბლობი მდებარეობდა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, რომელიც გაჭიმული იყო კერასუნტიდან ოფისამდე.¹⁰⁶

ამაძონთა წარმოშობა საინტერესოდაა გადმოცემული ტროგუსთან.¹⁰⁷

აბ. როდოსელი ასე ახსიათებს ამაძონებს: „მათა საზრუნავი იყო სავალალო ზვიადობა და არესის საქმე.“¹⁰⁸

ტრადიციას არ ღალატობს არც რომელი ეპიკოსი პოეტი ვალ. ფლაკუსი, რომელიც გვატყობინებს, რომ მდინარე თერმოდონტს სწირავს ცხენებს ქალწული ამაძონი და ლოცვასაც ეტყვის წყალობისათვის, როდესაც ტყვეები მოჰყავს თან.¹⁰⁹

ფლაკუსი ადასტურებს, რომ ამაძონთა ტომთან შებრძოლება მამაკაცებსაც უჭირდათ (V, 132—140). სხვა მწერლების მსგავსად, მასაც ამაძონები არესის შთამომავლებად მიაჩნია და ამიტომ წერს, რომ მათი სახელი წმინდა და ღვთიურია.¹¹⁰

„ენეიდას“ I და XI თავებში ვერგილიუსი აგვიწერს ბრძოლის ცეცხლით შეპყრობილ უშიშარ ამაძონებს, რომლებიც ფარებით ხელში მწყობრად მიემართებიან საომრად. ამაძონების მიმართ სიმპათიურად განწყობილი ავტორი აცხადებს, რომ მეომარ ქალებს როდი აშინებთ მამაკაცებთან შერკინება.¹¹¹ შემდეგ ვერგილიუსი

¹⁰⁵ SC, II, გვ. 993.

¹⁰⁶ იქვე.

¹⁰⁷ P. Trogus, Hist. Phil. XXXVII, 4.

¹⁰⁸ აბ. როდოსელის „არგონ.“, გვ. 159.

¹⁰⁹ ც. ვ. გიგაური, ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკა“ და ცნობები კოლხეთის შესახებ, საქ. დას. ხელნაწერი, თბილისი, 1969, გვ. 239.

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ Virgil, Aen., I, 490—493.

შიუთითებს მათ ადგილსამყოფელს, რომელიც, ისევე, როგორც სხვა ავტორებთან, ისაზღვრება თეოძოდონტის ძილამოებით. ვერგილიუსი აღწერს, თუ როგორ ელავს მეომარ ქალთა მთვარისებური ფარები, როდესაც დედოფალ-წინამძღოლს მისდევენ ყიყინით.¹¹²

ვერგილიუსთან ვხვდებით ესთეტიზირებულ, მორთულ-მოკაზმულ მეომართა რაზმს, რომელთა ცხოვრების არსია ბრძოლებში გამარჯვება. ხოლო რაც შეეხება ამაძონების სახელწოდებას, „ენეიდის“ კომენტარებში აღნიშნულია, რომ ამაძონებად ისინი იწოდებიან იმიტომ, რომ ერთად ცხოვრობენ უქმრებოდ (ἄμα ἄματι), ან იმიტომ, რომ ერთი მკერდი ამომწვარი აქვთ — ἀνευ ματρῶ (უმკერდო).¹¹³

ამგვარად, რომაულ მწერლობაში ამაძონთა ტომს მებრძოლი ქალები შეადგენენ, რომელსაც ახასიათებს მამაკაცური თვისებები და საქმიანობა. ისინი არიან კოლხი ტომების მეზობლები და არ შეიძლება მათთან ურთიერთობა არ ჰქონოდათ ან მათი მონათესავეები არ ყოფილიყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამაძონთა ტრადიციულ მეზობლებად ითვლებიან ხალიბები, მძიმე სამუშაოს შემსრულებელი და დიდი ავტორიტეტის მქონე, სახელგანთქმული ტომი, რომელმაც პირველმა აღმოაჩინა რკინა და მის დამუშავებას მიჰყო ხელი. ჯერ კიდევ ჰომეროსის პერიოდიდან დაწყებული, ცნობები ხალიბების შესახებ მრავლად მოგვეპოვება ანტიკურ ლიტერატურაში. აღსანიშნავია ქსენოფონტის მიერ მოწოდებული დახასიათება, იგი ხალიბებს უმატებს ტომად (Xen. Anab. IV, 7, 15) თელის და აღნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ რკინის დამუშავებას მისდევნენ (V, 5, 1).

აქ ურუშაძის აზრით, ცნობას ხალიბების ტერიტორიის მოცულობის შესახებ პირველად როდოსელ პოეტთან ვხვდებით. ხალიბების ვრცელი ტერიტორია ჰეორახის აუზზე და ტრაპიზონ-გირესუნორდუს საზღვრებშია მოთავსებული და ლითონის მადნებით დღესაც მდიდარია. ხალიბები მაღალი ხარისხის ფოლადს ამზადებდნენ, ამიტომ ბერძნულად ფოლადს ჰქვია „ხალიფს“ (χαλψ).¹¹⁴

112 Virg. Aen., XII, 659—663.

113 SC, II, 744.

114 იხ. ა. როდოსელის „არგონავტიის“ აქ. ურუშაძის თარგმანის I გამოცემა, 1948, გვ. 221—222; იხ. ც. ვ. გიგაურის დასახ. დის., გვ. 242.

რომაულ მწერლობაში ხალიბების ადგილსამყოფელის შესახებ ცნობას პომპონიუს მელა გვაწვდის. იგი წერს, რომ ხალიბებს აქვთ ორი სახელგანთქმული (ქალაქი) — ამისოსი და სინოპე და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდინარეები—ჰალისი და თერმოდონტი.¹¹⁵

პომპონიუს მელას ინფორმაციის (რომ ამისოსი ხალიბებს ეკუთვნოდა) და სტრაბონის მოწმობის (რომ კაპადოკიელთა ძირითადი მოსახლეობა ჰალისის შესართავამდე აღწევდა) საფუძველზე გ. გოზალიშვილს გამოაქვს დასკვნა: „ამისოსი ხომ ჰალისის მარჯვენა მხარეზე მდებარეობს, მდინარის აღმოსავლეთით, მაშასადამე, იმ ტერიტორიაზე, რომელიც ხალიბებით იყო დასახლებული მდინარის შესართავამდე, ტერიტორიაზე, რომელიც უკანასკნელ წლებამდე ჭანებითა და ლაზებით, ე. ი. ხალიბებით იყო დასახლებული.“¹¹⁶

კურციუს რუფუსი ხალიბების ადგილსამყოფელს შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს უკავშირებს.¹¹⁷

ვერგილიუსის სქოლიასტის აზრით, ხალიბებმა თავისი სახელწოდება მიიღეს ევბეის სოფელ ხალიბიუმისაგან, საიდანაც ისინი გადმოსახლდნენ.¹¹⁸

პლინიუსის ცნობით, თერმოდონტის იქით კენების შემდეგ (Caenarum) ცხოვრობენ ხალიბები.¹¹⁹

გაიუს ვალერიუს კატულუსი ერთ-ერთ ლექსში მიმართავს იუპიტერს, წყველა-კრულვას უთვლის ხალიბების მოდგმას და მას, ვინც პირველმა დაიწყო ძებნა მიწისქვეშა ძარღვისა და შეუღდა რკინის სიმტკიცის მტკრევას.¹²⁰

სახელგანთქმულ კოლხურ ტომს, რომელიც ცნობილია რკინის დამუშავებით, თვითონ ვერგილიუსი ასახელებს „გეორგიკების“ I თავში, სადაც იგი ამბობს, რომ შიშველი ხალიბი აგზაენის რკინასო.¹²¹

რაც შეეხება ხალიბების ლოკალიზაციას, ვერგილიუსი ასახელებს პონტოს, რაც, ალბათ, ისე უნდა გავიგოთ, რომ ხალიბები და-

¹¹⁵ Pomp. Mela De chorographia, L. I, 19, 10წ; აღ. გამყრელიძე პომპონიუს მელას ცნობები... გვ. 29.

¹¹⁶ გ. გოზალიშვილი, შთორიდატე პონტოელი, თბ., 1965, გვ. 62.

¹¹⁷ Q. Rufus., VI, 17.

¹¹⁸ Virg. Georg., Scholia Bernensia, SC, II, 751.

¹¹⁹ Plin., VI, 11.

¹²⁰ Catull., Carm., LXVI, 48—50.

¹²¹ Virg. Georg., I, 58.

კავშირებული არიან შავიზღვისპირეთთან. ზღვის სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური სურათის აღდგენასი დიდ დახმარებას გვიწევს ვალ. ფლაკუსი. ხალიბების შესახებ იგი მოგვითხრობს, რომ ღამის დასასრულს გამოქვაბულებში, რომლებიც მიწის ქვეშ მდებარეობს, ხალიბები დაულალავად შრომობენ.

რაც შეეხება ხალიბების სახელწოდებას, სქოლიოში ეს შემდეგნაირადაა განმარტებული: „თქმულების მიხედვით (Apoll. Rhed., II, 373), ხალიბებმა სახელი მიიღეს არესის ვაჟის — ხალიბის მიხედვით, რომელთანაც დაკავშირებული არიან ამძონების მეშვეობით მეზობლობისა და ნათესაობის (Strabo, XII, 3, 20) გამო“.¹²²

ამრიგად, რომაულ მწერლობაში ამძონების ახლო მეზობლები — ხალიბები წარმოგვიდგება როგორც გამძლე, ჯანმრთელი და მუშა ხალხი, რომელიც რკინას ამუშავებს, თუმცა კი, სოლინუსის აზრით, ხალიბები და დაგები სკვითეთის აზიატური ნაწილიდან ისეთივე სისხლისმოყვარე არიან, როგორც ველური ხალხები.¹²³

ხალიბების შემდეგ დასახელებულია ტიბარენთა ტომი, რომელიც მოსახლეობდა ხალიბების მეზობლად. ივ. ჯავახიშვილის აზრით; ტიბარენებს ეჭირათ ის ტერიტორია, რომელსაც დიდ კაპადუკიას უწოდებდნენ.¹²⁴

ტიბარენები ცხოვრობდნენ ხალიბთა დასავლეთით კოტიორამდე (ახლანდელი ორდუ). მათი მხარე (Τιβάρησις γαζα) გენეტიკოსის კონცხის გადაღმა მდებარეობს. ტიბარეების ტომი ხალიბებთან დახლოვებული იყო მადნეულობის აღმოჩენაში. მაგრამ შესაქონლეობასაც (უპირატესად მეცხვარეობას) მისდევდა.¹²⁵

აპ. როდოსელის სქოლიასტი ამბობს, რომ ტიბარენები ყველაზე უფრო სამართლიანები იყვნენ, არასოდეს არ ჩაებმებოდნენ ბრძოლაში, სანამ წინასწარ არ დაადგენდნენ ბრძოლის დღეს, ადგილს და დროს.¹²⁶ ტიბარენების ასეთსავე დახასიათებას ვხვდებით თეოკრიტეს თხზულებათა კომენტარებში, რომელშიც აგრეთვე დაცულია ცნობა ტიბარენთა მხარეში მშობიარობასთან დაკავშირებით არსებული ჩვეულების შესახებ. ქსენოფონთანაც ვხვდებამ ვრცელი მოთხრობა ამ ტომის შესახებ, მაგრამ, როგორც ა. ურუშაძე აღნიშნავს, მშობიარობის აღწერაზე არაფერია ნათქვამი.

122 SC., II, 911.

123 Solinus, XV, 4.

124 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I ტ., 1913, გვ. 37.

125 აპ. როდოსელის „არგონ“, გვ. 362.

126 იქვე.

ტიბარენებში გავრცელებულ ეთნოგრაფიულ ფაქტს — მამაკაცის მიერ მშობიარობის პროცესის ინსცენირებას ქალის მოლოგი-
ნების შემდეგ — პირველად აპ. როდოსელთან ვხვდებით:¹²⁷

„აქ, როცა ქალები თავიანთ ქმრებს შეილებს შესძენენ ხოლმე [ქმრები], თავს შეიბურავენ, საწოლზე დაემხოზიან და კენესიან: [ცოლები] კი კარგად კეებავენ ქმრებს საკმლით და მშობიარობის შემდგომ საპირო აბანოსაც უწყობენ.“¹²⁸

რომაულ მწერლობაშიც ტიბარენები ხალიბების მეზობლებად არიან მიჩნეული. ავიენუსი აღნიშნავს, რომ ტიბარენები ხალიბების მეზობლად ბინადრობენ, სადაც მდიდარი ველები დამლუპავი რკინით ივსება მაღალი გრდემლის ბრახუნით.¹²⁹

ხალიბების მეზობლებად ტიბარენებს ასახელებენ ცენზორინუსი (*Liber generationis* 6), პლინიუსი (VI, 11), პომპონიუს მელა (I, 106), და ვალერიუს ფლაკუსი (V, 147).

აღსანიშნავია, რომ, პომპონიუს მელას აზრით, ტიბარენები უმაღლეს ბედნიერებას ხედავენ სიცილსა და გართობაში. სქოლიოებში ვპოულობთ ამ ცნობის ინტერპრეტაციას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მელას მიერ მიწერილი ჩვეულებები ტიბარენებს კი არა, მოსინიკებს ახასიათებთ.¹³⁰

ევსებიუს ჰიერონიმუსი წერს, რომ ტიბარენები თავის საყვარელ მოხუცებს სიკვდილის შემდეგ ხეზე ჰკიდებენო.¹³¹

აღსანიშნავია, რომ ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“-ც არის დასახელებული რიტუალის აღწერა — მამაკაცთა მიერ მშობიარობის სიმულაცია, რომელიც აპ. როდოსელთანაა.¹³²

ტიბარენების მეზობლად დასახელებულია მოსინების ტომი, რომელთა შესახებ ივ. ჯავახიშვილი ამბობს, რომ „იგივე ჭანები არიანო“.¹³³

127 აპ. როდოსელის „არგონ.“ გვ. 382—383; აპ. როდოსელის „არგონ.“ თბ., 1948, 222; ავ. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი... გვ. 326.

128 აპ. როდოსელის „არგონ“, გვ. 160—161.

129 Ruffi Festi Avieni ora maritima ed. A. Berthelot, P., 1934, 349.

130 SC, II, 818.

131 S. Eusebii Hieronymi opera ex recensione I. Hilberg et S. Reiter, 1910, II, 7.

132 Val. Flacc., Argon., v, 147—149.

133 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, გვ. 25.

აპ. როდოსელის მიხედვით, მოსინები პონტოს მთიანეთში ბინადრობენ და თავისი სახელი მიიღეს იმ ხის კოშკების გამო, რომლებშიც ცხოვრობენო.¹³⁴

„არგონავტიკის“ თარგმანის სქოლიოებში მოტანილია საყურადღებო ცნობა, რომ მოსინების ტომი სახელგანთქმული იყო მ. ლალხარისხოვანი თითბრის დამზადებით.¹³⁵

ამ ტომის შესახებ მრავალი საოცარი ცნობაა დაცული ანტიკურ მწერლობაში. აპ. როდოსელის მსგავსად, ნიკოლოზ დამასკელი მოგვითხრობს, რომ მოსინიკებს მეფე ცინე-სიმაგრეში ჰყავთ ჩაკეტილი და იქ აწვდიან საკვებს. თუ ვინმე შეამჩნევს, რომ საქმე ცუდად გადაწყვიტა, შეფეს შიმშილით კლავენ. ავტორი იმასაც დასძენს, რომ დიდი მტრობით ეკიდებიან უცხოელსო.¹³⁶

ბერძნულ მწერლობაში აღწერილია მოსინების წესები: მიცვალებულის დაკრძალვა ხეზე ჩამოკიდებით¹³⁷ და აგრეთვე ამ ტომში გავრცელებული სქესობრივი აქტის საჯაროდ შესრულება.¹³⁸

რომაულმა მწერლობამაც ასახა მოსინიკების უცნაური წეს-ჩვეულებები, მათი თავისებური ხასიათი და ბარბაროსული ზნე. პომპონიუს მელა მოგვითხრობს, რომ მოსინიკები ხის სახლებში ცხოვრობენ, რომ მთელ ტანს იპრელებენ ნახატებით, ჰამენ და სვამენ შუა ქუჩაში, სადაც უსირცხვილოდ ამყარებენ სქესობრივ კავშირს. მეფეს ირჩევენ ხმის უმრავლესობით, მძიმე ბორკილებში სვამენ და ძლიერი დაცვის ქვეშ ჰყავთ. თუ არასწორ ბრძანებას გასცემს, მთელი დღის განმავლობაში მშიერს ტოვებენ. მოსინები უხეშნი, ველურნი და დამლუპველნი არიან უცხოლ მოსული მოგზაურისათვის.¹³⁹

ცნობას მოსინიკების წეს-ჩვეულებაზე ტანის ტატუირების შესახებ ვხვდებით პლინიუსთანაც. ჩამოთვლის რა სხვადასხვა კოლ-

134 Ap. Rhodii Arg., II, 1015. იხ. აკ. ურუშაძის „არგ.“ თარგმანის კომენტარები, გვ. 376.

135 აკ. ურუშაძის „არგონ.“ თარგ., გვ. 377.

136 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხეთი.. გვ. 437; Ap. Rhodii Arg., II, 1026—1029.

137 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 69.

138 Ap. Rhodii Argon., II, 1018—1025; აკ. ურუშაძის „არგ.“ თარგ. კომენტარები, გვ. 377.

139 P. Melae De chor., I, 106.

ხურ ტომს და მათ დამახასიათებელ ნიშანს, აკტორი აღნიშნავს. რომ მოსინიკებს ტატუირებული ტანი აქვთო.¹⁴⁰

კოლხურ ტომთა ჩამოთვლისას ძირითადად ჩვენ არგონავტების მარშრუტს მივდევთ, თუმცა ჰენიოხთა ტომსაც დავახასიათებთ იმიტომ, რომ მისი წარმოშობა იასონის ლაშქრობასთანაა დაკავშირებული. მარშრუტის მიხედვით მოსინების შემდეგ დასახლებულია მაკრონების ტომი, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, მეგრელების წინაპარია.¹⁴¹

აკ. ურუშაძე აღნიშნავს, რომ მაკრონები პელასგურ ხანაში ევბეაზე, ანუ მაკრისზე მოსახლებოდნენ და იგივე მაკრელები (მეგრელები), სანები (ჰანები) არიანო.¹⁴² მოსაზრება მაკრონების პელაზგებისაგან წარმოშობის შესახებ განიხილა რ. გორდეზიანმა.¹⁴³

ბერძნული წყაროების მიხედვით, მაკრონები ქართველ ტომთა დასავლურ გაერთიანებაში შემავალი ერთ-ერთი კოლხური ტომია. მაკრონები (Μάκρωνες) სხვანაირად მაკროკეფალების (Μακροκεφαλοι) ანუ „გრძელთავიანების“ სახელით მოიხსენიებიან. ერთ შემთხვევაში (სტრაბონთან) მათ მაკროპოგონებს (Μακροπόγωνα) ანუ „გრძელწვერიანებს“ უწოდებენ.¹⁴⁴

აღსანიშნავია მაკრონების სახელის ეტიმოლოგია, რომელიც უკავშირდება ევბეის ძველ სახელს — მაკრისს. „ევბეის ძველი სახელისაგან — მაკრისისაგან შეერქვა სახელი მაკრონების ტომს“.¹⁴⁵

საყურადღებოა მოსაზრება მაკრონების ტომის კუნძულ ევბეასთან, ანუ მაკრისთან დაკავშირების შესახებ, რაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. ამას ადასტურებს ანტიკური წყაროები შორეულ საუკუნეებში ქართველურ ტომთა დიდ სივრცეებზე განსახლების შესახებ. ცნობილია ჰეროდოტეს გამონათქვამი, რომ კოლხებს ოდესღაც ეგვიპტეში უცხოვრიათ. (II, 104). ამ გადმოცემას მხარს უჭერს ანტიკური ხანის მრავალი ავტორი და მათ შორის ისეთი სანდოც, როგორც სტრაბონია. (I, 3, 21).¹⁴⁶

ჰეროდოტე ერთად დასახლებს ტიბარენებს, მაკრონებს და მო-

140 Plin., NH, VI, 11.

141 ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, გვ. 38—39.

142 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 528.

143 რ. გორდეზიანი, პელაზგური პრობლემის ზოგიერთი საკითხისათვის, თსუ, 1965, გვ. 62 (სტუდ. სამეც. შრ. კრებ., 9).

144 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 126.

145 იქვე, გვ. 133.

146 იქვე, გვ. 133—134.

სინიკებს, რომლებიც სპარსეთის სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ და ყოველწლიურად ხარკს უხდიდნენ მას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ჯარით ეშველებოდნენ.¹⁴⁷

როგორც ცნობილია, „ორფიკულ არგონაქტიკაში“ კოლხური ტომები ერთადაა ჩამოთვლილი ყოველგვარი ინტერპრეტაციისა და დეტალიზაციის გარეშე: „არგო“ ჩაუელის პონტოს სამხრეთ სანაპიროზე მობინადრე ხალიბებს, ტიბარენებს, მოსინიკებს, მაკრონებს და სხვ.

აპ. როდოსელი მაკრონებს, ფილირებსა და ბეჭირებს შორის ათავსებს და არავითარ ცნობას არ გვაძლევს მათ შესახებ.¹⁴⁸

რომაულ ლიტერატურაში მაკრონებს იხსენიებს აეოენუსი (942...), ხოლო პლინიუსი მათ უწოდებს მაკროკეფალებს (VI, 11), რაც სტრაბონისეული ტერმინის „მაკროპოგონების“ მსგავსად (Strabo, XI, 2, 1) იგივე მაკრონების სახელწოდების აღმნიშვნელია.¹⁴⁹

ვალ. ფლაკუსი მაკრონებს მოიხსენიებს და გვაწვდის ცნობას, რომ დასახლებული ტომი მაღალ ადგილებში, მოსინებს და ბიძერებს შორის ცხოვრობსო.¹⁵⁰

პომპონიუს მელას აზრით, მაკრონები ანუ, როგორც იგი უწოდებს მათ, — მაკროკეფალები, უხეში ზნის და წეს-ჩვეულების ტომია.¹⁵¹

ვალ. ფლაკუსის „არგონაქტიკის“ მიხედვით, მოსინების შემდეგ დასახლებულია ბიძერების ტომი. აპ. როდოსელთან ბიძერები კოლხების მეზობლად ცხოვრობდნენ (Arg., II, 396). ანტიკურ წყაროებში დასახლებული ტომის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება, გარდა იმისა, რომ ის კოლხური ტომია. რომელი პოეტი ბიძერებს უწოდებს მომთაბარე ტომს — *Byzeresque vagi* (და მომთაბარე ბიძერებო).¹⁵² ვალ. ფლაკუსის მიხედვით, ბიძერების მეზობლად არის ფილირების ტომის დასახლება. აპ. როდოსელის სქოლიოებში დასახლებულია ფილირების კუნძული და აღნიშნულია სქოლიასტის მიერ: „აპოლონიოსი გადმოგვცემს, რომ სახელი

¹⁴⁷ Herodoti Historiae, Lipsiae, 1908, T. I, III, 94.

¹⁴⁸ Ap. Rhodii Argon., II, 394, 1242.

¹⁴⁹ SC, II, 855.

¹⁵⁰ Val. Flacc. Argon., V, 151.

¹⁵¹ P. Melae De chorog., I, 107.

¹⁵² Val. Flacc., Argon., V, 152.

მოდის ოკეანის ასულ ფილირასაგან, რომელიც ამ ადგილებში ცხოვრობდა.¹⁵³ აპოლონიოს როდოსელი ფილირებს მაკრონების მეზობლად ასახელებს.¹⁵⁴

კალ. ფლაკუსთან ვხვდებით მიმართვის ისეთ ფორმას, როგორსაც იგი ბიძერების მიმართ ხმარობს:

philyraeque a nomine dicta
litora. quae cornu pepulit Sa-
turnus equino¹⁵⁵

„და თქვენ, ნაპირებო, რომ-
ლებსაც ფილირას სახელი დაგერ-
ქვათ, რომლებიც სატურნუსმა
ცხენის ფლოქვით შეაზანზარა...“

ფილირასთან დაკავშირებით ვ. ლატიშევი სქოლიოებში აღნიშნავს, რომ ეს არის ოკეანის ასული, რომელიც ვალ. ფლაკუსთან თრაკიიდან გადმოსულა (ასოციაციით ფილერეს კუნძულთან, Apoll. Rhod., II, 1231); აქ მისგან და კრონოსისაგან (სატურნუსისგან), რომელიც ცხენის სახით მოვევლინა მას, წარმოიშვნენ კენტავრები.¹⁵⁶

ფილირებს იხსენიებს ამიანე მარცელინე, მაგრამ დახასიათების გარეშე.¹⁵⁷

მშრალ, მაგრამ მაინც თავისებურ დახასიათებას აძლევს ბიძერებს, მაკრონებს, ფილირებს და მოსინებს ავიენუსი. მისი აზრით, კოლხებისა და ფაზისის ცისფერი ტალღების დასავლეთით თრაკიის ზღვის სრუტემდე ბინადრობს შემდეგი ხალხი: ბიძერები, (რომლებსაც პირქუშს უწოდებს), აგრეთვე ბეზიერები, მაკრონები და ფილირები, რომლებსაც უხეშებად თვლის. ავიენუსი მოსინიკებს უწოდებს დურატეებს და ახასიათებს, როგორც მკვირცხლ ტომს.¹⁵⁸

სქოლიონებში აღნიშნულია, რომ დურატეები იგივე მოსინიკები არიან (დიონისიოს პერიეგეტთან და სხვა ავტორებთან, შდრ, RE, V, 1851).¹⁵⁹

ანტიკურ მწერლობაში ჰენიოხთა ტომი მიეკუთვნება პელასგურ-კოლხურ ტომს, რომელმაც სახელი მიიღო დიოსკურების მეეტლებისაგან (ჰენიოხთი). ჰენიოხებს თვლიან ძალზე პირქუშ ხალხად (ხარაქს პერგამონელი, ისტორია 37 B), რომელიც თავს მეკობრეო-

153 ავ. უ რ უ შ ა ძ ე, ძვ. კოლხ., გვ. 328.

154 Ap. Rhodii Argon., II, 393.

155 Val. Flacc. Argon., V, 152—153.

156 SC, II, გვ. 911.

157 Am. Marcoll. XXI, 8, 20.

158 SC, II, 1044.

159 ი ქ ვ ე.

ბით ინახავს (Strabo, XI, 2, 12). ამ ტომის ლოკალიზაცია განისაზღვრება შავი ზღვის სანაპიროთი, აუმატა სხვაგვარი მოსაზრებებიც გვხვდება.

რომაულ მწერლობაში ჰენიოხებს, როგორც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომს, მოიხსენიებს ოვიდიუსი (Ex Ponto, IV, 10). პოეტი ახასიათებს ამ ტომს, როგორც მეტად გაბედულს და მამაცს, შიშის ზარს რომ სცემდა თავდასხმებით არა მხოლოდ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებს, არამედ ჩრდილოეთის მხარეში მოგზაურ მეზღვაურებსაც. მელა ჰენიოხების ქვეყანას პონტოს სანაპიროს უკავშირებს (De chor, 1,7, 111).

Scholia Bernensia-ში აღნიშნულია, რომ ენიოხები (Eniochi) — სკვითური ტომია, რომელმაც ისწავლა ცხენოსნობა კასტორისა და პოლუქსისაგან.¹⁶⁰ სქოლიასტი აქვე დასძენს, რომ უფრო სწორად, ლეგენდის შესაბამისად, როგორც სტრაბონი გადმოგვცემს (XI, 2, 12) ცხენოსნობა ისწავლეს მათი მეეტლეების (ἑταίροι) — რეკასისა და ამფისტრატესაგან.¹⁶¹

ლუკანუსი აგვიწერს ლაკედემონელ ჰენიოხებს როგორც ტომს, რომელიც საშინელი სისწრაფით დააქროლებს ცხენებს,¹⁶² ე. ი. ჰენიოხები მალი მოჯირითები იყვნენ. აღნიშნავია, რომ პოეტა, როგორც სქოლიოშია განმარტებული, ლაკედემონელებს უწოდებს მათ, ე. ი. ჰენიოხებს, ტინდაროსის გამო, რომელიც სპარტის მითური მეფე და დიოსკურების მამა იყო. დიოსკურების მეეტლეები — რეკასი და ამფისტრატე სხვა ლაკონელებთან ერთად გააღწენ ჰენიოხთა ტომის დამფუძნებლები.¹⁶³

სხვადასხვა რომაულ წყაროში მეეტლეების სახელები იცვლება, მაგრამ მათი კავშირი ჰენიოხების წარმოშობის ისტორიასთან არსად არაა უარყოფილი.

როგორც ბერძენი მწერლები, ასევე პომპონიუს მელა, სოლინუსი, ამიანე მარცელინე აღიარებენ, რომ ჰენიოხების წარმოშობის და დიოსკურიას დაარსების ისტორია არგონავტების კოლხეთში მოგზაურობის დადასტურებაა.

კოლხური ტომის ადგილსამყოფელი კოლხეთი, ანუ კოლხიდა

160 SC, II, 895.

161 იქვე.

162 Lucanus, De bello civili, III, 269.

163 SC, II, 890.

იყო.¹⁶⁴ მხოლოდ ეს ტომი ცხოვრობდა სიმდიდრით განთქმულ ქვეყანაში. კოლხებს ახასიათებდათ გემოვნება, შრომისმოყვარეობა, სილამაზე, ძლევამოსილება, სიამაყე და გონიერება. აგათია სქოლასტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არიან „მორკმული, როგორც თავისი სიმდიდრით, სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყლის სიჭარბით და მოსაველიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიციქვით“, ნაციონალური სიამაყით აღსავსე, მამაცთა ტომების მბრძანებელი¹⁶⁵ ტომი, ვისაც სათავეში თვით ჰელიოსის სახელოვანი ძე — აიეტ-მეფე უდგას.

ჰეროდოტე, რომელიც პირველ ისტორიულ ინფორმაციას გვაწვდის კოლხებზე, აღნიშნავს, რომ ეს ტომი, მიუხედავად იმისა, რომ სპარსელებზე იყო დამოკიდებული, მხოლოდ ნებაყოფლობით იხდიდა ხარკს (Herod., II, 97). სპარსელებისადმი მორჩილების ფორმაც, ხარკის გადახდის ვადაც მათთან სხვაგვარი იყო. თუ ტიბარენები და სხვები ყოველწლიურად იხდიდნენ ხარკს, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად 300 ტალანტით განისაზღვრებოდა, კოლხები დარიოს I-ის დროსაც ნებაყოფლობით მოხარკეები გახდნენ სპარსეთის სასარგებლოდ და მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდნენ მას ძღვნად 100 ბიქსა და 100 გოგოს.¹⁶⁶

ეს ცხადყოფს კოლხეთის სიძლიერეს; მით უმეტეს, რომ ზემოთ დასახელებული ტომები სპარსეთის მაზრად ითვლებოდა, ხოლო კოლხთა ტერიტორია არ იყო მისი ოლქი და, როგორც დაეინახეთ, მათგან განსხვავებით მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ გამოხატავდა მატერიალურად თავის მორჩილებას.

საინტერესო მასალას კოლხთა წარმომავლობის თაობაზე ისევ ჰეროდოტესთან ვხვდებით; საკითხი ეხება ისტორიულ ცნობას კოლხების ეგვიპტელთაგან წარმოშობის შესახებ.

აღსანიშნავია დიონისიოს პერიეგეტის ცნობა, რომ ტინდარდების მიწის მახლობლად, პონტოს ყურეში მოსახლე კოლხები, რომლებიც ოდესღაც ეგვიპტიდან მოვიდნენ, ახლა კავკასიონთან არიანო.¹⁶⁷

ჰეროდოტეს ცნობილი კონცეფცია კოლხთა და ეგვიპტელთა იდენტიფიკაციის შესახებ წარმოგვიდგინა რომაულმა ლიტერატუ-

164 იხ. ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 5.

165 მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

166 იქვე, გვ. 64; იხ. აგრ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1960, გვ. 76.

167 აკ. ურუშაძე, ძვ. კოლხ., გვ. 82.

რამ თავისი თვალსაჩინო ეპიკოსი მწერლის — ვალერიუს ფლაკუსის „არგონავტიკასა“ და პლინიუსის „ნატურალურ ისტორიაში“.

მაგრამ თუ ბერძნულ ლიტერატურაში ჰეროდოტეს ცნობამ დიდი რეზონანსი ვერ გამოიწვია, რომაულმა მწერლობამ მას გარკვეული ადგილი დაუთმო და მხატვრულადაც დაამუშავა. ერთი სიტყვით, ჰეროდოტეს ინფორმაციამ თავისი ტრანსფორმაცია მაინც განიცადა.

აღსანიშნავია, რომ პლინიუსი, როდესაც ლაპარაკობს აიეტის შთამომავლის — საელაკის მიერ სვანების მიწა-წყალზე მოპოვებული სიმდიდრის შესახებ, დასძენს, რომ მოგვიტხრობენ მის ოქროს პალატებზე, ვერცხლის კოქებზე, სვეტებზე და პილასტრებზე, იმავე მასალიდან რომაა დამზადებული, რომელიც მან მოიპოვა ეგვიპტის მეფე — სესოსტრისზე გამარჯვების შემდეგ.¹⁶⁸

ვალ. ფლაკუსის „არგონავტიკაში“, როდესაც მწერალი კოლხთა ტაძარს აღწერს, ყურადღებას ამახვილებს მის კარებზე, რომელზედაც ასახულია კოლხთა ტომის წარმოშობის ისტორია: თუ როგორ დაიწყო სესოსტრისმა პირველი სამხედრო ოპერაციები გეტების წინააღმდეგ, ხოლო დამარცხებით შეშინებულმა, როგორ დაასახლა თავისი ხალხის ერთი ნაწილი თებეში, მშობლიურ მდინარესთან, ხოლო მეორე — ფაზისის ნაპირზე და უწოდა მათ კოლხები (V, 416—422).

როგორც ვხედავთ, ვალ. ფლაკუსი იძლევა მხატვრულ ინტერპრეტაციას ჰეროდოტეს ცნობისა, თუ როგორ მოხდნენ კოლხეთში, ფაზისის ნაპირზე, ეგვიპტელები, რომელთაგანაც, მისი აზრით, წარმოიშვნენ კოლხები.

ამიანე მარცელინე თავის მხრივ იზიარებს ჰეროდოტეს მოსაზრებას კოლხთა ეგვიპტელებისაგან წარმომავლობის შესახებ: „მდ. ფაზისი თავისი ხმაურიანი დენით ჩამოუდის კოლხებს, ეგვიპტელთა ძველ მოდგმას.“¹⁶⁹

რაც შეეხება კოლხების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, მრავალი ანტიკური წყარო მოგვითხრობს ყოველივე ამაზე. თითოეულის შოხსენიება ან აღწერა „შეგვერემანი კოლხების“,¹⁷⁰ ცალკეული მათი წარმომადგენლის, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მთლიანად ხალხზე.

168 Plin NH, XXXIII, 52.

169 Am. Marcell., XXII, 24; იხ. გეორგიკა, ტ. I, გვ. 112.

170 Pindar, Pyth., IV, 213; იხ. აკ. უ რ უ შ ა ძ ე, ძვ. კოლხ., გვ. 30.

აპ. როდოსელის „არგონავტიკის“ II თავში, როდესაც ფინევ-სი მომავალ მარშრუტს უხატავს არგონავტებს, აღნიშნავს კოლხების მეომარ ხასიათს (II, 397). ამავე თავში ვხვდებით კოლხთა წინამძღოლის — აიეტის დახასიათებას: აღნიშნულია მისი მრისხანე-ბა, სიძლიერე, სიმკაცრე. ანალოგიურად შეიძლება წარმოვი-სახიოთ ასევე მთელი ტომის სიძლიერე, რომელსაც არესის მსგავსი ბელადი ჰყავს. აიეტის ირგვლივ კოლხთა ურიცხვი ტომებია (II, 1203—1206).

აიეტი იარაღს აისხამს და მკერდზე არესის ნაბოძებ მტკიცე აბჯარს შემოიკიდობს, თავზე ოთხბიბილოვან ოქროს მუზარადს დაი-ხურავს, ხელთ იპყრობს ტყავის მრავალი ფენით შემომტკიცულ ფარს და უძლეველ შუბს (III, 1225—1245). ეს ადასტურებს, თუ რა მაღალ დონეზე იდგა კოლხეთში შეიარაღების საქმე, ქვეყანაში, რომელსაც, ცხადია, ხალიბებთან უშუალო კონტაქტი ჰქონდა.

ჩვენთვის უფრო ნათელი გახდება კოლხთა იარაღის უპირატე-სობა, თუ გავიხსენებთ ჰეროდოტეს ცნობას სხვა ტომების — ტიბა-რენების, მოსინიკების, მაკრონების შეიარაღების შესახებ. დასახე-ლებულ ტომებს თავზე ხის მუზარადი ჰქონდათ, ხოლო ფარები და შუბები — პატარა, შუბის წვერები კი — გრძელი.¹⁷¹

აღსანიშნავია, რომ ამჭერადაც აიეტის გვერდით პოეტი წარმო-გვიდგენს მის დიდებულ ტომს, რომელიც აცილებს მეფეს. აპ. რო-დოსელი კვლავ ხაზს უსვამს კოლხთა ჯარის ძლიერებას, რომლის განსახიერებაც მეფე, რომელიც საბრძოლო ეტლში ზის, უკან კი აურაცხელი ხალხი მისდევს. (III, 1271—1275).

III და IV თავებში აღწერილია მეფის მიერ ყრილობის მოწვე-ვის ამბავი. პირველად აიეტის მიერ მოწვეული ყრილობა სასახლის გარეთ შედგა: მეფე ვერაგობას უმზადებდა კოლხებს (III, 576—583), ხოლო მეორედ — რჩეული ვაჟკაცები მიიწვიეს თვით სასახ-ლეში, რომ მოეფიქრებინათ, რა ვერაგობით მოეცილებინათ უცხოე-ლები (IV, 6—9).

დიოდორე სიცილიელს მოაქვს ცნობა, რომ კოლხებს საკუთარი, გამოკვეთილი ენა ჰქონდათ. პოეტი მოგვითხრობს, რომ მედგა კოლ-ხურ ენაზე ლოცულობდა.¹⁷² აპ. როდოსელი IV თავში, როდესაც

171 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ჰეროდოტეს ცნობები..., გვ. 113.

172 Di od., IV, 52.

კირკეს და მედეას ახვედრებს ერთმანეთს, ამბობს, რომ კოლხურად ლაპარაკობდნენო. მთელი თავგადასავალი მედეამ თავის ენაზე მოუთხროო.¹⁷³

კოლხებს რომ საკუთარი ენა ჰქონდათ, რომაელ მწერალთაგან ამას გადმოგვცემს ცენზორინი, რომელიც, თავის ენაზე მოლაპარაკე ტომებს რომ ჩამოთვლის, კოლხებსაც ასახელებს.¹⁷⁴

ანტიკურ მწერლობაში გვხვდება კოლხთა მიერ მიცვალებულის დაკრძალვის წესის აღწერა.

ნიკოლოზ დამასკელის „ზნე-ჩვეულებათა კრებულში“ აღნიშნულია, რომ კოლხები მიცვალებულებს კი არ მარხავენ, არამედ ხეებზე ჰკიდებენ (121)¹⁷⁵. კოლხები რომ მიცვალებულებს ტყავებში ახვევენ და ხეზე კრძალავენ, ამაზე მოგვითხრობს კლავდიუს ელიანუსი „ნაირ-ნაირ ისტორიებში“.¹⁷⁶

აპ. როდოსელთან მოთხრობილია, რომ კოლხებში ცოდვად ითვლება მიცვალებული მამაკაცების ცეცხლში დაწვა; არც ის არის წესი, რომ მიწაში დაფლან და ზემოდან ტაგრუცი დააყარონ: მათ ხარის მოუთვლავ ტყავებში ახვევენ და ქალაქიდან მოშორებით ხეებზე ჰკიდებენ. მაგრამ ჰაერის თანაბრად მიწაც იღებს თავის წილს, რადგან ქალებს მიწაში მარხავენ. აი ასეთი ჩვეულებაა იქ დამკვიდრებული (II, 203—209).

„არგონავტიკის“ თარგმანის სქოლიოში მოტანილია ივ. ჯავახიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ „ეს ცნობა იმას ამტკიცებს, რომ კოლხები მახდებიანობის მოძღვრების აღმასრულებელნი ყოფილან, იმიტომ რომ მხოლოდ ამ სარწმუნოებაშია აკრძალული ადამიანის გვამის მიწაში დასაფლავება. მხოლოდ იქ არის აკრძალული ადამიანის გვამის ცეცხლით დაწვაც, იმიტომ, რომ ცეცხლი წმინდა სტიქიონად ითვლებოდა და არაა უწმინდური მას არ უნდა შეჰხებოდა.“¹⁷⁷

ამრიგად, ჩვენთვის საკვირველი, მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი ბარბაროსული ხასიათისა კი არ იყო, როგორც ეს საქმეში ჩაუხედავ ზოგიერთ მკითხველს შეიძლება მოეჩვენოს, არამედ

173 Ap. Rhodii Argon., IV, 730—736.

174 Censorini, 25, SC, II, გვ. 969.

175 ავ. უ რ უ შ ა ძ ე, ძვ. კოლხეთი... გვ. 437.

176 Αλκιμαθς Ηλιουχου ιστορια V, 1

177 ივ. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტორია, ტ. I, 195

წმიდათაწმიდა მოვალეობის შესრულება, რომელიც თავის მხრივ, ალბათ, სარწმუნოების გარკვეულ მხარესთან იყო დაკავშირებული და ერის მაღალ კულტურაზე მიუთითებდა.

კოლხთა მაღალ კულტურაზე მეტყველებს აპ. როდოსელის მიერ აიეტის სასახლის დიდებული შენობის აღწერა. ბერძენი გმირები შესასვლელთან გაჩერდნენ და გაოცებულნი შესცქეროდნენ მეფის სასახლის გალავანს, ფართო ქიშკრებსა და სვეტებს, რომლებიც მწკრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო; სასახლის ზემოთ, სპილენძის ქონგურებზე იდგა ქვიშის კოშკი. [მოსულებმა] მშვიდობიანად გადააბიჯეს ზღურბლს, რომლის ახლოც მაღლა ამართული, მწვანე ფოთლებით დაბურული ვაზები ფართოდ გადაშლილიყვნენ. მათ ქვეშ მოჩუხჩუხებდა ოთხი დაუშრეტელი წყარო, რომლებიც ჰეფესტომ ამოიღო.¹⁷⁸

საინტერესოა, რომ ავტორი ლეგენდარულ წყაროებში, რომლებიც შეიცავენ ღვინოს, რძეს, სურნელოვან ზეთსა და წყალს, (ხან ყინულივით ცივსა და ხან თბილს), გულისხმობს კოლხეთის სიმდიდრეს.

თუ აპ. როდოსელი კოლხთა ტაძრის გარეგნულ სიმდიდრეს და საოცარი ოსტატობით შესრულებულ მოხატულობაზე ჩერდება, რომაულ ლიტერატურაში აღწერილია ტაძრის შიდა ნაწილი. ვალ. ფლაკუსი აგვიწერს, თუ როგორ ჰქონდათ გაფორმებული კოლხებს ტაძრის კედლები და კარი, აღწერილია, როგორი გაოცებითა და ინტერესით ათვალეირებენ არგონავტები დიდებულ კარებს, მოხატულს სესოსტრისის ლაშქრობის ლეგენდის ეპიზოდებით; გამოსახულია მისი ჯარის ნაწილის უკან დაბრუნება არსინოას, ფარუსის თბილ ნაპირებზე, სადაც ტილოს ნაცვლად იმოსებიან სარმატულად, აგრეთვე ტაძრის კედელზე გამოსახულია ფაზისისა და ეას გამიჯნურება. ასევე ამშვენებს მას ფაეთონის მითი, — მისი მოტირალი დები, ეტლის ნამსხვრევები, როდესაც მან ვერ დაიმორჩილა ჰელიოსის რაშები და გადაიჩეხა.

მაგრამ ყველაზე ყურადსაღებია ოქროს საწმისზე წინასწარმეტყველური გამოსახულება: აქაველები, არგო და იასონი, არგონავტების მფარველი ქალღმერთი, რომელიც აბინავებს მეზღვაურთ. ქრის ნოტუსი და მიქრის ნავი; მოჩანს სიმღერის ჯადოქარი ორფევ-

178 „არგონავტიკა“, თარგ. აკ. ურუშაძისა, გვ. 187—189.

სი, რომელიც აოცებს ურჩხულებს — ასეთია მისი ხმის, ნიჭის ძალა. სურათები აღწერებს, თუ როგორ ხედებიან უცხო ნაეის ხილვით გაკვირებული კოლხები არგონავტებს და როგორ ტოვებს მედეა თავის სამშობლოს. გამოსახულია სასოწარკვეთილებაში მყოფი აიეტო, ქორწინება და ლხინი იასონისა და მედეასი, მათი მოდგმა, ხოლო შემდგომ მათ შორის დატრიალებული ტრაგიკული ამბები. აქ არის იასონი, რომელიც ტოვებს პირველ ცოლს, ე. ი. მედეას. ჩანს შურისძიების მოლოდინი, გამოსახული ღირიების მხერაში, საბედისწერო გვირგვინიც მოჩანს, ძვირფასეულობით მორთულ-მოკანზმული. ერთ სურათზე ასახულია მედეას განცდები, მის მიერ სამშობლოსა და მშობლების მიმართ ჩადენილი ღალატის მონანიება, და, ბოლოს, გამოსახულია ცეცხლმოდებული სასახლე, რომელიც მედეას წითელმა შხამებმა უნდა გადაბუგოს... (V, 433—451).

ტაძრის აღწერილობასთან დაკავშირებით ერთ მეტად საინტერესო დეტალს ვაწყდებით. აპ. როდოსელი აღნიშნავს, რომ კოლხთა ტაძრის ნაკეთობა აეფესტოს მიერაა შესრულებული, ხოლო ვალ. ფლაკუსი ტაძრის საოცარ სურათებს ვულკანუსის, იგივე ჰეფესტოს ხელოვნების ნიმუშად წარმოადგენს. ეს მომენტი არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ, რადგან ცეცხლისა და მკვდლობის ხელობის ღმერთის სახელის ხსენება მისი რომაული ექვივალენტით აშკარად ამტკიცებს, რომ ვალ. ფლაკუსს შეგნებულად შეუვსია აპ. როდოსელის მიერ წარმოდგენილი კოლხთა ტაძრის გარეგნული აღწერილობა მისი შიგნითა დარბაზების სურათებით.

ამრიგად, ორმა ეპიკოსმა მწერალმა აღწერა კოლხთა სასახლე, რომელიც თავისი საოცრებითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა. აპ. როდოსელი აგვიწერს, რომ „ეზოს შუაგულში იდგა სასახლე, რომელსაც მრავალი კარგად შეკრული ორმაგი კარი და მოსასვენებელი ოთახი ჰქონდა სხვადასხვა მხარეს“, რომ „სასახლეს გარს უვლიდა აივანი. გარდა ამისა, პირისპირ იდგა [ორი] მაღალი სრა-სახლი: ამათგან ერთში, რომელიც უმაღლესი იყო, მბრძანებელი აიეტი ცხოვრობდა თავისი მეუღლით, მეორეში კი აიეტის ვაჟი—აფსირტე ბინადრობდა,“ დანარჩენი თალამოსები ეკავათ მხევალ ქალებსა და აიეტის ორ ასულს — ქალკიოპესა და მედეას.¹⁷⁹

საყურადღებო ფაქტია, რომ მეფის ოჯახის წევრებს ვალ. ფლაკუსი სულ სხვაგვარად, სხვა პრიციპით ჩამოთვლის. თუ აპოლო-

179 იხ. „არგონავტიკა“, გვ. 189.

ნიოსი წარმოგვიდგენს დიდებულთა ცხოვრების ფუფუნების სურათს და ჩერდება დარბაზთა განაწილებაზე, რომელი ეპიკოსი პოეტი, აგვიწერს რა ტაძრის მშენებელ დარბაზებს, გადადის აიეტის ახლობელ-ნათესაების ლაკონურ დახასიათებაზე. მას არ აკმაყოფილებს აპ. როდოსელის მიერ კოლხთა მეფის ოჯახის ბინების მშრალი ჩამოთვლა. იგი მოგვითხრობს, რომ შზის შვილი — აიეტი მშობელი მამის დიად დარბაზში შედის (ე. ი. თვით ჰელიოსის სამფლობელოა ტაძრის დარბაზი, სადაც კოლხთა მეფეს წარმოგვიდგენს აეტორი), გვერდით მცირეწლოვანი, მაგრამ საამაყო ვაჟიშვილი — აფსირტე ჰყავს. აეტორი მას იხსენიებს როგორც თვით ჰელიოსის იმედს. ყოველი აქ მყოფი პერსონა სახელით არის მოხსენიებული იმ მიზნით, რომ აეტორმა შეგვიქმნას განსაზღვრული წარმოდგენა, თუ რაოდენ დიდებული იყო თვითონ აეტორის მიერ ტაძრად წოდებული აიეტ-მეფის სასახლე თავისი მობინადრეებით და სტუმრებით. ყველას თავისი ადგილი და რიგი უკავია. მეფის და მისი მემკვიდრის შემდეგ პატივსაცემი სტუმრები განლაგებულან, რომელთა შორისაც მედეას ხელის მთხოვნელი სტირუსიც იმყოფება. დარბაზში თავი მოუყრიათ კოლხთა უხუცესებს და აიეტის შვილიშვილებს — ფრონტისს, არგოსს, მელასს და კიტისორეს თავისი მსუბუქი შუბით.¹⁸⁰

აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ლიტერატურასთან შედარებით რომაული მწერლობა მნიშვნელოვნად ავსებს ცნობებს კოლხთა შესახებ. ვიტრუვიუს პოლიონის ცნობილ ნაწარმოებში „არქიტექტურის შესახებ“ არის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, თუ რისგან და როგორ აგებდნენ კოლხები თავის სახლებს:

„პონტოში, კოლხების ტომი, ტყეების სიუხვის გამო, მიწაზე მთლიან ძელებს აწყობენ მარჯვენა და მარცხენა მხარეებზე, მათ შორის იმ ზომის მანძილს ტოვებენ, რამდენის საშუალებასაც ხის სიდიდე იძლევა (ესე იგი, უნდა ვიგულისხმოთ ის მანძილი, რომელიც ძელების სიგრძის ტოლია — ც. გ.). საბოლოო ძელებს გარდი-გარდმო, ერთი მეორის ზევით აწყობენ. ამით ხდება საცხოვრებლის შუა ნაწილში მდებარე სივრცის გარშემორტყმა. შემდგომ, ზემოდან, ოთხივე მხრიდან, ძელებს შენაცვლებით აწყობენ ისე, რომ კუთხეებად შეერთდნენ. ამრიგად, ხეებისაგან კედლებს აგებენ ზევითკენ შევეულად და პერპენდიკულარულად კოშკის სიმაღლესთან. ადგილი, რომელიც რჩება მასალის სისქის გამო, ივსება ნაფოტებითა და თი-

¹⁸⁰ Val. Flaccus, Arg., V, 455—462.

ხით. გარდი-გარდმო განლაგებული კოჭების ძლიერი დამოკლებით შენობის ოთხივე მხრიდან ამოჰყავთ შუაში კონუსი, რომელსაც აფარებენ ზემოდან ფოთლებსა და თიხას. თალიანი სახურავების აგებისას კოლხები იყენებენ ბარბაროსულ ხერხს.¹⁸¹

ვიტრუვიუს პოლიონი აღნიშნავს, რომ ხალხი ეწყობა და იცავს თავს თავის სახლებში, რომლებიც სხვადასხვაგვარია, რადგან დამოკიდებულია ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებზე.¹⁸²

კოლხებში მიღებული წესი სახლის გადახურვისა თანდათან დავიწროებით დღესაც შენახულია ქვაბლიანში (კოლხეთის მეზობელ მესხეთში).¹⁸³

რომაელმა მწერლებმა შემოგვიანახეს ცნობები კოლხთა განსახლების ადგილებზე. ცხადია, მათი ინფორმაცია ძირითადად იმავე აზრს იმეორებს, რომელიც ბერძენმა მწერლებმა გამოთქვეს, რომ კოლხეთის მთავარი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მოსახლეობა არის კოლხებიო. მაგრამ ინტერესს იწვევს ზოგიერთი ნიუანსი.

პომპონიუს მელა მოგვითხრობს, რომ იმ ადგილას, სადაც თავდება ბოსფორიდან მომავალი სანაპირო და შემდგომ აღმართული მოპირდაპირე ნაპირის მოხრილობა პონტოს ყველაზე უფრო ვიწრო კუთხეს ქმნის, აქ არიან კოლხები, აქ ჩამოდის ფაისისი, აქვეა ქალაქი ამავე მდინარის სახელწოდებით.¹⁸⁴

პატერკულუსის აზრით, კოლხები ცხოვრობენ პონტოს მარჯვენა ძალზე მოშორებულ კუთხეშიო.¹⁸⁵

ლუკანუსი კოლხების განსახლებას მდ. ფაზისს უკავშირებს და ამბობს, იქ, სადაც ფაზისი ყოფს კოლხების უმდიდრეს ყანებსო...¹⁸⁶

სქოლიოს სიტყვებია: კოლხთა უმდიდრესი ყანები... ოქროს საწყმისის მიზეზითო.¹⁸⁷

Scholia Montepessulana-ში აღნიშნულია, რომ „ისინიც მო-

181 Vitruvii De architectura, MCMLXII, Lib. II, I, 4.

182 Десять книг об архитектуре Витрувия с комментариями Дантеле Барбаро, пер. А. И. Венедиктова, В. П. Зубова, Ф. А. Петровского, М., 1938, стр. 63.

183 ბ. ბერძენიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 32.

184 P. Melae De chor., Lib. 109; აღ. გამყრელიძე, პომპონიუს მელას..., I, 109.

185 Vellei Paterculi ex historiae Romanae, 1933, II, 40, 1.

186 Lucanus, De bello civili, III, 271.

187 SC II, 895.

დიან, რომლებიც ცხოვრობენ იქით მხარეში, იქ, სადაც კოლხთა ფაზისიაო“...

ამრიგად, ლუკანუსი ახსენებს ფაზისთან მცხოვრებ კოლხებს, ამავე დროს აღნიშნავს მათ მატერიალურ კეთილდღეობას.

კოლხთა ტომის სიდიადეს ხელს უწყობდა ის, რომ მათ არა მარტო ეკავათ მშვენიერი ბუნებრივი მონაცემებით, ფლორითა და ფაუნით მდიდარი ტერიტორია, არამედ ის, რომ სათავეში თვით პელიოსის შთამომავალი, ღმერთის ძე უდგათ. მედია ამაყად ეუბნება კრეონტს:

Quondam nobili fulsi patre
avoque darum Sole deduxi
genus¹⁸⁸

„მე ოდესღაც ეიყავი სხელ-
განთქმული კეთილშობილი მამით,
ჩვენი წარმოშობა ჩემი პაპის —
მზის ღმერთისგანაა.“

მაგრამ ყველა რომაელი მწერალი როდი ასხამს ხოტბას კოლხებს. მაგალითისათვის საკმარისია დრაკონციუსი რომლის აზრით, (ეს ჩანს მედესა და მისი ძიძის მაგალითზე, გარდა — სხვა რუპ-ლიკებისა, რომლებითაც მწერალი კოლხებს იხსენიებ¹⁸⁹), კოლხები -- ბარბაროსული ტომია,¹⁸⁹ უხეში და სტუმართმოძულე. ისინი იასონს შეეკრავენ და ისე მიჰყავთ მეფესთან¹⁹⁰ და ა. შ.

კოლხების ზნე-ჩვეულებათა სიმკაცრეზე მოგვითხრობს ლუკანუსი.¹⁹¹

ველურებად და მიუდგომელ ხალხად თვლის კოლხებს სტაციუსი მათი სისასტიკისა და ზღვარდაუდებელი რისხვის გამო.¹⁹²

ვალ. ფლავუსი „არგონატიკაში“ კოლხთა ტომებს ახასიათებს დადებითად. კოლხების მეომარი ხასიათი, მათი გამბედაობა და თავგანწირვა ასახულია VI თავში. კოლხთა ურიცხვი ტომების გამოჩენა აღწერილა VIII თავში, როდესაც მედია იასონთან ერთად გარბის და მათ მღევრები გამოუდგებიან აფსირტეს მეთაურობით. კოლხებს რომ მრავლად ჰყავდათ ხომალდები, ესეც ჩანს უკანასკნელ თავში.

როგორც ვხედავთ, რობაული მწერლობა მრავალმხრივ ინფორმაციას გვაწვდის, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ხათლად წარმოვიდგინოთ შავი ზღვისპირეთის ეთნიკური სურათი. ვალ. ფლა-

188 Seneca, Medea, 209—210.

189 Drac. Medea, 40.

190 იქვე, 44—49.

191 Lucanus, Thebais, XI, 611.

192 Statius, Silvae, Cambr, Mass, London, MCMLV, II, 1, 141.

კუსი — ერთ-ერთი სანდო ავტორთაგანია; იგი ცდილობს გეოგრაფიული ცნობების ზუსტად დაცვას. ამ ცნობების მიხედვით კი — ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, ბიძერები და ფილირები — კოლხური ტომებია. პოეტი ლაკონურად ახასიათებს დასასვლელბული ტომების ზნე-ჩვეულებებს. მსგავს ან განსხვავებულ დახასიათებას ვხვდებით სხვა რომაელ ავტორებთანაც. რომაულ მწერლობაში მოცემული ინფორმაცია აცოცხლებს ძველთაძველ სურათებს ჩვენი შორეული წინაპრების ცხოვრების შესახებ. აი ისინიც: ხალიბები, რომლებიც რკინის დამუშავებით იყვნენ პოპულარულები და საომარი იარაღის დამზადების გამო ზოზლს იწვევდნენ; მადნეულობის დამუშავებით და მეცხუარეობით ცნობილი ტიბარენები, სადაც მამაკაცები მეუღლის მშობიარობის დროს განსაკუთრებულ რიტუალს ასრულებდნენ; თავისებური კანონების მქონე მოსინები, რომლებიც მაღალი ხის კოშკებში ცხოვრობდნენ და პატივისცემის ნაცვლად მეფეს აწამებდნენ, ტანს იჭრებდნენ ნახატებით, და, რაც მთავარია, მაღალხარისხოვან თითბერს ამზადებდნენ; მაკრონები, ბიძერები და ფილირები, რომლებსაც ასევე სიმკაცრე და თავისებურება ახასიათებდათ; კოლხები — ამაყი და გამორჩეულა ხალხი, რომლებიც მაღლა იდგნენ მეზობლებზე კულტურით, მატერიალური დოვლათით. ამასვე ადასტურებს ის არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელსაც წარმატებით აწარმოებენ ჩვენი თანამედროვე, ცნობილი მეცნიერები.

დასკვნა

რა მოგვცა რომაულ ლიტერატურაში კოლხეთის თემის შესწავლამ?! უმთავრესი, ჩვენი აზრით ისაა, რომ რომაული ლიტერატურა, როდესაც ბერძნულ ტრადიციას მიმართავს, საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთსა და იმავე მითოლოგიურ არქეტიპს, ერთსა და იმავე სიუჟეტს თუ სახეს, ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ლიტერატურულ ტრადიციაში თანაბარი ძალა და მხატვრული ორიგინალობა ჰქონდეს. ძნელი იყო იმის დაშვება, რომ რომაული ლიტერატურა რაღაც თვისობრივად ახალს, ბერძნულისაგან განსხვავებულს შემოგვთავაზებდა კოლხეთის თემის დამუშავებისას. მაგრამ ბერძნული მოდელი რომაულ ნიადაგზე ისეთ ცვლილებებს განიცდის, რომ გარკვეული თვალსაზრისით შეგვიძლია კოლხეთთან დაკავშირებული თემის რომაულ ვერსიაზე ვილაპარაკოთ. რომაულმა ლიტერატურამ შეძლო ბერძნული ტრადიციის გათავისება, ისევე როგორც თავის დროზე ბერძნულმა წინაბერძნული ტრადიციები გაითავისა.

მნიშვნელოვანია კოლხეთის თემის მაგალითზე იმის შესწავლა, თუ რა მექანიზმით მიმდინარეობს ლიტერატურაში მითის აქტუალიზაცია. რომაულმა ლიტერატურამ საკმაოდ ნათლად გვიჩვენა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მითის ტრადიციული სიუჟეტის შემადგენელი ელემენტები არსებითად არ იცვლება, ამ ელემენტების ინტენსივობის აქცენტების თავისებური გადასმის შედეგად მითი შეიძლება მოერგოს ნებისმიერი ეპოქის სულს და გამოხატოს მისი მისწრაფებები თუ სატკივარი.

ერთი და იგივე მითოლოგიური სახე არსებითად განსხვავდება ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურაში, რაც აშკარაა მელანდრება მათი ეპითეტების კონტექსტში წარმოდგენისას. სწორედ ამ სიმბოლოებში, ე. წ. შეფასებებში, ვლინდება ნათლად ის ცვლილებები, რაც ამა თუ იმ მწერალს შეუტანია სახის გააზრებისას. მაგა-

ლითად, თუ სენეკასთან, ევრიპიდესაგან განსხვავებით, მედეა უფრო ახლოსაა სიშმაგისა და ჯადოქრობის სტიქიასთან, ეს მხოლოდ სიუჟეტის საშუალებით კი არ ხორციელდება, არამედ იმ მახასიათებლებითაც, რომლებითაც მედეა წარმოდგენილია ბერძენ და რომელ დრამატურგთა ტრაგედიებში.

კოლხეთის თემის შესწავლამ რომაული ლიტერატურის ცალკეულ ქანრებში და თვით ისტორიოგრაფიული ხასიათის თხზულებებშიც დაგვარწმუნა, რომ იგი მხოლოდ ისტორიისა თუ მითოლოგიის კუთვნილება კი არ არის, არამედ მან თანდათან გადმოინაცვლა მხატვრულ სახეებში და ესოდენ ორგანული გახდა შემდგომ მსოფლიო ლიტერატურისათვის. რომაულმა ლიტერატურამ პირველმა გვიჩვენა ბერძნულ ლიტერატურაში უკვე ფართოდ ინტერპრეტირებული ამ თემის შემდგომი დამუშავებისა და გაღრმავების გზა.

Р Е З Ю М Е

Введение. Среди античных источников, которые содержат сведения о Грузии и играют огромную роль в изучении ее древнейшей истории, особое место принадлежит сказаниям о Колхиде, являющимися главной составной частью мифа об аргонавтах. Информация о Грузии, изученная и интерпретированная многими поколениями грузинских ученых и исследователей, позволяет сделать заключение, что данное сказание имеет реальную историческую основу и на территории Западной Грузии действительно должно было существовать объединение сильнейших картвельских племен, среди которых выделялись (своей мощью и природными богатствами) колхи, населявшие Колхское царство, властителем которого был потомок великого Гелія — Ээт, отец всем известной врачевательницы — Медеи.

Как известно, нашей отечественной наукой с завидной полнотой изучены греческие источники, содержащие сведения о Колхиде, в то время как римские, представляющие не меньший интерес, требуют еще своего исследователя. Необходимо отметить, что в трудах грузинских ученых информации рассматриваются, главным образом, с исторических позиций, в то время как анализ произведений римских авторов в чисто литературном аспекте заслуживает не меньшего внимания.

Многие образы героев сказания об аргонавтах, пройдя закономерный путь развития, утвердились в греческой литературе, откуда перешли в римскую, а затем и в западноевропейскую литературу, продолжая трансформироваться в творчестве многих писателей и поэтов мировой литературы.

Тема Колхиды (являющаяся объектом нашего исследования), реализуясь в самых различных жанрах римской ли-

тературы, получила оригинальную разработку, что дает основание говорить о своеобразном подходе латинских авторов к колхским образам и их символике, при интерпретации.

Особый интерес, начиная с античности до наших дней, вызывает трагическая история любви Медуи и сам ее образ, который разрабатывается с учетом античных моделей. Известно, что сегодня существует около двухсот музыкальных и драматических интерпретаций темы Медуи и что европейская литература, начиная с Пьера Корнелья, постоянно находит все новые и новые пути для ее актуализации в соответствии с требованиями времени.

Грузинская литература не раз обращалась к образу Медуи; писатели и ученые уделяют большое место ее образу, событиям, связанным с аргонавтами и Колхидой. Ряд грузинских авторов (О. Челидзе, С. Канделаки, Л. Саникидзе) создали произведения, отражающие историю Медуи и аргонавтов, по-новому осветив духовный мир героев и дав новую интерпретацию уже известным событиям. Были переведены не только отдельные фрагменты касательно данной темы, но и целые произведения.

Наше исследование включает в себя следующие вопросы: комплекс сведений греческих авторов относительно Колхиды с привлечением материала из произведений того или иного автора (что дает возможность воссоздать своего рода греческую модель сказания об аргонавтах); осуществление разработки темы Колхиды в римских источниках — эпосе, драме, малых литературных произведениях. В последней части работы дается анализ информации греко-римских источников с историко-географических позиций.

Исследованию вышеназванных проблем посвящаются отдельные главы работы:

1. О греческой модели сказания об аргонавтах.

В целом ряде древнегреческих литературных памятников в той или иной степени разработаны различные части сюжета сказания об аргонавтах. По мнению исследователей, дан-

ное сказание восходит ко временам до Троянской войны, и, очевидно, существовали эпические произведения, тщательно разработавшие весь цикл похода аргонавтов в Эю и дальнейшие их приключения, которые послужили Гомеру образцом в процессе создания «Одиссеи» (К. Меули, Ак. Урушадзе, Л. Радермахер, М. Е. Грабарь-Пассек, С. Г. Каухчишвили, и др.). Именно, пользуясь, с одной стороны, этими древними источниками, а с другой, учитывая пути трансформации мотивов во всей последующей литературе, Ап. Родосский в III веке до н. э. создает поэму «Аргонавтика», в которой разработаны основные этапы сказания об аргонавтах. Но в ней не исчерпаны все сюжетные моменты, связанные с циклом сказаний: здесь нет описания событий до начала похода и того, что произошло в Греции после возвращения героев на родину. Финальные события сказания разработаны в «Медее» Еврипида.

Мы представили весь поход как совокупность основных моментов сказания, нашедших художественное воплощение в греческих источниках, а из них выбрали те, в которых элементы сюжета получили наилучшую разработку, достигнув кульминации замысла того или иного автора. Классифицируя их, мы особо выделили основные ориентиры и, опираясь на них, проанализировали и параллельные источники, в которых разработаны данные сюжеты. Все эти элементы делятся на две группы:

1. Разработанные Ап. Родосским.
2. Известные из других источников.

В данном случае для нас не представляло интереса, какие из элементов сказания были древнейшими и какие вошли позже. Совершенно очевидно, что для римской литературы основополагающим являлось сказание в том виде, в котором оно было известно в эллинистическую эпоху, и поэтому при выделении элементов греческой модели, мы опирались на данный вариант сказания. Можно сказать, что для всей последующей литературы «Аргонавтика» Ап. Родосского послужила своего рода моделью при описании похода греков в Колхиду и овладении золотым руном.

Основными моментами сказания об аргонавтах, разработанными в греческой литературе, являются:

1. Древнейшие связи Кориинфа и Колхиды (Эвмел, Эпименид);

2. Бегство в Колхиду Фрикса и Геллы на золоторунной овце (Аполлодор, Диодор, Дионис Скитабрахмон, Пиндар, Геродот, Гесиод, Палефат, Псевдо-Плутарх);

3. Причины похода греков в Колхиду и подготовка к нему (Гесиод, Пиндар, Ап. Родосский);

4. Участники похода (Пиндар, Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика», Аполлодор, Диодор);

5. Цель похода (Эвмел, Гесиод);

6. Приключение в Фессалии (Гесиод, Геродот, Ферекид, Гелланик);

7. Аргонавты на Лемносе (Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика», Эврипид, Пиндар);

8. Хриз (Филострат);

9. Самофракия (Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика», Диодор).

10. Трояда (Диодор, Гомер, Ап. Родосский);

11. Геллеспонт (Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика»);

12. Кизик (Ап. Родосский, Аполлодор, «Орфическая Аргонавтика»);

13. Киос (Аполлодор, Феокрит, Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика»);

14. Окрестности Босфора (Ап. Родосский, «Орфическая Аргонавтика», Диодор);

15. Северное направление в Понте (Диодор);

16. Восточное направление в Понте (Диодор, Ап. Родосский, Аполлодор);

17. Главк (Диодор);

18. Остров Аретиады (Ап. Родосский);

19. Колхида и события в ней (Ап. Родосский, Пиндар, «Орфическая Аргонавтика», Аполлодор, Дионисий Скитабрахмон, Тимонакс);

20. Возвращение аргонавтов на родину. Преследование Этом и Апсиртэм (Ап. Родосский, Аполлотор, «Орфическая Аргонавтика», Гесиод, Пиндар, Диодор, Эврипид, Ферекид);

21. Приключение в Западных морях (Ап. Родосский, Аполлотор, «Орфическая Аргонавтика»);

22. Ливия (Диодор, Ап. Родосский);

23. Приключение в Эгейском море («Орфическая Аргонавтика», Аполлотор, Ап. Родосский);

24. События, произошедшие после возвращения (Аполлотор, Диодор, Павсаний, Пиндар, Эврипид, Софокл, Эвмел, Ферекид, Филострат, Страбон).

2. О римской новации модели сказания об аргонавтах.

Сказание об аргонавтах нашло в римской литературе дальнейшее развитие. Сюжет заимствовался римлянами в информационном плане, но трансформируя все элементы сказания, авторы создавали латинизированные варианты целого ряда эпизодов. У римских авторов были свои представления о Колхиде, свои пути для разработки данной темы. Почти в каждом жанре литературы относительно похода аргонавтов в Колхиду создавались произведения, содержащие значительную новацию, которая проявлялась в мотивации поступков героев, развитии хода событий и явлений, интенсификации отдельных деталей.

Отдельные элементы сказания об аргонавтах (эпизод о коринфском происхождении Ээта, Северное направление в Понте, отсутствующее в свою очередь у Ап. Родосского, эпизод Главка, приключение в Эгейском море и т. д.) не нашли отражения в римской литературе. В самой греческой литературе они разрабатывались, исходя из интересов отдельных регионов Греции и вполне конкретных исторических событий. «Коринфский патриотизм Эвмела» для римлян не представлял никакого интереса. Римские писатели, как и греческие, прибегали к тем материалам, которые они могли использовать в связи с актуальными проблемами их времени.

Сказание представляло интерес для римских писателей с историко-географической и чисто художественной точек

зрения. Они разрабатывали те элементы, которые соответствовали их вкусам и отвечали злободневным событиям их государства.

Анализируя элементы, которые разрабатывались в творчестве римских писателей (Вал. Флакка, Овидия, Гигина, Сепсия, Драконция, Вергилия, Цицерона, Катулла и др.), и, сравнивая их с греческими образцами, мы убеждаемся в самобытности римской литературы. Это становится явным в процессе интерпретации основных сюжетных элементов, составляющих модель сказания. Колхида римской литературы ощутимо отличается от Колхиды греческой литературы как некий художественный символ.

3. Об эпической обработке темы Колхиды в римской литературе.

Римский эпос в определенном отношении развивает традиции греческого эпоса, но в нем наблюдается новая ступень в эпическом мышлении. В работе рассматриваются направления римского эпоса (классическая форма эпоса — Вергилий, своего рода антиэпос — Овидий, синтетическая форма с общими очертаниями эпоса — Драконций) и лаконично дается краткий анализ роли каждого из его представителей в развитии и формировании темы Колхиды.

Мы постарались установить, в чем состоит сюжетное родство и различие произведений Ап. Родосского, Вергилия, Вал. Флакка, Овидия («Метаморфозы») и что есть общего у греческого эпоса с Драконцием.

На основании анализа мы приходим к выводу, что данная тема в римском эпосе перетерпела значительную трансформацию, в первую очередь, с точки зрения актуализации отдельных элементов, составляющих данные сюжета (например, рассказ о Персее), в интерпретировании традиционного мифологического материала, в интенсификации образов, в повествовании, акцентировании противоречий и т. д. Сравнение даже отдельных фрагментов убеждает нас в этом. Например, любовный мотив связанный с Лемносом, убеждает нас в том, что Вергилий «сумел создать поразительную

по своей драматичности картину», в то время как Ап. Родосский не развил историю Гипсипилы и Ясона (Г. Ф. Церетели).

Овидий, пользуясь многими первоисточниками, как на систему опирается на произведение Ап. Родосского, перестраивая материал в соответствии с художественной структурой высокого эпоса римлян (Вулик). У Вал. Флакка — новая мотивация в общих сюжетных моментах, в трансформации того или иного пассажа, образов главных героев — Ясона и Меды. Что касается Драконция, он не уместяется в рамках высокого эпоса, несмотря на то, что его произведение — эпического характера. Видоизмененный сюжет его «Меды» — оригинальный пример того, какие изменения претерпевало содержание, даже традиционно укоренившееся, в литературе позднеантичной эпохи.

4. Колхида и римская драма.

Исследование проблемы показывает, что тема Колхиды отразилась в римской драме с первых ее шагов развития, то есть, начиная от подражания греческим источникам (Ливий Андроник, Невий, Квинт Энний) до формирования независимых концепций и форм (Сенека).

Сопоставительный анализ, проведенный нами путем сравнения одноименных произведений Еврипида и Сенеки — «Меды», убеждает нас в том, что римская драматургия достигла значительных высот в разработке темы Колхиды и ею были созданы подлинные шедевры.

Сенека использует трагический момент сказания о Медуе, делая акцент на силе ее мести, чтобы придать своей драме более соответствующее его времени содержание, точно также как «средствами искусства Еврипид воспроизводит все мысли, волновавшие его современников, все надежды и сомнения своего времени».

Сенека раскрыл совершенно новые стороны трагедии, неизвестные до него: «Сенека разбудил звуки, дремавшие в инструменте, придал им новое звучание, и они получили резонанс во всей Европе. Он создал новое, принципиальное

мнение о сути трагического искусства и воздействия его силы» (Регенбоген).

5. Об интерпретации темы Колхиды в «Героидах» Овидия.

Как показывает анализ «Героид» Овидия, поэт в эпистолярном стиле представил образы, события, имеющие прямое отношение к Колхиде, осмыслив их с точки зрения самых разнообразных впечатлений, вложив в каждый из них историю жизни того или иного героя. Правда, следует отметить, что истории, переданные в «Героидах», не содержат в себе никакого историко-географического или иного информационного материала, а представляют собой просто заслуживающие интереса литературные произведения, созданные творческой фантазией Овидия.

Несмотря на небольшие размеры, каждое послание («Меден Ясону», «Гипсипилы Ясону») отражает самые важные моменты сказания. В них выражена идея автора о судьбах главных персонажей сказания, действующих на фоне событий.

Интересно, что в «Героидах» Овидий как бы разделяет традиционный, презлегический взгляд на любовь, когда инициатива и большая сила чувства принадлежит главным образом женщине.

6. Образы героев, связанных с Колхидой, в контексте эпитетов.

В данной части работы мы проанализировали, какие изменения вносят римские авторы, в отличие от греческих, в обрисовке главных героев: Меден, Ясона, Ээта и Апсирта, а также исследовали, как с помощью эпитетов выражены черты и характеры традиционных героев.

На основе изучения эпитетов, их конкретного содержания и частоты их употребления, мы постарались выяснить, насколько независимы римские поэты в использовании их для обрисовки вышеназванных героев.

Рассматривая древнегреческие источники (Пиндара, Ап. Родосского, Эврипида), которые были исходными для Сенеки, Вал. Флакка, Овидия и Гозидия Геты, мы раздели-

ли эпитеты на несколько групп: нейтральные, позитивные, негативные, выражающие сочувствие, указывающие на происхождение и связанные с магией.

Анализ показал, что в римской литературе, с одной стороны, замечается следование традиции в вопросе употребления эпитетов, а с другой—вполне явная тенденция их своеобразного осмысления. Частота использования эпитетов показывает два направления, которые выделялись при интерпретации образов Медсы и Ясона: 1. Сочувствие Медее и обвинение Ясона. 2. Обвинение Медсы и сочувствие Ясону. Чем ближе поэт к тревожным моментам римской истории, тем более неустойчивым и обремененным магическими таинствами становится образ Медсы, а Ясона—поразительно дегеронизированным. Логическим заключением этой тенденции можно представить творчество Драконция, у которого уже нельзя говорить ни о каком сочувствии по отношению к героям. Латиноязычная литература предложила множество оригинальных эпитетов.

7. Историческая ценность римских источников, содержащих сведения о Колхиде.

В данной главе мы постарались показать, что информация, содержащаяся в римских источниках, представляет интерес не только с литературной точки зрения но и с историко-географической. Некоторые авторы, которые разработали сюжет о Колхиде, дают в то же время значительную информацию относительно высокого уровня общественного развития Колхиды, о ее флоре и фауне, реках и городах, населении, нравах и обычаях различных племен и т. д. На основе римской литературы возможно представить этническую картину побережья Черного моря. По этим сведениям, колхи, халибы, тибарены, моссины, бидзеры и филиры — колхские племена, имеющие свои нравы, своеобразные обычаи. Среди всех своей культурой, богатством, красотой и мужеством выделялось племя колхов.

S U M M A R Y

Introduction. Among the Classical sources furnishing evidence on Georgia that is of major importance to the study of the country's ancient history the legends on Colchis hold a special place, constituting the principal component part of the myth of the Argonauts. This evidence—studied and interpreted by generations of Georgian scholars and researchers—lead to the conclusion that the legend in question had a real historical basis.

Greek sources containing evidence on Georgia have been thoroughly studied from historical positions by Georgian scholars, whereas the highly significant Roman sources stand in need of research, especially from a literary point of view. Many characters of the legend of the Argonauts—traversing a natural path of development—became established in Greek, thence in Roman, and subsequently, through its outstanding representations, found their way into West-European literature, continuing to transform in the works of many writers and poets of world literature.

The Colchian theme—realized in most diverse genres of Roman literature (constituting the object of the present study)—received original treatment at the hands of Latin authors, which gives ground for asserting their independent approach to Colchian images.

The present study deals with the following problems: the body of evidence of Greek authors regarding Colchis, with reference to material from particular authors, constituting a kind of Greek model of the legend of the Argonauts (On the Greek model of the legend of the Argonauts); the question of how the Colchian theme was treated in Roman sources (On the Roman innovation of the model of the Argonauts); what transformation did the theme undergo in the epic (On the epic treatment of the Colchian theme in Roman literature), then in drama (Colchis and Roman drama), and in minor literary works (On the interpretation of the Colchian theme in Ovid's „Heroides“). Separate chapters are also devoted to an analysis of the main

characters in the context of epithets (The images of characters connected with Colchis in the context of epithets), and to the evidence of Greco-Roman sources, discussed from historico-geographical positions (Historical value of the sources containing evidence on Colchis). The author has arrived at the following conclusions:

The Roman authors had their own notions of Colchis, and their own ways of treatment of the theme. In almost every genre of literature dealing with the expedition of the Argonauts to Colchis works were written that evinced a significant innovation—manifested in the motivation of the actions of the characters, the development of events, and intensification of individual details. An analysis of the plot elements forming the pattern of the legend and treated in the works of Roman writers (Valerius Flaccus, Ovid, Hyginus, Seneca, Dracontius, Virgil, Catullus, and others) point to the originality of Roman literature, when juxtaposed with their Greek counterparts.

As a literary symbol, the Colchis of Roman literature appreciably differs—in epic works—from the Colchis of Greek literature. Ovid reorganized the material („Metamorphoses“) conformably to the literary structure of the high epic of the Romans. In the „Argonautica“ of Flaccus we have a totally new motivation not only in the development of passages, but also in the images of the main characters: Jason and Medea. Dracontius modified the plot of the legend. His „Medea“ is an original example of the alterations suffered by the content—even traditionally established—in the literature of the Classical period.

A comparative analysis of the same-name works of Euripides and Seneca („Medea“) points to the attainment of unprecedented heights by the Colchian theme in Roman dramaturgy through the creation of genuine masterpieces. Seneca brought to light completely new sides of the tragedy—not known before him—by producing “a new, principled view on the essence of tragic art and the impact of its force“, accounting for its tremendous resonance in Europe.

In the „Heroides“, in epistolary style, we find images and events directly related to Colchis—interpreted from the view-

point of most diverse impressions, each carrying the life history of this or that character.

Adherence to tradition in the use of epithets is notable in Roman literature; however, quite obvious also is the tendency toward a peculiar interpretation of the images connected with Colchis, as revealed in the context of epithets.

The evidence contained in Greco-Roman sources is of considerable interest not only from a literary but also from an historico-geographic point of view. A number of authors treating the Colchian plot give significant information on the high level of social development of Colchis, its flora and fauna, rivers and cities, population, the customs and mores of various tribes, etc.

Roman literature gives versatile information enabling to form an idea of the ethnic picture of the Black Sea littoral.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი I. არგონავტების თქმულების ბერძნული მოდელისათვის	8
თავი II. არგონავტების თქმულების მოდელის რომაული ნოვაცია	49
თავი III. რომაულ ლიტერატურაში კოლხეთის თემის ეპიკური დაზუსტებისათვის	79
თავი IV. კოლხეთი და რომაული დრამა	94
თავი V. კოლხეთის თემის ინტერპრეტაცია ოვიდიუსის „ჰეროიდებში“	112
თავი VI. კოლხეთთან დაკავშირებულ გმირთა სახეები ეპიკების კონტექსტში	120
თავი VII. კოლხეთის შესახებ რომაული წყაროების ისტორიული ღირებულება	152
Резюме	194
Summary	203

გამომცემლობის რედაქტორი ე. ჩიგოგაძე
მხატვარი გ. ტუხაშვილი
მხატვრული რედაქტორი თ. შარიფაშვალი
ტექნიკური რედაქტორი ზ. გვიშრაძე
კორექტორი ე. უარუარაშვილი
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 4523

გადაეცა წარმოებას 16.04.85. ხელმოწერილია დასაბუქდაც C4.09.85.
უე 03160. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₃₆. გარნიტურა უენა.
ბეჭდვის ხერხი მალალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 12,09. პ-რ.-
სალ-გატ. 12,44. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 11,08.
ტირაჟი 3000. შეკვ. № 409.
ფასი 80 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახკომის, თბილისის № 4 სტამბა.
380060, შედქალაქის II კორპ.
Тбилисская типография № 4, Госкомиздата
Грузинской ССР, Тбилиси, 380060. Мелгородок, II корп.